დემოსთენე

ფილიპიკები

ძველი ბერძნულიდან თარგმნა,
წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო
გიგლა სარიშვილმა

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1984

83.3(0)3 + 83.97
83—3 + 808.05
Დ 336

უდიდესი ბერძენი ორატორის დემოსთენეს (384—322 ძვ. წ.) „ფილიპიკები“ მაკედონიის მეფე ფილიპეს წინააღმდეგ, ათენური დემოკრატიის დასაცავად წარმოთქმული სიტყვების კრებულია. ძველი ბერძნული მჭევრმეტყველების ეს ბრწყინვალე ნიმუში გამოირჩევა პოლიტიკური აქტუალობითა და მგზნებარე პუბლიცისტური სტილით, რაც მის მარადიულ საკაცობრიო ღირებულებას განაპირობებს.

ქართული თარგმანი,

7700—037
Д————————290—84
М—602(08)—84

© გამომცემლობა „განათლება“, 1984

დემოსთენე

„გვიამბობენ, რომ ორქომენელმა ლაომედონტმა, ელენთის რაღაც დაავადებით რომ იყო შეურჯებული და ექიმთა რჩევით გრძელ მანძილზე სირბილში ვარჯიშობდა, ეს უნარი იმ ზომამდე განივითარა, რომ შემდგომ შეჯიბრებებში მიიღო მონაწილეობა და ერთ-ერთ საუკეთესო მორბენლად იქცა. ამის მსგავსადვე დემოსთენემაც პირველად სიტყვიერ ხელოვნებას პირად საქმეთა მოსაგვარებლად მიმართა, შემდგომ კი, ოსტატობა და ძალა რომ იუფლა, პირველი გახდა უკვე საახელმწიფოებრივ შეჯიბრებათა სარბიელზე და აჯობა ყველა თავის თანამოქალაქეთ, მჭევრმეტყველების სიმაღლეზე ზეაღსულთ“ — დიდი ისტორიკოსისა და მწერლის პლუტარქეს ეს სიტყვები („პარალელური ბიოგრაფიები“ — დემოსთენე) სწორად განსაზღვრავს იმ უცნაურ ბედს, ხშირად დიდ ადამიანებს რომ დაესაგზლებათ ხოლმე ცხოვრებისა და შემოქმედების აღმართ-დაღმართიან გზებზე. დემოსთენემაც ამგვარი გზებით იარა; ხან დიდების აღმართზე აპყაედა იგი ბედს, ხან კიდევ დამცირების დაღმართით მიაქანებდა ქვევით. სწორ-მართალი ორატორი და მსაჯული თითქმის მთელი სიცოცხლე ორ ფრონტზე იბრძოდა: პირად ცხოვრებაში იგი ებრძოდა საკუთარ ნაკლს (ფიზიკურსა და სულიერს), საზოგადო ცხოვრებაში კი — უკვე დასუსტებული დემოკრატიის მტრებს (შინაურსა თუ გარეშეს). არც ერთი ამ სისუსტის წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი არ იყო დიდი შემოქმედისათვის და მან მაინც თავისივე მასალისგან ჯერ ხელახლა შექმნა სულით ხორცამდე ძლიერი და მტკიცე ორატორი და მერმე მოინდომა ასევე მტკიცე და ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს კვლავ შექმნა, რომელიც დაშლის გზას ადგა შინაური თუ გარეშე მტრებისა და ისტორიული გარდუვალობის წყალობით. საკუთარი თავისა და სახელმწიფოს მკურნალობა გაგრძელდა მანამ, სანამ სული ედგა და დემოსთენეს სიკვდილთან ერთად ჩაესვენა ელინური დემოკრატიის მზეც. მზე ჩავიდა, მაგრამ მზე არა კვდება. პირველად ელადაში ამობრწყინებულმა თავისუფლების მზემ დროთა განმავლობაში მონობით დაბნე-

ლებული თითქმის მთელი მსოფლიო გაანათა და ამ მზის ერთი ჩაუქ-
რობელი სხივთაგანი დ ე მ ო ს თ ე ნ ე ა.

დემოსთენე, ძე დემოსთენესი, დაიბადა დაახლოებით 384 წ. ძვ. წ. მამით ადრე დაობლდა — შვიდი წლისა. ქერივ დედას, დემოსთენესა და მის ხუთი წლის დას მამისგან მემკვიდრეობად დარჩათ საკმაოდ სოლიდური ფულადი სახსარი — 14 ტალანტი (35 000 მანეთი ოქროთი), სასახლე და ორი სამონათმფლობელო სახელოსნო. ეს მემკვიდრეობა სრულიად საკმარისი იყო მომავალი დიდ-მესიტყვის უზრუნველი ყრმობისა და ჩინებული განსწავლისათვის, მაგრამ მამის დანატოვარ ფულსა და ქონებას მეურვეები დაეპატრონენ, მთელი თანხიდან მხოლოდ მცირედიღა უწილადეს ყმაწვილკაცს და ფაქტიურად თავისივე სახლის ანაბარადღა დატოვეს. დემოსთენემ მოინდომა სასამართლოს ძალით დაებრუნებინა დატაცებული ქონება და სწორედ ამან გადაწყვიტა საბოლოოდ მისი რიტორული პროფესიის ბედიც. იგი მიებარა საიმდროოდ კარგად ცნობილ რიტორ-ადვოკატს და სამართლებრივი საფუძვლების შესწავლას მიჰყო ხელი. გაიძვერა და გაქნილი მეურვეები ყოველგვარ ხრიკებს მიმართავდნენ სასამართლოზე და დემოსთენეს ხუთჯერ მოუხდა მათ წინააღმდეგ სიტყვით გამოსვლა (364 წ. ძვ. წ.). ბოლოს მიზანსაც მიაღწია: სასამართლომ ცნო დემოსთენეს სამართლიანობა, სამაგიეროდ ფულის დაბრუნება შეუძლებელი შეიქნა. ამრიგად, ახალგაზრდა დემოსთენემ წააგო ფული, მაგრამ მოიგო სასამართლო პროცესი და სამომავლოდ კი მთელი ელადისა და კაცობრიობის საუკუნო დიდებაც.

პლუტარქეს გადმოცემით, დემოსთენეს ჩინებული სწავლა-აღზრდა მიუღია მდიდრის შვილების დარად, თუმცა ხელმოკლეობას ამის საშუალება არ უნდა მიეცა მისთვის; მაგრამ მან, როგორც ფიქრობენ, შესაძლოა, მალე გამოასწორა თავისი მატერიალური მდგომარეობა საადვოკატო საქმიანობით. თავდაპირველად თავისი მოღვაწეობა სწორედ ადვოკატის, ანუ „ლოგოგრაფოსის“, პროფესიით დაიწყო დემოსთენემ. ის პირნი, რომლებიც სასამართლო საქმიანობაში ვერ ერკვეოდნენ და თავდაცვითი სიტყვის წარმოთქმა არ შეეძლოთ პროცესზე, მიმართავდნენ ლოგოგრაფოსს. ლოგოგრაფოსი ჯერ გაერკვეოდა მომჩივან-დამკვეთის საქმის ვითარებაში და მერე უწერდა მას სიტყვას სასამართლოზე წარმოსათქმელად. დამკვეთს შეძლების კვალობაზე ზეპირად უნდა დაესწავლა ეს სიტყვა და წარმოეთქვა პროცესზე. ჩვენამდე ნაწილობრივ შემორჩა დემოსთენეს ლოგოგრაფიული (ადვოკატური) სიტყვები.

მომდევნო პერიოდის სიტყვები, რომლებსაც დემოსთენე ჯერ კიდევ სხვებისთვის წერდა და თავად არ წარმოთქვამდა, პოლიტიკური ხასიათისაა. ეს სიტყვები მიმართულია სახელმწიფო კანონების ხელმყოფელთა წინააღმდეგ და განეკუთვნებიან ძვ. წ. 355—352 წლებს, რომელთაგან ზოგი ჩვენამდე შემორჩა (მაგ. „ანდროტიონის უკანონობის წინააღმდეგ", „ტიმოკრატეს წინააღმდეგ", „არისტოკრატეს წინააღმდეგ" და სხვ.).

ამავე პერიოდს განეკუთვნება ასევე პოლიტიკური ხასიათის სიტყვები, უკვე პირადად წარმოთქმული ორატორისგან ათენის დემაგორიებზე (სახალხო კრებებზე). 354 წელს სიტყვაში „სიმმორიებისათვის" გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც სპარსული საფრთხით აშინებდნენ ხალხს და მიანიშნა სრულიად სხვა საფრთხეზე, მისი აზრით, ფილიპე მაკედონელის მხრიდან რომ იყო მოსალოდნელი, თუმცაღა ფილიპე სახელით არ მოუხსენებია. დაახლოებით ძვ. წ. 350 წელს წარმოთქვა მან სიტყვა „სახსრების განაწილების შესახებ", რაც წარმოადგენდა გეგმას სოციალური წინააღმდეგობრიობის მშვიდობიანი მორიგებისა, როცა მდიდარი და ღარიბი ფენები რეალურად შეძლებდნენ უკონფლიქტო თანაარსებობას. ამავე წელს წარმოთქვა დემოსთენემ სიტყვა „როდოსელთა თავისუფლებისათვის", სადაც ფილიპე მაკედონელი, როგორც მტერი, პირველად მოიხსენია სახელით. დემოსთენეს პირველ პოლიტიკურ სიტყვებს რაიმე რეალური შედეგები არ მოჰყოლია, თუმცაღა დიდი ყურადღებით კი მოუსმინეს.

351 წელს მან წარმოთქვა თავისი „პირველი სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ", სადაც ორატორმა უკვე აშკარად წარმოაჩინა ის საფრთხე, რაც ათენურ დემოკრატიასა და თავისუფლებას ფილიპე მაკედონელის მხრით ემუქრებოდა. თუ მანამდე იგი პასიურ-პოლიტიკური რიტორიკის გზას ადგა მჭევრმეტყველ ევბულესთან ერთად, ამჯერად ამ გზის დამღუპველ უეარგისობაში სამუდამოდ დარწმუნდა და აქტიურ ბრძოლაზე გადავიდა. 33 წლის ჭაბუკმა დაიწყო მედგარი ბრძოლა ფილიპე მაკედონელის წინააღმდეგ და სიცოცხლის ბოლომდე აღარ შეუწყვეტია, თუმცა ბრძოლის ამ მძიმე გზაზე თან სდევდა ღალატი მრავალთაგან და ერთგულება ოდენ მცირეთაგან.

თუ ფილიპემ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა საბერძნეთში მაკედონური მონარქიის დამყარება და ამ რეჟიმის მომხრე ბერძენთა დიდმა ჯგუფმა (მაკედონური პარტია) გამარჯვება ვერ იზეიმა, ყოველივე ამაში დიდზე დიდია დემოსთენეს წვლილი. დიდი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე იბრძოდა ერთიანი, ძლიერი დემოკრატიული სახელმწი-

ფოს შესაქმნელად, რომელიც მრისხანე წინააღმდეგობას გაუწევდა ყოველგვარ ექსპანსიას და, პირველ რიგში, მაკედონურ ტირანიას.

341 წელს დემოსთენემ წარმოთქვა თავისი „მესამე სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ". ამ სიტყვაში ორატორმა მოუწოდა ათენელებს გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრის — ფილიპეს წინააღმდეგ და ეხსნათ ელადა იმ საფრთხისაგან, რომელიც უკვე ყველასათვის აშკარა იყო. საბუთიანმა და საქმიანმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ათენელებზე და დემოსთენე გახდა სახელმწიფო პოლიტიკის ფაქტიური წარმმართველი. მისმა სიტყვამ დიდი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია ბერძენთა შორის, რასაც მოჰყვა ერთსულოვანი მზადება ომისათვის. 340 წელს დემოსთენემ შეძლო გაეტარებინა კანონი ტრიერარქიის (სამხედრო გემთმშენებლობის) შესახებ, რისთვისაც დიდი ხანია იბრძოდა და მთელი ფლოტის გამგეობაც მას დააკისრეს. ეს დემოსთენეს დიდი გამარჯვება იყო ევბულეს პარტიაზე (მაკედონური ორიენტაციის მომხრეთა ჯგუფი ევბულეს მეთაურობით).

ამ დროს ფილიპეს წაქეზებით ევბეის ტირანი კალიასი და ტავროსთენე ქალკიდელი ათენს დაეშუქრნენ. დემოსთენეს წინადადებით ათენელებმა ევბეა დალაშქრეს. ეს ლაშქრობა წარმატებით დაგვირგვინდა და შანამდე ნეიტრალური ევბეა თავის ქალაქთა ჯგუფით ათენის კავშირში გაერთიანდა.

ამ პერიოდში წარმოთქვა დემოსთენემ თავისი „მეოთხე სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ", სადაც იგი მიუთითებს სპარსეთთან ურთიერთობის შესაძლებლობაზე საერთო მტრის — ფილიპეს წინააღმდეგ. იმ დროს ფილიპესთან დადებული დროებითი ზავი მართლაც დროებითი და უპირობო რომ იყო, ამას პირველ რიგში გამჭრიახი პოლიტიკური დემოსთენე ჭვრეტდა და ათენის მოკავშირე ქალაქ-სახელმწიფოებს ომისათვის ამზადებდა. საამისოდ მისი უპირველესი მიზანი იყო ათენის კავშირისათვის დაებრუნებინა ძალითა თუ დიპლომატიით ფილიპეს მხარეს მდგარი ქალაქები თუ კუნძულები. ამ მიზნის განსახორციელებლად იგი თავდაუზოგავად იბრძოდა როგორც სიტყვით, ასევე საქმით; ტრიბუნაზე იდგა, როგორც პირველი ტრიბუნი, და ბრძოლის ველზე — როგორც რიგითი მეომარი. ასე იყო, მაგალითად, თებესთვის ბრძოლაში 338 წელს, თუმცაღა აქ ათენელებმა მარცხი განიცადეს ფილიპესთან, რასაც ე. წ. დემადეს ზავი მოჰყვა.

ათენელებმა გადაწყვიტეს სამშობლოს წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის ოქროს გვირგვინით შეემკოთ დემოსთენე (წინადადება შემოიტანა ათენელმა მოღვაწემ — კტესიფონტმა). ამ გადაწყვეტილე-

ბის წინააღმდეგ ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა დემოსთენეს პოლიტიკურმა მტერმა — ესქინემ.

ამასობაში ფილიპე თავისი ქალიშვილის (კლეოპატრას) ქორწილზე მოკლეს შეთქმულებმა. იმავე ესქინეს გადმოცემით, დემოსთენემ ყველაზე უწინ შეიტყო ეს და მოზეიმე სახით გამოცხადდა ხალხში თეთრი ქიტონით მოსილი, თუმცა მგლოვიარე იყო, — შეიდიოდე დღის წინ დაკარგა თავისი ქალიშვილი და, თუმცა მას ბრალი ედებოდა მკრეხელურ სიხარულში ადამიანის სიკვდილის გამო, ეტყობა, ეს სიხარული მაინც ბევრმა გაიზიარა. ამჯერად დემოსთენემ ბრძოლა განაგრძო ფილიპეს ყმაწვილი მემკვიდრის ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ. ალექსანდრე მაშინ სულ რაღაც ოცდაოდე წლისა იყო და თითქოს მისი გამოუცდელი ასაკი ხელსაყრელ საშუალებას იძლეოდა აჯანყებისათვის. მაგრამ ეს იმედი სრულებითაც არ გამართლდა. ალექსანდრე მაკედონელმა აჯანყებული თებეს ქალაქი საძირკვლებამდე დაანგრია. გადმოცემით, მან ხელი არ ახლო მხოლოდ ერთადერთ სახლს, რომელიც ოდესღაც პოეტ პინდარეს ეკუთვნოდა. მან მოითხოვა დასასჯელად დაშნაშავენი — ლიკურგოსი, ქარიდემოსი და სხვები, პირველ რიგში კი — დემოსთენე, მაგრამ მეფის ახალმა საზრუნავმა იხსნა ისინი.

ალექსანდრეს ძლევამოსილმა ლაშქრობებმა სპარსეთსა და მთელ აღმოსავლეთში გარკვეული პოლიტიკური დეპრესია გამოიწვია ანტიმაკედონურ პარტიაში და პირველ რიგში ეს დემოსთენეს შეეხო. იგი აშკარად ეგრძნობდა მტრის ძლიერებას და არამცთუ თავად იკავებდა თავს პოლიტიკური გამოსვლებისაგან, არამედ თანამოქალაქეებსაც მოთმინებას ურჩევდა. მას უკვე პასიურობას უკიჟინებდნენ მეგობრებიც კი დემოკრატიული ბანაკიდან და ბევრი უწინდელი თანამებრძოლი ახლა მტრად ექცა, განუდგა ყველაზე ერთგული ჰიპერიდეც. დიდ ორატორსა და სახელმწიფო მოღვაწეს თანაბრად გადაეკიდნენ როგორც მტრები, ასევე მეგობრები. მას ცილი დასწამეს აკროპოლისში დაცული განძის ხელყოფაში და ქრთამის აღებაში. დემოსთენემ სასამართლოს სასწორზე თავისი სიცოცხლე დადო და წააგო კიდეც პროცესი, რადგან მის წინააღმდეგ სასამართლო აშკარად შეთქმული იყო. დემოსთენე დააპატიმრეს, მაგრამ მან მალე მოახერხა ციხიდან გაქცევა და უკვე ჯანშერყეული და ხანდაზმული კაცი ლტოლვილობდა არგოლიდაში. სამოცი წლის დემოსთენე მწვავედ განიცდიდა ამ დამამცირებელ დევნილობას. დროის გარკვეული ნაწილი მან გაატარა კუნძულ ეგინაზე, საიდანაც მოჩანდა მისი მშობლიური ქალაქი ათე-

ნი. იქ უკვე გამარჯვებული მაკედონური პარტია დევნიდა და ავიწროებდა დემოკრატიულ ბანაკს, დემოსთენეს თანამებრძოლთ.

მაგრამ დემოსთენეს დევნას მალე მოეღო ბოლო, როცა 323 წელს ბაბილონში გარდაიცვალა ალექსანდრე მაკედონელი. ამან კვლავ შეასხა ფრთები ბერძენთა განმათავისუფლებელ მოძრაობას. დაიწყო საყოველთაო მზადება მაკედონური მონარქიის დასამხობად. პირველნი მცირეაზიელი ბერძნები აჯანყდნენ, მერმე ბრძოლები მთელ ელადას მოედო.

დემოსთენეს ბიძაშვილმა, სახელად დემონმა, სახალხო კრებაზე დასვა საკითხი დემოსთენეს დასაბრუნებლად. ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა დემოსთენეს ათენში დაბრუნების გადაწყვეტილებას. „როცა იგი პირეოსიდან ქალაქისაკენ მიემართებოდა, მის შესახვედრად გამოვიდნენ არა მხოლოდ ხელისუფალნი და ქურუმნი, არამედ ყველა დანარჩენი მოქალაქენიც თითქმის ბოლო კაცამდე და საზეიმოდ მიესალმნენ მას. მაშინ, როგორც მოგვითხრობს დემეტრიოს მაგნესიელი, დემოსთენემ ხელები ცისკენ აღაპყრო და თავის თავს ნეტარი უწოდა, იმ დღეს კი — უბედნიერესი დღე თავის ცხოვრებაში, რადგან დაბრუნდა ალკიპიადეზე ღირსეული, რამეთუ მასავით კი არ აიძულა, არამედ დაარწმუნა თანამოქალაქენი კვლავ მიეღოთ იგი“. (პლუტარქე).

მაგრამ იმავე პლუტარქეს სიტყვებით, დიდი ხნით არ უგემნია სიხარულის ნაყოფი დემოსთენეს. ბერძენთა გაერთიანებული ჯარების სარდლის ლეოსთენეს გარდაცვალების შემდეგ ელინური საბრძოლო რაზმები თანდათან დაირღვა და საბოლოოდ საქმე იქამდე მივიდა, რომ ალექსანდრეს მეფისნაცვალი საბერძნეთში — ანტიპატრე ათენისაკენ დაიძრა. დემოსთენე და მისი თანამებრძოლნი სასწრაფოდ გაიქცნენ ქალაქიდან. ორატორ დემადეს წინადადებით მათ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. დემოსთენესთან ერთად გაიქცა ჰიპერიდეც. თავი იჩინეს მოღალატე ინიციატორებმაც, რომელთა შორის გამოირჩეოდა ყოფილი მსახიობი არქიასი, რომელსაც ზედმეტ სახელად „დევნილთა ძონადირე“ (ბერძნ. ფიგადოთერა) შეარქვეს. დემოსთენემ მოახერხა კუნძულ კალავრიაზე, არგოლიდის ნაპირას, პოსეიდონის ტაძრისთვის შეეფარებინა თავი. არქიასმა მიაგნო მას თავისი თანამხლებელი თრაკიელი შუბოსნებით და დაჟინებით ურჩევდა, წარსდგომოდა ანტიპატრეს, თან არწმუნებდა, რომ ამით არავითარი საფრთხე არ მოელოდა. როგორც პლუტარქე მოგვითხრობს, მას ასე უპასუხებია არქიასისათვის: „როგორც წინეთ შენი თამაშით ვერ მარწმუნებდი, ისევე ახლაც შენი დაპირებებით ვერ დამარწმუნებ“. მან დაღეჭა წინასწარ

საგანგებოდ მოშხამული ლერწმის კალამი და გამოეთხოვა სიცოცხლეს.

„იგი მოკვდა პიანეფსიონის* შეთექვსმეტე დღეს, ყველაზე გაუხარელ დღეს თესმოფორიისა**, როცა ქალები მკაცრ მარხვას ინახავენ, ქალღმერთის ტაძრის წინარე. გამოხდა ცოტა ხანი და ათენელმა ხალხმა ღირსეული მისაგებელი მიაგო მას: აღმართა დემოსთენეს ბრინჯაოს გამოსახულება და მისი გვარეულობის უხუცესს ტრაპეზობის უფლება მიანიჭა პრიტანიაზე. ძეგლის კვარცხლბეკზე ამოტვიფრული იყო ყველასათვის ცნობილი წარწერა:

როგორიც იყავ გონიერი, ისეთივე ღონიერიც რომ ყოფილიყავ,
შენ, დემოსთენე,

მაშინ ელადას მაკედონიის ომის ღმერთი ვერ დაიპყრობდა“ (პლუტარქე, „დემოსთენე“). ომის ღმერთში (დედანშია არესი — ომის ღმერთი) იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი.

რამდენადაც დემოსთენეს „ფილიპიკების“ ყოველი თავი ფილიპე მაკედონელსა და მაკედონურ რეჟიმთანაა დაკავშირებული, ზოგადად მაინც უნდა შევეხოთ იმდროინდელი მაკედონიის სამეფოს მისი მეფითურთ.

საბერძნეთის ჩრდილოეთით მდებარე მაკედონია თავდაპირველად ჭრელ ტომობრივ ერთობლიობას შეადგენდა (ილირიელები, თრაკიელები, ბერძნები), სადაც ბერძნული ელემენტი სჭარბობდა და ბოლოს ამ ქვეყანამ სრული ელინიზაცია განიცადა. თუმცა ბერძნები მაკედონელებს ბარბაროსებად მოიხსენიებდნენ, ამავე დროს მათ ბერძნულ წარმომავლობაზეც მიუთითებდნენ (ჰეროდოტე, თუკიდიდე). მაკედონელ ბერძენთა ლტოლვამ პანელინური კულტურისადმი დააჩქარა მაკედონიის ელინიზაცია და მისი მეფეები თავს წმინდა ბერძნებად აცხადებდნენ.

ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში მაკედონია ტომობრივ კუთხეებად იყო დაყოფილი და თითოეულ ტომს მეფე-სარდალი — ბასილევსი მეთაურობდა. ბასილევსი ერთსა და იმავე დროს მეფეც იყო, სამხედრო პირიც, მართლმსაჯულიც და უმაღლესი ქურუმიც. მეფეს გარს ერტყა

---

* პ ი ა ნ ე ფ ს ი ო ნ ი — ოქტომბრის თვეს ემთხვევა ატიკური კალენდრის მიხედვით. დემოსთენე გარდაიცვალა ძვ. წ. 322 წლის 12 ოქტომბერს.

** თ ე ს მ ო ფ ო რ ი ა — ქალთა სამდღიანი დღესასწაული, რომელიც ყოველწლიურად იმართებოდა ათენში 11 პიანეფსიონიდან.

სამხედრო არისტოკრატია. მოსახლეობის ძირითად ნაწილს თავისუფალი გლეხობა შეადგენდა.

მაკედონურ მმართველ გვარ-ტომთა შორის ქვეყნის დიდ ნაწილზე თანდათან გაბატონებულა არგეადების გვარი, რომელსაც თავისი სამეფო დინასტიისათვის დაუდვია დასაბამი.

ბერძენ-სპარსელთა ომების დროს მაკედონიის მეფეს ამინტა პირველს იძულებითი დამოკიდებულება ჰქონია სპარსეთთან. სამაგიეროდ მისი მომდევნო ალექსანდრე I, რომელმაც მრავალი, მანამდე დამოუკიდებელი მაკედონური ტომი შემოიმტკიცა და თავისი სამეფო საგრძნობლად გააძლიერა, მართალია, აშკარად ვერ წყვეტდა კავშირს სპარსეთთან, მაგრამ ბერძნული ორიენტაციის გზას ადგა და საამისოდ ბევრი რამ გაუკეთებია. მან მონაწილეობა მიიღო ბერძნულ ოლიმპიურ ასპარეზობაში არა როგორც უცხოელმა (უცხოელები ოლიმპიადებში არ მონაწილეობდნენ), არამედ — როგორც ბერძენმა.

ალექსანდრეს მოადგილე პერდიკა უკვე აქტიურად ებმება საბერძნეთის საშინაო საქმეებში. შინაბერძნული ომების ჟამს ათენისა და სპარტის კოალიციებს შორის (ე. წ. პელოპონესის ომი), იგი ხან ერთ მხარეს ეჭხრობოდა, ხან — მეორეს.

მაკედონიის ერთ-ერთი უძლიერესი მეფეთაგანი იყო პერდიკას ვაჟი — არქელაოსი (ძვ. წ. V—IV სს.). თუკიდიდეს მიხედვით, მას ერთს მეტი გაუკეთებია მაკედონიის აღმასვლისათვის, ვიდრე წინა რვა მეფეს ერთად. იგი იყო მხურვალე ელინოფილი, ბერძნული კულტურის მოთაყვანე და მეცენატი. სამეფო კარზე იწვევდა ბერძენ მწერლებსა და მხატვრებს, შეგობრულად მეკავშირეობდა ათენთან, სხვადასხვა მატერიალური მასალითა და სახომალდე ხე-ტყით ამარაგებდა ბერძნულ ფლოტს. მადლიერების გრძნობით ათენელებს არქელაოსისთვის მიუნიჭებიათ პირველი კეთილსტუმრის — პროქსენოსის საპატიო წოდება.

ძვ. წ. 399 წელს არქელაოსი შეთქმულების მსხვერპლი გახდა და მაკედონია ტახტისათვის სისხლიანმა ბრძოლებმა მოიცვა. 359 წელს ილირიელებთან ბრძოლაში დაიღუპა მეფე პედრიკა III. მაკედონიის მეფე გახდა ფილიპე II. მან დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა სამეფო ტახტის მოცილეებს, დაამარცხა ისინი და განიმტკიცა ხელმწიფისა და სარდლის ხელისუფლება. მან გაატარა სამხედრო რეფორმა და საიმდროოდ უძლიერესი ჯარი შექმნა. პარალელურად ჩამოაყალიბა მაკედონური ფლოტი. რეორგანიზებულ ჯარსა და ფლოტს დაყრდნობილმა ფილიპემ ხელი მიჰყო თრაკია-მაკედონიის მთელი ზღვისპირეთის დაპყრობას, სადაც ბერძნული ახალშენები სუარობდნენ. ეს, რა-

ღა თქმა უნდა, ათენის უკმაყოფილებას გამოიწვევდა და გამოიწვია კიდეც. ხოლო როდესაც ფილიპემ ამფიპოლისი დაიპყრო (ძვ. წ. 358 წ.), ამით ათენთან პირდაპირ კონფლიქტში ჩაება. ათენი ამ დროს შინაომებს აწარმოებდა და დამარცხდა (ე. წ. მოკავშირეთა ომი). ამით ისარგებლა ფილიპემ და ათენელებთან მრავალწლიან ბრძოლაში ახალი ოლქები შემოუმტკიცა თავის სამეფოს. შინაომმა და საზღვაო კავშირის დარღვევამ საგრძნობლად დააუძლურა ათენი და მას აღარ შეეძლო გამკლავებოდა ფილიპეს ჯარებს. ამას დაემატა კიდევ ერთი საღვთო შინაომი დელფოსთან დაკავშირებით (ძვ. წ. 355—346) და ყველაფერი, რაც ასუსტებდა ათენს, აძლიერებდა მაკედონიის მეფეს. ამასობაში ფილიპემ მაკედონიაში აიღო ქალაქი პიდნა და ქალკიდაში — პოტიდეა. ძვ. წ. 352 წელს ფილიპემ დაამარცხა ფოკეელები, რომელთაც ათენმა დროული დახმარება ვერ გაუწია ფლოტით, და ფილიპე გახდა თესალიის საკავშირო ჯარების მთავარსარდალი. პაგასაში და მაგნესიაში მან თავისი გარნიზონები ჩააყენა და თერმოპილებისაკენ აიღო გეზი. მაგრამ ამჯერად ათენელებმა დროულად მიაშველეს ჯარი სარდალ ფაილოსს და ფილიპემაც უკან დაიხია. თერმოპილებზე ფილიპეს გალაშქრების გამო წარმოთქვა დემოსთენემ თავისი პირველი „ფილიპიკა“, სადაც ამტკიცებდა, რომ მოლაშქრეთა გარკვეული ნაწილი მაინც უნდა შედგებოდეს მოქალაქეთაგან და არა მხოლოდ მოქირავნეთაგანო.

ფოკეელებმა თანდათან შეძლეს დაშლილი ჯარის აღდგენა, ფილიპეს კი განმეორებით მოუხდა ომის წარმოება თრაკიისა და პროპონტიდის სანაპიროებზე. ფილიპემ ამ ომებით თავისი გავლენა განავრცო თერმოპილებიდან ბოსფორამდე და ზოგ ბერძნულ ქალაქ-პოლისთანაც შეძლო კავშირის შეკვრა. ათენელები ომს ომითვე უპასუხებდნენ და დაიპყრეს ქალაქი სესტოსი თრაკიის ქერსონესში.

ფილიპეს გავლენის სფეროების ამ მასშტაბმა ქალკიდის ბერძნულ ქალაქთა დიდი შეშფოთება გამოიწვია და ეს განსაკუთრებით შეეხებოდა ოლინთოსს, იქაურ ქალაქთა მეთაურს. ადრე ოლინთოსი ფილიპეს მოკავშირე იყო, მაგრამ შემდეგ დიდი რისკის ფასად ათენელებთან შეკრა კავშირი, რამაც ამ ქალაქისა და მაკედონიის მეფის ურთიერთობა გაამწვავა. ფილიპემ დალაშქრა ოლინთოსის მოკავშირე ქალაქები. ათენელები მოქირავნე ჯარებით დაეხმარნენ ოლინთოსს, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და დემოსთენე დაჟინებით მოითხოვდა უფრო ენერგიულსა და ფართო მასშტაბების ბრძოლას ფილიპეს წინააღმდეგ. ფილიპე კი თავის მხრივ ყოველნაირად ცდილობდა ათენე-

ლებისათვის ხელი შეეშალა ქალაქის დახმარებაში და ამავე დროს ათენისგან ევბეის განდგომას ლამობდა. ათენმა დემოსთენეს მესამე „ოლინთოსური სიტყვის“ წყალობით 348 წელს 17 ხომალდი, 300 მხედარი და 400 ჰოპლიტი გაუგზავნა ოლინთოსს, მაგრამ ეს დახმარება უკვე დაგვიანებული იყო. ფილიპემ მიწასთან გაასწორა ოლინთოსი. XX საუკუნის (1928 წ.) არქეოლოგიურმა გათხრებმა სამზეოზე გამოფინა ამ ქალაქის განადგურების სურათი. ქალკიდის დანარჩენი ქალაქებიც მაკედონიას შეუერთდა.

დროთა განმავლობაში ათენელების ომი ფილიპესთან უაზრო სისხლისღვრის ხასიათს იღებდა, ხოლო თავის მხრივ ფილიპესაც არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ჯერ ფეხზე მდგარი ელინური კულტურის ისეთი ბურჯისადმი, როგორიც იყო ათენი. ამან ორივე მხარე ზავის აუცილებლობამდე მიიყვანა. საზავო მოლაპარაკება შედგა მაკედონიის სატახტო ქალაქ პელაში, ეს მოლაპარაკება ძვ. წ. 346 წ. აღინიშნა ე. წ. ფილოკრატეს ზავით. ამ ზავის შესახებ ვრცლად მოგვითხრობენ დემოსთენე თავის სიტყვაში „ცრუმოციქულობისათვის“ და ორატორი ესქინე თავის საპასუხო სიტყვაში. ამ ზავით ათენი შეურიგდა ამფიპოლისისა და პოტიდეას დაკარგვას. ამასთანავე ათენსა და მაკედონიას შორის დაიდო ურთიერთთავდაცვის ხელშეკრულება, რომელიც ძალას არ კარგავდა ფილიპეს გარდაცვალების შემდეგაც. ამ ზავით ათენმა ამავე დროს ცნო ფილიპეს ყველა დაპყრობანი თრაკიის სანაპიროზე და ქალკიდაში. ათენმა მხოლოდ თრაკიის ქერონესი შეინარჩუნა. ფილიპემ თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა ფოკიდის ბედიც.

განუწყვეტელი შინაომები საბერძნეთის პოლისებს შორის, რასაც ერთვოდა ფილიპე მაკედონელის საომარი კამპანია, აჩქარებდა მთელი ელადის საზოგადოებრივ დაქვეითებას, არყევდა მისი პოლიტიკური სტრუქტურის საფუძვლებს. საფრთხე დაემუქრა მთელ მსოფლიოში პირველად შექმნილ ათენურ მონათმფლობელურ დემოკრატიას. რომელმაც დასაბამი დაუდო ჯერ ბალკანეთ-აპენინისა და მერმე მთელი ევროპის ახალ ცივილიზაციას. ამ პოლიტიკურ-კულტურული კრიზისის ჟამს მოუხდა ბრძოლა და მოღვაწეობა დემოსთენეს როგორც სიტყვით, ასევე საქმით, დემოსთენე ებრძოდა არა მხოლოდ მაკედონურ ექსპანსიას, არამედ თვით საბერძნეთის შიგნით მაკედონურ პარტიასა და მის ლიდერებს, რომელთაც სჯეროდათ, რომ სწორედ ფილიპეს შეეძლო ეხსნა ელინური ქვეყანა შინაომებისაგან, ანარქიისა და საერთოდ პოლიტიკური კრიზისისაგან. საბერძნეთის მთავარ ქალაქებში, როგორიც იყო ათენი, სპარტა, თებე, უკვე არსებობდნენ ძლიერი მა-

კედონური ორიენტაციის დაჯგუფებანი, რომლებიც ცალკე პოლიტიკურ პარტიად გაერთიანდნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ დემოკრატიული ქალაქ-პოლისების ერთიანობა უკვე დაქვეითებისა და დაშლის გზას დაადგა და მხოლოდ მაკედონური მონარქია თუ იხსნიდა ქვეყანას.

ამრიგად, საბერძნეთში შეიქმნა მაკედონური პარტია. ათენში ამ პარტიის პირველი თვალსაჩინო ლიდერთაგანი იყო მწერალი და ორატორი ისოკრატე (ძვ. წ. 436—338 წწ.), რომელიც მონათმფლობელ არისტოკრატთა ჯგუფს ეკუთვნოდა და მონარქიულ ტენდენციებს გამოხატავდა. იგი იდეოლოგიურ საფუძველს უმზადებდა ფილიპეს ერთმმართველობას მთელ საბერძნეთზე. თავდაპირველად ისოკრატე სხვა ელინ პატრიოტებთან ერთად საბერძნეთის შინაგაერთიანების გზით სპარსეთზე გამარჯვებას იმედოვნებდა. მისი გეგმით უნდა შექმნილიყო პანელინური ფედერაცია ათენის, სპარტისა და თებეს კოალიციების ბაზაზე, მაგრამ როცა ეს მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა, ძან იმედის თვალი მაკედონიის მეფეს მიაპყრო. ისოკრატეს სწამდა, რომ საბერძნეთის გაერთიანება ფილიპეს ისტორიული მისია იყო და თუ ამაზე მეფე უარს იტყოდა, ეს საბერძნეთის დაღუპვას მოასწავებდა.

ისოკრატესთან ერთად მაკედონურ ორიენტაციას ემხრობოდნენ: ევბულე (ფინანსისტი), ესქინე (ორატორი), ფოკიონი (ათენელი სარდალი) და სხვ. ფილიპეც, თავის მხრით, ყურადღებას არ აკლებდა თავის ელინ მომხრეებს და ყოველგვარ დახმარებას უწევდა მათ. ცხადია, მაკედონური პარტია დიდი საყრდენი ძალა იყო ფილიპესთვის, რამაც ძალზე შეუწყო მას ხელი საბერძნეთის საომარ ოპერაციებში.

სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია ეჭირა ანტიმაკედონურ პარტიას, რომლის წარმომადგენლებსაც ელადის აღდგენა-გაძლიერება დემოკრატიული წყობის ბაზაზე ეწადათ და დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდნენ მაკედონურ მონარქიას. ანტიმაკედონურ პარტიას ეკუთვნოდა მოუსყიდველი დემოკრატი დემოსთენე, რომლის მტკიცებითაც სწორედ ფილიპეს მაკედონური მონარქია იყო ყველაზე საშიში ელადის დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და კულტურისათვის.

დემოსთენეს მხარდამხარ იღვწოდნენ ანტიმაკედონური პარტიის ყველაზე თავგამოდებული წარმომადგენელნი, რომელთა რწმენით, ელინური დემოკრატია ჯერ კიდევ არ იყო განწირული და მისი გადარჩენისთვის იბრძოდნენ. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან ლიკურგოსი და ჰიპერიდე.

დემოსთენე იყო მოუსყიდველი პოლიტიკური მოღვაწე, პირუთ-ვნელი ორატორი, ეპვმოუტანელი პატრიოტი, სამშობლოსათვის თავ-დადებული ჯარისკაცი იარაღითა და სიტყვით. მისმა სიტყვამ და საქ-მემ ბევრი რამ მოიმოქმედა ანტიკური დიდების გადასარჩენად, მაგ-რამ, ყველაფრის მიუხედავად, მის მაღალ იდეალებს იმ დროისათვის გამარჯვება არ ეწერა და ეს, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული გარ-დუვალობით იყო განპირობებული. მაკედონურმა პარტიამ, რომლის წარმომადგენლები ნაკლებ პატრიოტები როდი იყვნენ, ვიდრე დემოს-თენე ან სხვა დემოკრატები, უფრო სწორად შეაფასა საბერძნეთის ისტორიული რეალობა.

ძვ. წ. 336 წელს ფილიპე მაკედონელი შეთქმულებმა მოკლეს. რო-გორია ფილიპეს ისტორიული როლი? მოკლედ: ფილიპემ შექმნა ერ-თიანი მაკედონური მონარქიული სახელმწიფო და საბერძნეთის დიდ ნაწილზე იარაღით განავრცო იგი. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ბერ-ძნულ-მაკედონური სტრატეგიით სპარსეთის იმპერიისა და თითქმის მთელი აღმოსავლეთის დაპყრობასა და მერმინდელ ელინიზაციას, რაც უშუალოდ მისი ყმაწვილი ვაჟის ალექსანდრეს სამხედრო გენიის წყა-ლობით განხორციელდა და რამაც ფაქტიურად ახალი ცივილიზაცია შექმნა ელინური და აღმოსავლური კულტურების სინთეზით.

როგორია ფილიპეს ისტორიულ-მორალური სახე? მოკლედ: იგი სასტიკი და სისხლიანი დამპყრობელია. როგორია ფილიპეს ფიზიკური სახე? მაგრამ ეს ხომ ათასწლეულთა საიდუმლოა... და აი, „ათასწლე-ულთა საიდუმლო ამოხსნილია“, სწორედ ამ სათაურით გამოქვეყნდა არქეოლოგიური ხასიათის ინფორმაცია გაზეთ „კომუნისტში“ (1983 წ. 8 ოქტომბერი): „ლონდონი. ამოიხსნა ერთ-ერთი ისტორიული საი-დუმლოება, რომელიც რამდენიმე წელიწადს აღელვებდა მეცნიერებს. როგორც გაზეთი „სანდი ტაიმსი“ იუწყება, პორტრეტული რეკონ-სტრუქციის შედეგად შესაძლებელი გახდა ათასწლეულების შემდეგ ფილიპე მეორის — ალექსანდრე მაკედონელის მამის სახის აღდგენა.

მას შემდეგ, რაც 1977 წელს პროფესორმა მანოლის ანდრონიკოს-მა ჩრდილო საბერძნეთში დაბა ვერგინის გათხრებისას უმდიდრესი სამეფო აკლდამა აღმოაჩინა, სამეცნიერო წრეებში დავა არ შეწყვეტი-ლა. ერთნი იზიარებდნენ პროფესორის აზრს, რომ ნაპოვნი იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 336 წელს მოკლული ფილიპე მეორის სამარხი, ზოგნი კი მას ალექსანდრეს ერთ-ერთი მემკვიდრის სამარხად თვლიდ-ნენ.

ყოველგვარი ეპვი გაქარწყლდა, როცა სამმა ინგლისელმა მეცნი-

ერმა არქეოლოგთა XXII საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს წარუდგინა ძველი მაკედონიის მეფის შვილის ბიუსტი. პორტრეტულმა რეკონსტრუქციამ სრულიად სარწმუნოდ და დეტალურად აღადგინა მისი გარეგნული იერი — მეომრის მკაცრი სახე, რომლის მარჯვენა ნაწილი ღრმა ნაიარევით არის დაფარული. სწორედ ეს ნაიარევი გახდა მთავარი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ სამარხში ალექსანდრე მაკედონელის მამა იყო დაკრძალული. ძველ ისტორიკოსთა ცნობით, ფილიპე მეორე სახეში ისრით დაჭრეს მეტონის ალყის დროს 354 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე".

სწორედ ამ სახენაიარევ კაცს ებრძოდა დიდი ორატორი და სახელმწიფო მოღვაწე დემოსთენე მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე და ფილიპეს წინააღმდეგ პოლიტიკური გამოსვლების ციკლმა პუბლიცისტური ხასიათის ცალკე ნაწარმოებად ჩამოაყალიბა მისი „ფილიპიკები". სწორედ ფილიპესთან წარმოებულმა შეურიგებელმა ბრძოლამ მოუტანა დემოსთენეს საყოველთაო აღიარება სიცოცხლეში და უკვე ნაწარმოებად ქცეულმა მისმა სიტყვებმა — მსოფლიო დიდება სიკვდილის შემდეგ.

ძველი წელთაღრიცხვის ბერძენი ორატორები უკვე წინდაწინ წერდნენ წარმოსათქმელ სიტყვებს და ამ ბედნიერმა შემთხვევამ ჩვენამდე შემოინახა მრავალი ორატორის სიტყვები, მათ შორის დემოსთენეს უმრავლესი სიტყვათაგანი და ამ სიტყვებში ძალზედ გამორჩეული „ფილიპიკები"; მართალია, ზეპირმეტყველების ცოცხალი აქტი არღვევდა წინასწარ დაწერილი სიტყვის სქემას, — პოლემიზმის, რეპლიკებისა და სიტუაციების მიხედვით, მაგრამ ორატორის ძირითადი ნაბრძოლი პირველ-წერილობით სიტყვებშიაც კარგად არის შემონახული და საიმდროო საზოგადოების ცოცხალ სურათებს საკმაო თვალსაჩინოებით გვიშლის წინ, თუმცა ის ჩვენზე უკვე აღარ ახდენს იმ ემოციურ თუ ესთეტიკურ გავლენას, რასაც ცოცხალი მეტყველი ახდენდა მსმენელებზე ცოცხალი სიტყვით, სახით, ჟესტიკულაციით, ხმის ტემბრით, მრავლისმთქმელი პაუზებით, ირონიით, იუმორით, მარჯვე და ზოგჯერ გამანადგურებელი სწრაფი პასუხებით მოწინააღმდეგეთა რეპლიკებზე და სხვ. მეტყველება ძირითადად მსმენელთათვის იყო განკუთვნილი და არა მკითხველთათვის, იქნებოდა იგი საადვოკატო-სასასამართლო, საბრალმდებლო, პოლიტიკური თუ სხვა ხასიათისა. მიუხედავად ამისა, ჩვენამდე საკმაო ძალით აღწევს დიდი ელინის დროგამოვლილი, ხანდაზმული ხმა, თავის დროზე ჭექა-ქუხილად რომ ატყდებოდა თავს ათენური დემოკრატიის მტრებს.

„მისი ცოცხალი სიტყვა დიდი შეუპოვრობითა და სიმამაცით გა-ნირჩეოდა მისივე ნაწერისაგან. ერასტოთენე დასტურჰყოფს, რომ სი-ტყვის წარმოთქმისას თითქოსდა ბაკხიური სიშლეგე იპყრობდა მას“ (პლუტარქე). ჩვენამდე მოღწეული მისი ჩაწერილი სიტყვის ხმა კი ძალზე მშვიდია, როგორც წყნარი ზღვა ხანგრძლივი ქარიშხლის შემ-დეგ.

დღეს თუ ჩვენ დემოსთენე გვაოცებს, როგორც მოუსყიდველი მებ-რძოლი და ურყევი ბურჯი დემოკრატიისა, არანაკლებ გასაოცარია მი-სი იშვიათი ნებისყოფა და შრომისმოყვარეობა. იოლად არ მიუღწევია მას იმ სიმაღლისათვის, საიდანაც ასეთი მქუხარე სიტყვით ებრძოდა თავის პოლიტიკურ მტრებს, მაკედონური ორიენტაციის მომხრე მძლე-თამძლე ორატორებს, როგორებიც იყვნენ დემადე, ფოკიონი, ანტის-თენე, ესქინე და სხვა საიმდროოდ სახელმოხვეჭილი მოღვაწენი. იშვია-თია ევროპაში ორატორი (და, ალბათ, ხელოვანი საერთოდ), ვისაც ასეთი დაუნდობლობით ებრძოლა საკუთარი ნაკლოვანებების დასაძ-ლევად და სრულყოფის მისაღწევად ყრმობის ასაკიდანვე, სანამ სა-ზოგადოებრივ სარბიელზე გამოვიდოდა. ურიგო არ იქნება, დემოსთე-ნეს ამ თვისების გამოც მოვუსმინოთ პლუტარქეს:

„საეარჯიშოდ მან მიწისქვეშა ოთახი მოიწყო, რომელიც დღემდეა შემორჩენილი, და იქ ყოველდღე აუცილებლად ჩადიოდა, სწაელობდა საძსახიობო თამაშს და იმაგრებდა ხმას, ზოგჯერ კი მთელი ორი-სამი თვით განმარტოვდებოდა ხოლმე, თავს ნახევრად გადაიპარსავდა, სირ-ცხვილით გარეთ რომ ვერ გამოსულიყო, რაგინდ ძალიან მონდომე-ბოდა... დემეტრიოს ფალერელი წერს, რომ უკვე ხანდაზმული დემოს-თენე უამბობდა მას, თუ რა ვარჯიშებით ცდილობდა ფიზიკური ნაკ-ლოვანებებისა და სისუსტის გამოსწორებას. არამკაფიო, ჩლიფინა ლაპარაკის დასაძლევად პირში კენჭებს იდებდა და ასე ამბობდა ზეპი-რად პოეტთა ლექსების ნაწყვეტებს, ხმას იმაგრებდა სირბილით, ცი-ცაბო აღმართზე საუბრითა და იმით, რომ ამოუსუნთქველად წარმოთქ-ვამდა რამდენიმე ტაეპს ან რომელიმე გრძელ ფრაზას...“

ამგვარად იქედებოდა ჯერ დემოსთენეს ხასიათი და მერე მისი უკ-ვდავი სამქვერმეტყველო სიტყვები, რომელთა შორისაც გამოირჩევა „ფილიპიკები“.

დემოსთენეს სიტყვების აგებულების სქემა ასეთია: შესავალი, ძი-რითადი ნაწილი, დასკვნა. ენა — პუბლიცისტურ-ლიტერატურული.

„ფილიპიკების“ შინაარსი და იდეა სახელმწიფოსა და ადამიანის თავისუფლებისათვის, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისათ-

ვის ბრძოლაა. სწორედ ამ მაღალი, ზოგადსაკაცობრიო იდეალების წყალობით ინარჩუნებს აქტუალობას დღემდე დემოსთენეს „ფილიპიკები“.

დემოსთენეს სიტყვებს წამძღვარებული აქვს ქრისტიანობის ხანის რიტორის, დემოსთენეს ნაწარმოებთა ერთ-ერთი გამომცემლის, ანტიოქელი ლიბანიოსის (314—399 წწ.) მოკლე წინათქმანი. ტრადიციისაძებრ დემოსთენეს სიტყვებს ამ წინათქმებითურთ თარგმნიან და ჩვენც ასევე მოვიქეცით.

გიგლა სარიშვილი.

პირველი ოლინთოსური

I

ლიბანიოსის[1] წინათქმა

ოლინთოსი თრაკიის ქალაქი იყო, იქ კი ცხოვრობდნენ ბერძნები, ევბეის ქა
დიდან წარმოშობილნი. ქალაქიდა ბერძნებს კოლონიად ეკუთვნოდა.

დიდი და სახელოვანი ომები გადაუხდია ოლინთოსს. ოდესღაც იგი ებრ
ათენელებს, ელინთ რომ წინამძღვრობდნენ, აგრეთვე ლაკედემონელთ, ჟამითი ე
დიდი ძალმოსილებით ირჩმოდა და სათავეშიც კი ედგა მონათესავე ტომთა სა
მწიფოს; თრაკიაში ხომ მრავლად იყო ქალკიდური მოდგმის ხალხი. გამოხდა
ოლინთოსელებმა ფილიპესთან, მაკედონიის მეფესთან, შეკრეს სამხედრო კავშ
ერთხანს მასთან ერთად იბრძოდნენ ათენელების წინააღმდეგ, მაკედონელისაგან
იღეს ანთემუტი, ქალაქი, რომელზეც ცილობა ჰქონდათ მაკედონიასა და ოლინთ
აგრეთვე პოტიდეა, ადრე ათენელთა კუთვნილი, ხოლო მერმე ფილიპესაგან აღ
აღებული და ოლინთესელთათვის გაბოძებული. მოგვიანებით ოლინთოსელებმა
კედონიის მეფის აღმავალი, თვალსაჩინო ძლიერება რომ დაინახეს, ეჰვი აღეძ
ერთხელაც მეფის არყოფნით ისარგებლეს, ელჩები წარგზავნეს ათენელებთან, შ
ვიტეს მათთან ომი და დაარღვიეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ან მაკ
ნიასთან ერთად უნდა ეომათ ათენელთა წინააღმდეგ, ან ერთად დაზავებოდნენ
ფილიპე ადრეც ეძებდა საბაბს ოლინთოსელთა წინააღმდეგ, და ახლა, ამათ
ხელშეკრულების დარღვევითა და მოწინააღმდეგესთან პირის შეკვრით რომ ი
გებლა, ომი გამოუცხადა ოლინთოსელთ. ამათ კი დახმარებისთვის ელჩები მიაგ
ნეს ათენში. დემოსთენეც მათ მხარეზეა და ოლინთოსელთა დახმარებას რჩ
მას მიაჩნია, რომ ოლინთოსელთა ხსნა უზრუნველყოფს ათენელთა უშიშრ
რადგან თუ ოლინთოსელი გადარჩება, ფილიპე ვეღარ შემოვა ატიკაში, ათენე
კი საშუალება მიეცემათ საომრად მაკედონიისკენ გასცურონ, ხოლო თუ ამ ქა
ფილიპე დაიპყრობს, მაშინ მეფეს გზა ხსნილი ექნება ათენისაკენ. ფილიპესთან
ორც ისე ძნელია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათო, — აცხადებს დემოსთენე და
ლიანებს ათენელთ. იგი ყურადღებას აპყრობს სახელმწიფო თანხებსაც, რ
იძლევა, — ეგ თანხები სანახობისთვის კი არა, ომისთვის უნდა მოვიხმაროთ.
ჭიროება მოითხოვს, აქვე აღინიშნოს ათენელთა ადრინდელი წეს-ჩვეულება,
ლეისოდ ნაკლებად რომ არის ცნობილი: ოდითგან, როცა ჯერ კიდევ ქვის თეატ
არ აშენებდნენ და მხოლოდღა ხის გადაბმულ წანწალებს ხმარობდნენ, ადგილ
სათვის ერთი თავ-პირის მტვრევა და ჩეხვა იყო. ამის აღსაკვეთად ათენის ხ

სუფლებმა დააწესეს ფასიანი ადგილები: ვისაც წარმოდგენის ნახვა სურდა, ორი ობოლი უნდა გადაეხადა. ღარიბებს ამ ფასის გადახდა რომ არ გაძნელებოდათ, ყველას ეძლეოდა უფლება ეს ორი ობოლი სახელმწიფო ხაზინიდან აეღო. ასე დამკვიდრდა ზემოხსენებული წესი. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მარტო ადგილებისთვის კი არ იღებდნენ ფულს, არამედ ურთიერთშორის ინაწილებდნენ მთელ სახელმწიფო სახსრებს; ამის გამო დაუდევრად ეკიდებოდნენ სალაშქრო თანხებსაც. სახელმწიფო ხომ წინდაწინ უხდიდა მათ სამხედრო საზღაურს, ისინი კი მიღებული ფულით შინ ისხდნენ, ღხინობდნენ, ლაშქრად გასვლისა და საფრთხეში თავის ჩაგდების სურვილი კი აღარა ჰქონდათ. კანონიც კი დააწესეს სათეატრო თანხებისათვის, რომლის ძალითაც სიკვდილი ემუქრებოდა ყველას, ვინც შეეცდებოდა აღედგინა ამ თანხის პირვანდელი დანიშნულება სამხედრო მიზნებისათვის. დემოსთენეც ფრთხილად იძლევა რჩევას ამ საკითხზე და როცა თავს ეკითხება: „როგორ, შენ აპირებ, ეს ფული სამხედრო თანხად იქცესო?“ — უპასუხებს: „ვფიცავ ზეუს, რომ არა“.

ეს არის, რაც სათეატრო თანხების თაობაზე მოგვიხსენებია.

ამასთანავე ორატორი ეხება სამოქალაქო ლაშქარს, მოითხოვს, რომ ლაშქრობა უნდა მოაწყონ სწორედ მოქალაქეებმა, და არა მოქირაონეებმა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, და ამას, როგორც თავად ამბობს, დღეუპამდე მიჰყავდა საქმე.

სიტყვა

I

ვფიქრობ, დიდძალ ფულს გადაიხდიდით, ათენელო დარბაისელნო, იმის საცოდნელად, თუ რა გზით მოგეგვარებინათ ქვეყნის საქმენი, რომელთა გამოც ახლა ბჭობთ. და რაღაი ასეა, ბეჯითი სმენა-გაგონება გმართებთ და რჩევათა რჩეობა. თქვენ ხომ არა მარტო მას მოუსმენთ და რჩევას დააკანონებთ მისას, ვინც აწონილი სიტყვის მადლით წარმოგიდგებათ. ამავე დროს, ეგრე მგონია, ბედმა თქვენ უფრო გაგიღიმათ, რადგან ზოგთაგანს მოუმზადებლად ხელეწიფების ახლა სიტყვის თქმა და ეს სასარგებლო არჩევანს ოღონდაც რომ გაგიადვილებთ.

ჰოდა, ათენელო დარბაისელნო, ახლა ლამის დრომაც ამოიდგას ენა და გითხრათ, რომ ეს საქმე თქვენ უნდა ითავოთ, რამდენადაც თავად ფიქრობთ მის კეთილ ბოლოზე. მე კი არ ვუწყი, როგორ მოვეკიდებით ჩვენ ამა საქმეთ. რაგინდ-რა იყოს, მე მიმაჩნია, სამხედრო დახმარების საკითხი ახლავე უნდა გადაწყდეს, რომ დაუყოვნებლივ მოემზადოთ და შემწეობაზე ამთავითვე იფიქროთ, რათა ადრინდელი არ მიიზღოთ. ამასთანავე უნდა დაიგზავნოს ელჩები, რომელნიც განსჯიან და წარმართავენ საქმეთ. მეტადრე, სიფრთხილე გვმართებს ახლა, — ეგ საშიში კაცი[2] არაფერს არ დაერიდება. დროის მარჯვედ მომხელთებელი — ზოგჯერ დათმობით, თუ გარემოებამ აიძულა, ზოგჯერ მუ-

ქარით (მუქარა სულაც არ არის გამორიცხული) გაიტანს თავისას. ამავე დროს, საშიშია, ცილისწამებითა და ჩვენი იქ არყოფნით თავის სასარგებლოდ რამე არ მიითვალოს ჩვენეულ სახელმწიფო საქმეთაგან.

ხომ ცხადია, ათენელო დარბაისელნო, რომ იმ საქმეთაგან რაც უფრო საზარალოა ფილიპესათვის, მით უფრო სასარგებლოა თქვენთვის. თუ ის ერთი იქნებოდა დაფარულ და გაცხადებულ საქმეთა ბატონ-პატრონი, აგრეთვე მხედართმთავარი, დიდმპყრობელი, ხაზინადარი, თავადვე იახლებდა ჯარს, — ეს დიდ უპირატესობას მიანიჭებდა მას დროული, სწრაფი სამხედრო მოქმედებისათვის; სამაგიეროდ, საზავო შეთანხმებისას, რასაც ისურვებდა იგი ოლინთოსელებთან, სწორედ რომ საწინააღმდეგო მნიშვნელობა ექნებოდა ამას.

ხომ აშკარაა ოლინთოსელთათვის, რომ ამჟამად ომს ეწევიან ისინი არა დიდებისა და ან მიწებისთვის, არამედ იმისთვის, რომ იხსნან სამშობლო განადგურებისა და დამონებისაგან. კარგად უწყიან მათ, თუ როგორ მოეპყრო იგი ამფიპოლისის მოქალაქეებს, და იმ მოქალაქეებს პიდნისას, რომლებმაც კარი გაუღეს მას[3]. საერთოდ, ვფიქრობ, ტირანია სანდო არ არის დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის, მით უმეტეს, მათ მესვეურთ მეზობელი ქვეყანა თუ უპყრიათ. ამრიგად, ათენელო მოქალაქენო, უნდა შეიგნოთ ეს, ყურად იღოთ ყოველი, რაც ყურადსაღებია: მითქვამს, უმეტესი სიმტკიცე და სწრაფვა გმართებთ დღეს, ვიდრე ოდესმე, — ხალისით უნდა გაიღოთ ფული, მონაწილეობა მიიღოთ ლაშქარში, არ მიეცეთ უზრუნველობას. საბაბი არ გრჩებათ იმისთვის, რომ სიამოვნებით არ აღასრულოთ თქვენი ვალი. აქამდე ბევრს გაჰყვიროდით ყველანი, ახლა კი თავისთავად აღსრულდა ეს, მეტადრე თქვენთვის უხელსაყრელეს პირობებში; ცხადია, თუ თქვენი მოწოდებით წამოიწყებდნენ ისინი ომს, მაშინ არასაიმედო მეკავშირეებად გვეყოლებოდნენ და გარკვეულ დრომდე არ შეიცვლიდნენ გადაწყვეტილებას. მაგრამ, რაკიღა ახლა უსამართლობის ზიზღით აღვსილან, ბუნებრივია, სასტიკი მტრობით აღინთებიან ყველა ადრინდელი უბედურების მიმართ, რაიც ახლა აფრთხობთ და რაიც ადრევე გადაიტანეს. ამრიგად, ათენელო მოქალაქენო, ხელიდან არ უნდა გაუშვათ კარს მომდგარი მარჯვე შემთხვევა და ერთხელ გარდახდილი კვლავ აღარ უნდა გარდაგხდეთ. მაშინ, როდესაც ევბეელებს დახმარება აღმოვუჩინეთ[4] და შინ მოვბრუნდით, აი, ამ ტრიბუნაზე გამოვიდნენ ამფიპოლისელი ჰიერაქსი და სტრატოკლე[5], რომლებმაც შემოგვთავაზეს ზღვით შეგვეცურა და დაგვეკავებინა მათი ქალაქი; ჩვენ რომ ასეთივე გულმოდგინება გამოგვეჩინა მაშინ, რაც გამოვიჩინეთ

ევბეელთა ხსნისათვის, ახლა ამფიპოლისი თქვენს ხელთ იქნებოდა და მრავალ დახლართულ საკითხსაც დააღწევდით თავს. ასევე მაშინაც, რაკამს გვეუწყა დაალყვის ცნობა პიდნის თუ პოტიდეას, მეთონეს თუ პაგასის. და კიდევ სხვა ქალაქთა, — მათი ცალკ-ცალკე ჩამოთვლით სიტყვას აღარ გავაგრძელებ, — თუ რომ მაშინ რომელიმე მაგ ქალაქთაგანისთვის დაუყოვნებლივ გაგეწიათ გულმოდგინე დახმარება, როგორც გმართებდათ, ახლა გაცილებით იოლად დასაძლევი მტერი გვეყოლებოდა ფილიპეს სახით. ჩვენ კი მუდამყამს ხელიდან ვუშვებთ მარჯვე შემთხვევას, ეგრე გვგონია, გაურჯელად გაგვილხინდება მომავალი. ჩვენ თვითონ, ათენელო მოქალაქენო, შევაქეზეთ ფილიპე და ვაქციეთ იმ კაცად, რომლის ბადალი მეფე ჯერ არ ჰყოლია მაკედონიას. ახლაც მარჯვე შემთხვევა ოლინთოსელთა თავისთავად მოსდგომია კარს ჩვენს სახელმწიფოს, — არაფრით რომ არ ჩამოუვარდება ყველა იმ უწინდელთ. მე, რაც უნდა იყოს, ეგრე ვფიქრობ, ათენელო დარბაისელნო, ყოველი მართლად განმსჯელი განსჯიდა იმ კეთილ საქმეთ, რაც ღმერთებმა მოგვაწიეს და, თუმცა მრავალი რამ ისე არ მოხდა, როგორც რიგია, მაინც დიდ მადლს მოახსენებდა მათ, რაღა თქმა უნდა. ხოლო თუ ბევრი რამ დაგვიკარგავს ომის ყამს, სამართლიანი იქნებოდა, ჩვენი ბედოვლათობისთვის დაგვებრალებინა ეს. თუ მსგავსი რამ არ შეგვემთხვა წინათ, თუ ახლა ზოგი მოკავშირე გამოგვიჩნდა იმ დანაკარგთა საზღაურად, — ოღონდაც ვისურვებდეთ და მოვისთელიდეთ ამ ნაყოფს, ხალისით ვხედავ ამაში წყალობას ღმერთთა, ჩვენზედ მოწევნილს. ვფიქრობ, ლარის მოხვეჭის ბადალი არის ეს: თუ კაცი ფლობს მას, რასაც მოიხვეჭს, დიდ მადლს მოახსენებს ბედს, ხოლო თუ შეუმჩნევლად ფლანგავს, — ისე, რომ თავად არა უწყის რა, — ფლანგავს მადლიერების გრძნობასაც. ასეთივეა სახელმწიფო საქმენიც: თუ დროულად არ მიჰყოფენ ხელს საქმეს, მალე ღვთის ბოძებული წყალობაც აღარ ახსოვთ, რადგან მხოლოდ კეთილი ბოლოთი განსჯიან გარდახდილ მცდელობას. ამიტომ კარგად დაფიქრება გმართებთ, ათენელო მოქალაქენო, რათა გაიუმჯობესოთ აწინდელი ყამი, ჩამოირეცხოთ გარდახდილ საქმეთა სირცხვილი. თუ უპატრონოდ დავაგდებთ იმ ხალხს, ათენელო მოქალაქენო, და თუ ის კაცი ოლინთოსს იგდებს ხელთ, მაშინ მითხრას რომელიმე თქვენთაგანმა, რაღა დააბრკოლებს მას, იქით იაროს, საითაც ინებებს? უფიქრია თუ არა თქვენთაგანს ვისმე, ათენელო მოქალაქენო, ან წარმოუდგენია თუ არა, რამ აქცია ბუმბერაზად ფილიპე, ადრე თუ ძაბუნი იყო იგი? რამ და, ჯერ ამფიპოლისი აიღო მან, მერმე პიდნა, კვლავაც პოტიდეა, ამას

შეთანხმებულ მიაყოლა და ბოლოს თესალიაში შებრძანდა. ამის შემდეგ ფეროსში, პაგასაში, მაგნესიაში, — ერთი სიტყვით, ყველგან ისე გაიჩარხა საქმე, როგორც ინება, და აქედან თრაკიას გასწია. იქ ზოგი მეფეთაგანი გააძევა, ზოგიც ტახტზე აკურთხა. მერმე ის იყო, ავად შეიქმნა; გამომჯობინდა თუ არა, დაუდეერობას კი არ მიეცა, მყისვე შეეცადა ოლინთოსელთა დამორჩილებას. ხოლო მის ლაშქრობებზე ილირიელების, პეონების, არიბებისა და სხვათა წინაალმდეგ, რაზეც შეიძლებოდა გვეთქვა სიტყვა, აღარას ვიტყვი.

„მაგრამ ახლა რაღა დროს ეგაია", — იკითხავს ვინმე. ეგ იმიტომ, ათენელო მოქალაქენო, რომ გაისიგრძეგანოთ საქმე ორთაგანი: თუ რა საზარალოა ყოველ საქმეთა ნიადაგ წარხდენა, ამასთანავე როგორია მზვაობრობა, რაც ასულდგმულებს ფილიპეს, რაც საშუალებას არ აძლევს მას გარდახდილი საქმით დაკმაყოფილდეს და სიმშვიდეს მიეცეს. თუ ის მუდამ იმ აზრზე იქნება, რომ თვითონ იხვეჭდეს მოსახვეჭელს, ხოლო თქვენ სულაც არ უნდა გაბედოთ საქმის ხელყოფა, მაშინ იფიქრეთ, რით შეიძლება ეს დაბოლოვდეს?

ღმერთებს გაფიცებთ, ნუთუ თქვენს შორის არის ვინმე ისეთი მიამიტი, ვინაც არ უწყის, რომ იქიდან აქეთ გადმოინაცვლებს ომი, თუ ღონეს არ ვიხმართ? თუ ეს მოხდება, ვშიშობ, ათენელო მოქალაქენო, ისე არ მოხდეს, როგორც მოვალეებს მოსდით ხოლმე, დაუფიქრებლად რომ სესხულობენ ფულს დიდი სარგებლით, მცირე ხნით ლაღად ცხოვრობენ და მერმე კი ჰკარგავენ ყველაფერს. ასევე ჩვენც შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს ჩვენი თავქარიანობა, მერმე კი, განცხრომათა მაძიებელნი, იძულებულნი ვიქნეთ, სამძიმო საქმენი გარდავიხადოთ, რასაც არ ვუსურვებდით თავს, — და ჩვენვე საკუთარი მიწა-წყლის გადასარჩენად მოგვიხდეს ბრძოლა. „ძვირის თქმა ადვილია, — იტყვის ვინმე, — და ყველასათვის იოლი, შექმნილ ვითარებაში გარკვევა არის მხოლოდ მრჩეველის საქმე".

ჭეშმარიტად ვუწყი, ათენელო დარბაისელნო, რომ ხშირად, როცა საქმე ისე არ წარიმართება, როგორც გნებავთ, დამნაშავეთ კი არა, იმ ადამიანებს შერისხავთ ხოლმე, ოდენ სიმართლეს რომ ამბობდნენ. მხოლოდ, საჭირო არ არის, — ეგრე ვფიქრობ, — პირადი უშიშროების გულისთვის დაგიმალოთ ის, რაც სასარგებლოდ მიმიჩნევია თქვენთვის. მითქვამს, ორნაირი დახმარების აღმოჩენა გმართებთ: ჯერ ერთი, უნდა შეუნარჩუნოთ ქალაქები ოლინთოსელთ და ამის აღსასრულებლად გაგზავნოთ ლაშქარი, მეორეც, ზიანი მიაყენოთ ი მ ი ს[7] ქვეყანას ტრიერებითა[8] და სხვა ჯარით. ამ ორ პირობათაგან ერთიც რომ უგულე-

ბელვყოთ, მაშინ, ვშიშობ, ვაითუ ამაო იყოს მთელი ჩვენი ლაშქრობა. თუ იგი ოლინთოსის დასალაშქრავად გაეშურება და ამით საშუალებას მოგცემთ, მისი ქვეყანა ააოხროთ, — მაშინ ადვილად გაგაძევებთ შინ მობრუნებული; ხოლო, თუ მარტო ოლინთოსს აღმოუჩენთ დახმარებას, თავისი ქვეყნის შიში აღარ ექნება, ძლიერ ალყაში მოაქცევს იმათ და მერმე დაძლევს კიდეც დაალყულთ. ამრიგად, მხოლოდ ორმხრივი სამხედრო სამზადისი გმართებთ.

ეს არის, სამხედრო დახმარებისათვის რაც მომიხსენებია; რაც შეეხება ფულს სამხედრო საქმისათვის, თქვენ გაქვთ იგი, ათენელო მოქალაქენო, გაქვთ იმდენი, რამდენიც არავის მთელს ქვეყნიერებაზე. და, თუ ინებებთ, მაშინ მოახმართ კიდეც სამხედრო საქმეს. თუ მოლაშქრეებს მაგ თანხებს გაუნაწილებთ, მაშინ თქვენი მხრით დანამატი საჭირო აღარ იქნება, ხოლო თუ აუცილებლობა გამოიწვევს ამას, უნდა გამოიძებნოს სრულიად სხვა სახსარი.

„შენ რაო, — იკითხავს ვინმე, — წინადადებას იძლევი, ეს ფული სამხედრო ფულად იქცეს?“

ვფიცავ ზეუსს, რომ არა! ფულის გადანახვას ლაშქრის მოსამზადებლად ვგულისხმობ მხოლოდ, ოღონდ მკაცრი შესატყვისობა უნდა დამყარდეს ფულის მიღებასა და მოვალეობის აღსრულებას შორის; თქვენ კი გსურთ, უშრომელად მიიღოთ იგი გართობისთვის. ეგევითარ ეამს მე ვფიქრობ, შემდეგი რამ აჯობებდა: ყველას გაეღო ლარი სალაროში, როცა გარემოება მოითხოვდა — ბევრი, როცა არა — ცოტა; ფული კი საჭიროა და უამისოდ ბევრს ვერაფერს გააკეთებ საჭიროთაგანს. რაღაც სხვა სახსრებზეც ლაპარაკობენ სხვანი, ჰოდა აირჩიეთ აქედან, რომელიც გენებოთ და, სანამ დროა, შეუდექით საქმეს.

ახლა კი აჯობებს განვსაჯოთ და განვბჭოთ, თუ როგორ შისდის საქმე ფილიპეს. არც ისე კარგად, როგორც შეეძლო ეფიქრა ზოგ ზერელედ განმსჯელს. ჭეშმარიტად, არც ისე სახარბიელო გახლავთ მისი მდგომარეობა. იგი არასოდეს წამოიწყებდა ამ ომს, რომ სცოდნოდა, საამისოდ მართლაც ომი დასჭირდებოდა. იმის იმედი ჰქონდა მას, სადაც კი გამოჩნდებოდა, ხელთ აიღებდა ყველა სადავეს საქმეთა, და აი მანდ მოტყუვდა კიდეც. ეს აღონებს მას და მწუხარებასაც ანიჭებს ფრიადს, რადგან მისი ანგარიშების საპირისპიროდ წარიმართა საქმე... და ახლა თესალიელთათვისაც მოგახსენებთ.

თესალიელი, მოგეხსენებათ, თავისი ბუნების წყალობით, არასდროს არც ერთი ხალხის ნდობას არ იმსახურებდა; მეტადრე არ იმსახურებდა და არ იმსახურებს მის ნდობასაც. აკილა პაგასა მოსთხოვეს

მას და წინ აღუდგნენ მის მიერ მაგნესიის შემოცილებას. სხვათაგან ისიც მსმენია, რომ ნავსადგურთა და ბაზართა შემოსავლის ნაყოფს მეტად აღარ აგემებენ მას, უმჯობესად მიაჩნიათ თესალიელთა საერთო განმგებლობას შესწირონ იგი, ვიდრე ფილიპეს მიუბოძონ. და თუ ამ საშუალებას მოაკლდება იგი, მაშინ მას შეუმცირდება სახსარი დაქირავებული ჯარის შესანახად. თქმა არ უნდა, პეონიის, ილირიის ქვეყნები და, ერთი სიტყვით, ყველა ეგ სამთავრონი დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას უფრო ამჯობინებენ, ვიდრე მონობას; ისინი სხვის ჰანგზე მღერას ჩეეულნი როდი არიან, მით უმეტეს, რომ ის კაცი თავხედია, როგორც თავად ამბობენ, და აქ არაფერი შეიძლება იყოს დაუჯერებელი, ვფიცავ, ზევსს. დაუმსახურებლად მოხვეჭილი დიდება უგუნურთ აყოყოჩებს ხოლმე. ამისათვის თქმულა: მოსახვეჭელის მოხვეჭა უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნებაო. ამრიგად, ათენელო მოქალაქენო, გმართებთ მისი ძნელბედობა თქვენს სვებედობად მიითვალოთ, ამისდა კვალად ერთად მოეკიდოთ საქმეს, გაგზავნოთ ელჩები, როცა ამის დრო დადგება, ილაშქროთ თავად და სალაშქროდ განაწყოთ სხვებიც. აბა განსაჯეთ, რა მოხდებოდა მაშინ, ამის ბადალი ჟამი ჩვენს საწინააღმდეგოდ რომ დასდგომოდა ფილიპეს და ომი ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან მომხდარიყო? წარმოდგენა გაქვთ თუ არა, რა ხალისით გამოილაშქრებდა იგი თქვენს წინააღმდეგ? ამას იქით ნუთუ სირცხვილი არ გიპყრობთ, როცა იგი, თუ მარჯვე ჟამი დაუდგებოდა, თქვენს წინააღმდეგ ჩაიდენდა იმას, რაც ვერ გაგიბედიათ მის მიმართ, თუმც კი მარჯვე ჟამი დაგდგომიათ? აგრეთვე, ათენელო დარბაისელნო, ყურადღებიდან არ უნდა გაუშვათ ის არჩევანიც — თქვენ იომოთ იქ, თუ მან იომოს თქვენთან. უკეთუ ოლინთოსელნი წინააღმდეგობას შესძლებენ, — თქვენ იომებთ იქ და ზიანს მიაყენებთ მის ქვეყანას, ნაყოფს კი უშიშრად მოისთვლით იმ მიწისას, რომელიც კუთვნილი მამულია თქვენი. თუკი ფილიპე მათ დაიმორჩილებს, ვინღა შეაფერხებს მის აქ შემოსვლას? ვანა თებელნი? ისინი, მეტად მკვახედ რომ არა ვთქვათ, თქვენს წინააღმდეგ თვითონ ატეხენ ომს. ეგებ ფოკიდელნი? მათ ხომ საკუთარი მამულის დაცვაც არ ძალუძთ უთქვენოდ. ან იქნებ სხვა ვინმე? „ოჰ, არა, ჩემო კეთილო, ის ამ ჭკუაზე სულაც არ ვახლავთ“: უგუნურთაგანი იქნებოდა მაშინ იგი, რომ არ მოემოქმედებინა ძალმორჭმულს ის, რითაც იკვეხნის ახლა, თუნდაც სწორედ რომ უგუნურად ეცნოთ ამისათვის. რაც შეეხება იმას, რა განსხვავებაა, აქ ვიომებთ თუ იქ, — ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. თქვენ რომ თავად მოგწეოდათ ლაშქრად

ყოფნა თუნდაც მხოლოდ ოცდაათი დღით და თქვენი ქვეყნისაგან მიგეღოთ ის, რაც ლაშქრობისას სჭირდებათ მხედართ — იმ პირობით, თუ მათ შორის მტერი არ გაერევა, ამასაც ვიტყვი, — მაშინ მიწის მუშაკთა ზარალი უფრო დიდი იქნებოდა, ვიდრე თქვენი ხარჯები მთელ ამ ომზე. მაგრამ რაიმე ომმა რომ აქ გვიწიოს, რა დაგვშთენია ჩვენ, — ზარალთა აღრიცხვა მხოლოდ? მაშინ მოიმკით აგრეთვე შეგინებასაც მტერთაგან და სირცხვილს თქვენთა საქმეთა გამო გონიერ კაცთა თვალში.

ყოველივე ამას რომ შეიმეცნებთ, უნდა გაიღოთ სამხედრო სახსარი, ომი გადაიტანოთ იქით: მდიდრებმა იმისთვის, რომ გაიღონ მცირედი რამ იმ დიდ სიკეთეთა გადასარჩენად, რომელთაც, საბედნიეროდ, ფლობენ, და უშიშრად მოისთვლონ დანარჩენი ნაყოფიც; სამხედრო ასაკის ვაჟკაცებმა იმისთვის, რომ მიიღონ საომარი გამოცდილება ფილიპეს ქვეყანაში, მოიხვეჭონ სამშობლოს მრისხანე დამცველთა სახელი და ხელუყოფელ ქმნან თავიანთი მიწა-წყალი; ორატორებმა იმისთვის, რომ მათ გაუადვილდეთ პოლიტიკურ საქმიანობათა ანგარიშგება, ვინაიდან, როგორც წარიმართებიან თქვენი საქმენი, იმის კვალობაზე განსჯით თქვენც მათ საქმეთ. დაე, კეთილად აღესრულოს ყოველი საყოველთაო საქმისათვის!

მეორე ოლინთოსური

ლიბანიოსის წინათქმა

ათენელებმა იახლეს ოლინთოსელთა ელჩობა და დახმარება აღუთქვეს. მაგრამ ყოვნებდნენ ლაშქრობას, შიშობდნენ — ვაითუ ვერ ეძლიოთო ფილიპე. გამოდის დემოსთენე და ისწრაფვის გაამხნევოს ხალხი, საჩინოს ხდის მაკედონელის ნაკლოვანებებს. მოკავშირენი მეფეს ეკვით უყურებენო, — ამბობს, — საკუთრივ იგი უმნიშვნელო ძალის მფლობელია, — უმეკავშირეოდ კი სუსტნი არიანო მაკედონელნი.

სიტყვა

ბევრი ნიშანი საჩინოყოფს, ათენელო დარბაისელნო, მე მგონია, ღმერთთა აშკარა კეთილგანწყობას ჩვენი სახელმწიფოს მიმართ, მეტადრე საქმეთა აწინდელ ვითარებაში. დაღათუ სამტროდ აღდგომია ფილიპეს ის ხალხი, მეზობელი ქვეყანა რომ უჭირავს, რამდენადმე ძალიც შესწევთ და, რაც მთავარია, ამ ომზე იმგვარ თვალსაზრისს ადგანან, რომ არამც თუ არასაიმედოდ, დამღუპველადაც კი მიიჩნევენ მას, — ეს დემონიურს რასმე ან ყოველისმომცველ ღვთიურ ბედკეთილს ჰგავს.

ახლა გმართებთ, ათენელო დარბაისელნო, არ აფიქრებინოთ ვისმე, თითქოს კეთილდღეობა უფრო ზრუნავს თქვენთვის, ვიდრე თქვენ — კეთილდღეობისათვის; და სირცხვილი თქვენი და სირცხვილზე უფრო მეტიც, თუ ხელს ააღებთ იმ დაბა-ქალაქებს, თქვენად რომ მიითვლიდით ოდესმე, და აგრეთვე ბედის წყალობით შეძენილ მოკავშირეებს და ხელსაყრელ პირობებს.

ახლა, ათენელო დარბაისელნო, ფილიპეს ძალაზე რომ გაგივრცოთ სიტყვა და საამისო საუბრებით შეგაგულიანოთ საქმის აღსასრულებლად, საჭიროდ არა ვთვლი ამას. რატომ? იმიტომ, რომ ვინც გინდა რა თქვას ამ მიმართებით, ეს გაცილებით აამებდა მის პატივმოყვარეობას და ამასთან საჩინოყოფდა ჩვენს არცთუ წაღმართ საქმეთ. რაც მე-

ტი სახელი უხვეჭია მას უჩვეულო საქმეებით, მით მეტი საყოველთაო გაკვირვება გამოუწვევია, თქვენ კი, რაც მეტი უგერგილობით მოკიდებიხართ საქმეს, მით მეტი სირცხვილი გიმრავლებიათ. მაგრამ ახლა ამაზე აღარ მოვუვები ლაპარაკს. ვინც მართლად განსჯის, ათენელო მოქალაქენო, ის დაინახავს, რომ ეგ კაცი სხვათაგან ქმნილა დიდად და არა თავისაგან თვისისა. რისთვის უნდა სწყალობდეს იგი ამ სახელმწიფო მოღვაწეთ, მისი გულისთვის რომ დამშვერალან, ხოლო რისთვის უნდა შერისხოთ თქვენ ისინი, ვფიქრობ, ამჟამად ამის სალაპარაკო ჟამი სულაც არ გვიდგას. ეგ იქით იყოს, ათენელო დარბაისელნო, და დგას საკითხი, თანაც საყურადღებო, რომლის მოსმენა გარგებდათ თქვენ და ამასთანავე ცხადყოფდა მის რიოშობას, თუ საამისოდ თქვენც ჭეშმარიტად განსჯის სურვილს გამოიჩენდით. შევეცდები მოგახსენოთ ეს.

ცხადია, თუ მას ფიცის გამტეხ, ვერაგ კაცად ვახსენებთ, მისეულ საქმეთა დაუხედავად, ეს შესაძლოა ფშუტე ლანძღვად მიიჩნიოს ვინმემ და სამართლიანადაც, მაგრამ მისგან გარდახდილ საქმეთა გამოჩხრეკა და ამის კვალობაზე მისი მხილება დიდ სჯას არ მოითხოვს. ამაზე საუბარსაც საშუროდ მივიჩნევ ორი მოსაზრებით: ჯერ ერთი, რომ იგი წარმოდგებოდა ნამდვილი სახით, როგორიც ჭეშმარიტად გახლავთ, ანუ უკეთურად; მეორეც, ისინი, შიშის ზაფრა რომ მისცემიათ და უძლეველად წარმოუდგენიათ ფილიპე, დაინახავენ, მაგ კაცმა უკვე ჩამოსცალა ტყუილების გუდა, რომლის წყალობითაც ძალმორჭმული შეიქმნა, თუმცაღა ახლა ეგ ძალმორჭმულებაც საცაა თქვენს ჭირს წაიღებს. თავადაც მივიჩნევდი, ათენელო მოქალაქენო საკვირველ და ფრიად სარიდალ კაცად ფილიპეს, თუ შენახა, რომ იგი მართალი გზით ეწია ძალმოსილებას. მაგრამ საქმეს რომ ვწონი და ვზომავ, ვხედავ, — ადრევე, როცა ზოგიერთებს ოლინთოსელთა გაძევება ეწადათ, მან ისარგებლა თქვენი გულუბრყვილობით, შეგპირდათ, ამფიპოლისს გიბოძებთო, ფარულად კი ისა ქნა, რაზედაც ამდენს ლაპარაკობდნენ მაშინ[1]. ოლინთოსელთა გული კი იმით მოიგო, რომ პოტიდეა წაგართვათ თქვენ[2], პირვანდელ მოკავშირეთ, და მათ გადასცა, ხოლო თესალიელნი გააბრიყვა მაგნესიის შეპირებით და ფოკიდის ომს შეუდგა[3]. არ არის კაცთაგანი, რომ მასთან თანამოსაქმეობით არ მოტყუებულიყოს. ის მუდამ სარგებლობდა იმ ადამიანთა წინდაუხედაობით, მას რომ არ იცნობდნენ, იბირებდა მათ და ამ გზით ეწია ძალმოსილებას. იმავე ხალხმა, რომელთა წყალობით აღზევდა ფილიპე და რომელთაგან ყველა მოელოდა საზღაურს ცალ-ცალკე, — სწორედ იმავე ხალხმა

უნდა დაამხოს იგი, რამდენადაც, როგორც გამოაშკარავდა, ყოველ საქმეს მხოლოდ თავის სასარგებლოდ აჭახრაკებდა ეგ კაცი; აი, ათენელო მოქალაქენო, ფილიპეს საქმეთა თავი და ბოლო; არადა, გამოვიდეს ვინმე და დამიმტკიცოს მე, ან უფრო სწორად, დაგიმტკიცოს თქვენ, რომ მე მართალს არ ვამბობ, რომ მისგან მოტყუებულნი ისევ ენდობიან მას, ან კიდევ უკანონოდ დამონებული თესალიელნი მონობისაგან თავდახსნას არ მოისურვებდნენ.

ხოლო თუ ვინმე აღიარებს, რომ ეს ასეა და მაინც ფიქრობს, ძალის წყალობით შეინარჩუნებს მდგომარეობას ფილიპე, რადგან უკვე მოიდგა ძირი ციხე-სიმაგრეთა, ნავსადგურთა და სხვათა დაკავებით, — მცდარად ფიქრობს იგი. სულ სხვაა, როცა მოკავშირენი საერთო საქმისათვის მონაწილეობენ ომში. ძალაც სწორედ ამაშია, რადგან ამ დროს ჭირშიც კეთილი ნებით თანაუძმობენ ერთმანეთს ადამიანები. მაგრამ როცა სიმდაბლითა და მზვაობრობით აღზევდება ვინმე, როგორც, მაგალითად, ეგ კაცი, პირველივე მარცხი ფეხს წაატეხინებს და ქვედაანარცხებს. შეუძლებელია, ყოველად შეუძლებელია, ათენელო მოქალაქენო, რომ უსამართლო კაცმა, ფიცის გამტეხმა და ტყუილმაშვრალმა დაიმკვიდროს საიმედო ძალა; ასეთმა ძალამ შესაძლოა იშედის ყვავილები მოისხას, მაგრამ მალედვე გაცნაურდება და დაზრება ბედის განჩინებით. ვფიქრობ, როგორც სახლის, ხომალდისა და სხვა მისთანათა საძირკველი მტკიცე უნდა იყოს, ასევე მმართველობის საქმეთა საფუძველიც ჭეშმარიტი და სამართლიანი ხამს. ოღონდაც, მაგრამ ასე როდი სჯიდა ფილიპე. მე ვამბობ, უნდა დავეხმაროთ-მეთქი ოლინთოსელთ და, თუ ვინმე იტყვის, ვით აღესრულოს ეს საქმე უკეთ და უსწრაფესად, დიახაც რომ მოვიწონებ ამას, — თესალიელებთან ელჩები უნდა ვაფრინოთ, რათა ზოგს აუხსნან ვითარება, ზოგიც შეაგულიანონ. მათ ხომ გადაწყვიტეს პაგასას გაბრუნება, აგრეთვე — მოლაპარაკება მაგნესიისათვის. მხოლოდ გაითვალისწინეთ, ათენელო მოქალაქენო, მარტო სიტყვებს კი არ დასჯერდნენ ჩვენი ელჩები, არამედ საქმეც რომ წაშოაჩინონ — მაგალითად, რომ თქვენ უკვე ლაშქრად ხართ დაძრული ჩვენი სახელმწიფოს ღირსების საკადრისად, — რადგან ფუჭი და ფშუტეა ყოველი სიტყვა, თუ მას საქმე არ ახლავს, მეტადრე ჩვენს ქვეყანას არ შეჰფერის ეს. რაც უფრო იაფად ვხმარობთ სიტყვას, მით უფრო ნაკლებ სარწმუნოს ვხდით მას.

ესწრაფეთ გარდატეხას, საქმის სრულ შემობრუნებას, გაიღეთ წვლილი, გადით ლაშქრად, ხალისით აღასრულეთ ყველა საქმე, თუ გსურთ აღიდგინოთ პატივი, ოღონდაც ინდომეთ, ათენელო მოქალა-

ქენო, საქმე რიგიანად წარმართოთ და მაშინ ცხადი გახდება არა მხოლოდ ფილიპეს მოკავშირეთა მერყეობა და გულგრილობა, არამედ თვით მისი სახელმწიფოს უვარგისობაც. მაგრამ სხვა ძალებთან გაერთიანებული მაკედონიის ხელისუფლება სულაც არ გახლავთ უმნიშვნელო რამ. ასეთი წარმოგვიდგა იგი ტიმოთეოსის[1] დროს ოლინთოსელთა წინააღმდეგ, აგრეთვე ოლინთოსელთა მხარეზე პოტიდეას წინააღმდეგ. სხვასთან გაერთიანებული გარკვეულ ძალას წარმოადგენდა იგი. ახლახან კი შინააშლილ, შფოთიან თესალიელთ შეუერთდა ეგ ძალა ტირანთა კარის წინააღმდეგ. ამრიგად, ყოველი ძალა, თუნდაც უმნიშვნელო, თუ სხვა ძალას შეემატა, მე ვფიქრობ, უკვე მნიშვნელოვანი ხდება. თავისთავად კი მაკედონია ძაბუნი ქვეყანაა, ათასნაირად შეჭირვებული. მაგრამ ამ კაცმა ხომ ყველა თავისი საქმით, ომებითა და ლაშქრობებით, რომელთა გამო მის ძალოვნებაზე შეეძლო ემსჯელა კაცს, ადრინდელზე მეტად შეასუსტა იგი. ამასთანავე, ნუ ფიქრობთ, ათენელო მოქალაქენო, ერთი და იგივე ახარებდეთ ფილიპეს და მის ქვეშევრდომთ. პირიქით, იგი დიდებას ესწრაფვის, ამაზე ფიქრობს მხოლოდ, ეძებს სამოქმედო ასპარეზს, არ ერიდება ფათერაკებს, არ დაგიდეეს გასაჭირს, რაკიღა უდრტვინველ ცხოვრებას არჩია მოეხვეჭა იმხელა კაცის სახელი, მანამდე რომ არ მოუხვეჭია მაკედონიის არც ერთ ხელმწიფეს. იმათ კი, პირიქით, ესევითარი დიდება ვერაფრად ეჭაშნიკებათ; არაქათგამოცლილნი ხან აქ, ხან იქ ლაშქრობით ქანცს რომ იწყვეტენ და მუდმივ გაჭირვებას ითმენენ, ვერც მიწათმოქმედებას ეკიდებიან, ვერც პირად საქმეთ და ვერც იმ ჭირნახულის გასაღებას ახერხებენ, რის ვაივაგლახით რომ ისთვლიან, რადგან ქვეყანაში ბაზრები დახურულია ომიანობით. თუ რა დამოკიდებულება აქვს მაკედონელთა უმრავლესობას ფილიპესთან, ამის განსჯა ძნელი არ არის უკვე თქმულითაც. მოქირავნე ჯარი და ქვეითი ლაშქარი, რაც მას ჰყავს, დიდად ქებულია, ვით საუცხოო და ომში ნაწრთობი ხალხი, მაგრამ როგორც მაგ ქვეყანაზე გამოვლილი ერთი სიტყვამართალი კაცისგან მსმენია, სხვებისაგან მაინც არ გამოირჩევა ეგ მხედრიონი. თუ ვინმე თავს გამოიჩენს ომსა და მხედრობაში, ფილიპე ცდილობს ამგვარ კაცთა გარიყვას პატივმოყვარეობის გამო, რადგან სურს თავად წარმოჩნდეს ყოველი საქმის ჭოთავედ და პირველკაცად, — სხვა სიკეთესთან ერთად ზომა არა აქვს მის პატივმოყვარეობას. ხოლო, თუ ვინმე გონდაუჯებული კაცთაგანია, ზრდილი და სამართლიანი, ვისაც არ ძალუძს აიტანოს ყოველდღიურობაში მისი თავაშვებულობა, მემთვრალეობა და წრეგა-

დასული ზერეხტომანი, — იგი განაპირებულია და ღირსებას მოკლებული. გარს არტყია მხოლოდ ყაჩაღები, მლიქვნელები და იმ ჯურის ხალხი, ვინც არც ღრეობას თაკილობს და სიმთვრალეში არც ისეთ როკვას, რაზეც ლაპარაკს თქვენს წინაშე ვეკრძალვით. ეს კი დასტურ ასეა. ისინი, ვინც აქედან გააძევეს, როგორც ტაკიმასხარებზე უფრო მდაბალნი, — მათ შორის კალიასი, სახელმწიფო მონა და მსგავნი მისნი, კბილიკრეჭია მიმოსები, ბილწ სიმღერათა მთხზველნი, თავიანთ ახლობლებსაც რომ ლაფში სვრიან, — დიახ, ისინი მის კალთას არიან ამოფარებულნი; აი, რა ხალხს სწყალობს იგი და პატივით იახლებს! ეს შესაძლოა წვრილმანად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ჭკუათმყოფელისთვის, ათენელო მოქალაქენო, საჩინოს ხდის მის თავკერძოობასა და გონაშლილობას. როგორც მე ვფიქრობ, ყოველივე ამას ჩრდილავს მისი წარშატებული მდგომარეობა, რადგან წარმატებას ხშირად ძალუძს მსგავს სიმდაბლეთა მიჩქმალვა. ოღონდაც საკმარისია, ცოტათი წაიბორძიკოს და ყველაფერი აშკარა გახდება. მე ეგეც მგონია, ათენელო მოქალაქენო, რომ შორს არ არის ის დრო, როცა აშკარა გახდება ყოველივე, უკეთუ ღმერთებმაც ისურვეს და თქვენც ინდომეთ ეს. ეგ ხომ ისეთი რამეა, რაც სხეულსაც სჭირს, — თუ კაცი ჯანმრთელადაა, იგი არაფერს გრძნობს, ხოლო თუ სენი რამ შეეყარა, უმალ ყველაფერი წამოჰყოფს თავს, დაბეჟილობა იქნება ეს, ღრძობა თუ სხვა რამ ძველი სატკივარი. ასეთი რამ ემართება სახელმწიფოებს, აგრეთვე ხელმწიფეთ. სანამ ისინი საზღვრებს გარეთ იბრძვიან, მათი სისუსტენი მიჩქმალულია, ხოლო როგორც კი საზღვრებს მოუახლოვდება ომი, უმალვე ყველაფერი ერთბაშად იჩენს თავს.

თუ რომელიმე თქვენგანი, ათენელო მოქალაქენო, ფილიპეს მძლავრობის მხილველი, იტყვის — საფრთხილო არისო მაგ კაცთან ომი, მართალსაც იტყვის იგი. ადამიანთა საქმეებში ბედს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი ყველაფერია. და მაინც მე რომ მკითხოთ, ჩვენი ქვეყნის ბედს ვარჩევდი მისას, თუ თქვენაც სურვილი გქონოდათ ცოტა მაინც გაგეკეთებინათ, რაც საჭიროა, მით უმეტეს, როგორც მრავალი ნიშნით ვხედავ, ღმერთები თქვენ უფრო გწყალობენ, ვიდრე მას. ჩვენ კი, როგორც მე ვუწყი, ვსხედვართ მხოლოდ და ხელსაც არ ვატოკებთ. ხოლო თუ კაცი თავისთვის არაფერს აკეთებს, მაშინ მეგობარსაც ვერ დააკისრებს რამე გამიკეთეო, არათუ ღმერთებს. თუ იგი თვითონ მოლაშქრეობს, თვითონ იჯაფება, თვალყური უჭირავს ყველაფერზე, არც ერთი წამით დროს ფუჭად არა ჰკარგავს, და არც მარჯვე შემთხვევას უშვებს, ჩვენ

კი მთელ დროს ბჭობას, არჩევანს და მოვლენათა შეფასებას ვანდომებთ, მაშინ რაღა გასაკვირია ჩვენზე წარმატებულიც რომ არის იგი. მე პირადად, სულაც არ მიკვირს ეს. პირიქით, საკვირველი ის იქნებოდა, რომ ჩვენ, არაფერს რომ არ ვაკეთებთ საიმისოდ, რასაც საოცარი საბზადისი ითხოვს, გვეჯობნა იმ კაცისთვის, ვინც ყოველივე ამას აგვარებს. უფრო ის მიკვირს, ათენელო მოქალაქენო, — წინათ ლაკედემონელებს რომ ებრძოდით ბერძენთა უფლებებისათვის, ბევრგზის გქონიათ შეშთხვევა ურიცხვი პირადი გამორჩენა გეძიათ და მაინც არ გიქნიათ ეს. პირიქით, სხვებს ეხმარებოდით საკუთარი ფულით, როცა ისინი იბრძოდნენ თავიანთი უფლებების დასაცავად, შეგქონდათ შესატანი და ომის დროს ხიფათში იგდებდით თავს. ახლა რაღად აყოვნებთ ბრძოლას და ჯანჯლობთ შესატანზე, როცა საქმე თქვენეულ სიკეთეთ შეეხება? თუკი ადრე სხვებისთვის ბევრჯერ გაგიწევიათ დახმარება, ყველა მათგანისათვის ერთად ან ცალ-ცალკე, ახლა რაღას დაგიკრეფიათ გულხელი, როცა კუთვნილი დაგეკარგათ თქვენი?

აი, ეს მაკვირვებს მე, ათენელო მოქალაქენო, და კიდევ ის, რომ არც ერთ თქვენთაგანს არ ძალუძს გაიაზროს, რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ფილიპეს ებრძვით და რა გაგიკეთებიათ თქვენ ამ ხნის მანძილზე. კარგად მოგეხსენებათ, თავად აჭიანურებდით საქმეს იმ იმედით, ეგებ ჩვენი საქნელი სხვამ ქნასო, ბრალს სდებდით ერთმანეთს, ბჭობდით, კვლავ იმედის ანაბარად რჩებოდით, — მოკლედ ახლანდელივით ირჯებოდით და ასე მიიწურა მთელი დრო. ნუთუ ესევითარი განუსჯელნი ხართ, ათენელო მოქალაქენო, რომ ფიქრობთ, თქვენს ასეთ ყოფაში, როცა ქვეყნის საქმე კარგად იყო და ცუდად წარიმართა, — ახლა, როცა ცუდად არის — კარგად წარიმართება? ბუნება არ ჰგუობს ასეთ სიბრძნეს. მოხვეჭილის დანარჩუნება უფრო ადვილია, ვიდრე ხელახლა მოხვეჭა მისი. ამ ომის წყალობით აღარა შეგვრჩა რა მოხვეჭილი, — რისი გაფრთხილებაც გვმართებდა, — და უკვე ყველაფრის თავიდან მოხვეჭა გვმართებს. ახლა ჩვენი საზრუნავიც ეს არის. მითქვამს, უნდა გაიღოთ გასაღებელი, უყოყმანოდ გახვიდეთ ლაშქრად, არავინ ბრალეულჰყოთ, სანამ მოქმედების სადავე ხელში არ აგიღიათ. მერმე კი, შექმნილი ვითარების კვალობაზე რომ განჩხრეკთ ყოველს, პატივი მიაგეთ ღირსეულთ, დასაჯეთ ბრალეულნი, არ შეიწყნაროთ არც ისინი და არც საკუთარი დაუდევრობა: განა რა უფლება გვაქვს მკაცრად მოვკითხოთ გარდახდილი საქმისთვის სხვებს, თუ ჩვენ თავად არ მოგვიგვარებია იგი. როგორ ფიქრობთ, ათენელო დარბაისელნო, რა არის მიზეზი იმისა, რომ ამ ომს უაურბიან თქვენგან წარგზავნილი

სტრატეგოსები და გამორჩენისთვის იბრძვიან მხოლოდ? რა შეგვეძ-ლო გვეთქვა ამ სტრატეგოსებზე? ეს გამოწვეულია იმით, რომ სარ-გებელს, რისთვისაც ომი მიმდინარეობს, ითვისებთ თქვენ. მაგალითად, თუ ამფიპოლისი აიღეს, უმალვე თქვენ მიისაკუთრებთ მას. მხედართ-მთავართა ხვედრი მხოლოდ ხიფათია, ჯილდო კი — არა. იქ კი საფ-რთხე ნაკლებია, სამაგიეროდ, მრავალია მოსაგებელი, რასაც მხედართ-მთავარნი და მხედარნი მოიგებენ კიდეც — მაგალითისათვის, — ლამ-ფსაკოსი, სიგეონი და ხომალდები, რომელთა ძარცვა შეიძლება. ერთი სიტყვით, ყველა თავის სარგებელს ეძიებს. თქვენ კი, როცა ნახავთ, რომ საქმეს ცუდი პირი უჩანს, სარდლებსა სდებთ ბრალს, მაგრამ როგორც კი მათ ალაპარაკებთ და სიძნელეებს შეიტყობთ, მიუტევებთ ხოლმე. ამასობაში კი ერთმანეთს ედავებით, ჯგუფებად იყოფით, ზოგი ალთას არის, ზოგი ბალთას და საერთო საქმე კი უკან მიდის. თუ წი-ნათ, ათენელო მოქალაქენო, სიმორიის[5] წესით შესატანი შეგქონდათ, ახლა სიმორიის წესითვე სახელმწიფო მოღვაწეობას ეწევით. ყველ-გან ხელმძღვანელია ორატორი, რომელსაც მორჩილებს სარდალი და სამასი კაცი, მისი სურვილისამებრ რომ აღიმაღლებენ ხმას, თქვენ კი, დანარჩენები, ხან ერთს მიეკედლებით, ხან მეორეს. დროა ბოლო მოუღოთ ამ წესს, თუმცა თქვენვე დაგიმკვიდრებიათ იგი. ახლა მაინც ვიყოთ თავისთავადნი, ყველას მივცეთ განსჯის, ბჭობისა და მოქმედე-ბის საშუალება. თუ ერთეულებს გადასცემთ ხელმძღვანელობას და ტირანად დაისვამთ თავზე, სხვებს კი დააკისრებთ ტრიერარქიას,[6] შე-სატანის შეტანას, ლაშქრად გასვლას, დანარჩენებს კიდევ უფლებით აღჭურვავთ — მსჯავრი დასდონ ზემოხსენებულთ, მაშინ ვერავითარ საშურო საქმეს დროულად ვერ აღასრულებთ, მსჯავრდადებულთა მე-ტი წილი გულს აიყრის და მტრის ნაცვლად ესენი გაგიხდებათ დასას-ჯელნი. მოგახსენებთ, უმთავრესია, გაიღოთ წვლილი შეძლებისდაგვა-რად, მორიგეობით გახვიდეთ ლაშქრად და აღასრულოთ სამხედრო სამსახური, სიტყვა მისცეთ ყველა სიტყვის მსურველ ორატორს, ხოლო მოსმენილ-გაგონილიდან იმჯობინოთ ის, რაც უმჯობესია და არა ის, რა-საც მავანი და მავანი იტყვის. თუ ამგვარად გაუძღვებით საქმეთ, მა-შინ აქ არა მარტო სიტყვით გამოსულ ორატორებს დააჯილდოებთ ქე-ბით, არამედ თქვენივე თავსაც, რაჟამს ბოლოს საზოგადო საქმის წარ-მატებით თქვენც წაგემართებათ ხელი.

მესამე ოლინთოსური

ლიბანიოსის წინათქმა

ოლინთოსელებს სამხედრო დახმარება აღმოუჩინეს ათენელებმა და იფიქრეს, რომ ამით მდგომარეობა გაუმჯობესდა, — საამისო ცნობებიც ეუწყათ. ხალხი აღფრთოვანებულია, ხოლო ორატორები ფილიპეს დასჯას მოითხოვენ. ამჯერად დემოსთენე შიშობს, მოქალაქენი არ გათამამდნენ, არ იფიქრონ, რომ სრული გამარჯვება მოიპოვეს ოლინთოსელთათვის გაწეული დახმარებით, და სამერმისოდ უზრუნველობას არ მისცენ თავი. ამისთვის გამოდის დემოსთენე და გმობს მათ თავდაჯერებას, ურჩევს კეთილგონივრულ გონდაუნჯებას. ახლა ფილიპეს დასჯის ჯერი კი არ არის, არამედ მოკავშირეთა ხსნისთვის გემართებსო სჯა — აცხადებს. მან ხომ უწყის, რომ ათენელები და სხვანიც, რომელთა საზრუნავი უპირატესად ისაა, თავიანთი მონაგარი არ წააგონ, მოწინააღმდეგეთა დასჯას ნაკლებ ესწრაფვიან. ამ სიტყვაში სანახაობათა თანხების შესახებ გაბედულად იძლევა რჩევას იმ კანონთა გასაუქმებლად, რომლებიც სასჯელით ემუქრებიან მას, ეინც ამ თანხებს სამხედრო მიზნებისათვის წერილით დააკანონებს, და არწმუნებს ხალხს, რომ ეს გაუქმება ხელშეუწყობს გონივრულ კეთილრჩეობას.

ორატორი მოუწოდებს მოქალაქეებს, წინაპართა მსგავსად სულის ძალა მოიკრიბონ, თავი გადადონ ომისთვის, დაუნდობლად კიცხავს ხალხს სულმოკლეობისთვის, ხოლო დემაგოგებს — სახელმწიფოს არასწორი გაძღოლისათვის.

სიტყვა

მე ეს ჭკუაში არ მიჯდება, ათენელო მოქალაქენო, თქვენს აღსრულებულ საქმეთ რომ ვეჭვრეტ და წარმოთქმულ სიტყვებს ვისმენ. ვხედავ, ამ სიტყვებში ლაპარაკია ფილიპეს დასჯაზე, ბედის ჩარხი კი ისე ტრიალებს, დაფიქრება გვმართებს, უმალ თავად არ დავისაჯოთ. ამიტომაც მგონია, იმ საკითხის არსს, რაზედაც ბჭობთ, მცდარად წარმოგიჩენენ თქვენ მჭევრმეტყველნი.

მე ხომ ვიცი, იყო დრო, როცა ჩვენს ქვეყანას შეეძლო უშიშრად ყოფნა და ფილიპეს დასჯა: აგერ ჩემსობას, და არა უხსოვარ დროში, შესაძლებელი იყო ერთიცა და მეორეც. ამჯერად კი მე შიმაჩნია, იმ-

დენი მაინც უნდა ვიღონოთ, რომ მოკავშირენი ვიხსნათ როგორმე. თუ ეს საქმე საიმედოდ აღსრულდა, მერმეღა ვიფიქროთ იმაზე — ვინ ვის დასჯის და როგორ. მაგრამ ეგრე მგონია, სანამ კეთილი დასაწყისი არ გვიპოვია, კეთილ ბოლოზე ფიქრი ნაადრევია. აწინდელი ჟამი, ათენელო მოქალაქენო, უწინდელზე მეტ სიბეჯითესა და განსჯას საჭიროებს. მე სიძნელედ იმას კი არ მივიჩნევ, თუ რა გირჩიოთ ახლანდელ ვითარებაში, არამედ იმას, ათენელო დარბაისელნო, როგორ და რანაირად გაგიცხადოთ იგი. ჩემი დაკვირვებით, ასევე სხვათა მონათხრობით, უკვე ვუწყი, რომ მრავალი საშური საქმე იმიტომ კი არ წაგსვლიათ ხელიდან, რომ სწორედ არ იყო განხილული, არამედ მისი აღსრულების სურვილი არ გამოგიჩენიათ. ახლა კი გთხოვთ, თუ გულახდილად ვილაპარაკებ, მოთმინება იქონიოთ და ყურადღება მიაქციოთ იმას, ვიტყვი თუ არა მართალს და მივმართავ თუ არა ჩემს სიტყვას საქმის წაღმა წასამართავად. თავად უწყით, ზოგთა წყალობით, რომელთაც თავიანთი სიტყვებით მსმენელთა მაამებლობა მოიწადინეს, საქმე უკულმა შეტრიალდა.

საჭიროდ მივიჩნევ, ზოგი რამ მოგაგონოთ უკვე გაგონილიდან. აბა, გაიხსენეთ, ათენელო მოქალაქენო, ამ სამი თუ ოთხი წლის წინათ თქვენ გეუწყათ, რომ ფილიპემ ჰერეონის ციხეს[1] თრაკიაში ალყა შეაჭოავლო. მეშაქტერიონის თვე[2] იდგა სწორედ. დიდი სჯა და მღელვარება გქონდათ მაშინ და ბოლოს გადაწყვიტეთ, ზღვაში ჩაგეშვათ ორმოცი ტრიერი, ხომალდებში ჩაგესხათ ორმოცდახუთ წელს მიღწეულნი[3], და გაგეღოთ სამოცი ტალანტი[4]. ამასობაში ის წელიც მიიწურა. მას მოჰყვა ჰეკატომბეონი, მეტაგიტნიონი და ბოედრომიონი[5]. და ბოლოს, იმ თვეში, მისტერიის შემდეგ[6], ძლივს გაგზავნეთ ქარიდემოსი ათიოდე ცარიელი ხომალდით და ხუთიოდე ვერცხლის ტალანტით. ხოლო როგორც კი დაირხა ხმები, ფილიპე ავად არისო და კიდეც გარდაიცვალაო (ერთდროულად დაირხა ეს ხმები) — თქვენ გადაწყვიტეთ, ათენელო მოქალაქენო, საომარი მდგომარეობა მოიხსნაო, და ხელი აიღეთ ჯარისა და აღალის გაგზავნაზე. სწორედ დროული კი იქნებოდა, მაშინ რომ ისევე მხნედ გეკისრათ საომხედრო დახმარება, როგორც გადაწყვიტეთ, — დღეს აღარ შეგაურვებდათ ფილიპე, აწ სრულიად საღ-სალამათი.

რაღა თქმა უნდა, რაც იყო იყო, და ამას რაღას უშველი. ამჟამად მარჯვე დრო დგება ახალი ომისათვის, ამიტომ შეგახსენეთ ეს ამბები, რომ უწინდელი არ დაგებედოთ კვლავ. მაინც როგორ ვისარგებლოთ ამ შემთხვევით, ათენელო მოქალაქენო? თუ საომხედრო საშზადისს არ

შეუდგებით მთელი შესაძლებლობით, მაშინ უყურეთ, ყველა თქვენი საომარი საქმიანობა ფილიპეს სასარგებლოდ თუ არ წარიმართოს. ოლინთოსელებს შესწევდათ რაღაც ძალა, ამავე დროს მდგომარეობაც ისეთი იყო, რომ ვერც ფილიპე ხელყოფდა მათ და ვერც ისინი ფილიპეს. ოლინთესელებმა და ჩვენ ურთიერთსამშვიდობო ხელშეკრულება დავდეთ. ფილიპე შებრკოლებული იყო და შეღონებულიც, რადგან მარჯვე დროს უცდიდა დიდი ქალაქი, ჩვენთან დაზავებული. ჩვენ ვლაშობდით, როგორმე ბრძოლაში ჩაგვება ეს ხალხი. ჰოდა, რაზედაც მაშინ ამდენს ენაწყლიანობდით, ასე თუ ისე აღსრულდა კიდეც. სხვა. რაღა დაგვრჩენია, ათენელო მოქალაქენო, თუ არა მტკიცე და გულდაგული სამხედრო მზადება. მე, პირადად, ვერას ვხედავ უმჯობესს: აღარას ვიტყვი იმ სირცხვილზე, რაც შეიძლება დაგვატყდეს, თუ რამე უგულებელყავით ამა საქმეთაგან. თანაც მოსალოდნელი შედეგებისთვის, როგორც ვხედავ, მცირე საფრთხე არ გვემუქრება, ათენელო მოქალაქენო, რადგან თებელნი კვლავინდებურად არ გვიმართავენ ხელს, ხოლო ფოკიდელნი მოკლებულნი არიან საჭირო სახსრებს და აღარავინ მოიძევება ისეთი, ვინაც დააბრკოლებს ფილიპეს, ჯერ რომ იქ აღასრულებს დამპყრობლურ საქმეთ და მერმე აქეთ გამოსწევს.

ხოლო თუ ვინმე თქვენგანი თავის მოვალეობის აღსრულებას გაუდგება, მას მოუწადინებია თვალებში შეხედოს ომის საფრთხეს ნაცვლად იმისა, შორს იგულვებდეს მას, და გადაუწყვეტია სხვისგან ითხოვდეს შველას, როცა ჯერ თავად ძალუძს სხვისი შველა. საქმე რომ სწორედ ამნაირად დატრიალდება, — თუ კარზე მომდგარი მარჯვე შემთხვევა ხელიდან გავუშვით, — ეს ჩვენ დიახაც ცხადად ვუწყით.

„საომხედრო დახმარება რომ აუცილებელია, ეს ყველას მოგვეხსენება, — იტყვის ვინმე, — ამ დახმარებას კი გავწევთ, მაგრამ შენ ეს გვითხარი, როგორღაო?“ საამისოდ, — არ გაგიკვირდეთ, ათენელო მოქალაქენო, თუ უმრავლესობისათვის მოულოდნელი რამ ვთქვა, — დასხით კანონმდებელნი. ამ კანონმდებელთა სხდომაზე ახალ კანონებს კი ნუ დაადგენთ (ისედაც ბლომად დაუდგენიათ ისინი), არამედ პირიქით, გაუქმეთ სადღეისოდ ხელისშემშლელი კანონები. მე, ცხადია, მოგახსენებთ იმ კანონებზე, რომელიც სანახაობათა სახსრებს და ომში მიმავალ ზოგიერთ მოლაშქრეს ეხება. ზოგი ამ კანონთაგანი საომარ სახსარს შინ დარჩენილთ აკუთვნებს სათეატროდ, აგრეთვე დაუსჯელად ტოვებს საომხედრო წესრიგის დამრღვევთ, რაც ხალისს უკარგავს იმათაც, ვინც მზადაა მოვალეობის აღსასრულებლად. და რაკამს ამ კანონებს გააუქმებთ და გზას გაუხსნით უფრო საღ აზრს, მერმეღა ეძიეთ

დამწერნი იმ აზრებისა, რომელთა სარგებლიანობა თავად უწყით. მაგრამ ჯერ ნუ იზამთ ამას, რამეთუ ის, ვინც უკეთეს წინადადებას შემოგთავაზებთ თქვენდა სასიკეთოდ, — თქვენივე მსხვერპლი არ გახდეს: მაშინ ხომ ვერასდროს იპოვით უკეთესის მზრახველს, თუკი უსამართლოდ დაიჩაგრება ის, ვინც ახალ წინადადებას წამოაყენებს და დაგვიწერს. ასეთი საქმე კი არამცთუ სარგებელს გამოიღებს, არამედ, პირიქით, მომავალში — უფრო მეტად ვიდრე ახლა — დააფრთხობს ყველას, ვინც უკეთესს განიზრახავს. კანონთა გაუქმება, ათენელო მოქალაქენო, თვით კანონმდებელთ უნდა მოეთხოვოს.

სამართლიანი არ იქნება, რომ პატივისცემა მოიხვეჭონ კანონმდებლებმა იმ კანონთა, რომლებმაც ზიანი მიაყენეს მთელ ქვეყანას, ამავე დროს სასჯელი დაატყდეს იმათ, ვინც შემოგთავაზებთ უკეთეს რჩევას, სასარგებლოდ რომ შეიძლება ექცეს ყველა ჩვენთაგანს. მაგრამ ჯერ ნუ გაირჯებით ამ საქმის მოსაგვარებლად, ათენელო მოქალაქენო, ნუ ფიქრობთ, რომ თქვენს შორის იყოს კაცი, რომელიც დაუსჯელად გადააბიჯებდა ამ კანონებს, ან ესრეთ რეგვენი, თავს რომ აშკარა საფრთხეში ჩაიგდებდა.

ცხადია, ისიც არ უნდა უგულებელვყოთ, ათენელო მოქალაქენო, რომ გადაწყვეტილებებს თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ გადაწყვეტილის აღსრულებასაც არ ინებებთ. მარტოოდენ ამ ფსეფისმებს[7] რომ შეეძლოს გაიძულოთ იმ საქმეთა აღსრულება, რაც გეკალებათ, ან ყოველი დაწერილის საქმედ ქცევა, მაშინ აღარ დაუშვებდით იმას რომ ამდენი გადაწყვეტილებიდან მცირე კი არა და, უმცირესიც არ აგესრულებინათ, და არც ფილიპე ითავხედებდა ამდენ ხანს, — ერთი რომელიმე გადაწყვეტილება აქამდე მოუღებდა ბოლოს. მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. საქმე განბჭობისა და კენჭისყრის შემდეგ როგორადაც წარიმართება, ამის კვალობაზე იძენს ის მნიშვნელობას. აი, ეს უნდა გაითვალისწინოთ, სხვა კი არაფერი. საჭირო სიტყვის ძთქმელნიც მოგეძევებათ, ათენელო მოქალაქენო, თქმულის განსჯაც სხვაზე მეტად ძალგიძთ, ჰოდა, საქმეზეც რაღა დაგიდგებათ წინ, თუ სწორი გზით წახვალთ. ანკი, ათენელო მოქალაქენო, რომელ დროს, რომელ შემთხვევას ეძებთ თქვენ ამჟამინდელზე უკეთესს? როდისღა უნდა აღასრულოთ მოვალეობა, თუ არა ახლა? განა მთელი ჩვენი სიმაგრენი არ მიიტაცა მაგ კაცმა? და თუ ამ მხარესაც[8] გაისაბრძანისებს, განა ყველანი სირცხვილს არ ვჭამთ მაშინ? განა არ ომობენ ახლა ისინი, ვისაც შველა აღვუთქვით, თუკი თავადაც იომებდნენ? განა ის კაცი ჩვენი მტერი არ არის? განა ჩვენეულ სიკეთეს არ ფლობს? განა ბარ-

ბაროსი არ არის? რისი თქმა აღარ შეიძლება მასზე? მიბრძანეთ ერთი, ღმერთებს გაფიცებთ, — თუ ყველაფერზე ხელს ავიღებთ, რაც მოგვიძეია და ამით ლამისღა ფილიპეს შევეწევით, მერმე მოვდგებით და დამნაშავე ვინაა — დავიწყებთ ძიებას? ცხადია, არც ერთი ჩვენთაგანი თავს დამნაშავედ არ შეირაცხავს, კარგად ვიცი. ომშიაც ხომ ეგრეა, ხიფათისაგან უკუქცეულნი თავს კი არ განისჯიან, ჯერ მხედართმთავარს დასდებენ ბრალს, მერმე მახლობლებს და ყველა დანარჩენებს. მაგრამ ხომ ცხადია, რომ დამარცხების ჟამს დამნაშავეა ყველა ლტოლვილი, რამდენადაც თითოეული მათგანი, სხვებს რომ ბრალეულყოფს, თვითონ რომ დარჩენილიყო თავის ადგილას და სათითაოდ სხვებიც ასე მოქცეულიყვნენ, გაიმარჯვებდნენ კიდეც. აი, ახლა თუ ერთმა უკეთ ვერ განსაჯოს, ადგეს მეორე და ინებოს უკეთესი თქვას, ოღონდ ნუ განაქიქებს პირველის ნათქვამს. სხვა იტყვის უკეთ? ესეც სასიკეთოდ თქვენდა! არ გეამათ მისი სიტყვები? ნუ შერისხავთ ამისთვის, თუ ვინძლო კეთილი სურვილებით ვერ გაამათ, მით უმეტეს, ათენელო დარბაისელნო, რომ კეთილი სურვილების გამოთქმა ადვილია; უმჯობესი კი ისაა, დედააზრი მოკლე სიტყვაში გაცხადდეს. თუმცა როცა საქმის დედააზრს ვიხილავთ, არც ისე ადვილი გახლავთ არჩევანი; აქ კი სასიამოვნოს საჭირო უნდა ვარჩიოთ ხოლმე, რაკი ორივე ერთად არ არის შესაძლებელი. „მაგრამ თუკი ჩვენს შორის ისეთი ვინმეა, ვინც სანახაობათა თანხას ხელუხლებლად გვიტოვებს და სხვა სახსარს გვთავაზობს სამხედრო საქმისთვის, განა საზრიანად არ იქცევა იგი?“ — იტყვის ვინმე. დიახ, გეთანხმებით, თუკი საერთოდ არის ასეთი კაცი. მაგრამ ვეჭვობ, ჯერ დაბადებულიყოს ამქვეყნად ვინმე, ან აწ დაიბადოს, ვინც მოხვეჭილ ქონებას უსარგებლოდ გაფანტავს, ხოლო გაფანტულს სასარგებლოდ მოიხვეჭს. მე მგონია, ბჭობისას მნიშვნელობა აქვს თითოეულის სწორ არჩევანს, რადგან თავის მოტყუება ადვილია, ვისაც რა სურს, იმას წარმოსახავს ხოლმე, სინამდვილე კი უმეტესწილად სრულიად სხვა გახლავთ. ამიტომ, ათენელო მოქალაქენო, უყურეთ ამ საქმეს ისე, როგორც ამას ვითარება მოითხოვს, და — იმ ანგარიშით, რომ გასცეთ საქმისთვის და მიიღოთ სამსახურისთვის. ვერც ერთი ჭკუათმყოფელი და კეთილშობილი კაცი ჯილდოდ ვერ მიითვლის საყვედურს, როცა წარუმატებლობის მიზეზი სახსრების მოუგვარებლობაა. თუ ადრე კორინთელებისა და მეგარელების წინააღმდეგ მყის იარაღს ისხამდნენ და სალაშქროდ მიდიოდნენ, მით უფრო შეუწყნარებელია ახლა ლაშქრის მოუმზადებლობით საშუალება მივცეთ ფილიპეს ელინურ ქალაქთა დაპყრობისა.

იმად არ დამიპირებია ამაზე ლაპარაკი, რომ ზოგი თქვენგანის არაკეთილგანწყობა დავიმსახურო; არც ეგოდენ გონდაკარგული და ბედდავსილი ვარ, ვიფიქრო, რომ თუ თქვენს მტრობას მოვიმკი, ამით ბედსაც მოვიმკი-ძეთქი. მხოლოდ პატიოსანი მოქალაქის მოვალეობად მიმაჩნია სახელმწიფოს ხსნა ვამჯობინო სამშვერმეტყველო ენამზეობას. იმ ორატორებსაც, ჩვენი წინაპრები რომ შესწრებიან, როგორც ჩანს, ენია მე და შესაძლოა გსმენიათ თქვენც, — რომელთაც თუმცა ხოტბას ასხამენ ახლაც სიტყვით გამოსულნი, მაგრამ ვერ კი ბაძავენ, — სახელმწიფოს სასიკეთოდ მოსდევდათ სიტყვა — განთქმულ არისტიდეს[9], ნიკიასს, სეხნიას ჩემსას[10], პერიკლეს[11]. იმ დროიდან კი, რაც ეს ორატორები გაჩნდნენ, თქვენ რომ გეკითხებიან: „რა გწადიათ? რა საკითხზე ვწერო? რა უფრო გახარებთ?" — იმ დროიდან მოკიდებული, პირადი წარმატებანი მტლად ედება სახელმწიფო საქმეს და ასე გრძელდება; მათ საქმენი ჩინებულად მისდით, თქვენ კი სამარცხვინოდ. თავად განსაჯეთ, ათენელო მოქალაქენო, რა საქმენი შეიძლება მოვიხსენიო მნიშვნელოვანნი თქვენსა და წინაპართა მიერ გარდახდილნი? აქ სიტყვაც მოკლეა და აზრიც ცნობილია თქვენთვის. უცხოთა მაგალითების ძიება არა გჭირდებათ, ათენელო მოქალაქენო, თქვენივე ხალხი კმარა იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა იხვეჭდეთ სვეტედს.

ჩვენი წინაპრები, რომელთა წინაშე არ ტრელობდნენ და არ მაამებლობდნენ ორატორები, როგორც ახლა თქვენს წინაშე სჩადიან ამას, ორმოცდახუთი წლის განმავლობაში თავკაცობდნენ ბერძნებს მათივე თანხმობით და ბარე ათი ათასზე მეტი ტალანტი შესწირეს აკროპოლისს. მათვე ჰმორჩილებდა ზემორე ხსენებული ქვეყნის განმგებელი ხელმწიფე, ვით ბარბაროსს ჰფერობდა ელინთ წინაშე. ურიცხვი და დიდებული ნადავლი გასცეს მათ სახმელეთო და საზღვაო ომების დროს, მოლაშქრეობდნენ პირადად და კაცთა შორის პირველ-რჩეულებმა დაგვიტოვეს მათსავე საქმეებში განცხადებული დიდება, იგავმიუწვდენელი მოშურნეთათვის. აი, როგორ ეჭირათ მათ თავი ელინთა შორის, დახეთ, ვითარი იყვნენ მათი სახელმწიფო საქმენი, საზოგადონი და პირადნი. სახალხო სრა-სასახლენი, დიდებული ტაძრები, ჩვენთვის რომ უშენებიათ და შიგ ურიცხვად გაუმრავლებიათ წმინდა შეწირულებანი, მომდევნო თაობის კაცთათვის მიუწვდომელი რჩება.

პირად ცხოვრებაში ეგზომ თავდაჭერილნი იყვნენ ისინი, ეგზომ ერთგულნი დემოკრატიისა, რომ შაგალითისათვის თუ ავიღებთ არისტიდეს, მილტიადეს[12] და იმ დროის სხვა გამოჩენილ ადამიანთა საცხოვ-

რებელ სახლებს, — არაერთმა თქვენთაგანმა უწყის, რა რიგისანი არიან ეგ სახლები, — სხვებისაზე დიდი ვერაფრით გამორჩეულან. სახელმწიფო მოღვაწეობით გამდიდრებას კი არ ლამობდა ეს ხალხი, არამედ საერთო დოვლათის გამრავლებას ესწრაფვოდა ყოველი მათგანი. ელინთა ნდობით, ღმერთთა კეთილგანწყობილებითა და სამართლიანი მმართველობით იმსახურებდნენ და იხვეჭდნენ ისინი კეთილ სვე-ბედს. ასე მისდიოდათ მათ საქმე, სანამ ჩემგან ზემოთქმულ პროსტატებს[13] იყოლიებდნენ. მაგრამ ახლა როგორღა მისდით საქმენი ჩვენს კეთილშობილთ? რამდენადმე წინანდებურად მაინც? აქ უკვე დუმილს ვარჩევ, თუმცაღა კი ბევრიც მეთქმოდა. და ახლა, როცა ხედავთ, რომ გავთავისუფლდით მეტოქეებისაგან, ესეც იმ დროს, როცა ლაკედემონელები შემუსვრილნი არიან, თებელნი — თავიანთი საქმეებით გართულნი, და სხვათაგან კი არავინ დარჩენილა პირველობის მოცილედ — შეგვეძლო სრულიად გვეკმარა ჩვენი და განგვესაჯა სხვათა საქმენი. მიუხედავად ამისა, ჩვენ დაკარგეთ კუთვნილი მიწები, უმიზნოდ გავანიავეთ ათას ხუთას ტალანტზე მეტი, ომისუამინდელი მოკავშირენი მშვიდობის ჟამს გავიუცხოვეთ და ჩვენს წინააღმდეგ თავად ვამძლავრეთ ასეთი მტერი. თუ არადა, გამოვიდეს რომელიმე თქვენგანი და თქვას, ვის უძღვის ბრალი, ჩვენს გარდა, ფილიპეს ეგზომ აღზევებაში? „რა გაეწყობა, ჩემო კეთილო, თუმცა ეს ცუდია, ქალაქში მაინც უკეთაა საქმე". — მაინც რა გვათქმევინებს ამას? ციხე-კედლები, რომელთაც ჩვენ ვათეთრებთ? გზები რომელთა შეკეთებას ჩვენ ვკისრულობთ? წყალგაყვანილობა და ათასი სხვა წვრილმანი? ერთი შეავლეთ თვალი ადამიანებს, ამ პოლიტიკას რომ მისდევენ: ზოგი მათგანი მათხოვარი იყო და მდიდარი გახდა, უსახელო იყო და სახელი გაიგდო, ზოგმა კიდევ საზოგადოებრივ სასახლეებზე დიდებული ბინები წამოჭიმა. იმდენადვე გაუარესდა სახელმწიფოს მდგომარეობა, რამდენადაც გაუმჯობესდა მათი. რაა ყოველივე ამის მიზეზი, რატომ იყო მაშინ ყველაფერი კარგად და რატომ არის ახლა ავად? საქმე ისაა, რომ მაშინ ხალხი თავისთავზე იღებდა საქმეს, თავად კისრულობდა გაბედულ ლაშქრობას, თვითონ იყო სახელმწიფო მმართველთა განმგებელი და ყოველგვარ სარგებელთა მფლობელი, ხოლო თითოეული მოქალაქე სიამოვნებით იღებდა ხალხისგან საზღაურად პატივს, თანამდებობას და ყველა სიკეთეს. დღეს პირიქით, ყველა სიკეთე მმართველთა ხელშია, მათგან აღესრულება ყოველი საქმე, თქვენ კი, ხალხნო, ბეჩავნო, ყოველ სახსარსა და თანაშებრძოლთ მოწყვეტილნო, მსახურებად, დანამატებად ქცეულნო, რაღაც სანახაობათათვის გამოწირულ გროშებსა

კმარობთ ან სათქვენოდ გამართულ ბოედრომიების დღესასწაულებს[14] სჯერდებით და გულუხვად მადლობასაც სწირავთ იმაში, რაც თქვენვე გეკუთვნით; გამოკეტილი ჰყავხართ სახელმწიფოს შიგნით, გიკრძალავენ ბუნებით მომადლებულ ყოველგვარ სიამეთ, გხედნიან და გიმორჩილებენ. ვერასოდეს ძძლავრად, ჭაბუკებრ ვერ იღორძინებს წვრილმანებს გარდაგებული ცუდმაშვრალი სული. რა ჩვევებიცა აქვთ ადამიანებს, აზრებიც ეგეთნაირი მოსდგამთ. არც ის გამიკვირდება, ვფიცავ დემეტრეს[15], თუ ამ ჩემი სიტყვებით თქვენგან მე უფრო ვნახავ ზიანს, ვიდრე ისინი, ვინც ამ ყოფაში ჩაგაგდოთ. თავისუფლად ლაპარაკი ყველაფერზე თქვენთან ხომ არც კი შეიძლება და ისიც მიკვირს, ახლა როგორ შევიძელ ეს.

თუ ახლა მაინც მიატოვებთ მაგ ჩვევებს, გახვალთ ლაშქრად და იმოქმედებთ ისე, როგორც თქვენს ღირსებას შეეფერის, და საშინაო თანხებს გაიღებთ საგარეო სიკეთეთა მოსახვეჭად, მაშინ შესაძლებელია, დიახაც შესაძლებელია, ათენელო მოქალაქენო, წილი დაიდოთ უხვ დოვლათში და თავი დააღწიოთ იმ გასაკითხს, რაიც მათხოვრის ჩამოთხოვილ ლუკმას უფრო ჰგავს ან იმას, რასაც ექიმი დაუწესებს ხოლმე ავადმყოფს. ეს ლუკმა არც სიმეტით აძღებს კაცს და არც სიმცირისა გამო ჰკლავს შიმშილით. ასევე ის სახსრებიც, თქვენ რომ ახლა მოგეძევებათ, ვარგისი ცხოვრებისათვის არ კმარა, არც იმის საშუალებას გიტოვებთ, შეელიოთ მას და სხვა რამ საქმეს ეწიოთ, სამაგიეროდ მცონარეობას აჩვევს ყველა თქვენთაგანს. „შენ რა, გინდა ეს ფული ჯამაგირად აქციო?“ — იკითხავს ვინმე. დიახ! თანაც ახლავე დაკანონდეს ერთი საერთო წესი, ათენელო მოქალაქენო, რათა თითოეულს ერგოს თავისი წილი სახელმწიფოსაგან, ასევე თითოეულმა მიაგოს სახელმწიფოს თავისი წილი. მშვიდობის დროს ყოველ მათგანს შეეძლოს შინ ჯდომა, საჭიროებამ არ აიძულოს სამარცხვინო საქმის ჩადენა, დარჩეს რიგიან მოქალაქედ, ხოლო თუ მოდგება ჟამი, ახლანდელის მსგავსი, მაშინ იმავე ჯამაგირით, რასაც იღებს ახლა, უყოყმანოდ გავიდეს ლაშქრად, როგორც მოითხოვს ამას სამართლიანობა საძმობლოს საკეთილდღეოდ. ზოგი თქვენგანი გამოსულია გასაწვევი ასაკიდან და, თუ ამჯერად იღებს ფულს ისე, რომ არ მოაქვს სარგებლობა, დაე კვლავაც მიიღოს სხვათა თანაბრად, ოღონდ გულმოდგინება მაინც გამოიჩინოს, ნუ დაიზარებს საქმეს, რისი აღსრულებაც ჯერ-არს. სხვა რაღა ვთქვა, არც რა დამიკლია, არც რა დამიმატებია, გარდა უმნიშვნელო წვრილმანებისა; უწესრიგობა ვაშორე და წესრიგი დავუკანონე სახელმწიფოს, გავარიგე საქმე იმისა, როგორ იქნას

ფული მიღებული, როგორ მოეწყოს ლაშქრობა, როგორ განისაჯოს და აღსრულდეს ყოველი თითოეულის ნიჭის, ასაკისა და ვითარების შესაბამისად. არსად სიტყვა არ დამცდენია, გამრჯელის წილი უსაქმურს ებოძოს-მეთქი, არც ის მომიხსენებია, ვიყალთაბანდოთ, ვისხდეთ გულხელდაკრეფილნი მათხოვრულად და მხოლოდღა ვკითხულობდეთ, ამა და ამ მოქირავნე ჯარმა გაიმარჯვა თუ არაო. ამჟამად ხომ ასე ხდება. ცხადია, მე არ ვკიცხავ იმ კაცს, სათქვენო საქმეს რომ აღასრულებს; მაგრამ აგრეთვე მინდა თავადაც მოიმოქმედოთ ისეთი რამ, რომ სხვებს მაინც სცეთ პატივი, და რომ, ათენელო დარბაისელნო, არ გადააბიჯოთ სამანს სიქველისას, რაც ჩვენმა წინაპრებმა ურიცხვი ღირსშესანიშნავი ბრძოლებით გვიმემკვიდრეს. თითქოს ვთქვი ყველაფერი, რაც სასარგებლოდ მივიჩნიე, თქვენ კი თავად აირჩიეთ ის, რაც სახელმწიფოსაც არგებს და ყველა თქვენგანსაც.

პირველი სიტყვა ფილიპეს წინააღვდეგ

ლიბანიოსის წინათქმა

ფილიპესთან ომში წარუმატებლობით გუნებაწამხდარი ათენელები საკრებულოში შეიყარნენ. ამჯერად ორატორი ცდილობს გააქარწყლოს მათი სასოწარკვეთა. საკვირველი არაა, თუ გაურჯელობით დამარცხდითო, — ამბობს იგი და განმარტავს, თუ რა გზით სჯობდა წარმართულიყო ომი. მიუთითებს იმაზე, რომ უნდა შეიქმნის ორი ლაშქარი: ერთი უფრო ძლიერი — შემდგარი იმ მოქალაქეებისაგან, შინ რომ დარჩებიან და მზად იქნებიან საჭიროებისდა მიხედვით, მეორე უფრო მცირე — მოჭირავნე მოლაშქრეთაგან რომ შედგება და მოქალაქენიც შეუერთდებიან; ამასთანავე, ორატორი მიუთითებს, რომ ეს მეორე ლაშქარი ათენში კი არ რჩებოდეს და ქალაქიდან კი არ ეწეოდეს დახმარებას, არამედ პირიქით, — უნდა განლაგდეს მაკედონიის საზღვრებთან, იომოს განუწყვეტლივ, რათა საშუალება არ მისცეს ფილიპეს დაუცადოს ზაფხულის ქარებს ან ზამთრის გრიგალებს, როცა წყდება ზღვაოსნობა ათენიდან მაკედონიის მიმართულებით, რომ არ განაახლოს მოქმედება, არ იმარჯვოს ათენელთა არყოფნით. ამიტომ საჭიროა მისგან ახლოს განლაგდეს ის ძალა, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს მას.

სიტყვა

ამჯერად რამე ახალ საქმეზე რომ იყოს სჯა, ათენელო დარბაისელნო, შევიცდიდი, ვიდრე აზრს არ გამოთქვამდნენ აქ გამოსვლას ჩვეული ორატორთა უმრაველესნი, და თუ მათი ნათქვამი მომეწონებოდა, სიჩუმეს ვარჩევდი, არადა თავად შევეცდებოდი ჩემი აზრი მეთქვა. მაგრამ რაკიღა ამჟამად იგივე საკითხები განიხილება, რაც ადრევე განუხილავთ ამ ორატორებს, მე პირველი გამოველ და, იმედია, არ დამძრახავთ ამისთვის. ვინაიდან თუ უწინდელი მათი რჩევანი რიგიანი ყოფილიყო, ახლა სარჩევი აღარა დაგრჩებოდათ რა.

უპირველეს ყოვლისა, უსასოობას არ უნდა მისცეთ თავი, ათენელო დარბაისელნო, ამა საქმეთა დახედულობით, რაგინდ უიმედოდ არ უნდა გესახებოდეთ ეგ საქმენი. ოღონდ, რა თქმა უნდა, წარსულის ბედ-

უკულმართობა მომავლის სვეკეთილობამ უნდა გამოასწოროს. როგორ და რარიგ? თქვენ თვითონ, ათენელო დარბაისელნო, გაიმრუდეთ საქმენი, არ აღასრულეთ, რისი აღსრულებაც გმართებდათ, და ყველაფერი რომ ისე გექნათ, როგორც შეგეფერებოდათ, ხოლო მაინც ამ დღეში ჩაცვენილიყავით, მაშინ უკეთესის იმედებიც გაგვიქრებოდა. აბა წარმოიდგინეთ — სხვათაგან გსმენიათ თუ თავადაც გახსოვთ — რა ძალა გააჩნდათ ლაკედემონელებს, თან არცთუ დიდი ხნის წინეთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, თქვენ დიდებითა და ღირსებით იბრძოდით და ოდნავადაც არ შეგილახავთ ელადის სახელი, სამართლიანობის რწმენით ბოლომდე იომეთ. რისთვის მოგახსენებთ ამას? იმისთვის, ათენელო მოქალაქენო, რომ ნახოთ და ირწმუნოთ ერთი რამ: თუ სიფრთხილეს გამოიჩენთ, საშიშიც აღარაფერი გექნებათ, ხოლო თუ უზრუნველნი დარჩებით, სასურველიც აღარა აღესრულება რა. მაგალითისათვის ავიღოთ, როგორ დათრგუნეთ თქვენ მაშინ ლაკედემონელთა ძალა, როცა ბეჯითად მოეკიდეთ საქმეს, ახლა კი აგერ ამ კაცის თავხედობას დავუფეთებივართ, რაკიღა სათანადო გულმოდგინება დაგვიგდია. თუ ვინმე თქვენთაგანი, ათენელო მოქალაქენო, ფიქრობს, ფილიპეს დამარცხება ძნელიაო, მის ძალთა სიჭარბეს რომ ითვალისწინებს, ამასთანავე იმასაც, — რა მრავლად დაკარგა ციხე-სიმაგრენი ჩვენმა ქვეყანამ, — სწორედაც ფიქრობს იგი. მხოლოდ უწყოდეს მანვე, ათენელო მოქალაქენო, ოდესღაც სწორედ ჩვენ გვემხრობოდა პიდნაც, პოტიდეაც, შეთონეც, მთელი ოლქებითა და შინდაგარეთით, და თუ ახლა იმ კაცს აუყვანია ქვეშევრდომობაში, ადრე დამოუკიდებელნი და თავისუფალნი იყვნენ და ჩვენს თანამდგომობას უფრო ამჯობინებდნენ, ვიდრე მისას. თუ მაშინ ფილიპეს ასე ეფიქრა, ათენელებთან ომი გამიჭირდება — ისეთი სიმაგრეებით არიან ისინი შემოციხულნი და მე აგერ უმოკავშირეოდ რას გავაწყობო, მაშინ იგი ვეღარ მოიმოქმედებდა იმას, რაც მოიმოქმედა, და ვერც ამოდენა ძალას შეიძენდა. მან მშვენივრად უწყოდა, ათენელო მოქალაქენო, რომ მთელი ეს სიმაგრენი თუ სამხედრო ნაალაფევი ყველას ეკუთვნის თანაბრად. წესით და კანონით კი, ყოველი მომავლისთვის დანატოვარი სამომავლოდ უნდა დადგინდეს, ხოლო რასაც უსაქმური იკუთვნებს, ის საქმიანს განეკუთვნოს. მან თანდათან დაიმორჩილა და დაიხელთა ყველაფერი: ზოგი სამხედრო ალაფის გზით, ზოგიც სამეგობრო, სამოკავშირეო წესით. დიახაც, ყველას სურს კავშირი შეკრას და იმეგობროს სალაშქრად მზადმყოფ ხალხთან, საშური საქმის აღსრულებად რომ ძალა და გაბედულება შესწევთ. ეცეთუ, ათენელო მოქალაქენო,

თუ ადრე არა, ახლა მაინც დაადგებით იმ აზრს, რომ ყველა თქვენგანი ყოველ საჭირო და სასარგებლო საქმეს აღასრულებდეს სამშობლოსათვის, არ თვალთმაქცობდეს საქმის აღსრულებისას, გასცემდეს და ლაშქრად გადიოდეს ყოველი ასაკოვანი მოლაშქრე, — ერთი სიტყვით, თუ სურვილს გამოიჩენთ დაეყრდნოთ საკუთარ თავს, თითოეული შეეშვათ იმის ფიქრს — მე ხელს არ გავატოკებ, ყველაფერი სხვამ გააკეთოსო, მაშინ თქვენ მიიღებთ კუთვნილს და ღმერთების ნებით უკანვე დაიბრუნებთ იმასაც, რაც თქვენივე ბედოვლათობით დაგიკარგავთ, ამავე დროს მაგ კაცზედაც იძიებთ შურს. ნურც იმას იფიქრებთ, რომ ახლანდელი კეთილდღეობა ღვთის დარად გაუხანგრძლივდეს მას, სულაც არა! ზოგს სძულს იგი, ათენელო მოქალაქენო, ან შიში აქვს მისი, ან შური, თანაც უმეტესად იმათ, თითქოსდა კეთილად რომ არიან განწყობილნი მისადმი. ეს მის მოკავშირეებსაც სჭირთ და სწვებსაც. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მიჩუმათებულია ახლა სულაც თქვენი უგერგილობისა და ფუქსავატობის გამო, რაზეც, ვფიქრობ ხელი უნდა აიღოთ. დახეთ, ათენელო მოქალაქენო, ეგ კაცი ისე გათავხედდა, არჩევანის საშუალებასაც არ გაძლევთ მოქმედებისა თუ მშვიდობის დაცვისა. მხოლოდ იმუქრება და, ასე ვთქვათ, ქოქოლას გაყრით. თან არც ისეთი ვინმე გახლავთ, იგი იკმაროს, რასაც ფლობს, პირიქით — ნიადაგ ახალ-ახალ დაპყრობებს ესწრაფვის და ალყაში გვაქცევს, ვიდრე აქ ვსხედვართ . და საქმეს ვაჭიანურებთ. როდისღა, ათენელო მოქალაქენო, როდისღა აღასრულებთ, რაც აღსრულებად ჯერ-არს? რას ელოდებით? „ისეთი ჟამია, ვფიცავ ზეესს, რომ გარდუვალად უნდა გარდაგვხდეს გარდასახდელი“. მომხდარი ამბებისთვის თავისუფალი ადამიანები სირცხვილით აგებენ პასუხს. ან ის ხომ არ გწადიათ, გეთაყვა, ერთმანეთთან იაროთ შესატყობად — „ახალი რა ისმისო?“ განა რა შეიძლება იყოს იმაზე ახალი, როცა მაკედონელი აშარცხებს ათენელებს და ელინებზე მამასახლისობს? „რაო, მომკვდარა ფილიპე?“ „— არა, ზეესს გეფიცები, ავად შექნილა მხოლოდ“. მაგრამ თქვენთვის რა განსხვავება აქვს ამას? კიდევაც რომ უბედურებას ეწიოს იგი, სულ ერთია, სხვა ფილიპეს გამოჩხრეკთ, რამდენადაც თქვენი გონება საამისოდაა მომართული. იმდენად თავისი ძალმორჭმულობით არ აღზევებულა ეგ კაცი, რამდენადაც ჩვენი უზრუნველობით. ვთქვათ და, მართლაც მომკვდარიყო ფილიპე იმ ბედის განჩინებით, უფრო რომ გვწყალობს, ვიდრე ჩვენ ჩვენსავე თავს, — მაშინ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუ მხოლოდ საქმეს მიჰყოფდით ხელს, შესძლებდით არეულობით სარგებლობას და საქმეთა სადავე-

ების მომარჯვებას; და რასაც გადაწყვეტდით, აღასრულებდით კიდეც. ბაგრამ ამჯერად კიდეც რომ მოგეხელთებინათ ის მარჯვე დრო, მაინც ვერ შესძლებდით ამფიპოლისის აღებას, რადგან საამისოდ არც მომზადება გყოფნით და არცა ხალისი. ამრიგად, სურვილი და მონდომება რომ უნდა გამოიჩინოთ და მზად იყოთ საქმეთა აღსასრულებლად, ეს, მგონი, შეგნებული გაქვთ და გულიც შეჯერებული, ამიტომაც ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოემზადოთ, რომ, ჩემი ფიქრით, ამ მდგომარეობას თავი დააღწიოთ, რა სიმრავლის ლაშქარი იყოლიოთ, რა სახსრები ეძიოთ, რათა მარჯვედ და ჩქარა, როგორც მიმაჩნია, მორჩეთ სამზადისს, აი, ამაზე შევეცდები ლაპარაკს. მხოლოდ ერთსა გთხოვთ, ათენელო მოქალაქენო, ჯერ მოისმინეთ და ისე განსაჯეთ ყოველი, წინდაწინვე ნუ წაისწრაფებთ სულს. თუ ვინმე ამთავითვე ფიქრობს, თითქოს მე რაღაც ახალ სამზადისზე ვლაპარაკობდე, ნუ ეგონება, რომ ამით საქმის გაჭიანურებას ვემხრობოდე. ის, ვინც გაიძახის „ჩქარა“ და „დღესვეო“ — რიგიანს არას გაიძახის. რაც გაუკეთდა, ახლა ომით ვეღარ გავაწყალმართებთ. კარგს იზამს ის, ვინც განაცხადებს, თუ რა ძალები უნდა მომზადდეს, რამდენი და საიდან, რომ ამ ძალებმა იძალოს იქამდე, სანამ ომს არ დავასრულებთ ზავით, ან მტერს არ გავანადგურებთ. ამ პირობით, მარცხი აღარ მოგველის მერმისისათვის. ამას რომ ვლაპარაკობ, ვფიქრობ, არავის შევუშლი ხელს წამოაყენოს სხვა წინადადება. ჩემი პირობა კი მოგახსენეთ: დაე, საქმემ დასტურყოს ამის სიმართლე, თქვენ კი მსაჯულნი ბრძანდებოდეთ მხოლოდ.

უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობ, ათენელო მოქალაქენო, უნდა გამზადდეს ორმოცდაათამდე ტრიერი; შემდეგ თვითონ უნდა იყოთ მზად, რომ საჭიროებისთანავე ხომალდებში ჩასხდეთ და ზღვაში გახვიდეთ. გარდა ამისა, ცხენოსანი ჯარის ნახევრისათვის საკმარისი რაოდენობის ცხენთსაზიდი ხომალდებისა და სატვირთო ნავების აგებას გირჩევთ. ყველაფერი ეს საჭიროა, თუკი იგი მოულოდნელად დაარღვევს საზღვრებს და წამოვა პილოსში, ქერონესში, ოლინთოსში, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც ინებებს. მას უნდა შეაგნებინოთ, რომ მეტად აღარ გამოიჩენთ უდარდელობას და ილაშქრებთ ისე, როგორც წინათ გილაშქრიათ ევბეაში, ჰალიარტოსში, რაზეც ბევრს გვითხრობენ, და აგერ ახლა — პილოსში[1]. თუ ამ საქმეს ახლავე არ აღასრულებთ, მაშინ საჭიროდ მიმაჩნია გითხრათ, გაითვალისწინოთ მაინც იგი. მას ან შიში შეიპყრობს, რაკამს თქვენს ჩინებულ მომზადებას შეიტყობს, — შეტყობით კი რა თქმა უნდა, გამოწვლილვით შეიტყობს ყველაფერს, რად-

გან არიან, დიახ, არიან ისეთნი, ყველაფერს რომ განუცხადებენ მას და ბლომადაც არიან, — ან მშვიდად დაიჭერს თავს, ანდა ყურადღებასაც არ შიაქცევს ამ ამბავს და უცბად გაებმება ხაფანგში, რაკიღა ამით საშუალებას მოგცემთ, დაუბრკოლებლად შესცუროთ მის ქვეყანაში. ეს არის, რისთვისაც უნდა ემზადოთ. უწინარეს ყოვლისა, როგორც ზე ვფიქრობ, ათენელო მოქალაქენო, უნდა შეადგინოთ ლაშქარი იმ მიზნით, რომ განუწყვეტელი საომარი მოქმედებით შეაჭირვოთ იგი. არა ათი ათას, გინდაც ოცი ათას მოქირავნეს, არცთუ მაგ ქაღალდზე აღნიშნულ ლაშქარს, არამედ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთაგან შემდგარ ჯარს ვამჯობინებდი, რომელიც უყოყმანოდ გაგყვებოდათ. აქვე ჯარის სურსათით მომარაგებაც უნდა გირჩიოთ. რა ძალის იქნება ეს ლაშქარი და რამდენკაციანი? საიდან მიიღებს იგი სურსათს? რა-რიგად უნდა აღასრულოს მან ზემორე ხსენებული საქმენი? მოგახსენებთ, დაწვრილებით მოგახსენებთ ყველაფერს. მოქირავნეთა აყვანასაც გირჩევთ, ოღონდ ისე არა, მათგან ზიანს იღებდეთ მხოლოდ. თუმცა ყველაფერი გეცოტავებათ და თქვენს ფსეფისმებში ბევრს კისრულობთ, საქმით კი ვერც ცოტა გაგიკეთებიათ. ჯერ შეკრიბეთ მცირე ლაშქარი და უზრუნველყავით იგი, თუ გეცოტავოთ, მერმე გააძლიერეთ. სულ ორი ათასი ქვეითის შეგროვებას გირჩევთ. აქედან ხუთასამდე, ვფიქრობ, ათენელი უნდა შეირჩეს, იმ ასაკისანი, თავადვე რომ მიიჩნევთ შესაფერისად; ვინძლო სამხედრო სამსახური გარკვეულ დროში აღასრულონ მათ და ვადა არ გაუგრძელდეთ, როგორც ამჟამად ხდება, არამედ მოხდეს ისე, რომ თქვენი საჭიროების მიხედვით ერთმანეთი შესცვალონ. ლაშქარს დანარჩენ წილად კი მოქირავნეებს ვარჩევ. ამას უნდა დაემატოს ორასი ცხენოსანი, სადაც სულ ცოტა, ორმოცდაათი ათენელი მაინც იქნება; მათ უნდა აღასრულონ იგივე რიგის სამსახური, რაც ქვეითებმა; უნდა მისცეთ მათ ხომალდები ცხენოსანი ჯარის გადასაყვანად.

ესეც ასე! სხვა რაღა დარჩა? სწრაფმავალი ტრიერი ათი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, თუ იმას უგია ხომალდები, ჩვენც გვეგოს ჩქარმავალი ტრიერები, რათა უსაფრთხოდ შეძლოს ცურვა ჩვენმა ლაშქარმა. მხოლოდ საიდანღა გავაჩინოთ სურსათი? ახლავე მოგახსენებთ და ნათელს მოეფენ ამას. ოღონდ ჯერ ის მინდა გითხრათ, რად მიმაჩნია ასეთი ძალა საკმარისად, ლაშქრობაში მოქალაქეთა მონაწილეობას რად ჩაგჩიჩინებთ. ამ განსაზღვრულ ძალას იმ მოსაზრებით გთავაზობთ, ათენელო მოქალაქენო, რომ ამჯერად ჩვენ არ შეგვიძლია შევკრიბოთ იმოდენა ლაშქარი, თანაც მოვამარაგოთ, — რომელიც წინ აღუდგებო-

და მას. ამიტომ ჯერხნობით მხოლოდ ყაჩაღური თავდასხმებით უნდა შევაჭირვოთ იგი და პირველ ხანებში სწორედ ამ სახის ომში ჩავითრიოთ. ლაშქარი არც ძალიან დიდი უნდა იყოს (ვინაიდან სურსათსა და ჯამაგირს ვერ აეუთაედებოდით), მაგრამ არც ძალიან მცირე. მოქალაქეთა თანაშოლაშქრეობას კი იმიტომ გირჩევთ, რომ უწინდელი მაგალითი მაქვს მხედველობაში, როცა, როგორც მე მსმენია, კორინთოში[2] ჩვენი სახელმწიფო ინახავდა მოქირავნე ლაშქარს, რომელსაც სარდლობდნენ პოლისტრატოსი[3], იფიკრატე[4], ხაბრიასი[5] და სხვანი, და თავადაც მიგიღიათ მონაწილეობა ამ ლაშქრობაში. ამ მოქირავნეებმა, როგორც მე მსმენია, თქვენს ბახრდაბხარ დაამარცხეს ლაკედემონელებიც. მაგრამ მას აქვთ, რაც მოქირავნენი მარტონი მიდიან ლაშქრად, ისინი ამარცხებენ მეგობრებსა და მოკავშირეთ, ამასობაში კი ზომაზე შეტად გამძლავრდა მტერი. ესენი ზერელედ უყურებენ ჩვენი ქვეყნის ბრძოლას და ურჩევნიათ არტაბაძოსთან[6] გასცურონ ან სადმე სხვაგან. სტრატეგოსიც მათ მიჰყვება უკან; ბუნებრივია, — ვინაიდან ძნელია მეთაური იყო იმისი, ვისაც თავისას არ მიაგებ. რას მოვითხოვ მე? უნდა მოიხსნას დამაბრკოლებელი მიზეზი როგორც მხედართმთავრისათვის, ასევე მოლაშქრეთათვის, მიეგოს მათ მისაგებელი და სწორედ ადგილობრივ ჯარისკაცთაგან შეირჩეს მეთვალყურენი მეთაურთა მოსაქმეობის გასაკანონებლად, თორემ დასტურ რომ სასაცილოა, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ახლა. ვინმეს რომ ეკითხათ თქვენთვის: „მშვიდობით სუფევთ თუ არა, ათენელო მოქალაქენო", — თქვენ უპასუხებდით: „არა, ზევსს გეფიცებით, ჩვენ ხომ ფილიპესთან ვომობთ". მაგრამ განა თქვენ არ ამოირჩიეთ ათი ტაქსიარქოსი[7], სტრატეგოსები, ფილარქოსები[8] და ორი ჰიპატოსი[9]? მერედა რას აკეთებენ ისინი? გარდა ერთი კაცისა, საომრად რომ გაგზავნეთ, ყველა დანარჩენი დღესასწაულების მოწყობით ერთობა ჰიეროპოიოსებთან[10] ერთად. ვითარცა მძერწავნი გამოდგამენ თიხის კაცუნებს, ასევე ძერწავთ და გამოდგამთ თქვენ ტაქსიარქოსებსა და ფილარქოსებს საკრებულოდ და არა საომრად. განა იმისთვის არ გჭირდებოდათ, ათენელო მოქალაქენო, ტაქსიარქოსნი და თქვენივე თაეკაცნი, რომ ქვეყანა ძლიერებას სწვდოდა? მაგრამ თუ ლემნოსზე თქვენმა ჰიპარქოსმა უნდა გასცუროს, ხომ არ შეიძლება ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის მეომარ მხედრებს მენელაოსი[11] ჰიპარქოსობდეს? ამ უკანასკნელის დასაძრახად სულაც არ მითქვამს ეს, მხოლოდ ამ თანამდებობაზე თქვენგან ამორჩეული უნდა იდგეს, ვინც გინდა იყოს იგი.

შესაძლოა, ჩემი ნათქვამი კი გეჯეშმარიტათ, მაგრამ უფრო მაინც

ფულის საკითხის მოსმენას ინდომებთ ალბათ... თუ რა თანხას ვიკმარებთ და რა გზით გამოვძებნით მას. ახლავე მოგახსენებთ, გეტყვით ფულზეც: ლაშქარს სურსათისთვის, სულ ცოტა, ოთხმოცდაათი ტალანტი მაინც მოუნდება; ეთ ჩქარმავალ ხომალდს — ორმოცი ტალანტი, თვიურად — ოცი მნა[12] თითოეულ ხომალდს, ამდენივე — ორი ათას მხედარს, რათა თითოეულმა მხედარმა თვიურად მიიღოს ათი დრაქმა[13], ხოლო ორასმა ცხენოსანმა, თუ თითოეული თვიურად ოცდაათ დრაქმას მიიღებს, — თორმეტი ტალანტი. ვინმეს თუ ჰგონია, ომში მიმავალი ლაშქრისათვის სურსათი საკმარისი არ არის, მცდარად ჰგონია ეს. კარგად ვიცი, საქმე რომ ასე წარიმართოს, დანარჩენს ლაშქრობებიდან მიიღებს ჯარი, ისე რომ არც ელინები გაანაწყენოს, არც მოკავშირენი, და გასამრჯელოდ ესეც ეყოფათ. მე, ჩემი მხრით, მზადა ვარ მონაწილეობა მივიღო ლაშქრობაში და საკადრისად მივიზღო, თუ ასე არ იქნეს ეგ. ხოლო საიდან მიიღოთ ფული, რისთვისაც მოგიწოდებთ. ახლა ამაზე ვიტყვი.

ზემოსავლის გაანგარიშება

თანხა ეს გახლავთ, ათენელო მოქალაქენო, რაც აგერ მოგახსენეთ. რაკამს არჩევნებს შეუდგებით, შეუდექით ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ ამას, რომ მხოლოდ ფსეფესმებითა და წერილებით კი არა, საქმით ებრძოლოთ ფილიპეს.

მე მგონია, გაცილებით უკეთ გაართმევდით თავს ომისა და მთელი ამ მზადების საქმეო, თუ გაითვალისწინებდით იმ ქვეყნის პირობებს, ათენელო მოქალაქენო, რომელსაც ეომებით და მხედველობაში მიიღებდით, რომ ფილიპეს საქმეთა აღსრულებისას ხშირად ხელს უმართავს ქარკეთილები და წელიწდეული დრონი. უდარაჯებს რა ზაფხულის ტაროსს ან ზამთარს, მოქმედებას იწყებს სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ იქეთ გასვლის საშუალება გვეპარება. ამრიგად, გვმართებს არა სამხედრო დახმარებით დაკმაყოფილება, რითაც საქმეს ვერ გავიწალმართებთ, არამედ ჯარის შექმნა და მუდმივი საომარი მზადყოფნა. საზამთრო სადგომებად ივარგებს ლემნოსი, თასოსი, სკიათოსი[14] და იმ მხარის კუნძულები, სადაც მოიძევება ნავსადგურები, სურსათი და ყველაფერი, რაც ლაშქარს სჭირდება. ხოლო წლის იმ დროს, როცა ქარი საშიშროებას არ ქმნის და ნაპირებთან მისვლა ადვილია, ძნელი არ იქნება გადასხდეთ პირდაპირ ხმელეთზე ან ნავმისადგომების ახლოს დადგეთ.

თუ როდის და როგორ გამოვიყენოთ ეს ჯარი, ამას სათავისდროისოდ განსჯის თქვენგან არჩეული ხელისუფალი. რისი გაკეთებაც თქვენ გმართებთ, ეს მე უკვე დავწერე. და, თუ ყველაფერს ყოველგნით გაითვალისწინებთ, ათენელო მოქალაქენო, — უწინარესად მხედველობაში მაქვს ფული, — აგრეთვე წესრიგში მოიყვანთ ყველა დანარჩენ საქმეთ, ქვეით ჯარს, ტრიერებსა და ცხენოსან ჯარს, თუ მთელ ამ მხედრიონს კანონის ძალით უკარნახებთ საომარ მზადყოფნას, იქნებით ფულის ხაზინადარნი და შემკრებელნი, მხედართმთავარს საქმეთა ანგარიშს მოსთხოვთ, — მაშინ ბოლო მოეღება ერთსა და იმავე საკითხებზე დაუსრულებელ ბჭობას, რასაც არავითარი საქმიანი შედეგი არ მოსდევს. თანაც შესძლებთ, ათენელო მოქალაქენო, მოსწყვიტოთ იგი არსებობის უმთავრეს წყაროს. კერძოდ, რა წყაროა ეს? საქმე ისაა, რომ ფილიპე თქვენთან თქვენივე მოკავშირეთა ხარჯზე ეწევა ომს, ტყვედ მიჰყავს ზღვაოსნები და ჰკრეფს ალაფს. კიდევ რა? გასაჭირი აღარ შეგაჭირვებთ გარედან და აღარ განმეორდება ერთხელ მოძხდარი, როცა ეგ კაცი თავს დაესხა ლემნოსს, იმბროსს და ტყვეებად წალალა თქვენი მოქალაქენი, მერმე ტერესტოსთან[15] სავაჭრო ხომალდები დაიხელთა და ურიცხვი განძეული იგდო ხელთ, ბოლოს მარათონზე ჩამოხდა და ჩვენი სანაპიროდან საღვთო ხომალდი დაიტაცა. თქვენ კი ვერც წინ აღდგომიხართ მას და ვერც დროული სამხედრო დახმარება გაგიხერხებიათ. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ეს ასე, ათენელო მოქალაქენო? პანათენური და დიონისური დღესასწაულები[16] გარკვეულ დროს იმართება მუდამ, იმის მიუხედავად, ერთისა და მეორის გამართვა უვიცს დაეკისრება კენჭისყრით თუ მეცანს. მერე ამაზე იმდენ ფულს ხარჯავთ, რამდენსაც არც ერთ საზღვაო ლაშქრობაზე, თანაც რაც ამას დავიდარაბა უნდა, არ ვიცი, კიდევ სხვა რამესაც თუ უნდა ეგოდენი. ამასობაში კი აგვიანებთ დროულ საზღვაო ლაშქრობას მეთონეში, პაგასაში თუ პოტიდეაში. ასე ხდება, რადგან ეს დადგენილია კანონით და ყველა თქვენგანმა წინდაწინვე უწყის, ვინ იქნება ქორეგოსად ან გიმნასიარქოსად[17] ფილედან, ვისგან როდის რა მიიკერძოს და როგორ გაისარჯოს. ამ საქმეში კი არავინ იჩენს არც დაუდეგრობას, არც რამე უყურადღებობას. ხოლო სამხედრო საქმეებში არაფერია გათვალისწინებული და გარიგებული; ამიტომ ყური მოუკრავთ თუ არა ტრიერარქოსთა[18] დანიშვნისა და მათ შორის ქონების განაწილების ამბავს, მყისვე ვამტკიცებთ უცხოელთა და განკერძოებულ პირთა ხომალდებზე გადასხმას, მერმე ისევ თავად გავემგზავროთო, ვიძახით, შემდეგ შემცველებზე ვლაპარაკობთ, შემდეგ... და სანამ საქმე ასე ჯანჯლდება,

ვიკიწყებთ იმას, რისთვისაც საზღვაო ლაშქრობის წამოწყებას ვლაშობდით. ამრიგად, სამოქმედო ველს საბზადისს ვენდომებთ, ხოლო დრო და საქმე არ უცდის ჩვენს გაურჯელობასა და მიზეზობას. ამასობაში კი ჯარი, რომელზედაც იმედს ვამყარებთ, სწორედ საჭირო ჟამს უმოქმედოდ დგას. ის კაცი კი ისე გადავხედდა, ეებეელებს ამ უსტარს უგზავნის:

უსტარის კითხვა

ამაში, ათენელო მოქალაქენო, რაც აქ წავიკითხეთ, სამწუხაროდ, ბევრი რამ მართალია, თუმცაღა მოსასმენად არასასიამოვნო. თუ უსიამოვნო საუბარს ავირიდებდით ისე, რომ ამით ავირიდებდით უსიამოვნო წყენასაც და საქმესაც, მაშინ დიახაც ეღირებოდა სასიამოვნო საუბარი ხალხთან. მაგრამ თუ სიტყვებში მხოლოდ სიამოვნება ვეძიეთ საქმის საზარალოდ, სამარცხვინოდ მოვიტყუილებთ თავს და საკუმანოდაც გავიხდით საქმეს. სამარცხვინოა აგრეთვე იმის გაუთვალისწინებლობა, რომ საქმით დაუყოვნებლივ მხარი არ დაუჭიროთ მათ, რომელთაც ომის სწორედ წარმართვა სურთ, და არ მისცეთ მათ მოქმედების თავისუფლება. ისევე, როგორც სარდალი , უძღვება ჯარს, ხალხი სახელმწიფო საქმეებს უნდა გაუძღვეს, მხოლოდ მაშინ აღესრულება მათი განბჭობილი და არავის დასჭირდება ძალდატანება საქმეთა აღსასრულებლად. თქვენ კი, ათენელო მოქალაქენო, ხელთა გაქვთ ყველაზე მეტი ძალები, ტრიერები, ჰოპლიტები,[19] ცხენოსნები, ფულადი სახსარი და ყველა ამ შესაძლებლობით ჯეროვნად დღემდე არ გისარგებლიათ; მხოლოდ, ვითარცა ბარბაროსები, შიშველი ხელებით ეწევით ომს ფილიპესთან; როგორც დაკრილი მუდამ მტკივან ადგილზე ივლებს ხელს, თუ დარტყმა შეუნაცვლე, ისიც ხელს შეინაცვლებს, მაგრამ შეეწინააღმდეგოს ან თვალი გაუსწოროს მოწინააღმდეგეს — ამის. არც სურვილი აქვს, არც ძალი შესწევს — თქვენც ასევე: თუ ქერონესში იგულვეთ ფილიპე, აქეთ გზავნით სამხედრო დახმარებას, თუ პილოსში იგულვეთ და — იქეთ. იმის კვალობაზე, სადაც თავს ამოჰყოფს იგი, ზერე-ქვერე დარბიხართ და თქვენზე გახელმწიფების ძალას ანიჭებთ მას, რადგან რიგიანად ვერ წაგიმართავთ ომი, წინდაწინ ვერარა განგიჭვრეტიათ, სანამ ყოველი არ გამზეურდება ან აგერ-აგერ არ მოეფინება ნათელი. ეს, შესაძლოა, უწინაც ასე იყო, მაგრამ ახლა უკიდურეს საზღვარს ზიაღწია, რაც უკვე შეუწყნარებელია. ისიც ცხონია, ათენელო მოქალაქენო, რომ ჩვენი სახელ-

მწიფოს საქმიანობით შეურაცხყოფილმა ღმერთთაგანმა აღუკურავა ფილიპე ანეთი დაუცხრომელი ქმედებით. აშკარაა, მაგ კაცს ის რომ ეკმარა, რაც ადრე მიიკერძა და ხელში იგდო, და ამის მეტი აღარც რა ენდომა, ვფიქრობ, თქვენ სასიამოვნოდ დაგრჩებოდათ ეს, თუმცალა მარტო ამითაც ლაჩრის უმსგავსო სახელს და უდიდეს სირცხვილს მოუხვეჭდით ხალხს. მაგრამ ახლა, როცა იგი ნიადაგ ტაციობს და ახალ-ახალ დაპყრობებს ეწყრაფვის, ამან შესაძლოა შეგაგულიანოთ, თუ ჯერ მთლად არ წარგკვეთიათ სასო. მე მიკვირს, ათენელო მოქალაქენო, რად არ აღშფოთდება რომელიმე თქვენგანი ახლა, როცა ხედავს, რომ ომი დავიწყეთ ჩვენ ფილიპეს დასასჯელად და ამთავრებს მას ფილიპე ჩვენს დასასჯელად. ხომ ცხადია, ამიერიდან თავად აღარ შეჩერდება, თუ ჩვენ არ შევაჩერებთ. ჩვენ კი იმას ველოდოთ, შეჩერდება თუ არა იგი? ან იმას, რომ გაგზავნით ცარიელ ტრიერებს, დატვირთულს იმ იმედებით, აქ გამოსულნი რომ ლაპარაკობენ, და მერე ამით წაიღმა წავა საქმე? ნუთუ ხომალდებზე თავად არ უნდა დავსხდეთ? ნუთუ ჩვენვე არ უნდა ვილაშქროთ ჩვენივე ჯარის ნაწილებით ახლა მაინც, თუ ადრე არ გვიქნია ეს? ნუთუ ზღვით არ უნდა დალაშქროთ მაგ კაცის ქვეყანა? „სად უნდა მივაყენოთ იქ ზღვაოსნები?" — იკითხა ვიღაცამ. თვით ომის მსვლელობა გვიჩვენებს ამას, ათენელო მოქალაქენო, ოღონდ ჯერ საქმეს მივხედოთ: ხოლო თუ შინ ვისხდებით და მხოლოდღა ორატორთა ენაკვიმატობითა და ურთიერთგანქიქებით შევიქცევთ თავს, აქედან სახეირო არა გამოვა რა. ვფიქრობ, სადაც უნდა წარგზავნოთ მოქალაქეთა ნაწილი, თუნდაც მცირე, ბრძოლაში ეს ღმერთების წყალობას გწევთ და კეთილ ბედს. ხოლო თუ წარგზავნით მხოლოდ სტრატეგოსს ცარიელი ფსეფისმებითა და აქ, ტრიბუნაზე გამოთქმული იმედებით, ვერსად, ვერასდროს ამით ხელს ვერ წარიმართავთ. ამასობაში მტრები იცინიან, ხოლო მოკავშირენი ჭირივით უფრთხიან ლაშქრობას. შეუძლებელია, ყოველად შეუძლებელია, რომ ერთმა კაცმა შეძლოს ყველა იმ საქმის აღსრულება, რასაც თქვენ ინებებთ; დაპირება და დაიმედება ადვილია, აგრეთვე — ხან ერთისა და ხან შეორის განქიქება, მაგრამ ამით სახელმწიფოს საქმე ზარალდება მხოლოდ. როცა, მაგალითად, სტრატეგოსი მიუძღვის უბედურ მოქირავნეთა ჯარს, რომელიც ჯამაგირს არ იღებს, თქვენს შორის ცოტა როდი მოიძებება ისეთი, მცდარად რომ წარმოსახავს იმ სტრატეგოსის საქმიანობას, და თქვენ კიდევ უსმენთ მავანის სიტყვებს, ათასნაირი გადაწყვეტილებანი გამოგაქვთ და — აბა, რას უნდა შოველოდეთ აქედან? როდისღა მოელება ბოლო

ყოველივე ამას? მხოლოდ მაშინ, ათენელო დარბაისელნო, როცა ერთსა და იმავე ადამიანებს დააკისრებთ როგორც მხედრობას, ასევე მხედართმთავრის საქმეთა განრიგებას, აგრეთვე ანგარიშს მოსთხოვთ შინმობრუნებულთ და ყურმოკრულად კი არ გეცოდინებათ თქვენივე საქმე, არამედ პირადად იქნებით ამ საქმის მონაწილენი. ამჟამად კი ისეთი სამარცხვინო ვითარებაა, რომ მხედართმთავართაგან თითოეულს ორგზის ან სამგზის ასამართლებენ ისეთ საქმეზე. სასიკვდილო განაჩენს რომ იმსახურებს, მაგრამ არც ერთ მათგანს იმის გაბედულება კი არ ყოფნის, ერთხელაც მტერს ეკვეთოს და მას შეაკლას თავი. მონებზე ნადირობისა და მძარცველობისთვის ურჩევნიათ მათ სიკვდილი, მაშინ როდესაც სიკვდილი, სასამართლო გადაწყვეტილებით განჩინებული, ბოროტმოქმედის ხვედრია, სტრატეგოსს კი ომში, ბრძოლად შემართულს შეჰფერის სიკვდილი. ზოგი ჩვენთაგანი კიდევ ქალაქში დადის და ხმებს ავრცელებს, თითქოს ფილიპე ლაკედემონელებთან ერთად დამხობას უქადის თებეს და არღვევს სახელმწიფოს, ან კიდევ მან თითქოს უკვე წარგზავნა მეფესთან ელჩობა, ან კიდევ იგი ქალაქებს ამაგრებს ილირიაში... ერთი სიტყვით, ყველანი ვთხზავთ ჭორებს და ამ ჭორების კვალობაზე ვირჯებით. მე კი მგონია, ათენელო დარბაისელნო, თუნდაც ღმერთებს დავიფიცებ, ეგ კაცი დაათრო გარდახდილ საქმეთა ბრწყინვალებამ, ძილშიაც კი სხვა უფრო დიდი საქმეები ელანდება, რამდენადაც ვერ ხედავს ვერავის სხვა ისეთს. ვინც წინ აღუდგება მას, თანაც აგულდიდებს წარმატებით გარდახდილი საქმე. მაგრამ არც ისე ირჯება, ვფიცავ ზეუსს, რომ ჩვენ შორის ყველაზე ბრიყვიც კი მიხვდეს, რის აღსრულებას აპირებს იგი. ბრიყვთაგანნი კი სწორედ ისინი გახლავან, ზემორეხსენებულ ჭორებს რომ თხზავენ. მაგრამ შევეშვათ ამ ლაპარაკს და შევიგნოთ უბრალოდ, რომ ეგ კაცი მტერია ჩვენი, იჩემებს ჩვენს კუთვნილს და აგერ რამდენი ხანია, გვიტევს, ვიდრე ჩვენ სხვისი იმედითლა ვჯახირობთ. ყველაფერი ეს ჩვენი ბრალია, მომავალიც ჩვენზე ჰკიდია და, თუ ახლა ჩვენ მას იქეთ არ დავუწყებთ ომს, მაშინ თვითონვე შემოგვიტევს აქეთ. თუ ყოველივე ამას გავისიგრძეგანებთ, მაშინ რიგიან გადაწყვეტილებასაც მივიღებთ და ფუსიტყვაობასაც თავს დავაღწევთ. მარჩიელობა კი არა, იმის კარგად ცოდნაა საჭირო, რომ საქმე წაგიხდებათ, თუ გონს არ მოხვალთ და არ აღასრულებთ იმას, რაც საჭიროა. რაც შემეხება მე, არც სხვა დროს დამისახავს მიზნად, მეთქვა სასიამოვნო რამ, თუ ჯერ მის სარგებლიანობას არ ვირწმუნებდი, და ახლაც ყოველი გულახდილად მომიხსენებია თქვენთვის, არა დამიმალია რა. რაკიღა ვიცი, კარგი

რჩევის გაგონება არ გაწყენთ, ვისურვებდი იმასაც არგოს ამ რჩევამ, ვინც გირჩიათ იგი. მაშინ შევძლებდი, გაცილებით მეტი სასიამოვნო რამ მეთქვა თქვენთვის. თუმცა არ ვიცი, რა მომელის მე ჩემი სიტყვისათვის, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ გარგებთ იგი, თუ საქმედ აქცევთ მას, და მეც ხომ ამად გავრჯილვარ. გამარჯვებულიმც მენახოს, ვინც საყოველთაო სარგებლობისათვის იღვწის.

მშვიდობისათვის

ლიბანიოსის წინათქმა

ამფიპოლისისათვის წარმოებული ომი გაჭიანურდა; ფილიპემაც და ათენელებმაც ინდომეს ზავი. ათენელებმა — ომის წარუმატებლობის გამო, ფილიპეს კი სურდა აღესრულებინა ის, რისაც თესალიელთა და თებელთა შეპირდა. თებელთ იგი შეპირდა ორქომენისა და კორინთელს, ბეოტიის ქალაქთა გადაცემას, ხოლო ორთაველ ამათ — ფოკიდური ომის შეწყვეტას. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, სანამ ათენელებთან ჰქონდა ომი. ეგ იმიტომ, რომ წინათ, როცა იგი ფოკიდაში შეჭრას ლამობდა, ათენელებმა ხომალდებით წამოუარეს ეგრეთწოდებულ პილებს, ან სხვაგვარად ნოდებულ თერმოპილებს და გასაველი გზა ჩაუკეტეს. ახლა კი, ზავი რომ დადო ათენელებთან და აღარა აბრკოლებდა რა, გაიარა პილები, დაიმორჩილა ფოკეელთა ტომი და დანარჩენი ბერძნები აიძულა, ფოკეელთა ქვეყანა მიეღოთ ამფიქტიონიაში და მათი ხმები — საკუთარი. მერმე ელჩობა წარგზავნა ათენს, რათა იქ ლაპარაკოთ მისი პრძანებული. დემოსთენეს დათმობას არჩევს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს საქმე სამართლიანად მი ჩნია, პირიქით — ეს მარილობად რაცხს მაკედონიის მონაწილეობას ათენის საბჭოში, მაგრამ შიშობს, ვაითუ სხვაგვარად იძულებულნი შევიქმნეთ მთელი საბერძნეთის წინააღმდეგ გარდაეხვიესო საერთო ომი. იგი ათენელთ ამცნობს. დანარჩენი ბერძნები რამეს მოიმიზეზებენ და ერთიანი ძალებით დაგვიწყებენ ომს. თუ მათ ჩვენს საწინააღმდეგო საბაბს მივცემთო იმით, რომ მხოლოდ ჩვენ დავარღვევთო ამფიქტიონთა შეთანხმებას. ამიტომ უმჯობესად მიიჩნევს ზავს, — მით უმეტეს ახლა, როცა ფილიპემ პილები გამოელო და ატიკაში შემოკრა ძალებს. — ვიდრე მცირედისათვის დიდ ხიფათში ჩავარდნას.

მშვიდობისათვის

ვითარცა ეპვრიტ. ათენელო ვაქაცნო, საქმეთა ახლანდელ ვითარებას მრავალი სიძნელე და შფოთი ახლავს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მრავალი რამ დაკარგულა უკვე და დაკარგულზე საკარგიტყეო აღარა გიშთენია, არამედ იმიტომაც. რომ რაც გადაგვრჩენია, იმისაც ყველანი ერთიანი მიზნით არ წარგმართავთ — ერთნი ერთს ირჩევენ. სხვანი — სხვას. ესე საქმე, სამძიმო ბუნებით და საძნელო განსჯად. თქვენ კი-

დევ უფრო დაამძიმეთ, ათენელო მოქალაქენო! სხვა რიგის ადამიანები, ჩვეულებისაებრ, აღსრულებამდე გაარიგებენ საქმეს, თქვენ კი — აღსრულების შემდეგ. კარგა ხანია ასეთი რამეც მოგვდგება, ვითარცა ვუწყი, რომ რაჟამს სცდებით, პატივს სდებთ მაბრალებელს და მართლგანმსჯელად მიიჩნევთ მას, მაგრამ თვით განსასჯელ საქმეს ეურჩებით. თუმცა სინამდვილე ესევითარია, მე ვფიქრობ და თქვენც ამ რწმენებით წარმოგიდექით, რომ თუ უსმაროდ ისურვებთ მოსმენას და პირში უადგილოდ არ მეცემით, — როგორც სახელმწიფოსეულ საქმეთა, მეტადრე ამ რიგის საქმეთა ბრალმდებელთ არ შეჰფერის ეს, — მაშინ შევუდგები გამორჩეეთ განსჯას იმისას, რაც გაგვიუმჯობესებს აწინდელს და აგვინაზღაურებს უწინდელს.

ჩინებულად ვუწყი, ათენელო დარბაისელნო: იმაზე ლაპარაკით, რაც უკვე ერთხელ უთქვამს კაცს, შეუძლია თავი გამოიჩინოს ყველამ, ვინც თავმედიდია; მაგრამ ისე სიფრთხილეთ და საძრახად მივიჩნევ ამას აუცილებლობის მიუხედავად, რომ ამისგან თავი შორს დაიჭერია. განაღა ძაინც ვფიქრობ: იმ საქმისათვის, რომლის განსჯას ახლა უნდა შევუდგე, უკეთესი იქნებოდა, ზოგი რამ ჩემგან ადრე თქმულიც არ დაგვიწყნოდათ. რაც შემეხება მე, ათენელო დარბაისელნო, მაშინ, როცა ზოგ-ზოგები გარწმუნებდნენ თქვენ, ეგზეზე ამტყდარ შფოთში პლუტარქეს[1] დახმარებოდით სამხედრო ძალებით და, ამრიგად, უსახელო, თანაც საზარალო ომს შესდგომოდით, — მე ვიყავ პირველი და ერთადერთი, წინ რომ აღეუდექ მაგ მცდელობას; მაგრამ ლაშის დამგლიჯა მაშინ იმ ხალხმა, მცირე გამორჩენისათვის თქვენ დიდ-დიდი შეცდომების ჩასადენად რომ გაგულიანებდათ. გამოხდა მცირე ხანი, თავს დაიტეხეთ სირცხვილი და დაიწიეთ ისეთი რამ, რაც მანამდე არ დაუწვევია არცერთ კაცთაგანს. მაშინ კი ყველამ ერთად იცანით ავის ბარწმუნებლობა მათი და ჩემი კეთილმრჩეველობაც. მერმეც, ათენელო დარბაისელნო, როცა ენახე, მსახიობი ნეოპტოლემოსი[2] სარგებლობდა ხელოვნის ხელუხლებლობით და უდიდეს ზიანს უმზადებდა ქვეყანას — თქვენს შინაგანსჯილს გარეთ ფილიპეს განსასჯელად იქცევდა, — მე წარმოგიდექით და ეს გაუწყეთ თქვენ, ოღონდ არც პირადი მტრობით და არც ცილისწამების ვალისთვის, როგორც ეს შემდეგ დაადასტურა საქმემ. ამჯერად ვერცერთ ნეოპტოლემოსისათვის დამაშავრალ მეერმეტყველს დადებ მსჯავრს (ასეთი არაერთ ყოფილა მეერმეტყველთაგან), თვინიერ თქვენისა. მაგრამ თქვენ ბეშმარიტად რომ გეხილათ დიონისეს[3] ტრაგიკოსნი და სამშობლოს ხსნაზე და საერთო საქმეზე არ ყოფილიყო სიტყვა, მაშინ არც ამ სიტყვას შეეგებებოდით

სიხარულით და არც მე — მტრობით. თქვენ, ეფიქრობ, ხედებით, რომ მან მტრის ქვეყანაში იმოგზაურა ვალების შესაგროვებლად და წამოსაღებად, როგორც თავად თქვა, და აქ კიდევ — ლიტურგიის[4] აღსასრულებლად. იგი ხშირად სიტყვითაც ადასტურებდა, თუ როგორ შეიძლება საშიში ვუწოდოთ იმას, ვინც გაღმით შეძენილ თავის ქონებას გამოღმით ეზიდებაო. მაგრამ მაშინ როგორღა შეძლო, რომ მშვიდობის წყალობით აქ მოკრებილი ყოველი მონაგები იქ წააგო და გაფანტა? ეს ორთაგანი საქმე, რაც გიწინასიტყვევთ, სიტყვამვე ცხადყო, მართლ და დასტურ ჩემგან გამოჩინებულმა. და აგერ, მესამე საქმეც, ათენელო დარბაისელნო (როგორც კი ამაზე ლაპარაკს მოვრჩები, შევუდგები იმ საკითხს, რისთვისაც აქ გამოველ): რაკიბს ელჩებმა სამშვიდობო ფიცი დავდეთ და მოვბრუნდით, მრავალი გპირდებოდათ მაშინ თესპიისა და პლატეის[5] აშენებას, იმასაც, რომ ფილიპე იხსნიდა ფოკიდას, თუ ხელისუფალი გახდებოდა, თებეს სახელმწიფოს მოსახლეობას განყოფდა, იუფლებდით ოროპოსს და ამფიპოლისს სანაცვლოდ ევბეა გადმოგეცემოდათ. თქვენაც ამ რიოშ იმედებს აყოლილნი ცუდმაშვრალობდით, ფოკეელნი ბედის ანაბრად მიაგდეთ, მე კი მაშინ არც რამ ტყუილი მიკადრებია, არც სიჩუმის გზას დავდგომივარ, რის ჭეშმარიტებაშიც ახლავე დაგარწმუნებთ; პირიქით, გაფრთხილებდით, — როგორც თავად უნდა გახსოვდეთ ეს, — რომ მაგეებისა არა მჯერა და ვინც დაჯერებას ლამობს, ცუდმაშვრალობს-მეთქი.

ყველა ამისთვის, რაშიც მე სხვებზე უკეთესი წინანახედველი ეყოფილვარ, ერთი წამითაც, ათენელო დარბაისელნო, ვაგლახად არამც და არამც არ ავიფხორები; არც იმას ვაპირებ, რომ ეს განსჯა და წინაგუმანი სხვა რამეს მივაკუთვნო, გარდა ორისა, რასაც ახლავე მოგახსენებთ. პირველია ბედი, ათენელო დარბაისელნო, რომელიც ადამიანის ყოველ ძალასა და სიბრძნეს აღემატება. მეორე ისაა, რომ უანგაროდ განვსჯი და განვჩხრეკ საქმეს, ჩემს პოლიტიკურ საქმიანობაში პირად გამორჩენას ვერავინ დამწამებს, ვერცა თუ ჩემი სიტყვის სიწრფელეს გახდის საეჭვოდ.... სიკეთის ჯილდოს იმზომ მივითელი, რაზომ კეთილად წარიმართებიან საზოგადო საქმენი. როცა ვერცხლის ფულს ხასწორის ერთ მხარეს ვდებთ ხოლმე მხოლოდ, ცალმხრივად დაწონილი ვერ ასწონის საქმეს. ერთი რამ კი, მე მიმაჩნია, ამთავითვე უნდა მოხდეს: კერძოდ ის, რომ სამოკავშირეო, საგადასახადო თუ სხვა საქმე, ყურადღებას მიიქცევს იგი; და ვინც ასე იქცევა, ვერასოდეს სწორად რასაც კი ვინმე სახელმწიფოსთვის ამჯობინებს, ისე უნდა აღესრულოს, არ დაირღვეს არსებული მშვიდობა; არა იმიტომ, რომ იგი ქება

და ღირსებაა თქვენი, არამედ იმიტომ, რომ თავიდანვე გიჯობდათ, არ დაგედოთ ეს ხელშეკრულება, ვიდრე დადებული დაარღვიოთ ახლა. ჩვენ ხომ მრავალი რამ წავაგეთ მაშინ, როცა გაცილებით უსაფრთხო და იოლი იყო ომი, ვიდრე ახლაა. მეორე მხრით, თვალ-ყური უნდა გეჭიროთ, ათენელო დარბაისელნო, რომ ხალხთა ეს კრებული, ამფიქტიონებად[7] რომ რაცხს თავს, არ ავაბორგოთ და ერთობლივი ომის საბაბი არ მივცეთ საკუთრივ ჩვენს წინააღმდეგ. მე მგონია, კვლავ რომ დაგვეწყო ომი ფილიპესთან ამფიპოლისის ან კერძო რამ კინკლაობის საბაბით, და ეს არ შეხებოდა თესალიელთ, არგოსელთ თუ თებელთ, მაშინ არც ერთი ამათგანი ომს არ აგვიტეხდა. ყველაზე ნაკლებად კი ამას იზამდნენ — ნუ ახმაურდებით, სანამ არ მოისმენთ — თებელნი, არა იმიტომ, რომ თქვენ გაამებდნენ ამით ან ფილიპეს გაანაწყენებდნენ, არამედ უწყიან კარგად, — თუმც კი ზოგიერთნი ბრიყვებად თვლიან მათ, — რომ თუ ომს თქვენს წინააღმდეგ წამოიწყებდნენ, თავად ყოველ უბედურებას დაიტეხდნენ, ხოლო სიკეთეს სხვა მიიკერძებდა, სრულიად უქმად მჯდომელი. ამრიგად, ისინი თავს არ ჩაიგდებდნენ ამ საფრთხეში, რამდენადაც არ ექნებოდათ არც საფუძველი და არც მიზეზი ომისთვის. ასევე, თებელებთან რომ გვეომა ოროპოსისთვის ან სხვა რამ კერძო მიზეზით, ვფიქრობ, დიდად არ ვივნებდით თავს: ჩვენაც და იმათაც, ალბათ, გაჰოგვიჩნდებოდნენ სამხედრო მოკავშირენი, რომლებიც ჩვენს მხარდამხარ იბრძოლებდნენ, თუ ვინმე მომხვდური დაგვეცემოდა შინ, მაგრამ სხვებზე თავდასხმისას არ თანაილაშქრებდნენ არავისთან. სამხედრო კავშირნი ხომ ამგვარნი არიან საზოგადოდ და ზოგიერთზე კი უნდა შევაჩეროთ ყურადღება. საქმის ვითარება ასეთი გახლავთ: ამათთაგან ყველანი თანაბრად არ არიან კეთილგანწყობილნი ჩვენსა და თებელთ მიმართ, გინდ სხვათაგან უძლეველნი ვიყოთ და გინდ სხვათა მძლეველნი. ცხადია, თავისთვის სხვათაგან უძლეველობა ურჩევნია ყველას, რამეთუ არავის სურს დაძლეული და დამონებული იყოს ვინმესაგან. ამრიგად, რას მივიჩნევ საშიშრად, რისთვის უნდა გაგაფრთხილოთ? ომმა უნდა იქონიოს საერთო მიზეზი და ერთიანი მიზანი მოგებისა, რაშიც ყველა შეეცდებოდა დაედო წილი. მაგალითად, არგოსელნი, მესენიელნი, მეგალოპოლისელნი ან დანარჩენი პელოპონესელნი თუ დაინახავენ, რომ ლაკედემონელებთან საქმიან ურთიერთობას ვიჭერთ და თითქოს თანაეუგრძნობთ კიდეც ზოგიერთ მათ მოქმედებას, — ესენი გაგვიმტერდებიან მაშინ. თებელნი ახლა თუ მტერნი არიან ჩვენი, მალე უმტრესნიც რად არ იქნებიან, როცა ყველაფერში არაკეთილგანწყობი-

ლებას ვამეღავნებთ მათ მიმართ და თავშესაფარს ვაძლევთ მათგან ლტოლვილ ხალხს. თუ ამასვე იქმენ თესალიელნი იმის გამო, რომ ფოკიდელ ლტოლვილთ ვინახავთ, ასევე ფილიპეც, — რადგან ხელს ვუშლით ამფიქტიონიაში მის გაერთიანებას, — ეშიშობ, ყველამ საკუთარი უკმაყოფილების საფუძველზე ერთად არ აგვიტეხოს ომი; დიახ, საშიშია, ათენელო დარბაისელნო, ამფიქტიონთა დადგენილება არ მოიმიზეზონ და აუცილებლობით, თუნდაც თავიანთ საზარალოდ, ომში ჩვენს წინააღმდეგ არ ჩაებას თითოეული ქვეყანა, როგორც ეს მოგვივიდა, მაგალითად, თებელებთან. თავად უწყით კარგად, რომ ახლა თებელნი, ფილიპე და თესალიელნი, თუმცა ერთსა და იმავე მიზანს არ ისახავენ, მაინც ერთსა და იმავე გზას დაადგნენ; თებელებმა ხელი ვერ შეუშალეს ფილიპეს, მისულიყო და დაეპყრა გასასელელები, მოეხვეჭა ის დიდება, რისთვისაც თავიდანვე თვითონ უფრო იღვწოდნენ, ვიდრე მათ შემდეგ მოსული ფილიპე. თებელნი კი გაისარჯნენ, რაღაც საქმეც გააგვარეს — სასარგებლო თავიანთი ქვეყნისათვის, მაგრამ პატივისა და ღირსებისათვის საეჭვო; რადგან, ფილიპე რომ არ მოსულიყო, მათ საიმედო აღარა შთენოდათ რა. ეს არა ჰქონდათ გათვალისწინებული, — იფიქრეს, ორქომენს და კორონეას ავიღებთო და, რომ ვერ აიღეს, ყველაფერი იმას დაუთმეს. ზოგიერთნი კადნიერდებიან ისიც თქვან — ფილიპე არც კი აპირებდა თებელთათვის ორქომენისა და კორონეას გადაცემას, მაგრამ იძულებული გახდაო. მათ გასაგონად ვიტყვი: „აგრეთვე იდღეგრძელეთ!“ მე კი ერთი ვუწყი — იგი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ საკითხს, ვიდრე გასასვლელების დაკავებას, საომარ დიდებას, ომის მსჯავრის საკუთრივ დაკანონებას და პითიური დღეობის მისგანვე გარდახდას. სულ ეს იყო, უმთავრესად რასაც ლამობდა იგი. თესალიელნი კი ამა საქმეთაგან არც ერთს არა რჩეობდნენ, — არც თებელთა და არც ფილიპეს გაძლიერებას (ეს ხომ მათსავე საწინააღმდეგოდ იქნებოდა მიმართული); ესენი ესწრაფოდნენ ოდენ პილოსისა და დელფოსის საქმეთ გამრიგეობას, ამ ორთაგანი საქმით სარგებლობას, რომელიც, როგორც მერმე გაირკვა, იმას გულუმზადეს. ამრიგად, როგორც თავად გამოიძიეთ, ყოველმა მათგანმა მრავალი ისეთი რამ ჩაიდინა, რისი ჩადენაც სრულებით არა ჰქონია განზრახული. დიახ, ეს არის და სწორედ ეს, რისი გაფრთხილებაც გმართებთ. „და ჩვენც სხვათა ბრძანებული ამის შიშით აღვასრულოთ? და შენ ამას მოგვიწოდებ?“ — არამც და არამც! მაგრამ იმას კი გეტყოდით, რომ არაფერი აღვასრულოთ ისეთი, რაც ჩვენს ღირსებას შელახავს; ავიცილოთ ომი, რომ ყველას ღირსეულად

შოვაჩვენოთ თავი და ჩვენს სამართლიანობაზე ავალაპარაკოთ, — აი, ეს უნდა ვქნათ-შეთქი, ვამბობ. იმ გაბედულთ, ხიფათს რომ ეს წრაფვიან და ომისას ვერას ითვალისწინებენ, ასეთ რჩევას ვთავაზობ: ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ თებელებმა დაიპყრონ ორიპოსი. მაგრამ ვინმემ რომ გვკითხოს და მართალი პასუხი მოგვთხოვოს კითხვაზე — რისთვისო? — იმისთვის, რომ ომი ავიცილოთო, — ასე მივუგებდით. აგერ ახლა ჩვენ შეთანხმებით ამფიპოლისი მივუბოძეთ ფილიპეს; კარდიელებს[8] ხერსონესის დანარჩენი ქვეყნის გარეთ ვტოვებთ, კარიელის მისატაცებლად ვტოვებთ კუნძულებს — ქიოსს, კოსს და როდოსს, ბიზანტიელთა საალაფოდ — ხომალდებს, და ეს იმიტომ, რომ ზაკით ბოძებულ სიმშვიდეს უმეტეს სიკეთედ მივიჩნევთ, ვიდრე ზემორე ხსენებულით გამოწვეულ განაწყენებას და ჯიუტად დადგომას. უგუნურება იქნებოდა და სრული სიგიჟე, — როცა თითოეულთან და ყველასთან ერთად ასე გვაქვს საქმე, — კერძო ქონებისა და პირველშიხმარების საგნებისათვის[9] დაგვეწყო ომი დელფოსის აჩრდილს ამოფარებულთ.

მეორე სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ

ლიბანიოსის წინათქმა

ამ სიტყვაში ორატორი შთააგონებს ათენელებს, მტრად შერაცხონ ფილიპე, ზავს მეტისმეტად ნუ დაენდობიან, საზრიანად შეაფასონ საქმეთა ვითარება და ემზადონ ომისათვის. იგი ბრალსა სდებს ფილიპეს ათენელთა და სრულიად ელადის საწინააღმდეგო მცდელობისათვის და ამ სიტყვას საცნაურყოფს მისი საქმეებით. აცხადებს, რომ მზადაა პასუხი მიაგოს ზოგიერთ მოსულ ელჩს თავად, რადგან ათენელთ არ მიიჩნევს მზად პასუხის გასაცემად. საიდან და რისთვის მოვიდნენ ისინი, ამ სიტყვაში არ არის გაცხადებული, მაგრამ შესაძლებელი ხდება ფილიპეს ისტორიის შეცნობა. საქმე ისაა, რომ იმ დროს ათენელებთან ელჩები წარავლინა ფილიპემ, რომელიც ბრალს სდებდა ამათ — ელინელებში ტყუილ ხმებს აერცელებთ, თითქოს მრავალს შეგპირებოდეთ და სიტყვა გამემრუდებინოსო: გეუბნებით, არც რამეს შეგპირებიეართ და არც პირი გამიტეხია თქვენთვისო, და მოითხოვს საბუთს ბრალდებისათვის. ფილიპესთან ერთად ათენელებთან ელჩობა წარმოგზავნეს არგოსელებმა და მესენელებმა, რომლებმაც ბრძოლი დასდეს მათ, თქვენი ხალხი ლაკედემონიას ემხრობა და პელეპონესის დამონებაში იდებს წილს, ხოლო ჩვენს განმათავისუფლებელ ომს წინ აღდგომიაო. ამრიგად, ათენელებს თავსატეხად გახდომიათ, რა უპასუხონ ფილიპეს და რა — ამ სახელმწიფოებს. მათ არ ძალუძთ არგოსელთ და მესენელთ განუმარტონ ლაკედემონელებთან ურთიერთობის არსი, არც ის, რომ ზიზღით და ეჭვით უყურებენ ფილიპესთან თანადგომას, ვერც ლაკედემონელთა სამართლიან მოქმედებას წარმოაჩენენ. ‘ფილიპესაც ვერ დააბრალებენ, რომ რამეს შეპპირდა მათ და მერე მოატყუა, რამდენადაც მას არც ეპისტოლეში ჩაუწერია ეს და არც პირადად განუცხადებია, არცთუ ელჩების პირით შემოუთვლია რამე. მაგრამ ზოგიერთი ათენელი მაინც შთააგონებდა ხალხს, ფილიპე ფოკეელთ შეიწყნარებს და თებელთა თავგასულობას ალაგმავსო. ამ საკითხთა მომხსენებელი დემოსთენე აცხადებს — თავად განვაჩინებო პასუხს, თან იქვე დასძენს — სამართლიანი კი იქნებოდა პასუხი მათ განეჩინათ, რომელთაც ეს სიძნელე შეექმნესო, კერძოდ, ვინც ხალხი მოატყუა და ფილიპეს პილები გაუხსნაო. აქ იგი კენწლავს ესქინეს, რომელმაც, როგორც ამბობენ, მოუმზადა მას ბრალდება თავისი უკანონო ელჩობისას და მერმე აღძრა კიდეც ეს ბრალდება.

მეორე სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ

როგორც კი სიტყვა იმაზე ჩამოვარდება, ათენელო დარბაისელნო, რასა იქმს ფილიპე, ვთქვათ, როგორ ხელყოფს იგი მშვიდობას, — ვხე-

დავ, რომ თქვენი სიტყვა მუდამ სამართლიანია, კეთილშობილური, ყველაფერს საქროების მიხედვით სჯით ფილიპეს მბრალმდებელნი, მაგრამ თქმულ-განსჯილიდან, შეიძლება ითქვას, თითქმის არაფერი სრულდება; დიახ, არაფერი სრულდება იმ საქმეთაგან, რომელთა გამოც შეგვეძლო მოსმენის ღირსად ჩაგვეთვალა სიტყვა. ახლა უკვე ისე წავიდა ქვეყნის საქმე, — რაც უფრო აშკარად ჰკილავს ვინმე ფილიპეს იმისათვის, რომ დაარღვია თქვენთან დადებული ხელშეკრულება, ან მტრად წაეკიდა მთელს ელადას, მით უფრო ძნელი გასარკვევი ხდება, რა გზას დავადგეთ. ამის მიზეზი ისაა, ათენელო დარბაისელნო, რომ ვინც უძღებობას ესწრაფვის, მას მოქმედებითა და საქმით უნდა ვზღუდავდეთ და არა სიტყვით; მაგრამ, პირველ რიგში, ჩვენ, აქ გამოსული ორატორები, გავურბივართ წერილობით კანონდებას და რჩევებს იმის შიშით, ვაითუ თქვენგან უსიამოვნება დავიტეხოთ თავს, ვუყვებით მხოლოდ, თუ როგორ ირჯება იგი, როგორის თავხედობით და გულარძნილობით, და სხვა ამდაგვართ. თქვენის მხრით, აქ მსხდომნი მზად ხართ სამართლიანი სიტყვების წარმოსათქმელად, ამავე დროს სხვის ნათქვამსაც უკეთ განჩხრეკთ, ვიდრე თვით ფილიპე, მაგრამ არასგზით არ ესწრაფვით წინ აღუდგეთ მის ამჟამინდელ საქმიანობას. ასეთია ვითარება. აუცილებელი კი, ვფიქრობ, და ბუნებრივიც გახლავთ აი, რა: თუ სურვილს საქმეს შეუწონით, მხოლოდ მაშინ მოიგებს დიდად ყოველი თქვენთაგანი, თორემ სხვაფრივ ფილიპეს საქმე შერჩება ხელთ, თქვენ კი — ლაყბობა. ახლა იმასღა რომ კმარობთ, უმეტესი სამართლიანობით ემსჯელობთო, — ეგ, გარდა იმისა, რომ იოლი რამ არის, საქმეს სრულებითაც არ შველის. თუ აწინდელი მდგომარეობის გამოსწორებას ვფიქრობთ, თუ გვინდა, რომ უარესად არ წაგვივიდეს საქმე ან ისეთი ძალა არ დაგვადგეს, რისი გადატანაც გაგვიჭირდება, მაშინ წინანდებური სჯა-ბაასი აღარას გვიშველის და მთქმელსაც და გამგონესაც ხსნის უმჯობესი გზის ძიება უფრო გვმართებს, ვიდრე იოლი, სასიამოვნო საუბრებით თავის შექცევა.

უწინარეს ყოვლისა, თუა ვინმე, ათენელო დარბაისელნო, ვინც კარგად ხედავს, რარიგ აღზევდა ფილიპე, და მაინც ფიქრობს, რომ იგი არავითარ საფრთხეს არ უქმნის სახელმწიფოს და ყოველი ღონით არ ემზადება თქვენზე მოსატევად, — გამიკვირდება, — და მინდა ყური ათხოვოთ ჩემს მცირე სიტყვიერ განმარტებას, სადაც საწინააღმდეგოდ მესახება ეგ საქმე, რის გამოც ფილიპეს სწორედ რომ მტრად მივიჩნევ. თუ მე სამჯობინარ წინასწარმხედველად მიცნობთ, მერწმუნეთ, ხოლო თუ ეგ მამაცნი გიჯობთ, ფილიპეს რწმენას რომ აღგანან, მაშინ

მაგათ მიეკედლეთ. მე, ათენელო დარბაისელნო, ამგვარად განვსჯი: რისი ბატონ-პატრონი იყო ფილიპე უპირველესად ყოველისა ზავის დადების შემდეგ? პილებისა[1] და ფოკიდის ყოველთა საქმეთა. მერმე? როგორ ისარგებლა მან ამით? არჩია ემოქმედა თებელთა და არა ჩვენი სახელმწიფოს სასარგებლოდ. მერედა რისთვის? იმისთვის, ვფიქრობ, რომ იგი, მიტაცებისა და ძალაუფლების მოსურნე, — სულაც რომ არ ფიქრობდა ზაფზე, წმიდობაზე და სამართლიანობაზე, — აშკარად მიხვდა, ვერ აცდუნებდა ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს ადათებს, ვერც ისეთ რასმე ჩაიდენდა, რითაც ვთქვათ, გადაგიბირებდათ და გაიძულებდათ, თქვენს სასარგებლოდ და დანარჩენ ბერძენთა საზარალოდ რამე გაგეწირათ მისთვის. ამასთან ერთად, ნახა, სამართალს მართლად განარჩევთ, სამარცხვინო საქმეებში მონაწილეობას გაურბიხართ, რამეთუ წინდაწინვე უწყით მისი ბოლო, და იმის ყოველგვარ საამისო მცდელობას ისეთივე ძალით აღუდგებით წინ, როგორც ომის ჟამს აღუდგებოდით.

რაც შეეხება თებელებს, — როგორც მან ივარაუდა, სწორედ ისე მოხდა. კერძოდ კი, მან ივარაუდა, რომ თებელები, მათდამი გაწეული დახმარების წილ, დანარჩენ საქმეებში ხელს გაუმართავდნენ მას, არათუ წინ აღუდგებოდნენ მის მცდელობას ან შეაბრკოლებდნენ, არამედ თანაილაშქრებდნენ კიდეც მასთან ერთად, თუ თავად ამას ინებებდა. ახლაც, ამდაგვარი ზრახვით შეპყრობილი, მესენელთ და არგოსელთ სწყალობს იგი. ესეც თქვენს ქებად მიითვალეთ, ათენელო დარბაისელნო! თავად უწყოდეთ ამ საქმისა, რამეთუ სხვათაგან მხოლოდ თქვენ განდგომიხართ სასარგებლო ქმედებას და ელინთა საზოგადო სამართლიანობას, არც თქვენს პირად სარგებელს ესწრაფვით რასმე, არც ელინთა კეთილდღეობას. ბუნებრივია, თქვენს მიმართ ერთი რამ ივარაუდა მან, არგოსელთა და თებელთა მიმართ კი — მეორე, რამეთუ არა მხოლოდ აწინდელი, უწინდელიც გაისიგრძეგანა. გამოიძია, ვფიქრობ, თქვენთა წინაპართა ნამოქმედარიც: რომ მათ შეეძლოთ დანარჩენ ბერძნებზე გაბატონებულიყვნენ, თუ თავად დამორჩილდებოდნენ მეფეს[2], მაგრამ არათუ უარყვეს ეს წინადადება, რაჟამს მოდგა ამა ამბავთა მაუწყებელი ალექსანდრე[3], — არამედ ქვეყნის დატოვება აჯობინეს, გადაიტანეს ურიცხვი უბედურება და აღასრულეს საქმენი, რომელთა თხრობად ყველა ისწრაფის აწ, მაგრამ ღირსეულად ვერავინ შეძლო ეს, მით უმეტეს არც მე ვაპირებ (ესე საქმენი ეკეთოდენ დიდნი არიან, ვეუბნობ, სიტყვით გაცხადოს ვინმემ); ხოლო თებელთა და არგოსელთა წინაპართაგან ზოგნი ბარბაროსებთან ერთად

გებრძოლნენ, ზოგიც წინააღმდეგობას არ უწევდა მათ. ამრიგად, მან უწყის, რომ ერთიც და მეორეც პირად სარგებელს ამჯობინებს და ამათგან არც ერთი ელინთა კეთილდღეობას არ იფიქრებს. მან ისიც ივარაუდა, რომ თუ თქვენ აგირჩევდათ, შეიძენდა სამართლიან მეგობრებს, თუ იმათ თანაუდგებოდა, ეყოლებოდა თავისი მზვაობრობის თანამზრახველნი. ამიტომაც მათი თანადგომა ერჩივნა წინათაც და ურჩევნია ახლაც, თუმცაღა ხედავს, რომ მათ თქვენზე მეტი ტრიერები არ მოეძევებათ. ამას იმიტომ როდი შვრება, რომ რამდენიმე სახმელეთო საგამგებლო ჰპოვა და ზღვასა და ნაესადგურებს არ საჭიროებს, ან არ ახსოვს სიტყვა და პირობა, რითაც ზავი მიიღო.

არაო, — ვფიცავ ზეუსს, — იტყოდა თქვენთაგანი ვინმე, ვინც ცხადლივ უწყის ყოველი; არც მზვაობრობით, არც იმით, რაშიაც მე ვდგებ ბრალს, ეგ არ ჩაუდენიაო მას, არამედ თებელნი გაცილებით მეტის სამართლიანობით იჩემებდნენ თავისას, ვიდრე თქვენაო. მაგრამ ამის მთქმელს რაგინდრა ეთქვა, ყველაზე ნაკლებ ამის თქმა მართებდა. ვინც მესენეს[4] განთავისუფლებას ითხოვს ლაკედემონელთაგან მაშინ, როცა ორქომენი და კორონეა თვითონ მიუბოძა თებელთ, — შეიძლება მასზე ითქვას, მართლად იქმს და მართლად განიკითხავსო?

„მაგრამ ეს იძულებით ქნა, ვფიცავ ზეუსს (ესღა გრჩებათ სათქმელად!), თავისი განზრახვის საწინააღმდეგოდ დაადგა ამ გზას თესალიელ მხედართა და თებელ ჰოპლიტთა შუა მდგარიო“[5]. კეთილი. ვთქვათ ამ საბაბით, რაზედაც ლაპარაკობენ კიდეც, იგი სიფრთხილით ეპყრობა თებელთ, ხოლო ზოგი მოხეტიალე ჭორმეტყველი იმასაც იძახის, ელატეას[6] ამაგრებსო. მაგრამ მას ესეც სურს და ისურვებს მრავალ სხვასაც, — მე ეგრე მითქვამს, — მესენელთა და არგოსელთა შეწევნა კი არ უნდა მას ლაკედემონელთა წინააღმდეგ, მხოლოდღა მოქირავნეთ აგზავნის, სახსრებს აბანდებს, ხოლო თავად დიდი ჯარით მდგარი მომლოდინეობს. თუ თებელთა აწინდელ მტერს — ლაკედემონიას დაიპყრობს იგი, განა იხსნის ფოკეელთ, რომელნიც თავად დაღუპა? ვინ დაგვარწმუნებს ამაში? ვთქვათ და, თავდაპირველად ფილიპემ ეს მოიმოქმედა აუცილებლობის კარნახით, თავის ზრახვათა გარეშე, ან ამჯერად განდგომა ისურვა თებელთაგან, — მაშინ არა მგონია, რომ იმათ მტრებს ასე დაეინებით აღდგომოდა წინ. მაგრამ ცხადია, რასაც ახლა იქმს, ადრეც იმასვე თავის ზრახვათაებრ იქმოდა. ყველა, ვინც კი საღად განჭვრეტს, ნახავს, რომ ჩვენი ქვეყნის საზიანოდ ყოველივეს მოიმოქმედებს იგი, თითქოსდა ახლაც გარდუვალობა რომ აიძულებს ამას. განსაჯეთ თავად: იგი ესწრაფვის ხელისუფლე-

ბას, ხელშემშლელებად ამაში კი მხოლოდ თქვენ მიაჩნიხართ. დიდი ხანია, ჩვენს ქვეყანას უსამართლოდ ეპყრობა და ყველაზე უკეთ ეს თავად უწყის. თქვენს ქონებულს რომ იქონიებს, ამით ფეხმომდგარი სხვა მოსახვეჭელის მოხვეჭასაც იადვილებს. მან იცოდა, თუ ამფიპოლისს და პოტიდეას ხელიდან გაუშვებდა, შინ მშვიდობით ვერ ეჯდომებოდა. ამრიგად, მან იცის ეს ორთაგანი: ის, რა გულიც აქვს თქვენზე და ის, რაც თქვენ შეგიტყვიათ მასზე. ამასთანავე, რამდენადაც ჭკუათმყოფელ ხალხად გრაცხს თქვენ, თელის, რომ სამართლიანად უნდა გძულდეთ იგი; ამდენად, შეგიძლიათ, დრო იმარჯვოთ და რამე იღონოთ, თუმცა, შეიძლება, პირველმავე თავად მოგცეთ გამაფრთხილებელი ნიშანი. ამიტომ ფხიზლობს იგი, მუდამ ფეხზე დგას, თანაეზრახვის თებელთ და პელეპონესელთაგან იმათ, ვინც მის მზვაობრობას თანაუდგება, თანაც ფიქრობს, რომ თავისი უძღებობით ამათ ბედსა სწევს. უფრო შორს კი ვეღარ იყურება გონწაღებული. ერთი ამბავი, რომელიც შეიძლებოდა სათვალცხადო მაგალითად მიეჩნია საღად მოაზრეს და რაც ერთხელ მესენელთ და არგოსელთ ვუთხარ, ურიგო არ იქნებოდა მეთქვა თქვენთვისაც.

როგორ ფიქრობთ-მეთქი, მესენელო ვაჟკაცნო, — ვეუბნებოდი მათ, — რა უგულისყუროდ უსმენდნენ ოლინთოსელნი ყველას, ვინც კი აუგს ამბობდა ფილიპეზე იმ დროს, როცა ანთემუნტი[7] დაუთმო მათ და გააბოძა პოტიდეა, საიდანაც განდევნა იქ მოსახლე ბერძნები; როცა თავად ჩვენი მტრობა არჩია, მათ კი ეს ქვეყანა საგამგებლოდ გადასცა? ფიქრობდით, საქმე ასე არ წარიმართებოდა? მაშინ რომ ამაზე სიტყვა დაეძრა ვინმეს, ვინ დაუჯერებდა? ამრიგად, ვეუბნებოდი მათ, სხვისი მიწის ნაყოფის ეამმოკლედ გამსინჯველებმა დაჰკარგეს კუთვნილი-მეთქი, სამარცხვინოდ იქნენ გაძევებულნი, არა მხოლოდ დამარცხებულნი, კიდევაც მოძმეთაგან ნაღალატევნი და გაყიდულნი. ეგრე ცრუ-საიმედოა მეთქი თავისუფალ სახელმწიფოსთვის ტირანებთან მეტისმეტი დაახლოება. ხოლო თესალიელნი? როგორ გგონიათ, — ვამბობდი მე, — როდესაც ტირანები გაუძევა მათ ან ნიკეა და მაგნეზია მიუბოძა, იფიქრებდნენ მაშინ ისინი, რომ სადღეისოდ ათთა ხელისუფლება[8] ექნებოდათ? ან მათთვის პილების მიმბოძებელი აწ მათ კუთვნილს თავად წამოიღებდა? შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? მაგრამ ეს მოხდა და ყველას ეუწყა. თქვენ კი, — ვამბობდი მე, — უყურებთ ფილიპეს, ვითარცა მბოძებელს და შემპირებელს, მაგრამ ილოცეთ ომისთვის, რომ თქვენს შემაცდენლად და მომყივნებლად არ იხილოთ-მეთქი იგი. მრავალი საშუალება არსებობს, ვფიცავ ზეუსს-მეთქი,

ვამბობდი, ქალაქის დასაცავად და დასახსნელად რომ მოუგონია სახელმწიფოს, — თუნდაც სიმაგრე რამ, ციხე-ქალაქი, საფარი ან მისთანანი. ყველა ეს საშუალება ხელით კეთდება და ხარჯებს საჭიროებს. არის ერთი რამ ზიარი ბუნება გონიერთათვის, მცველად რომ ევლინება მათ, რომელიც სიკეთედ და ხსნად ევლინება აგრეთვე ყველას, მეტადრე კი თავისუფალ ხალხთ ტირანთა წინააღმდეგ. კერძოდ, რაღაა ეს? უნდობლობა, გაუფრთხილდით მას, მოიმარჯვეთ იგი. თუ მას დაიცავთ, ყოველ უბედურებას დააღწევთ თავს. რას ეძიებთ-მეთქი თქვენ, — ვამბობდი, — თავისუფლებას? მერედა განა ვერა ხედავთ, რომ ფილიპე მისი სახელის ხსენებასაც კი გაურბის? ყოველი მეფე და ტირანი განა თავისუფლების მტერი არ არის და კანონთა უარმყოფელი? განა არ უნდა გაუფრთხილდეთ, ომს რომ გაურბიხართ, ბატონი არ შეიძინოთ-მეთქი? — ასე ვამბობდი.

მაშინ ჩემი მსმენელნი ყიჟინით მიდასტურებდნენ, მართალს ამბობო, მაგრამ ამას იქით უსმინეს სხვა ელჩთა სიტყვებს, ზოგს ჩემი იქ ყოფნისას, ზოგსაც მერმე, ჩემი არყოფნისას, და, როგორც ჩანს, ისინი ვერც ფილიპეს მეგობრობას და ვერც მის შეპირებებს შეელევიან. ის კი არ არის გასაკვირი, რომ მესენელნი და პელეპონესელნი ჭეშმარიტად გონივრულად მიიჩნევენ იმას, რასაც იქმენ, არამედ ის, რომ თქვენ, — ყოვლად გაგებულ-გათვითცნობიერებულნი, აგრეთვე ჩვენგან, ორატორთაგან უწყებულნი იმის თაობაზე, თუ როგორ ხდებით შეთქმულთა მსხვერპლი და მარწუხებში ექცევით, — გულგრილად რომ უელით გვერდს ყოველივეს. ვფიქრობ, ვაითუ ამისთვის ძვირად ზღოთ მერმე, რაკიღა დღევანდელი განცხრომა და სიამე გირჩევნიათ მომავალზე ზრუნვას.

ამრიგად, იმ საქმეთ, რაც თქვენს ხელთაა განსჯად, მერმე განსჯით თავადვე, თუ გონს დაიუნჯებთ; ახლა კი, რაც ფსეფისმისათვის უნდა ითქვას, იმას მოგახსენებთ.

სამართლიანი იქნებოდა, ათენელო დარბაისელნო, აქ გვეხმო ისინი, რომელთა შეპირებებს დანდობილნი, თქვენ ზავს დასთანხმდით. მეც არასოდეს მივიღებდი ელჩობაში მონაწილეობას და არც თქვენ შეწყვეტდით ომს, თუ გცოდნოდათ, რომ ფილიპე ზავით ესევითარ საქმეთ აღასრულებდა. ამისგან დიდად შორს იყვნენ მაშინ ნათქვამი სიტყვები. შეგვეძლო გვეხმო აგრეთვე სხვებიც. კერძოდ ვინ? ისინი, ვინც ჩემს წინააღმდეგ გამოდიოდნენ: როცა მე ზავის შემდეგ მეორე ელჩობიდან მოვბრუნდი ფიცის დასადებად და ვიგრძენ, რომ ქვეყანა მოყვნებულია, გაფრთხილებას ვიძლეოდი, ვამტკიცებდი, — პილებისა

და ფოკეელთა მიტოვება არ შეიძლება-მეთქი. მაშინ ეგენი ჩემზე ამ-ბობდნენ, რომ მე მხოლოდ წყალს ვსვამ და ამიტომ, ბუნებრივია, მო-ღუშული და ბოლმიანი ადამიანი ვარ. ფილიპე კი, როგორც თქვენ მო-გეწონებოდათ, ისე მოიქცეოდა — თუ მოვიდოდა, გაამაგრებდა თეს-პიასა და პლატეას, ალაგმავდა თებელთა თავხედობას, თავად გაასრუ-ლებდა ქერონესის მიწაყრილს, ევბეასა და ოროპოსს კი ამფიპოლისის წილ თქვენ მოგიბოძებდათ. ყოველივე ეს ამ ტრიბუნიდან წარმოითქ-მოდა, გახსოვთ ეს, თუმც კი დიდმეხსიერნი არ ხართ ავის მქმნელთა მიმართ, და, რაც ყველაზე საძარცხვინოა, იმედით ატაცებულებმა ეს ზავი მომავალ თაობაზეც განავრცეთ ფსეფისმით. აი, რა შედეგს მიაღ-წიეთ. რად ვამბობ ახლა ამას და რად ვუხმობ ამა საქმეთა მოქმედთ? ვფიცავ ღმერთებს, მისთვის, რომ ვიყო წრფელი და არაფერი დავმა-ლო. მაგრამ იმისთვის არა, რომ ლანძღვა-გინებას მივყო ხელი ან იმათ მსგავსად წარვმართო სიტყვა, — ხოლო ამით ჩემს წინააღმდეგ ადრე გამოსულთ საბაბი მივცე, რამე კვლავ მიიღონ ფილიპესაგან, — არც უბრალოდ ყბედობის გუნებაზე გახლავართ, მხოლოდ იმას ვფიქრობ, რომ ფილიპე ახლანდელზე ბევრად უმეტეს მწუხარებას გიმზადებთ თქვენ. მძიმე საქმე დაძრულია, ვხედავ, და, — თუმც არ ვისურვებდი ჩემი გუმანის ახდენას, — ვშიშობ, მეტად ახლოს ხომ არ მოაწია მან. როცა შექმნილი ვითარება აღარ მოგცემთ უმოქმედობის საშუალებას, როცა აღარ მოგიხდებათ თქვენზე მოწევნილ საშიშროებათა ჩემგან ან სხვათაგან მოსმენა, არამედ თავად ნახავთ ყოველივეს და შეიცნობთ, მგონი, მაშინღა თუ გამოიჩენთ მრისხანებასა და სიმკაცრეს. ვშიშობ იმაზეც, ელჩებმა დუმილით არ აუარონ გვერდი იმ საქმეებს, რაშიც, თავად მოგეხსენებათ, დაქრთამულნი არიან, ხოლო თქვენი რისხვა არ დაიტეხოს მან, ვინც ამ განწირული საქმიდან რაიმეს გადარჩენას ლამობს. როგორც ვუწყი, ზოგს სჩვევია, დამნაშავეს კი არა, უფრო იმას დაატეხს რისხვას, ვინც ხელში მოხვდება. მაგრამ საქმეს სანამ ასეთი პირი უჩანს და ერთმანეთს ვუსმენთ, მე მინდა ყოველ თქვენ-განს, — თუმცა უჩემოდაც კარგად უწყით ეს, — მოვაგონო, თუ ვინ არის იგი, ვინც თქვენ ფოკეელნი მიგატოვებინათ და პილები დაგათ-მობინათ, თავად კი, ამ ადგილთა მფლობელი, ამავე დროს ატიკის გზისა და პელეპონესის ბატონ-პატრონი შეიქნა, რითაც ჩაგაყენათ ისეთ პირობებში, რომ არც სამართლიანობაზე იზრუნოთ, არც საგარეო საქმეებზე, არამედ მხოლოდ თქვენივე ქვეყნის ბედზე და ატიკის ომზე, რომელიც დიდ მწუხარებას მოუტანს ყველას, როცა დაიწყება, ის კი სწორედ [illegible] ფაისანა. [illegible] რომ [illegible] არ [illegible]

ქვეყნის საქმეც ეგრე არ წარიმართებოდა. ვერასოდეს დალაშქრავდა ატიკას ფილიპე, ვერც ხომალდებით დაგვძლევდა და ვერც ფილებისა და ფოკიდის სახმელეთო გზებით მოგვეძალებოდა, — არამედ მოიქცეოდა სამართლიანად, შეთანხმდებოდა ზავზე, დაიცავდა მშვიდობას; თუ არადა, წააწყდებოდა ისეთსავე ომს, რამაც მაშინ ზავი დააჩქარებინა. გასახსენებლად კმარა, რაც მოგახსენეთ; მაგრამ არ გარდაგვხდენოდეს ესევითანი სიმუხთლენი, — ამას გთხოვთ, დიდო ღმერთებო! ამავე დროს მე მივაგებდი ხიკვდილს და შურისგების სასჯელს იმათ, ვინც ეს სამართლიანად დაიმსახურა, თუკი საყოველთაო ხიფათს ავშორდებოდით ამით.

ჰალონესისათვის

ლიბანიოსის წინასიტყვა

ამ სიტყვის წერილობითი სახელია „ჰალონესისათვის“, უმჯობესი კი იქნებოდა „ფილიპეს ეპისტოლე“ რქმეოდა მას; ფილიპემ ხომ წერილი გამოუგზავნა ათენელებს მრავალ საკითხზე და მათ შორის ჰალონესის შესახებაც, რომელიც ძველთაგანვე ათენელთა სამფლობელო იყო, ხოლო საიმდროოდ ყაჩაღებს ეპყრათ. ფილიპემ ისინი განდევნა. მაშინ ათენელებმა მოითხოვეს კუნძული, მაგრამ ფილიპემ არ დაუბრუნა მათ (მე მეკუთვნისო, დაიჩემა), თუმცა კი შეპირებული იყო, რაკამსაც მოითხოვთ, დაგიბრუნებთო. საეჭვოა, ეს სიტყვა დემოსთენეს ეკუთვნოდეს. ამას ცხადყოფს გამომთქმელობა და სიტყვათა რიგი, რომელიც დიდად განსხვავდება დემოსთენეს ჩვეული სიტყვათწყობისაგან. ეს სიტყვა უგულისყუროა, იმაზე მეტად დაფანტული, ვიდრე ამ ორატორის სხვა სიტყვები. ამგვარ ეჭვს არანაკლებ ამართლებს სიტყვის ბოლო გამონათქვამი: „თუ ტვინი საფეთქლებში ჯერაც შეგრჩენიათ და ფეხებით ზედ არ დადიხართ“. დემოსთენეს, მართალია, სჩვეოდა ლაღი გამოთქმები. მაგრამ ეს სიტყვები უხეშობაა, აქ ლანძღვა ზომასაა გადასული, გამოთქმის ხელოვნება კი დაბალია. გარდა ამისა, ჩვეულებრივადაა ნათქვამი, რომ ადამიანის ტვინი საფეთქლებშია. ძველი თაობის ადამიანებიც ეჭეობდნენ ამ სიტყვის დემოსთენესეულობას და მიაწერდნენ ჰეგერიპოსს, — ზიარსიტყვაობისა (ასეთია ეს სიტყვაც) და შინაარსთა საფუძველზე. მაგალითად: სიტყვის ავტორი ამბობს, რომ საჩივარი აღძრა კალიპოს პეანელის წინააღმდეგ, ცხადია კი, რომ საჩიერის წერილი კალიპოსის წინააღმდეგ ჰეგესიპოსმა შეიტანა და არა დემოსთენემ. ერთი კია, — და ამაზე შემიძლია ზევსიც დავიფიცო, რომ აქ მრჩეველი ნამდვილად ურჩევს ათენელებს ჰალონესისათვის — ნაწყალობებივით კი არ მოიპოვონ იგი, არამედ დაიბრუნონ, როგორც კანონიერი საკუთრება; და მაინც სადავოა, თუ ვის ეკუთვნის ეს სიტყვა. ესქინე ამბობს, ამდაგვარ რჩევას დემოსთენე აძლევდაო ათენელებს. ეს რას ნიშნავს? შესაძლოა, ერთსა და იმავეს რჩევობდნენ დემოსთენეც და ჰეგესიპოსიც, რამდენადაც სხვა პოლიტიკურ საქმიანობაში ისინი ერთად გამოდიოდნენ სიტყვით ფილიპეს მომხრე ორატორთა წინააღმდეგ; თავად დემოსთენე ახსენებს ჰეგესიპოსს, ვითარცა ელჩობის თანამონაწილეს და მაკედონელის მოპირისპირეს. როგორც ჩანს, ჰალონესისათვის წარმოთქმული დემოსთენეს სიტყვა დაიკარგა, ხოლო დაკარგულის ნაცვლად ნაპოვნი სხვა სიტყვა დემოსთენესეულად მიიჩნიეს იმის საფუძველზე, რომ ჰალონესისათვის ნამდვილად ჰქონდა ორატორს სიტყვა წარმოთქმული, ხოლო ვისი რა იყო — ეს აღარ განიხრიკეს.

ბუნელო დარბაისელნო, რა ბრალდებაც არ უნდა წაუყენოთ თქვენი უფლებების დამცველ ორატორებს, ეს ხელს არ შეგვიშლის ისევ და ისევ თქვენი ინტერესებისათვის დავშვრეთ. სწორედ რომ საშინელება იქნებოდა, ფილიპეს წერილობით ბრძანებულს თავისუფალი აზრის გამოთქმა აღეკვეთა ამ ტრიბუნიდან. ჯერ მინდა, ათენელო დარბაისელნო, ახლოით განვიხილოთ ფილიპეს გამოგზავნილი ეპისტოლე, მერმე კი ისიც განვიკითხოთ, რასაც ელჩნი მოგვახსენებენ.

ფილიპე საუბარს იწყებს ჰალონესისათვის და ამბობს, იგი ჩემი საკუთრებაა, მაგრამ თქვენ გიბოძებთო საჩუქრად. ამით უარყოფს კუნძულის საკუთრებაზე თქვენს კანონიერ უფლებას, თუ საქმე საქმეზე მიდგება, თქვენი რა წამირთმევია და ჩემი რა გერგებათო, — იძახის. მაშინაც ამას ამბობდა, როცა იქ ველჩობდით, — ყაჩაღებს წავართვი ეგ კუნძული და, ბუნებრივია, ჩემი კუთვნილება არისო. ძნელი არ არის ნათელვყოთ ამ განცხადების უსაფუძვლობა. ყოველი ჯერის ყაჩაღნი, როცა სხვის მიწას წარიტაცებენ და იქ სიმაგრეებს ააგებენ, იქიდან ბოროტებას უქადიან სხვებს. მაგრამ, ვინც ყაჩაღებს სასჯელს განუმზადებს და ფარ-ხმალს დააყრევინებს, ეს იმის თქმის უფლებას როდი ანიჭებს — სხვათა უსამართლოდ კუთვნილი აწ სამართლიანად მე მეკუთვნისო. თუკი ამ აზრს გაიზიარებთ, მაშინ, ყაჩაღებმა მამულებიდან რომ რამე წარგტაცონ ატიკაში, ლემნოსზე, იმბროსზე ან სკიროსზე?, ხოლო მერმე ეგ ყაჩაღები იქიდან ვინმემ გარეკოს, — რაღა შეუშლის ხელს ყაჩაღთა გამრეკავს — იმათი ხელიდან თავისად ძიითვალოს ჩვენი ქონებული? ფილიპეს სულაც არ ჰგონია, რომ მართალს ამბობს, სხვებზე უკეთ თავად უწყის ეს, მაგრამ დარწმუნებულია, — თქვენ შეგიძლიათ თავის მოტყუების საშუალება მისცეთ იმათ, რომელნიც აქ მისი სურვილისამებრ მოსაქმეობენ და მიაჩნია — რასაც ადრე შეჰპირდნენ, ახლა უსრულებენ კიდეც. არ შეიძლება თავად არ უწყოდეს, რომ, როგორც არ უნდა ითქვას, მაინც თქვენ გეკუთვნით ეგ კუნძული, — იბოძებთ თუ იკუთვნებთ, თქვენ უნდა გადმოგეცეთ იგი. მაგრამ რად ურჩევნია მას, კუნძული არ გადმოგცეთ სწორი სახელდებით, — როგორც თქვენი კუთვნილი, არამედ ცრუ სახელდებით, — ვითარცა საჩუქრად ბოძებული? იმად არა, რომ ქველმოქმედებით მოგითვალოთ იგი (სასაცილო იქნებოდა ესევითარი ქველმოქმედება), არამედ სურს აჩვენოს მთელს ელინეთს, თუ რა კმაყოფილე-

ბით იღებენ ათენელები საზღვაო ადგილებს მაკედონელისაგან. ამას კი სწორედ არ უნდა დასთანხმდეთ, ათენელო მოქალაქენო!

თუკი იგი ამ საქმის სასამართლოზე გარჩევის სურვილს გამოთქვამს, ამით მხოლოდ დაგცინით თქვენ, როცა პელეს[3] ჩამომავალი თავს ნებას აძლევს ათენელებს სამართალი დაუდგინოს კუნძულებისათვის — რომელს ეკუთვნის, მე თუ თქვენაო. თუ თქვენს ძალას, რომელმაც ბერძნები გაათავისუფლა, არ ძალუძს ზღვის სანაპიროთა დახსნა და მათი ხსნის ბედი მოსამართლეებს უნდა მიანდოთ, რომელნიც ამ საქმეს სამართლის სასწორზე დადებენ, ეგეც მაშინ, თუ ფილიპე არ მოისყიდის მათ... განა თქვენ შეთანხმებულად არ დათმეთ ყველა სამფლობელო ხმელეთზე და ამით ყველას არ ანიშნეთ, რომ არცერთი მაგ ადგილისათვის იმას არ შეებრძოლებით, რამეთუ ზღვაზეც კი, სადაც ძლიერებად ითქმით, არ იბრძვით და სასამართლო განაჩენს ელოდებით მხოლოდ?

თანამრჩეველებად იგი გამოგიგზავნით აღმასრულებელთ, მაგრამ შეთანხმება მაშინ კი არ დამოწმდება, როცა თქვენს სასამართლოში გადაწყდება ეს, — როგორც ამას კანონი ითხოვს, — არამედ მაშინ, როცა მას წარედგინება; ასე რომ, თქვენი განჩინებული მან უნდა დააკანონოს. მას სურს წარგტაცოთ ეს უფლება, გაიძულოთ დაჰყაბულდეთ ისეთ პირობაზე, რომლის წყალობითაც თქვენ, ვითარცა დაზარალებულებმა, კრინტი არ უნდა დასძრათ პოტიდეაში გარდახდილი უსამართლობისათვის, არამედ პირიქით, აღშურვით იგი ძალმოსილებით — მიისაკუთროს და მიიკერძოს ეგ ქალაქი. მან პოტიდეაში მოსახლე ათენელთ ჩამოართვა ქონება, თუმცა ისინი მის წინააღმდეგ ომს კი არ ეწეოდნენ, არამედ სამხედრო კავშირში იყვნენ მხოლოდ გაერთიანებულნი, თანაც დაიდო ფიცი, რომელიც თვით ფილიპემ მისცა პოტიდეას მოქალაქეებს: ამრიგად, მას სურს მხარი დაუჭიროთ ყოველგვარ უსამართლობაში, რათა მერმე უსამართლობისათვის საჩიველი აღარა გქონდეთ რა. თანამრჩევლებად ათენელებს რომ არ საჭიროებენ მაკედონელნი, ამას დრო ცხადყოფს მალე. არცა ამინტა, მამა ფილიპესი, არც ერთი სხვა მეფეთაგანი კერძო უფლების სამართალს ჩვენს სახელმწიფოსთან არ განაჩენდნენ. თანაც ურთიერთობა ჩვენს შორის მაშინ უფრო საგრძნობი იყო, ვიდრე ახლაა; მაკედონია ხომ ჩვენ გვეკუთვნოდა და შემოსატანი ჩვენთვის შემოჰქონდა, ამავე დროს მაშინ ამათაც და ჩვენც გაცილებით უკეთესი ურთიერთხელსაყრელი ბაზრობა გვქონდა, ვიდრე ახლა გვაქვს, სავაჭრო საქმეთა სამართალიც ახლანდელივით თვეობრივ განსაზღვრულობას[4] არ ითვალისწინებდა, რაიც

უსარგებლოდ აქცევს ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულ მოსაქმეთა კერძო შეთანხმებებს. და, თუმცა ამის მსგავსი მაშინ არცრა ხდებოდა, ასეთ ხელშეკრულებებს არავინ სდებდა, რამდენადაც ეს იძულებულს გახდიდა მაკედონელთ, სასამართლო გადაწყვეტილებით ეცურათ ათენისკენ, ხოლო ჩვენ მაკედონიისკენ, მაგრამ ჩვენ იმათ კანონებს, ისინი კი ჩვენსას უნდა დამორჩილებოდნენ. მაშ, გონებიდან არ გამოგრჩეთ ერთი რამ — ეს კერძო შეთანხმებანი მხოლოდ საიმისო სატყუარია, რომ თქვენ ჯანსაღად არაფერი განსაჯოთ პოტიდეასათვის. რაც შეეხება ყაჩაღებს, იგი სამართლიანად რომ მიიჩნევს თქვენთან შეთანხმებით ბოროტმოქმედთაგან ზღვისპირეთის დაცვას, ეგ სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ნებას აძლევს თავს, — თქვენი მეშვეობით გამაგრდეს ზღვაზე და დაგითანხმოთ, თითქოსდა ფილიპეს გარეშე ზღვის დაცვა არ შეგეძლოთ. მას სურს თავისუფლად ინავარდოს კუნძულებზე, ყაჩაღთაგან მათი დაცვის საბაბით ზღვებზე ხომალდებით იცუროს და კუნძულთა მკვიდრნი თვითონ გადაიბიროს. იმას არა კმარობს, მასთან შეხიზნული ლტოლვილნი თასოსზე რომ დაებრუნა თქვენი სარდლების შემწეობით, ახლა სხვა კუნძულთა გახელქვეითებასაც ესწრაფვის, თქვენს სარდლებთან მეშველ მეზღვაურებს აგზავნის, ვითომცდა ზღვის უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. ზოგნი იმასაც ამბობენ, ეგ კაცი არ საჭიროებსო ზღვას. მაგრამ სწორედ ეს ზღვის არმსაჭიროებელი კაცი ამზადებს ტრიერებს, აგებს სახომალდო სადგომებს, ესწრაფვის საზღვაო ლაშქრობებს, ხარჯს ხარჯზე არ ზოგავს საზღვაო საშიში ღონისძიებებისათვის, თანაც ისე, ვითომც არაფრად უღირს ყოველივე ეს.

როგორ ფიქრობთ, ათენელო დარბაისელნო, განა ფილიპე შეეცდებოდა თქვენი თანხმობის მოპოვებას, თუ აბუჩად არ გიგდებდეთ, თუ თქვენს შორის არ იგულვებდეს ადამიანებს, თავის მეგობრებად რომ მიიჩნევია? ამ ადამიანებს კიდეე არცა რცხვენიათ, რომ ფილიპესთვის სულდგმულობენ, არათუ თვისის სამშობლოსათვის, და ჰგონიათ, მაგ კაცისგან შინ საჩუქრებს რომ იღებენ, ამით სამშობლოს არა ჰყიდიან. რაც შეეხება ზავს, რომელიც მისგან გამოგზავნილმა ელჩებმა შემოგვთავაზეს დასამტკიცებლად, ჩვენ გამოვთქვით სურვილი, მიგვეღო ზავის ისეთი პირობები, ყოველი ხალხისთვის რომ სამართლიანადაა მიჩნეული, — ისე, რომ ორივე მხარეს შენარჩუნებოდა თავისი კუთვნილი. მაგრამ იგი ამის საპირისპიროდ გაიძახის — მე ეს არ შითქვამს ჩემი ელჩებისთვის და არც ელჩებს უთქვამთო თქვენთვის მსგავსი რამ; შეიძლება, მისმა შეძენილმა მეგობრებმა დაარწმუნეს

იგი, რომ თითქოს თქვენ აღარ გახსოვთ, რა ითქვა სახალხო კრებაზე. სწორედ ეს შემთხვევა არ შეიძლება არ გახსოვდეთ; აკი მაგ კრებაზე, სადაც მისგან წარმოგზავნილი ელჩები წარმოთქვამდნენ სიტყვას, დაიწერა ფსეფისმა, აქედან გამომდინარე, როგორღა შეიძლებოდა სიტყვათა წარმოთქმის უმალ და ფსეფისმის ჩაკითხვისთანავე, ისეთი გადაწყვეტილებისთვის გეყარათ წილი, რაიც გააბრუნდებდა ელჩთა თვალსაზრისს. ამრიგად, წერილი ჩემს წინააღმდეგ კი არა, თქვენს წინააღმდეგ გამოგზავნა მან, რამდენადაც თქვენ არ მოგისმენიათ, რაიც განგისჯიათ და პასუხი ისე გაგიგზავნიათ. ხოლო თავად ელჩებმა მაშინ, როცა ტყუილს უწერდით ფსეფისმაში და ისე უკითხავდით, და მაშინაც, როცა წვეულებას უმართავდით, თურმე ერთხელაც ვერ გაგიბედეს ეთქვათ: — თქვენ აქ, ათენელო მოქალაქენო, სიტყვას გვიმრუდებთ, რაც არა გვითქვამს, იმის თქმას გვწამებთ, — და ხმის ამოუღებლად წავიდნენ. მე მინდა, ათენელო დარბაისელნო, შეგახსენოთ მაშინ წარმოთქმული სიტყვები (თქვენი ქება დაიმსახურა მაშინ პითონმა, ერთ-ერთმა ელჩმა), — თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ ეს სიტყვები.

ამრიგად, მან მოუწოდა ხალხის წინაშე გამოსულ ორატორებს არ განეჩხრიკათ ზავი, რაკიღა მან ეს მართლაც ზავად შერაცხა; თუ რამ არასწორად ეწერა საზავო ხელშეკრულებაში, გაესწორებინათ, — ფილიპე ყოველივეს აღასრულებს, რასაც თქვენ დაადგენთო. ხოლო ვინც ცილმწამებლობს, არ იცავს მშვიდობის წერილს და უნდობლობას უცხადებს ფილიპეს, ასეთ ადამიანებს არ უნდა თანაუდგეთო. თქვენ ისმენდით და გულისხმაყოფდით ამ სიტყვებს, იძახდით — პითონი მართალი არისო. და მართალიც იყო. ოღონდ იგი ლაპარაკობდა არა იმისთვის, რომ საზავო ხელშეკრულებიდან გამოეკლოთ ის, რაც ი მ ა ს სარგებელს აძლევდა ან რომლის შეტანა დიდძალ ფულად უღირდა, არამედ სათანადო ცნობებით იყო აღჭურვილი აქაურთაგან, რომელთა რწმენებით ვერავინ აღუდგებოდა წინ ფილოკრატეს იმ ფსეფისმას, რომლის წყალობითაც ამფიპოლისი დაჰკარგეთ თქვენ. მე კი, ათენელო დარბაისელნო, არ მინებებია კანონგარეშე დამეწერა რამე, არც ფილოკრატეს ფსეფისმის წინააღმდეგ დაწერილა კანონგარეშე რამ, როგორც ამას ახლავე მოგახსენებთ. თვით ფილოკრატეს ფსეფისმა, რომლის ძალითაც თქვენ ამფიპოლისი დაჰკარგეთ, ეწინააღმდეგება პირველ ფსეფისმას, რაც ამ ქვეყანას თქვენ გაკუთვნებდათ სამფლობელოდ. ფილოკრატესეული ფსეფისმა არასწორი იყო, ხოლო სწორად დაკანონების მცდელმა თავი და ბოლო ვერ გაუგო ამ

ფსეფისმას. მე შემოვიტანე ჩვენი ქვეყნის კანონიერად დამცველი ფსეფისმების თანხმობადი წინადადება, წერილად განვაწესე ეს და ვამხილე ფილიპე, რომელიც ტყუილს გთავაზობდათ და მშვიდობის განმტკიცება კი არ ეწადა, არამედ ურწმუნოების ჩანერგვა თქვენივე საქმისათვის დამაშვრალ ორატორთა წინააღმდეგ. თუმცა მან შემოგთავაზათ შესწორება, მაგრამ მანვე უარყო იგი. განა ყველამ არ იცის, რომ ამფიპოლისი ჩემი საკუთრება არისო — იძახის, — თავად დასტურჰყავით ფსეფისმებით, რასაც ვფლობ, იგივ ვიუფლოო. თქვენ მართლა დაამტკიცეთ ეს ფსეფისმა, რაიც სწორედ ამფიპოლისს არ აკუთვნებდა მას. რატომაც არ შეიძლება ფლობდე სხვის ქონებულს, მით უმეტეს მაშინ, როცა მრავალთაგანი თავისას ვერ პატრონობს, ხოლო მრავალს კიდევ სხვისი პატრონობის ძალი შესწევს. ასე ბრუნდად განსჯის მისი აზრი. ფილოკრატესეული ფსეფისმისგან ეს ახსოვს, ის წერილი კი არა, რომელიც თქვენ გამოგიგზავნათ, სადაც გიცხადებდათ, ამფიპოლისი თქვენივე საკუთრება არისო, და აღგითქვამდათ, რაკამს მას ავიღებ, თქვენ გადმოგცემთ მისი ახლანდელი მპყრობელებისგანო. ცხადია, ისინიც, რომელნიც ადრე მოსახლეობდნენ ამფიპოლისში, — სანამ ფილიპე აიღებდა მას, — უკანონოდ იკავებდნენ ათენელთა მიწა-წყალს; ხოლო რაკამს ფილიპემ აიღო იგი, უკვე იუფლებს არა როგორც ათენელთა საკუთრებას, არამედ როგორც თავისას. ასევე, არც ოლინთოსს, არც ეპოლონიას[6] და არც პალენეს[7] არა სხვისად, არამედ მხოლოდ თავისად მიითვლის იგი. როგორ გგონიათ, რითაა გამოწვეული ის სიფრთხილე, როცა ცდილობს წერილის ნაწილი სიტყვითაც და საქმითაც იმგვარად წარმოგისახოთ, რომ ყველასთვის მისაღები სამართლიანობის შთაბეჭდილება შექმნას, ამავე დროს კი, აშკარად დაგამციროთ, როცა იმ მიწას, რომელიც ბერძნებმა და სპარსეთის მეფემ თქვენს საკუთრებად დააკანონეს, — და ეს საყოველთაოდაა მიღებული, — იგი თავისად მიიჩნევს და არა თქვენად?

მოგახსენებთ მეორე შესწორებაზე, საზავო ხელშეკრულებაში რომ უნდა შეიტანოთ, — კერძოდ, დანარჩენ ბერძნებს, რომლებიც საზავო ხელშეკრულებაში არ მონაწილეობენ, უნდა შევუნარჩუნოთ თავისუფლება. თუ ვინმე მათ წინააღმდეგ გაილაშქრებს, აღმოუჩინონ სამხედრო დახმარება საზავო ხელშეკრულების მონაწილეებმა. სამართლიანობად და კაცთმოყვარეობად უნდა მივიჩნიოთ არა მხოლოდ ის, რომ ჩვენ და ჩვენმა მოკავშირეებმა, ასევე ფილიპემ და მისმა მოკავშირეებმა დავიცვათ მშვიდობა, არამედ დავიცვათ და საშუალედოდ არ გავწიროთ ის ხალხი, რომელიც არც ჩვენს, არც ფილიპეს კავშირ-

ში არ შედის, რომ სხვა მასზე ძლიერმა არ ჩაყლაპოს იგი. ჩვენ გვინდა ჩვენი ზავით იმ ხალხსაც მოვუტანოთ ხსნა, რომ ყველამ ვისარგებლოთ მშვიდობის სიკეთით და იარაღი ძირს დავდოთ. ამ შესწორებას რომ ეთანხმება იგი ეპისტოლეში, როგორც მოისმინეთ, და სამართლიანად რომ ფიიჩნევს მიიღოს იგი, — მან წაართვა ქალაქი ფეროსელთ[8] და აკროპოლისზე მცველები დააყენა (სწორედ იმიტომ, რომ დამოუკიდებლობა მიენიჭებინა მათთვის!), ლაშქრობს ამბრაკიაზე[9], ხოლო სამი ქალაქი კასოპიაში — პანდოსია, ბუქეტა და ელატეა, ელეელთა ახალშენები ამ ქვეყნის მპყრობელმა და ქალაქთა ძალით დამმორჩილებელმა, მონობისათვის გადასცა ალექსანდრეს, თავის მოყვარეს. კი, ძალიან იღწვის იგი ბერძნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, — ამას ცხადყოფენ მისი საქმენი. რაც შეეხება მის შეპირებებს და შეპირებულის აღსრულებას, ვითარცა დიდ ქველმოქმედებას მისას თქვენდამი, მე ყოველივეს ვაბრუნდებ თურმე, რათა სახელი გავუტეხო მას ელინთა შორის; იგი, მას რომ ჰკითხო, არას შეგპირებიათ. სწორედ მან, ეგოდენ წრეგადასულმა კაცმა, გამოგზავნა ეპისტოლე, — რომელიც ბულევტერიონშია[10] დაცული, — სადაც ნათქვამია, რომ პირს აგვიკრავდა მის წინააღმდეგ მოლაპარაკე ორატორებს, რაკამს მშვიდობა აღსრულდებოდა, და დიდ სიკეთეს მოგაგებდათ თქვენ. თითქოს ეს სათქვენო სიკეთენი უკვე ხელთ ეპყრა მას ზავამდე, რათა ზავის შემდეგ თქვენთვის მოებოძებინა. აგე, ზავი აღესრულა, სათქვენო სიკეთენი კი შორს არიან აღსრულებად, ხოლო ელინთა განადგურების ჟამი რომ მოდგა, ეს თავად უწყით. ის ახლაც ეპისტოლეთი გპირდებათ, რომ თუ მის მეგობრებს, მისსავე სასარგებლოდ მოლაპარაკე ორატორებს მიენდობით, ჩვენ კი, მის ცილისმწამებელთ, დაგესჯით, დიდად იქველმოქმედებს თქვენთვის. ქველმოქმედება ასეთი გახლავთ: თქვენსას არაფერს დაგიბრუნებთ (ჩემიაო, ამბობს), არც დასახლებულ მიწებს გაჩუქებთ, რომ ელინები არ გაიმწყრალოს, არამედ სხვა ქვეყანა თუ რამე გამოჩნდება, იმას გიბოძებთ. რაც შეეხება ზავის დადების შემდეგ თქვენი კუთვნილი მიწების მიტაცებას მისგან და ამით ზავის დარღვევას, ამაზე რაღა უნდა ვთქვა, როდესაც უსამართლობის მოქმედი საძებარი არ არის, — იგი ახლავე მზადაა ეს საქმე საერთო სასამართლოს გადასცეს მიუდგომელი განხილვისათვის, რასაც სინამდვილეში არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, რამდენადაც მსაჯულება დღეთა რიცხვით განისაზღვრება მხოლოდ. ხომ ყველამ ვუწყით, რა თვეს და რა დღეს დაიდო ზავი. როგორც ეს ვუწყით, ისევე ვუწყით ისიც, რა თვეს და რა დღე-

საც იქნა აღებული სერიონის ციხე, ერგისკე და წმინდა მთა[11]. ეს დაფარულად არ მომხდარა და სასამართლოზე გასარჩევიც არაფერია, უკეთუ ყველასათვის ცნობილია, რომელი თვე უსწრებს წინ — ის, როცა დაიდო ზავი, თუ ის, როცა ეგ ადგილნი იქნენ აღებულნი.

იმასაც ამბობს, ომში დატყვევებული ხალხი დაგიბრუნეთო. დიახ, სწორედ მაგან ჰქნა, რომ კარისტიოსი, პროქსენოსი[12] ჩვენი ქვეყნისა, ვის გამოსათხოვადაც სამგზის წარავლინეთ ელჩობა, — იმდენად ეწადა ამ კაცით ეამებინა თქვენთვის, — მოაკვდინა და მკვდარიც კი არ გამოიმეტა თქვენთვის დასამარხავად.

ქერონესისთვის კი ჯერ-არს უწყოდეთ, — რასა სწერს და რას აღასრულებს იგი; აგორების[13] ყველა შემოგარენი, ვითარცა საკუთარი და არა თქვენეული, კარდიელ აპოლონიდს უბოძა სამფლობელოდ. ამასთანავე, ქერონესის საზღვარი აგორა კი არ არის, არამედ, საკურთხეველი ზღვართმდებელი ზევსისა, პტელეონისა და თეთრი ნაპირის შუარე, სადაც ქერონესის არხის გაყვანა იყო ნავარაუდევი, როგორც ამას ზღვართმდებელი ზევსის ბომონზე მინაწერი ეპიგრამა გვამცნობს. აი, ისიც:

> აქ ღმერთს ბომონი აღუმართეს ზემშვენიერი
> ზღვარის მდებლებმა თეთრ ნაპირს და პტელეონს შორის,
> ვითარცა ნიში ზღვარგამყოფი და სამეზობლო.
> ნეტარმეუფე შუარე დგას — თავად კრონიდე.

მთელს ამ ქვეყანას, რომლის განვრცობილობა მრავალ თქვენთაგანს მოეხსენება, მეურვეობს იგი, ვითარცა საკუთრეულს, ან ნაწილობრივ საჩუქრად უბოძებს სხვებს და ყოველ თქვენს ქონებულს თავისად მიითვლის, თან აგორის არა მხოლოდ იქითა მხარეს იჩემებს, არამედ ეპისტოლეთი გაუწყებთ კარდიელთა შესახებაც, აგორის შიგნით რომ ცხოვრობდნენ: თუ მათთან, — თქვენს მიწაზე მოსახლე კარდიელებზეა ლაპარაკი, — რაიმე სადავო გაქვთ, ეს საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოსო. ისინი კი მართლაც სადავოდ გიხდიან იმ მიწებს და თავად განსაჯეთ, წვრილმანი საკითხია ეს თუ არა. ქვეყანას, სადაც ისინი ამჟამად სახლობენ, თქვენად კი არა, თავისად მიიჩნევენ, თვლიან, რომ თქვენ უცხო მოსახლენი ხართ, თავად კი — მკვიდრნი და ამდენად სამკვიდროზედაც უფლებამოსილნი, რომ ეს ფსეფისმითაც დაუკანონებია კალიპოს პეანიელს[14]. და მართალსაც ამბობენ ისინი. იმან მართლა დააკანონა ეს წერილით და, თუმცა მე ამისთვის სასამართლოს გადავეცი კანონთა დარღვევის ბრალდებით, თქვენ მაინც გაამართლეთ ეგი. მან კი სწორედ სადავოდ

ნი უფლებამოსილებანი ამ ქვეყნის მფლობელობაზე. ამავე დროს, როცა თქვენ ხელიწიფებთ სასამართლოს მიანდოთ დავა კარდიელებთან იმის თაობაზე — თქვენ გეკუთვნით ეგ ქვეყანა თუ იმათ, მაშინ რაღა დაუშლის დანარჩენ ქერონესელებს იგივე დაიჩემონ? ფილიპე თქვენს მიმართ იმდენადაა თავს გასული, რომ, ვთქვათ და, კარდიელებმა არ ინდომონ ამ საკითხის სამსჯავროდ გატანა, სულერთია, იგი აიძულებს მაშინ, თითქოსდა თავად ძალი არ შეგწევთ თქვენი უფლებანი არ შეალახვინოთ კარდიელებს; და, რაკიღა თქვენ ამის ძალი არ შეგწევთ, მე ვაიძულებო, — ამბობს. ამით განა დიდ სიკეთეს არ გიშვრებათ იგი? ზოგ-ზოგები კი სწორედ ამ ეპისტოლეს კეთილწერილობას იტყვიან და ისინი უმეტესი ზიზღის ღირსნი არიან თქვენგნით, ვიდრე თვით ფილიპე. იგი სახელისა და სხვა ყოველთა სიკეთეთა ხვეჭად იღვწის თქვენს წინააღმდეგ. ესენი კი, ათენელები რომ გახლავან, მაგრამ არა სამშობლოს, არამედ ფილიპეს ერთგულებით მოაქვთ თავი, სიკვდილის ღირსნი არიან და უნდა განუჩინოთ კიდეც ბოროტი სიკვდილი, ვითარცა ბოროტთ, თუ ტვინი ჯერაც საფეთქლებში შეგრჩენიათ და ფეხებით ზედ არ დადიხართ.

მე ვალად ისღა მრჩება, ამ კეთილი უსტარის და ელჩების პასუხად დავწერო ისეთი პასუხი, როგორსაც მივიჩნევ სამართლიანად და საჯარგებლოდ თქვენდა.

ქერონესისთვის

ლიბანიოსის წინასიტყვა

ეს სიტყვა წარმოითქვა ათენელთა წინაშე დიოფიტეს დასაცავად, რომელიც ბრალდებული იქნა ათენელთაგან. საქმე ისაა, რომ ქერონესი[1] ათენელთა ძველ სამფლობელო იყო თრაკიის განაპირას, სადაც ფილიპეს მეფობის ჟამს გაგზავნეს იჭ კლერუქოსები[2]. ძველთაგან სჩვეოდათ ათენელთ, ღარიბთ და უქონელთ იმ ქალაქებში ბაასახლებდნენ, რომლებიც მათ ექვემდებარებოდა. წარგზავნილნი სახელმწიფოსაგან იღებდნენ იარაღსა და საგზაო სახსრებს. ასე მოხდა ამჯერადაც, წარგზავნეს ახალმოსახლენი ქერონესს, ხოლო სარდლად გააყოლეს დიოპითე. ქერონესელებმა მიიღეს მისულნი, მისცეს მათ სახლ-კარი და მიწა-წყალი, მაგრამ არ მიიღეს კარდიელებმა, — ჩვენ არა ათენელთა, არამედ ჩვენს საკუთარ ქვეყანაში ვსახლობთო, — თქვეს. ამან აიძულა დიოპითე, ეომა კარდიელებთან. ამათ დახმარებისათვის მიმართეს ფილიპეს, რომელმაც ეპისტოლეთი აუწყა ათენელთ — არ იმძლავროთო კარდიელებზე, რამეთუ ჩემი ხელქვეითნი არიანო, თუ მათ სამართალი რამ შეგილახეს, ეს სასამართლოზე გაირჩესო. მისი ეპისტოლე არ ცნეს ათენელებმა და ომან მაშველი ძალა გაუგზავნა კარდიელებს. ამან განარისხა დიოპითე: იმ დროს, როცა. ფილიპე ქვეყნის შიგნით ზემო თრაკიაში ოდრისთა მეფეს ებრძოდა, შეიჭრა თრაკიის ზღვისპირეთში, რომელიც მაკედონელს ექვემდებარებოდა, და, სანამ ფილიპე მობრძანდებოდა, სახელდახელოდ დაარბია იგი. თავად ქერონესში დაბრუნდა და თავი უსაფრთხოყო. იმის გამო, რომ ფილიპეს არ შეეძლო იარაღით უკუეგდო იგი, მეფემ ეპისტოლე გაუგზავნა ათენელებს, სადაც ბრალს სდებდა მათს სარდალს და ზავის დარღვევას უკიეინებდა. ფილიპეს მომხრე ორატორები თავს ესხმიან დიოპითეს, მიიჩნევენ მას დასჯის ღირსად. დემოსთენე იცავს დიოპითეს ორი მოსაზრებით; ამტკიცებს, რომ მას უსამართლობა არ ჩაუდენია. თავად ფილიპემ ხომ ბევრად ადრე დაარღვია ზავი, უსამართლოდ წაეკიდა ათენელთა სახელმწიფოს და, ბუნებრივია, ესეც მტრობით აღუდგა მტერს. იქვე ამბობს: ათენელებს არას არგებს ამ წინამძღოლის დასჯა და დათხოვნა მისი ლაშქრისა, რომელიც ამჟამად ფილიპესაგან იცავს ქერონესს. დემოსთენე საბოლოოდ მოუწოდებს ომისათვის, დიდად ბრალეულყოფს ფილიპეს, ვითარცა ბოროტმოქმედს, ხელშეკრულების დამრღვევს, ათენელთა და სრულიად ელინელთა ავის მოსურნეს.

სიტყვა

ჯერ-არს, ათენელნო დარბაისელნო, ყოველმა ღვროპირმა სიტყვა არ სამტროდ ვადააგდოს ერში, არც ვისიმე საამებლად, არამედ

უმთავრესი წარმოაჩინოს მხოლოდ, რაც სარგებლობას მოუტანს უკლებლივ ყველას, მით უმეტეს, როცა საერთოა საქმე, რის განჩხრეკასაც ახლა შესდგომიხართ. ზოგნი კი აქ ჯიბრსიტყვაობას ამჯობინებენ და მჯობნის მჯობნობას ჩემობენ. უმეტესწილად, ათენელო დარბაისელნო, თავიდან უნდა ამოიგდოთ ყოველი წვრილმანი საკითხი, მაგრამ რასაც სახელმწიფოსათვის სავარგისად მიიჩნევთ, ოდენ ის განაჩინოთ აღსასრულებლად. ახლა მხოლოდ ქერონესის საქმეა საშურო და ლაშქრობა, რომელსაც აგერ მეთერთმეტე თვეა ეწევა ფილიპე თრაკიაში; ამ დროს კი სიტყვათა უმრავლესი იმას ხმარდება, თუ რას აკეთებს და რის გაკეთებას იზრახავს დიოპითე. მე კი ვფიქრობ, ათენელო დარბაისელნო, ვისაც უნდა ედებოდეს ბრალი, რომელთა დასჯასაც თქვენ მოითხოვთ და კანონითაც ჯერ არს, — შეგიძლიათ ეს ჰქნათ, როცა ინებებთ, ხოლო არც მე და არც სხვას გარდამეტებული ჩაცინება არცერთი მათგანის მიმართ არ გვმართებს. ჩვენი სახელმწიფოს საზიანოდ დიდის ძალით რომ ჰელესპონტს[3] მოწევნილა და იმ ადგილთა წარტყვევნას ლამობს, რომელთაც, თუ დავაგვიანებთ, ვეღარ დავიხსნით, — ჩემის ფიქრით, აი რაზე გვმართებს სჯა, გამორჩევა და მზადება, არათუ ამ გაუთავებელ ჩოჩქოლსა და ბრალდებებში მიჩქმალვა ყოველივე ამისა.

დიდად მიკვირს, რასაც ჩვეულებრივ გელაპარაკებიან თქვენ, მაგრამ არანაკლებ, ათენელო დარბაისელნო, გავუკვირვებივარ იმასაც, რაც ამასწინეთ ვისმინე, როცა ერთი ორატორთაგანი ამტკიცებდა: საკითხი უბრალოდ დგას, — ან ომი, ან მშვიდობაო. ეს სწორია მაშინ, თუ ფილიპე დაიცავს მშვიდობას, ზავს არ დაარღვევს და არ მიიტაცებს ჩვენეულს, არ აგვიმხედრებს ყოველი ჯურის ხალხს. მაშინ სალაპარაკოც აღარა გვექნება, მხოლოდ და მხოლოდ დავიცავთ მშვიდობას, რასაც, ვხედავ, თავადაც ესწრაფვით, მით უმეტეს, როცა ყოველი, რისთვისაც ზავი ფიცით განვამტკიცეთ — განცხადებულა და დაწერილა[4]; მაგრამ თუ ცხადია ისიც, რომ ფილიპემ პირველმა, — ვიდრე ზღვით ილაშქრებდნენ დიოპითე და კლერუქოსები, რომელთაც ახლა ომის წამოწყებას აბრალით, — თავად უსამართლოდ მიიტაცა მრავალი თქვენეული, რასაც აგერ თქვენივე ფსეფისმებით ცხადჰყოფთ; თუ ასევე მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი თავს ესხმის ელინთ, გინა ბარბაროსთ თქვენზედ ლაშქრობის მუქარით, სალაპარაკოდ ვილას გაუხდია — ომი ან მშვიდობაო? ესე საქმე ხომ სარჩეო აღარ არის, მაგრამ რჩება ყველაზე სამართლიანი საქმე, რასაც აქ განზრახავ ცვლის უკლიან. კერძოდ ის, თუ როგორ დავიცვათ თავი ომის

გამჩაღებლებისაგან. ეგებ, ვფიცავ ზეცსს, მოპაექრეებმა მითხრან, სანამ ატიკას ან პირეოსს არ მოადგება ფილიპე, ვერც ქვეყანას ავნებს რასმე და ვერც ომს აგვიტეხსო. მაგრამ თუ ეგენი აგრერიგად განაჩენენ საძართალს და განაკანონებენ ზავს, ამით არც ღირსეულად განსჯიან რასმე, არც შეწყნარების ღირსად, არცათუ თქვენდა სანუგეშოდ, როცა ამ დროს ყველასათვის ცხადია: ეგენი დიოპითეს რომ ბრალეულყოფენ, ამით იმდენად მას არა, რამდენადაც თავს უფრო ამხელენ. რაღა გამოვიდა, ჩვენ ფილიპეს ყოველგვარი მოქმედების საშუალებას ვაძლევთ, ოღონდ კი ატიკიდან შორს იდგეს, და დიოპითეს იმის უფლებაც არა აქვს — თრაკიელებს საშხედრო დახმარება გაუწიოს? ან მასზე გვეთქმის — ომის დამწყებიაო?

მაგრამ, ვფიცავ ზეცსს, მიკიჟინებენ ამისთვის: დიახაც საშიშრად მოქმედებენო უცხოელნი, ჰელესპონტს რომ ინაწილებენ, ოღონდ დიოპითეც უსამართლობს, სავაჭრო ხომალდებს რომ აკავებს, რისი უფლებაც მას არ უნდა ეძლეოდესო. კი, ბატონო, იყოს ასე, არ უარვყოფ. მაგრამ, ვფიქრობ, ეგენი მართლა თუ საყოველთაო სამართლიანობას იცავენ, როცა ლამობენ სახელმწიფო ჯარის დათხოვნას და ამ მიზნით განაქიქებენ ჯარის სარდალს თქვენს წინაშე, რომელიც საარსებო სახსარს იხვეჭს ოდენ, — მაშინ დასტურყონ ფილიპეს სამხედრო ძალების დაშლაც მაგ მრჩევლებმა, რომელთა რჩევასაც თქვენ ერწმუნებით. არადა, თავად განსაჯეთ, ეგენი სხვას ესწრაფიან, თუ არა იმას, რომ ქვეყანა გააპარტახონ, ქარს გაატანონ ყოველივე მონაგარი.

თავად ხომ უწყით, ფილიპე ჩვენს ქვეყანაზე ოდენ იმით ძალთუმეტესობს, რომ დროულად ეკიდება საქმეს, მუდამ მზად ჰყავს ჯარი, წინდაწინვე უწყის რასაც იქმს, მერმე კი უცაბედად წაადგება მას, ვისზეც უკვე იყო შეგულებული. ჩვენ კი ჯერ გამოვიძიებთ, რა მოხდა, და მხოლოდ მერმე აღვშფოთდებით და ვიწყებთ მზადებას. ამიტომაც, ვფიქრობ, რასაც იგი მიადგება, სრული თავდაჯერებულობით ეუფლება კიდეც, ჩვენ კი ვჩვეულვართ კუდში ჩანჩალს, ყველაფერს უაზროდ, გზადაგზა ვკარგავთ. ამავე დროს მტრობას ვუთვლით მას, ალაგმვასაც ვლამობთ მისას, მაგრამ მოგვიანენი ვეღარას ვახერხებთ და ამ საქმიდან სირცხვილის მეტი არა გვრჩება რა.

მაშ, არ უგულებელვყოთ, ათენელო დარბაისელნო, — ესეც და სხვაც სიტყვებია მხოლოდ და მარჩიელობა, საქმე კი სულ სხვაა და, სანამ თქვენ შინ სხედხართ, გარეთ კიდევ ქვეყანა ულაშქროდ რჩება, ფილიპე უდიდესი ალიშვიდით გაისაკუთრებს ყოველს, რასაც ისურ-

ვებს. ამჟამად იგი დიდი ძალებით თრაკიაში იმყოფება და, როგორც შეთვალყურენი იტყობინებიან, დამატებით ძალებს იხმობს მაკედონიიდან ან თესალიიდან. ამრიგად, თუ იგი წელიწდეული ქარების შომლოდინე, ბიზანტიონს მიადგება და ადრინდელივით დაღუპავს, თქვენ ფიქრობთ, ბიზანტიელნი ამჯერადაც უგუნურების გზას დაადგებიან და სამხედრო დახმარებას არ ითხოვენ თქვენგნით? მე არა ვფიქრობ ამას. პირიქით, — თქვენზე მეტად ვისაც არ უნდა ეკიდებოდნენ ისინი უნდობლობით, მაინც ამათი შესვლა ურჩევნიათ, ვიდრე იმას დაუთმონ ქალაქი, თუ რა თქმა უნდა, იმან არ დაასწრო და თავად ესენი არ დაიპყრო. ამრიგად, სანამ აქედან ზღვაზე გასვლა ვერ მოგვიხერხებია, იქ კი არ ჩაგვიყენებია სამარქაფო მაშველი ჯარი, მანამ მათი დაღუპვა თითქმის გარდუვალია.

„ვფიცავ ზევსს, ესენი ხომ ღვთით შერისხული ადამიანები არიან, ფონთგადასულნი". — დიახაც, მაგრამ მათი ხსნა მაინც აუცილებელია ისევ და ისევ ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებისათვის. აბა, საიდან ვიცით, რომ იგი ქერონესსაც არ მიადგება. თუ თქვენდამი გამოგზავნილი ეპისტოლეთი განვსჯით, იგი სწორედ ქერონესზე გამაგრებას ლამობს. ახლავე იქ რომ ჩაგვეყენებინა ჯარი, დახმარებას აღმოვუჩენდით მაგ ქვეყანას და აღვკვეთდით იმის ბოროტმოქმედებასაც. ხოლო ჯარი რომ დავშალოთ, რაღა უნდა ვქნათ, თუ იგი ქერონესს შემოუტევს?

„სამართალს გავუჩენთ დიოპითეს, ვფიცავ ზევსს!" მერე, ეს ვითომ გაგვიწაღმართებს საქმეს? „ბრძოლით გამოვიხსნით იქედან!" თუკი ქარებმა არ შეგვაძლებინეს ეს? „არა, ვიფიცავ ზევსს, იგი აქ ფეხს ვერ მოდგამს!" მაგრამ ვინაა თავდები ამისა? ხედავთ და განსჯით კია, ათენელო მოქალაქენო, რომ წლის ამ მიწევნილ ჟამს ზოგს საჭიროდ მიაჩნია, ჰელესპონტი დასცალოთ და ფილიპეს გადასცეთ; მაშინ რაღა ვქნათ, თუ იგი თრაკიიდან მობრუნებული არც ქერონესს მიადგება და არც ბიზანტიონს (ეს მოსალოდნელობაც გაითვალისწინეთ), არამედ ქალკიდას[5] ან მეგარას[6], სწორედ ისევე, როგორც ორეოსს მიადგა წინეთ, — რომელი აჯობებს მაშინ, აქ თავდაცვა და ომის ატიკაზე გადახდა, თუ დაბრკოლებათა მზადება იქ? მე უკანასკნელს ვარჩევ.

ყოველივე ამის შემტყობელნი და განმსჯელნი, ვფიცავ ზევსს, არ უნდა ესწრაფოდეთ დაშლას ლაშქრისას, რითაც სახელმწიფოს ძალას მმატებს დიოპითე, პირიქით, — მეორე ჯარი უნდა მოამზადოთ, მოამარაგოთ იგი ფულით და სხვა სახსრებით, მისთვის დახმარების გასაწევად. ფილიპესთვის რომ ეკითხა ვინმეს, — მითხარ, რა გირჩევნია,

სახელოვანი გახდნენ დიოპითეს მხლებელი მოლაშქრენი, — ამჟამად როგორიც უნდა იყვნენ ისინი, — დიდება მოუტანონ ათენს, ბურჯად დაუდგნენ სახელმწიფოს, თუ პირიქით, სხვათა და სხვათაგან განქიქებულებმა და ცილდაწამებულებმა დაშალონ ჯარი და გაიფანტონ? ვფიქრობ, უკანასკნელს ამჯობინებდა იგი. რასაც ფილიპე იქ ღმერთებს ევედრება, ზოგი ჩვენთაგანი აქ აღასრულებს. ამას იქით, იკითხავთ, ქვეყანა რად იღუპებაო?

ახლა მინდა მოგახსენოთ ქვეყნის აწინდელი ვითარებისთვის, რათა გაირკვეს — რას ვიქმთ და რას კი უნდა ვიქმოდეთ. ჩვენ არც ფულადი სახსრის გაღება გვინდა, არც ლაშქრობის ხალისს ვამჟღავნებთ, თან არც საერთო სიკეთეთა წილზე ვამბობთ უარს; არც დიოპითეს ვაკუთვნებთ საამისოდ განწესებულს, არც იმის საშუალებას ვაძლევთ, თავად მოიპოვოს სახსარი, — პირიქით, ვძვირვსიტყვაობთ მასზე, ეჭვით ვუცქერით, თუ საიდანა აქვს სახსარი, სად რას აპირებს და სხვა ამდაგვარი, — არცათუ, — რაკიღა ასე ვირჯებით, — თვით ჩვენეულ საქმეთა გარიგებას ვესწრაფვით, ჯერამედ, თუმცა ორატორებს კი ვაქებთ, ქვეყნის ღირსეულ მესიტყვეთ, — საქმით მათ მოწინააღმდეგეთა მხარეს ვიჭერთ. ამავე დროს, ჩვევად გექცათ, ყოველ ორატორს ეკითხებოდეთ ერთსა და იმავეს: — ჰო, მაგრამ, რა გავაკეთოთ? მე კი მირჩევნია, გკითხოთ: — ჰო, მაგრამ რა გადავწყვიტოთ? თუ არ შეიტანთ შესატანს, არ ილაშქრებთ, არ დაზოგავთ სახელმწიფო სახსრებს, არ გამოყოფთ თანხებს დიოპითესთვის, არც იმას დაანებებთ, რომ თვითონ გაიტანოს თავი, ხელს არ გაანძრევთ თქვენივე საქმისათვის, მაშინ რაღა გელაპარაკოთ: ან, — როცა ყველა მსურველს ცილისწამებისა და ბრალდების საშუალებას აძლევთ, მათგან ისმენთ იმ საქმეებისას, რომელთა აღსრულებასაც თურმე აწ იზრახავს ი გ ი, ყოველივეს წინდაწინვე იტყობთ მბრალდებელთაგან, — მაშინ, მეთ უმეტეს, რაღაა სალაპარაკო!

თუ რა შეიძლება ყოველივე ამან გამოიწვიოს, ზოგ თქვენთაგანს დიახაც ჰმართებს ამაზე დაფიქრება. ყოველივეს გულახდილად მოგახსენებთ. სხვაგვარად არც შემიძლია. ყველა თქვენი წარგზავნილი ფლოტის სარდალი, — თუ არადა, ღმერთებმა შემრისხონ მაშინ, — ქიოსელთაგან, ერითრელთაგან[7] და ყველასაგან, ვისგანაც შეუძლიათ, — ვგულისხმობ აზიის მოსახლეობას, — იღებენ სახსრებს. ამასთანავე, ერთი-ორი ხომალდის მქონე იღებს ცოტას, დიდი ძალების პატრონი — ბევრს. ტყუილუბრალოდ როდი იხდიან დიდს ან მცირე თანხებს გადამხდელნი (გიჟები ხომ არ არიან): ამით ისინი ყიდულო-

ბენ უსაფრთხოებას მათგან გასასტუმრებელი ვაჭრებისათვის, — რათა არ გაძარცვონ ისინი, რათა მათ ხომალდებს იცავდნენ მცველები და სხვა მრავალი სიკეთეც ახლდეთ. ისინი ამ გადასახადს მადლობის გადახდას ეძახიან.

ასეევა დიოპითეც, სადაც ჯარი ჰყავს, ფულსაც იქ უხდიან. ანკი სხვაგვარად როგორ წარმოგიდგენიათ, თქვენგან არას იღებს, თავისი არ გააჩნია, მაშ, საიდან შეინახოს ჯარი? ციდან? ამას ვერ იზამს; ამიტომ იგი კრეფს რისი აკრეფაც შეუძლია, ითხოვს, რისი თხოვაც შეიძლება, სესხულობს ფულს და ასე გააქვს თავი.

როცა მას ადანაშაულებენ თქვენს წინაშე, ამით სურთ ყველას შთაგონონ, რომ მას არა ერგება, მხოლოდ განზრახვისთვისაც კი სასჯელს იმსახურებს, მით უმეტეს, თუ სისრულეში მოიყვანს განზრახულს. ლაპარაკობენ აი, რას: ჩვენი ალყაში მოქცევა სურს, ელინებს ჰყიდისო. ნუთუ ამის მთქმელთაგანს აზიაში მცხოვრებ ელინთა ბედი აღონებს? თუ სამშობლოზე ფიქრს სხვებზე ზრუნვა უჯობს? კი, ეტყობა, ამას ნიშნავს ჰელესპონტზე სხვა სტრატეგოსის წარგზავნის რჩეობა. თუ მართლა საფრთხეს გვიქმნის დიოპითე, ხელყოფს სავაჭრო ხომალდებს, მაშინ ხომ მცირე, ათენელო დარბაისელნო, ოდენ მცირე დაფა იკმარებდა ყოველივე ამის აღსაკვეთად, რაკიღა კანონები ამბობენ ამდაგვარი უსამართლობის მოქმედთა ისანგელიით[8] გასამართლებას. მაგრამ, ეფიცავ ზევსს, ჩვენი უსაფრთხოებისთვის ამოდენა ხარჯის გაწევა და ტრიერთა გამოყენება სიგიჟესაც კი აღემატება. ხოლო მტრების წინააღმდეგ, — კანონებს რომ არ ეშორჩილებიან, — საჭიროცაა და აუცილებელიც — ჯარის მომარაგებაც, ტრიერთა გაგზავნაც და ფულადი სახსრების გაღებაც; ჩვენს მოქალაქეთა მიმართ კი ფსეფისმა, ისანგელია და პარალოსიც[9] კმარა. აი, როგორ მართებდათ მოქცევა გონიერ ადამიანებს; ამნაირად კი მოშუღლარნი და მავნენი იქცევიან, როგორც ეგენი ახლა. და თუ მაგათგან ასეთია ვინმე, ეს საშინელებაა; მაგრამ საშინელება მარტო ეგ არ გახლავთ. თქვენ, აქ მსხდომელნი, იმ ჭკუაზე ხართ, — საკმარისია, გამოვიდეს ვინმე და თქვას, რომ დიოპითეა ყოველგვარი უბედურების მიზეზი, ან — ქარეტი[10], ან — არისტოფონტი[11], ან კიდევ — რომელიც გნებავთ მოქალაქე, — უმალ ყიჟინას დასცემთ და დაადასტურებთ, მართალს ამბობსო ეგ. ჭეშმარიტად კი მართალი იქნებოდა იგი, ვინც გამოვიდოდა და გეტყოდათ: „სიტყვა გაგიმრუდებიათ, ათენელო მოქალაქენო, ყველა უბედურებისა და საქმეთა აგრერიგად წარმართვის მიზეზი არის ფილიპე, რამეთუ მას რომ მშვიდობა დაეცვა, ჩვენს სახელმწიფოს ეგრე

არ გაუძნელდებოდა საქმე". ამ სიტყვების სამართლიანობას თქვენ ვერ უარყოფთ, მაგრამ, როგორც მე ვხედავ, მაინც უკმაყოფილოდ გამოიყურებით, თითქოსდა ჰკარგავდეთ რასმე. ამის მიზეზი კი აი რა გახლავთ (ღმერთთა გულისთვის, ნება მიბოძეთ, როცა ქვეყნის უკეთესი ხვედრისთვის ვიღებ სიტყვას, ვიყო წრფელი): ზოგიერთმა პოლიტიკოსმა შოგამზადათ იმისთვის, რომ სახალხო კრებაზე იყოთ მკაცრნი და მრისხანენი, სამხედრო სამზადისში კი სულმოკლენი და ძხდალნი. ამიტომაც, — როგორც კი თქვენს შორის ბრალეულჰყოფთ ვისმე, მის დასჯას უმალ ადასტურებთ; ხოლო, თუ ბრალდებული ისეთი კაცია, რომელსაც იარაღის აღუმართავად ვერ დასჯი, აქ თავად აღარ იცით, რა ჰქნათ, მართლმრჩეველთ კი ნიადაგ ემდურებით. სჯობდა კია, ათენელო დარბაისელნო, მაგ პოლიტიკოსებს სახალხო კრებებზე შემწყნარებლური და კაცთმოყვარული ქცევა ესწავლებინათ თქვენთვის, რამეთუ ამ კრებებზე ირჩევა სამართალი თქვენს შორის და თქვენსა და მოკავშირეებს შორის; სამაგიეროდ, საომარ სამზადისში ყოფილიყავით მკაცრნი და მრისხანენი, როცა მტერთა და მოწინააღმდეგეთა მიმართ მოგელით ბრძოლა. მათ კი დემაგოგიურად ჩაგინერგეს მაამებლობა, სახალხო კრებებზე თავის გამოჩენის სურვილი, საომო სიტყვათმსმენელობა და სხვა მისთანანი; ამასობაში კი საქმე რთულდება და საშიშ ხასიათს იღებს. მარქვით, ზევსის გულისთვის, რას იტყოდით, ელინებს პასუხი რომ მოეთხოვათ თქვენთვის თქვენივე უგულისყურობით ხელიდან გაშვებული მარჯვე ჟამისთვის და ეკითხათ: „ათენელო დარბაისელნო, განა თქვენ არ გვიგზავნით წამდაუწუმ ელჩობას, თქვენ არ გითქვამთ ჩვენთვის, რომ ფილიპე მზაკვრულად ეკიდება ელინთ, რომ უნდა ვერიდოთ მაგ კაცს და ყოველი ამდაგვარი?" ჩვენ იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ და დასტურვყოთ ეს, რამეთუ სწორედაც ამას ვიქმთ. „მაშინ, კაცთა შორის უზარმაცესნო, რას შვრებოდით თქვენ, როცა ეგ კაცი ათი თვის განმავლობაში უმოქმედობდა, ხან ავადმყოფობით, ხან უამინდობით, ხანაც ომით მოწყვეტილს შინ მობრუნება არ ძალედვა, — რად არ ათავისუფლეთ ევბეა, რად არ შემოიმტკიცეთ უკან არც ერთი თქვენი სამფლობელო? მ ა ნ კი ამასობაში, სანამ თქვენ უქმად ისხედით შინ სრულიად ჯანმრთელნი, — თუკი ჯანმრთელი ეთქმის აგრე მოქმედთა, — ევბეაში ორი ტირანი დასვა, ერთი მათგანი ატიკას დაუპირისპირა, მეორე — სკიათოსს[12]; თქვენ კი არც ეგ გიქმნიათ, არც ის და არც სხვა რამ. ამით ცხადად დაანახვეთ მ ა ს, რომ გინდა ათჯერაც მოკვდეს და მორჩეს იგი, ადგილიდან ფეხსაც არ მოიცვლით. თუკი ეგრეა, რაღას ელჩობთ,

ბრალმდებლობთ და აღძრავთ საქმეებს?“ ასე რომ გველაპარაკონ, რას ვუპასუხებთ, რას ვეტყვით, ათენელო დარბაისელნო? მე, ჩემდა თავად, ვერაფერს ვიტყვი. არიან ზოგნი, რომელნიც ფიქრობენ, ორატორს იმით გავაქილიკებთ, თუ ვკითხავთ, — ჰო, მაგრამ რა ვქნათო? ამნაირ ხალხს მე მივცემდი ყველაზე სამართლიან რჩევას: — არ უნდა ჰქნან ის, რასაც თქვენ შვრებით ახლა; ამაზე შემიძლია წვრილად მოგახსენოთ, ოღონდაც კი მათ, — რა სიბეჯითესაც იჩენენ ამ შეკითხვისას, იგივ გამოიჩინონ საქმის აღსრულებისას. უპირველესად, ათენელო დარბაისელნო, მტკიცედ უნდა შეიგნოთ, რომ ფილიპე ომს ეწევა ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ და მან დაარღვია ზავი (ამაზე შეწყვიტეთ ურთიერთბრალდება!); უწყოდეთ ეგეც, — იგი მტრობს არა მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოს, არამედ სახელმწიფოსეულ ბალავერს საერთოდ; და კიდევ, დავუმატებ, — სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს, აგრეთვე იმათ, რომელთაც ჰგონიათ, რომ დიდად აამებენ მას (თუ არადა — გაიხსენონ ოლინთოსელი ევთიკრატე[13] და ლასთენე[14], რომლებიც მის თანამდგომებად ირაცხებოდნენ, მაგრამ, როცა თავისი ქალაქი გასცეს, ყოვლად სავალალოდ დაიღუპნენ); მაგრამ არაფერს ისე გავეშებით არ ებრძვის ეგ კაცი, როგორც თავისუფალ სახელმწიფოებრივ წყობას, არაფერს ისე არ ესწრაფვის და მცდელობს ყოველმხრივ, როგორც მის დამხობას. რამდენადმე ბუნებრივია, ამას ესწრაფოდეს იგი, რამეთუ, ყველა დანარჩენთა ბატონიც რომ შეიქნეს, საიმედოდ მაინც ვერას დაიუფლებს, სანამ თქვენ დემოკრატიულ წყობილებას ინარჩუნებთ; მაგრამ მარცხად რომ წაიბორძიკოს უცებ, — რაიც ხშირად შეემთხვევა ხოლმე კაცს, — უმალ ყველა მისი ძალმომრეობით /შევრდომებული თქვენ მოგაშურებს და თავშესაფარს შეგთხოვთ. თქვენ ხომ ბუნებით არ მოგდგამთ, რომ სხვისი მიიკერძოთ და გაისაკუთროთ ხელისუფლება, პირიქით — მომხვეჭელთა ხელის შეშლად და მქონებელთა წართმევად ხართ შემართულნი, ხელს უშლით სხვათა მტაცებლობას, ართმევთ წამრთმეველს, საერთოდ დაბრკოლებას უქმნით ყველას, ვინც ესწრაფვის ძალაუფლებას და მზად ხართ ხალხთა თავისუფლებისათვის. ამიტომ მას არაფრის გულისთვის არ სურს, რომ თქვენში ეგულებოდეს თავისუფლების იმედით დასაფრებული ძალა, — არც ცუდი და არც ფუჭი გახლავთ მისი ესევითარი განსჯა. უპირველესად, — უნდა გახსოვდეთ ეს, — იგი დაუძინებელი მტერია თავისუფალი სახელმწიფო წყობისა და დემოკრატიისა. თუ ამას სულის სიღრმემდე არ იწამებთ, ვერც საქმეს მიატანთ სათანადო გულისყურს; მეორეც, ახლა თვალნათლივ ჩანს, რომ იგი ყოველი

ღონით ემზადება ჩვენი ქვეყნის დასარბევად და, ამდენად, ვინც მისი მტერია, ჩვენს მოყვარედ უნდა მივითვალოთ. არავინაა ისეთი გულუბრყვილო, ფიქრობდეს, რომ ფილიპე თრაკიაში უღრანებს ეტანება (ან კი სხვა რა ვუწოდოთ დროგილოსს, კაბილეს ან მასტირას[15], რომელთაც ი გ ი ამჟამად იპყრობს?) და მათ ასაღებად იტანს ამდენ ჯაფას, უამინდობას და უკიდურეს ხიფათს, ხოლო არაფრად აგდებს ათენის ნავსადგურებს, ხომალდთსადგომებს, ტრიერებს, ვერცხლის სამადნეებს და სხვა შემოსავლიან ადგილებს, — ამათ თქვენ გიტოვებთ სამფლობელოდ, თავად კი მთელი ზამთარი თრაკიის ორმოებში ჩაყრილი უბადრუკი ჭვავ-ქერისათვის იკლავს თავს. ასე სულაც არ გახლავთ საქმე, — ყოველივე ამას და მრავალ სხვასაც იმისთვის აკეთებს, რათა ამა ალაგთა უფალი შეიქმნეს მხოლოდ. რა მართებთ ესეოთარ ჟამს გონიერ კაცთ? ხომ უწყით და საცნაურია თქვენთვის, რომ უნდა მოიკვეთოთ ეგ ზღვარგადასული, საარაკო სიზარმაცე, გაიღოთ ფული და შთააგონოთ ეს მოკავშირეებსაც, თვალყური ადევნოთ ლაშქრის სალაშქრო მზადყოფნას; როგორც ი ქ ა ს ჰყავს მზადმყოფი ჯარი მთელი ელადის დასარბევად და დასამონებლად, ასევე თქვენც მზად იყოლიეთ ლაშქარი ყველას ხსნად და დახმარების გასაწევად. მარტო მაშველი ჯარით მიზანს ვერ მიაღწევ, — საჭიროა, შეიქმნას ერთიანი ლაშქარი, მომზადდეს სურსათით, დაენიშნოს სახალხო მონები[16] მოლარეთუხუცესებად, დაწესდეს რაც შეიძლება მკაცრი მომჭირნეობა სახსრებზე, რის შემდეგაც ლარის ანგარიში მოეთხოვოს მოლარეს, სამხედრო საქმისა — მხედართმთავარს. თუ ყოველივე ამას იქმთ, ან ამგვარი გზით ივლით, ამით აიძულებთ ფილიპეს სამართლიანად იცავდეს ზავს და იდგეს თავისი ქვეყნის საზღვრებში; ასე იქნებოდა უკეთეს შემთხვევაში, უარესში კიდევ — თანაბრად იომებდით.

თუ ვინმე ფიქრობს, ყოველივე ეს დიდ ჯაფასა და გარჯას ითხოვს, მართალსაც ფიქრობს იგი. მაგრამ იმან რომ განჭვრიტოს, რა შეიძლება ეწიოს ჩვენს სახელმწიფოს ამ ღონისძიებათა გაუთვალისწინებლობით, უმალ გაირჯება ყოველივე საჭიროს აღსასრულებლად. ეთქვათ, რომელიმე ღმერთთაგანი დაგიდგეთ თავმდებლად იმისა (კაცთაგანი საიმედო არაა ეგოდენ მნიშვნელოვან საქმეში), რომ თქვენი სიმშვიდით და უმოქმედობით დაიცავთ მშვიდობას და ი გ ი აღარ გამოიწვევს თქვენზე; მაშინაც სამარცხვინოა, — ვფიცავ ზეუს და ყველა ღმერთს, — და შეუფერებელი თქვენთვის, ჩვენი ქალაქის სახელისათვის და წინაპართაგან გარდახდილი ღვაწლისათვის, რომ ეგეთი

სასტიკი გულგრილობით მონობისთვის გაწიროთ დანარჩენი ბერძნები, — მე უმალ სიკვდილს ვარჩევდი, ვიდრე ეს გადამეწყვიტა. ხოლო თუ ვინმე მონაც მსჯელობს ასე და თქვენც გექეშმარიტებათ მისი ვარაუდი, — იყოს ნება თქვენი, არ დაიცვათ თავი, შეეშვით ყველაფერს. მაგრამ თუ ამას არავინ ფიქრობს, პირიქით — თუ ყველამ წინასწარვე ვუწყით, რომ რაც მეტს წავაგლეჯინებთ, მით უფრო ძლიერ და შეურიგებელ მტრად მოვიკიდებთ მას, — მაშინ რაღას ვითრევთ ფეხს, რაღას ველოდებით? მაშ როდისღა გაგიჩნდებათ სურვილი, ათენელო დარბაისელნო, თქვენეული ვალის აღსასრულებლად? „მაშინ, ვფიცავ ზეევსს, როცა აუცილებელი იქნება ეს.“ მაგრამ, რაც თავისუფალი კაცისთვის აუცილებლად ითქმის, არამცთუ მოდგა მისი ჟამი — გარდავიდა კიდეც, ხოლო მონათა საზრუნავი ღმერთმა გვაშოროს. თავისუფალ ადამიანს უდიდეს აუცილებლობად სირცხვილი აკისრია შექმნილი ვითარებისათვის (ანკი ამაზე მეტი სხვა რა დავასახელო), მონას კი — გაჯოხვა და სხეულზე ძალმიტანება. ამაზე ლაპარაკიც კი გვაშორონ ღმერთებმა!

სხვა მრავალსაც გეტყოდით, — თქმას არ დავიზარებდი, — ცხადვყოფდი ზოგ პოლიტიკოსთა სათქვენოდ დამღუპველ მოღვაწეობას, მაგრამ ყველაფერზე აღარ შევჩერდები; ოღონდ ერთი კია, როგორც კი ფილიპეზე ჩამოვარდება სიტყვა, უმალ წამოდგება ვინმე და იტყვის: „კარგია ზავი!“, „ძნელია დიდი ლაშქრის შენახვა!“, ან: „ზოგიერთებს სურთ სახელმწიფო ფულის დატაცება!“, — და კიდევ სხვა ამგვარ სიტყვებს, რაიც დაბრკოლებას გიქმნით თქვენ, ი მ ა ს კი საშუალებას აძლევს მშვიდად აღასრულოს, რასაც იზრახავს. ყოველივე ამან შეიძლება მძიმე შედეგი გამოიღოს; ვშიშობ, ვაითუ თქვენი დახანება და არასმქნელობა ბოლოს სანანებლად დაგირჩეთ, მაგათ კი — წყალობად და ჯილდოდ მიეზღოთ. მშვიდობის დაცვა რომ გიჩიჩინოთ და გარწმუნოთ, რა საჭიროა, მას თქვენ ისედაც იცავთ, რაკიღა სულ შინ სხედხართ გულხელდაკრეფილნი; ოღონდ კი ომის წამომწყები ირწმუნებდეს ამას, თორემ თქვენი მხრით სწორედ რომ რიგზეა ყოველი. სამძიმოდ უნდა მივიჩნიოთ არა ჩვენი ხსნისთვის გაღებული ხარჯი, არამედ ის მძიმე შედეგები, სავსებით მოსალოდნელი რომ გახლავთ, თუ ამ ხარჯებზე ვიტყვით უარს.

ლაპარაკი სახელმწიფო თანხების დატაცებაზე უნდა შეწყდეს, ფული უნდა დაიზოგოს, მაგრამ არც სალაროდან ლარის მიღებაზე ითქვას უარი. მე დიდად მაოცებს, ათენელო დარბაისელნო, როცა თქვენგანს ვისმე ფულის დატაცება აღონებს, — ვითომდაც თქვენს ხელთ

არ იყოს ფულის შენახვაც და დამტაცებელთა დასჯაც, — და არ აწუხებს მთელი ელადის მიწების ზედიზედ წარხვეჭა, რასაც გულმოდგინედ გვაჩვენებს ფილიპე, ჩვენთან საბრძოლველად რომ იკრებს ძალებს.

რა არის მიზეზი იმისა, ათენელო დარბაისელნო, რომ ეს კაცი აშკარად არ ერიდება ომს, უსამართლობას, იპყრობს ქალაქებს და ომის გამჩაღებლად მაინც არავის მიუჩნეია იგი, ხოლო ვინც ყოველივე ამის აღკვეთას რჩეობს, ბრალეულჰყოფთ მას, ვითარცა ომის წამომწყებს? ამაზეც მოგახსენებთ. ამათ უნდათ, ის გულისწყრომა, რომელიც ომით მოსალოდნელ ზარალს შეიძლება მოჰყვეს, დაატეხონ იმ ორატორებს, რომლებიც თქვენ კეთილ რჩევას გთავაზობენ, ესენი განიკითხოთ ოდენ, არკი ფილიპეს წინააღმდეგ ემზადოთ; გარდა ამისა, თავად სწადიათ იყვნენ მბრალმდებელნი, რომ მერმე პასუხი არ აგონ თავიანთი ახლანდელი მოქმედებისათვის; ამით ისიც უნდათ თქვან, თითქოს ზოგ ვინმეს ომის თავსმოხვევა ეწადოს თქვენთვის; ეს არის მთელი ამ პაექრობის თავიც და ბოლოც. მე კი ვუწყი გარკვევით, რომ თუმცა ათენელთაგან ომი წერილობით არავის დაუკანონებია, ფილიპემ მაინც მიითვისა ჩვენი სახელმწიფოს მრავალი ქალაქი და ახლა კარდიას უწევს სამხედრო დახმარებას. რა თქმა უნდა, რაკილა თავად ხმას არ ვიღებთ ფილიპეს ომზე, იგი ყოვლად უგუნური უნდა ყოფილიყო, თავად განეცხადებინა ეს ჩვენთვის. მაგრამ როცა პირდაპირ ჩვენკენ გამოსწევს, მაშინ რაღას ვიტყვით? იგი ხომ მაშინაც არ გამოგიცხადებთ ომს, როგორც არ გამოუცხადებია ორეოსელთათვის, როცა მათ ქვეყანას ლაშქრავდა, უფრო ადრე — ფაროსელთათვის, მათსავე კედელთან მდგომელს, ასევე — კიდევ უფრო ადრე — ოლინთოსელთათვის, ვიდრე მათი ქვეყანა არ მოითარეშა. ჩვენ კი თავდაცვის საქმისათვის მაშვრალთ ომის გამჩაღებლობა უნდა ვაბრალოთ? მაშინ მონებად ვიქცეთ, სხვა რაღა დაგვრჩენია თავდაცვის უუფლებობასა და მტრის ძალმომრეობას შუა გახიდულთ. სხვათა საფრთხე თქვენსას არ შეედრება. ფილიპეს მარტო ხელყოფა კი არ სწადია თქვენი ქალაქისა, არამედ სრული იავარქმნა მისი. მან ცხადად უწყის, მონობას არ ისურვებთ თქვენ, მაგრამ, რომც ისურვოთ, ვერ აღასრულებთ, რაკილა თავადობას ხართ უკვე ჩვეულნი; ხოლო მარჯვე ყამის მოხელეთებისთანავე ყველაზე მეტად თქვენ შეაურვებთ მას, ვიდრე ყველა სხვა ხალხი ერთად.

ამ ომით ყოფნა-არყოფნის ყამი გვიდგას და, ვინც ამ დროს იმ კაცს მსახურებს, უნდა მოიზიზღოთ და მოიკვეთოთ იგი. შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელი, გარეშე მტერთა ძლევა მანამ, სანამ არ

დასჯით ქალაქის შინამტერთ, მაგ კაცის თანამდგომთ. როგორ გგონიათ, რად გეთავხედებათ იგი თქვენ (სხვას, ვგონებ, არას უნდა ნიშნავდეს მისი საქციელი), რად არ გეთვალთმაქცებათ, ვთქვათ, ქველმოქმედების ნიღბით, — როგორც ყველა დანარჩენის მიმართ სჩადის ამას, — და გემუქარებათ მხოლოდ? მაგალითად, თესალიელნი თვალთშაქცობით მიიყვანა მან მონობამდე. წინდაწინვე ვის რა შეეძლო ეთქვა ბედკრულ თესალიელთათვის, როცა ჯერ პოტიდეა უბოძა მათ და მერმე სხვა მრავალიც? ამჟამად კი თებელთ აცდუნებს იგი — ბეოტია უბოძა მათ და ხანგრძლივი და მძიმე ომისაგან დაიხსნა. ამრიგად, ყველამ იგემა რაღაც ნაყოფი გამორჩენისა, თუმცაღა ზღო კიდეც ამისათვის და, თუ არ ზღო, — ზღავს, ოდეს საამისო ჟამი მოდგება. ხოლო თქვენს დანაკარგზე აღარას ვიტყვი. კმარა ისიც, ზაფის დადებით რომ გაბრიყვდით. რამდენი რამ დაკარგეთ ამით! განა ამის შედეგად არ დაიმორჩილა მან ფოკეელნი, პილოსი, დაიპყრო თრაკია, დორისკოსი, სერიონი, აგრეთვე თავად კერსობლეპტე[17]. განა კარდიელთა ქალაქსაც არ დაეპატრონა ახლახან, და თავადაც არ აღიარებს ამას? რად გეპყრობათ თქვენ ყველასაგან სრულიად განსხვავებულად? იმად, რომ ყველა სახელმწიფოს შორის მხოლოდ თქვენთანაა შესაძლებელი მტერთა სასარგებლოდ ლაპარაკი, — აიღებთ თუ არა ქრთამს, გაბედულად წარუდგებით ხოლმე მსმენელთ და თქვენეულის დაკარგვაც აღარ გაღონებთ. არ იქნებოდა საშიში ფილიპეს სასარგებლოდ ლაპარაკი ოლინთოსში, თუ მაგ მოლაპარაკეთ ოლინთოსელთა უმრავლესნი ფილიპესთვის პოტიდეას გადასაცემად არ შეეგულიანებინათ. არ იქნებოდა საშიში ფილიპეს სასარგებლოდ ლაპარაკი თესალიაში, თუ მაგ მოლაპარაკეთ თესალიელთა უმრავლესობა ფილიპეს მიერ ტირანთა გასაძევებლად არ დაეყოლიებინათ და პილოსის საქმეში არ გაერიათ იგი. არცა თებეში იქნებოდა საშიში, სანამ ბეოტია არ გაეაჩუქა და ფოკეა არ მოაოხრა. ათენელთათვის კი, — როცა უკვე არათუ ამფიპოლისი და კარდიელთა ქვეყანა წაგართვეთ ფილიპემ, არამედ ევბეა გაამაგრა თქვენს საწინააღმდეგოდ და ახლა ბიზანტიონსაც მიადგა, — საშიში თურმე სულაც არ არის ფილიპეს სასარგებლოდ ლაპარაკი. ამიტომაც ზოგნი ღატაკნი სწრაფად მდიდრდებიან, უბირნი და უსახელონი ღირსებასა და სახელს იხვეჭენ, ხოლო თქვენ, ადრე სახელოვანნი, ახლა უსახელონი ხდებით, ადრე მქონებელნი — უქონელნი. სახელმწიფოს სიმდიდრედ კი მე მივიჩნევ მოკავშირეებს, ნდობას, კეთილ ნებას და ყოველივე ამდაგვარს, რაიც ამჟამად ესოდენ შემოგკლებიათ. თქვენი გულგრილობისა და მიშვებულობის წყა-

ლობითაა იგი სვიანი, დღეგრძელი და საშიში ყველასათვის — ელინი იქნება ის თუ ბარბაროსი; თქვენ კი ამ დროს დამცირებულნი ხართ და შერცხვენილნი, ბაზრებზე სიმდიდრითა და სანოვაგით კი ბრწყინავთ, მაგრამ, ომს რაც შეეხება, — აქ ყოველი თქვენი სამზადისი მხოლოდ სასაცილოდ გამოიყურება. ზოგი ორატორთაგანი, გარკვეული მოსაზრებით, ცალკერძ სათავისოდ მსჯელობს, ცალკერძ სასხვისოდ; სახელდობრ, — ძშვიდობის დაცვის საჭიროებას გიჩიჩინებთ თქვენ, თუნდაც ამით უსამართლობის მსხვერპლი ხდებოდეთ, თავად კი არ ძალუძს სიმშვიდის შენარჩუნება, თუმცა არავინ ერჩის მას.

შეიძლება ვინმე გამოვიდეს და მითხრას: „მაგრამ აი შენ ხომ არ გსურს წერილით დასტურჰყო ეს, და პასუხისმგებლობა იკისრო. მაშასადამე, გაუბედაობას და სისუსტეს იჩენ“. მე არც თავხედი, არც მოძალე, არც ურცხვი ვყოფილვარ და არცა ვყოფილიყო! მაგრამ ვფიქრობ, მრავალ თქვენს პოლიტიკურ მრჩეველზე უმამაცესად კი გამოვიყურები. ერთი კია, ათენელო დარბაისელნო: იგი, ვინც არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ინტერესებს, აღძრავს სასამართლო პროცესებს, ბრალს სდებს მოქალაქეებს და ემუქრება მათ ქონების ჩამორთმევით, ამით სიმამაცეს სწორედ რომ არას იქმს, — თავის უსაფრთხოებაზე ზრუნავს მხოლოდ და, ამრიგად, თქვენდა საამებლად გარდახდილი პოლიტიკური საქმიანობით თავს უშიშრად გრძნობს. მხოლოდრე ვინც მრავალ სიკეთეს იქმს თქვენეულ გულისთქმათა საპირისპიროდ და თქვენდა საამებლად კი არ ლაპარაკობს, არამედ სამართლიანად სჯის, თან პოლიტიკურ საქმიანობას არჩევს, როცა ბედზე მეტია დამოკიდებული ვიდრე განსჯაზე, ორთავეში კი პასუხისმგებლობს თქვენს წინაშე, — აი ასეთი კაცი გახლავთ მამაცი, საჯარგებლო მოქალაქე, თორემ ისინი კი არა, ჩვენი წვრილმანი გამორჩენის გამო სახელმწიფოს დიდნი საქმენი რომ გასწირეს; მე მათ არამცთუ რამეს დავეკითხები, ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქეობის ღირსადაც არ მივიჩნევ საერთოდ; ის კი არა, ვინმეს რომ ეკითხა ჩემთვის „ერთი, მითხარ, თავად რა სიკეთე გიქნია ჩვენი სახელმწიფოსთვის?“ — მე შემეძლო, ათენელო დარბაისელნო, პასუხად მომეხსენებინა ტრიერარქია, ქორეგია, ფულადი შესატანი, ტყვეთა დახსნა[18] და სხვა ამდაგვარი, მაგრამ არცერთ ამას არ ვიტყოდი, გარდა ერთისა — რომ მე მათებური პოლიტიკით არ ვპოლიტიკოსობ, თუმცაღა მეც ისევე შემეძლო, როგორც სხვებს, წამომეწყო ბრალმდებლობაც, მაამებლობაც, მელაპარაკა საკუთრების განზოგადებაზე და მეკეთებინა, რასაც სხვები აკეთებენ. მაგრამ არც ამდაგვარი რამ გამიკეთებია

როდისმე, არც გამოსარჩენს ან პატივმოყვარეობას გამოვკიდებივარ; პირიქით, ჩემი ლაპარაკი სხვებზე მეტად მე მამცრობს თქვენს თვალში, თუმცა, ჩემი რომ გერწმუნათ, უფრო ძლიერნი იქნებოდით ახლა; აი, ასეთი პასუხი შემეძლო მომეგო ყოველგვარი შურისა და ჯიბრის გარეშე. ვფიქრობ, სამართლიან მოქალაქეს არ შეჰფერის ეძიოს ისეთი პოლიტიკური ხერხი, რომელიც, ვთქვათ, მე თქვენს შორის პირველ ადგილზე წამომასკუპებდა, თქვენ კი სხვებზე უკან დაგტოვებდათ. კეთილშობილ მოქალაქეს სახელმწიფოს სასიკეთოდ მსახურება შეჰფერის მხოლოდ, ყოველთვის სასიკეთოს და არა საიოლოს თქმა, რამეთუ სიიოლე ბუნებით მოსდგამს კაცს, ხოლო სასიკეთოს კი სიტყვით განისწავლის სათნო მოქალაქე.

ერთმა კაცმა ასეთი საყვედური მითხრა: — შენ ყოველივე კარგს ამბობ, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია, ქვეყანას კი სჭირდება საქმე და რაიმეს გაკეთებაო. ამაზე ჩემს აზრს დაუფარველად მოგახსენებთ. ვფიქრობ, მრჩევლის საქმე ისაა, თვინიერ სიკეთისა არა იზრახოს რა. ეს რომ ასეა, ვგონებ არ გამიჭირდება ამის წარმოჩენა. აკი თქვენც უწყით, — ერთხელ თავად ტიმოთეოსი[19] წარმოგიდგათ სახალხო კრებაზე სიტყვით, რათა გაგეწიათ სამხედრო დახმარება და გეხსნათ ევბეელნი, რამეთუ თებელთ ეწადათ. მათი დამონება; მის სიტყვაში იყო დაახლოებით ასეთი გამონათქვამები: „აბა, მითხარით, — ამბობდა იგი, — ახლა იმის ბჭობისა და ჭოჭმანის დროა, თუ რა ვუყოთ თებელთ, როცა ისინი უკვე კუნძულზე არიან? განა ზღვა ტრიერებით არ უნდა მოჰფინოთ? ნუთუ არ უნდა დაიძრეთ და ქყის პირეოსს არ მიაშუროთ? ნუთუ წყალში ახლავე არ ჩაუშვებთ ხომალდებს?“ ეს თქვა ტიმოთეოსმა და აღასრულეთ თქვენ. ამ ერთობლივი ღონისძიებით საქმე გაკეთდა. რაზომ წარჩინებითაც არ უნდა ელაპარაკა ძმს, — როგორც დიახაც ილაპარაკა, — თქვენ რომ უგერგილობა გიშოგეჩინათ და არრა გესმინათ, განა აღესრულებოდა რამე იმ საქმეთაგან, ჩვენი სახელმწიფოს სასარგებლოდ რომ აღესრულა მაშინ? არამც და არამც! ასეა ახლაც იმ საქმეთა გამო, მე რომ განვიხილავ: საქმე თქვენზეა, ხოლო აზრიანი და საჩინო სიტყვა არ მოგაკლდებათ აქ გამოსული ორატორისაგან.

ვიდრე ტრიბუნიდან ჩამოვიდოდე, მინდა მოგახსენოთ მთავარი. მოვითხოვ ფულის შეტანას. უნდა განმტკიცდეს არსებული ლაშქარი, რაც ნაკლი აქვს, უნდა გამოსწორდეს, ვინც რა უნდა დაიჩემოს, არ დაუშვათ მისი მთლიანი დაშლა; ყოველი მხრით დაიგზავნოს ელჩები, დაე, ყოველივე განუმარტონ ხალხს და შეაგულიანონ საქმისათვის.

ყოველივე ამის გარდა, უნდა დასაჯოთ და ზიზღით მოეკიდოთ იმათ, ვინც ქრთამს აიღებს საზოგადოებრივ საქმეთა აღსრულებისას, რათა ზომიერნი და სამართლიანნი პატიოსნების მაგალითად იქცნენ როგორც სხვებისთვის, ასევე თავიანთთვის. თუ ეგრერიგად მოეკიდებით საქმეთ და გადაეჩვევით ყოველგვარ გულგრილობას, — მაშინ შესაძლოა, დიახ, სწორედ რომ შესაძლოა, წაღმა წაგვივიდეს საქმე. ხოლო, თუ აქ ისხდებით, ოდენ ხმაურით უარყოფთ ან დასტურჰყოფთ რჩევებს, და რაც უნდა ჰქნათ — არა იქმთ, მაშინ აღარ ვიცი, რა სიტყვას შეუძლია აღგასრულებინოთ ის, რაც ჯერ არს, და იხსნას სახელმწიფო.

მესამე სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ

ლიბანიოსის წინათქმა

ამ წინასიტყვის დედააზრი უბრალოა; რადგან ფილიპე სიტყვით იცავს მ3ვიდობას, საქმით კი მრავალ უსამართლობას სჩადის, ორატორი ათენელებს ლაშქრობას ურჩევს და თავდაცვას მეფისაგან, რამეთუ საფრთხე მარტო ამათ კი არ ემუქრება, არამედ მთელს ელინეთს.

სიტყვა

თითქმის ისეთი კრება არ არის, ათენელო დარბაისელნო, რომ მრავლად არ წარმოითქვას სიტყვა ფილიპეს საქმეთა გამო, რასაც ზავის დადების ჟამიდან აღასრულებს იგი უსამართლობით არა მხოლოდ თქვენს საწინააღმდეგოდ, არამედ დანარჩენ ელინთა საზიანოდაც. ოღონდ ერთი კი კარგად ვუწყი: ყველას რომ ის ეთქვა და ეკეთებინა, რასაც არ აკეთებენ, მაგრამ რაიც ყველა მათგანის მოვალეობას შეადგენს, ამით ალაგმავდნენ ამ კაცის თავხედობას, ანუ განაჩენდნენ სამართალს; აწ კი საქმეს ესოდენ უკეღმა წარებულს რომ ვხედავ, ვშიშობ, რაგინდ ძნელიც იყოს ამის თქმა, — ვაითუ სიმართლე ასეთი გახლდეთ: ყველა აქ გამოსულ მრჩეველს რომ დასთანხმებოდით და მხარში ამოსდგომოდით მხოლოდ საქმეთა გაუკეღმართების მიზნით, მაშინაც, ვფიქრობ, იყე არ წაგიხდებოდათ საქმე, როგორც ამჟამად წაგხდომიათ. მრავალია ამის მიზეზი, — არათუ ერთს ან ორ მიზეზთაგანს გაუმრუდებია საქმე ამ ზომამდე. მაგრამ გამოწვლილვით თუ გამოიძიებთ ყოველს, ნახავთ, რომ ამაში ბრალი ედებათ უმეტესად იმათ, ვინც ხალხის გულის მონადირებას ლამობდა, და არა იმათ, ვინც ოდენ კეთილს რჩეობდა. მრავალი ამათგანი კი, ათენელო დარბაისელნო, მხოლოდ ქვეყანაზე სახელის გაფენობას და ძალმორჩმას ეს-

წრაფვის, ქვეყნის მომავალი კი სულაც არ აღონებს და არც ისა სურს, რომ თქვენ გაღონებდეთ; ზოგნი კიდევ სახელმწიფოებრივ საქმეთა აღმასრულებელთ სდებენ ბრალს, თითქოსდა ჩვენი სახელმწიფო თავს უნდა ისჯიდეს, მხოლოდ ამით იყოს გართული, ფილიპემ კი თქვას და აკეთოს, რაც სურს. ესევითარ პოლიტიკურ განსჯას ჩვეულებრივ თქვენ, რაც უსათუოდ ზიანს შეგამთხვევთ. მე გთხოვთ, ათენელო დარბაისელნო, თუ რამ სიმართლეს წრფელად შოგახსენებთ, რისხვა არ დამაწიოთ თავს. მოგეხსენებათ, სიტყვის თავისუფლება ჩვენს სახელმწიფოში ეკუთვნის ყველას, უცხოელებიცა და მონებიც კი ამ უფლებით სარგებლობენ აქ; ჩვენში მონებს გაცილებით მეტი უფლება ენიჭებათ — სიტყვით გამოთქვან თავისუფალი აზრი, ვიდრე თავისუფალ მოქალაქეებს სხვა სახელმწიფოში, გარნაღა თქვენ დაამცრეთ ეგ თავისუფლება. ამიტომ თავად ზეობთ, იფერებთ ტყუილს, უსმენთ მაამებლურ სიტყვებს, მაგრამ, როცა ჯერი საქმეზე მიდგება და ქამი მოაწევს, უკვე უკიდურეს ხიფათში აღმოჩნდებით ხოლმე. თუ ახლაც ამგვარ მდგომარეობაში გეგულებათ თავი, მაშინ რაღა მშთენია თქმად. ხოლო თქვენდა სასიკეთოდ თუ გსურთ უტყუვრად ისმინოთ სიტყვა, მეც მზადა ვარ თქმად. თუნდაც ყოველად წარხდენილი იყოს საქმე და მრავალი რამ დაკარგულიც, მაინც, თუ აუცილებლის გაკეთებას ისურვებთ, შესაძლოა, ყოველივე წაღმა წარიმართოს. შესაძლოა, უცნაურად გეჩვენოთ, რასაც ახლა ვიტყვი, თუმცაღა დია სარწმუნოა იგი: უარესი წარსული უკეთესი მომავლის საწინდარია ზოგჯერ. კერძოდ რას ვგულისხმობ? იმას, რომ მძიმე ვითარების ჟამს თქვენ არრა იღონეთ — არც ცოტა, არც ბევრი. ვთქვათ, ყოველივე რომ გეღონათ, რაც გევალებოდათ, საქმე კი მაინც ცუდად წაგსვლოდათ, აი მხოლოდ მაშინ გადაგეწურებოდათ უკეთესი მყობადის იმედი. ხოლო ამჯერად თქვენს უსულგულობასა და განუსჯელობაზე იმარჯვა ფილიპემ და არა სახელმწიფოზე; თქვენ კი არ დამარცხებულხართ — საერთოდ არ გიბრძოლიათ.

თუკი ამჯერად ყველანი ცხადვყოფთ, რომ ფილიპე ჩვენს ქვეყანას ეომება და არღვევს ზავს, მაშინ ვერც ერთი აქ გამომსვლელი უკეთესს ვერას გირჩევდათ, ვიდრე უმტკიცეს და უმარჯვეს თავდაცვას. ზოგი კი დიდ ახირებულობას იჩენს: მაშინ, როცა იგი იპყრობს ქალაქებს, ითვისებს მრავალ თქვენს სამფლობელოს და უსამართლოდ ეპყრობა ყველას, — გამოდის აქ, სახალხო კრებაზე, და ამტკიცებს, ომის გამჩაღებელი თქვენს შორის იგულვეთო. ამჯერად კი სიფრთხილე გვმართებს და მართლგანმსჯელობა. წინდახედულობაა საჭირო,

რომ იგი, ვინც თავდაცვას გვირჩევს და გვისაბუთებს, ომის გამჩაღებლად არ შერაცხონ. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, ვმსჯელობ და ვეძიებ, თუ რა გზას დავადგეთ, — რასაც თქვენი დასტურიც სჭირდება, — დავიცვათ მშვიდობა თუ ვიომოთ.

თუ შესაძლებელია, სახელმწიფოში მშვიდობა დამყარდეს, — და ეს ჩვენზეა დამოკიდებული, — მაშინ, აქედან დავიწყებ, ვეთანხმები ჩვენგნით მშვიდობის დაცვას; ოღონდ, ვინც ეგრე მსჯელობს, მე მიმაჩნია, მან უნდა დასტურჰყოს ეს წერილობით, საქმიანობით და არ ეცრუოს სიტყვას. მაგრამ, თუ ჩვენს მოწინააღმდეგეს იარაღი აუსხამს, ჯარი გაუმრავლებია, ჩვენ ზავით უნდა შეგვიქციოს, თავად კი ომის საქმეებს აგვარებს, მაშინ ნუთუ კიდევ დაგვრჩენია სხვა რამ, გარდა თავდაცვისა? ხოლო თუ თქვენც, იმის მსგავსად, საჭიროდ მიგაჩნიათ, იძახოთ: — მშვიდობას ვიცავთო, — საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. თუ ვინმეს ჰგონია, ზავი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ იმ კაცმა ხელყოს ყველა და ყველაფერი, რათა ბოლოს თქვენ მოგადგეთ, ის, ჯერ ერთი, გიჟია და, მეორეც, — ლაპარაკობს ისეთ ზავზე, რომელიც მხოლოდ თქვენ უნდა შეჰკრათ იმასთან და იმან კი აღარა — თქვენთან. სწორედ ასეთი ზავის ყიდვას ლამობს ფილიპე, ამისთვის ხარჯავს მთელ თავის ფულს, რომ გეომებოდეთ იგი და არ ეომებოდეთ თქვენ.

თუ ველოდებით იმას, როდის აღიარებს თავად — მე თქვენ გებრძვითო, — ყოვლად ბრიყვნი ვყოფილვართ, რადგანაც იგი თუნდაც ატიკაში შემოიჭრას ან კიდევაც პირეოსს მოადგეს, მაშინაც არ აღიარებს ამას, თუ მის უწინდელ საქმეთა კვალობაზე ვიმსჯელებთ. როგორც, მაგალითად, ოლინთოსელთა ქალაქიდან ორმოციოდე სტადიონის სიახლოვით მდგარმა განუცხადა მათ, — ორში ერთია, ან თქვენ არ უნდა სახლობდეთო ოლინთოსში, ან მე — მაკედონიაში; სხვა დროს, როცა ვინმე ბრალს სდებდა მას მსგავს საქციელში, იგი იფხორებოდა, ელჩობას გზავნიდა და ბრალდების უკუგდებას აიძულებდა მბრალმდებელთ. ასევე, იგი ფოკეაში მიემგზავრებოდა, ვით შეკავშირეებთან, ფოკეელთა ელჩნი ლაშქრადაც მიაცილებდნენ მას, ჩვენ კი მაშინ დაჟინებით ვამტკიცებდით, რომ ეს გზა სიკეთეს არ უქადდა თებელთ. შემდგომშიც ასე მიადგა ფეროსს იგი, ვითარცა თესალიელთა მეგობარი და მეკავშირე, და აიღო იგი. ბოლოს საწყალ ორეოსელებს გაუგზავნა ლაშქარი — თითქოსდა კეთილმოსურნეობითი მიზნით, რადგან თურმე მათი ავადობა და შფოთიანობა შეუტყვია და, ვითარცა ჭეშმარიტ მეგობარს, მოუწადინებია, დროულად ეშველა მათთვის. როცა იგი რწმუნდება, რომ მავანი ზიანს არ აყენებს, მაგ-

რამ შეიძლება თავდაცვაზე კი იფიქროს, — ამისთანათა მიმართ ტყუილს უფრო არჩევს; თქვენ კი ფიქრობთ, ფილიპე ომს დაგიწყებთ აშკარა გამოცხადებით და არ ისარგებლებს იმით, რომ ასე იტყუებთ თავს. ეგ არ მოხდება. კაცთა შორის ურეგვენესი უნდა ყოფილიყო იგი, — როცა მისგან შეჭირვებულნი მას კი არა ჰყვედრით, ისევ თქვენთაგანს ბრალეულჰყოფთ ვისმე, — ამ დროს წინ აღსდგომოდა თქვენს შინა ურთიერთ ქიშპს და მტრად გადაეკიდებინეთ, ან მოესპო ლაპარაკის საშუალება იმ მოქირავნეთათვის, რომელნიც ლაპარაკობენ, იგი ომს თქვენს საწინააღმდეგოდ არ ეწევაო.

მაგრამ არის კი, ზევსის გულისათვის, ვინმე ეკუთმყოფელი, ვინც არა საქმით, სიტყვით განსჯიდა — ომს ეწევა იგი თუ მართლა მშვიდობას იცავს? ასეთი არავინ მეგულება. დასაწყისიდანვე, — როცა ის-ის იყო დადო ზავი, (მაშინ დიოპითე ჯერაც არ ლაშქრობდა ქერონესში, სადაც ახლაა წარგზავნილი), — ფილიპემ მოიწადინა სერიონისა და დორისკოსის მიტაცება და სვრიონის ციხიდან და წმინდა მთიდან იმ მეციხოვნეთა განდევნა, ჩვენმა მხედართუფროსმა რომ ჩააყენა იქ. რას ნიშნავს მისი ესევითარი ქმედება? იგი ხომ ზავზეა დაფიცებული. ნურავინ იტყვის, — მერე რა მოხდა, ეს რა ჩვენი ქალაქის გასაკითხავიაო! რამდენად უმნიშვნელო არის ეგ ან რამდენად გვეხება ჩვენ, სრულიად სხვა საკითხია. მაგრამ სათნოებასა და სამართლიანობას კი რაოდენაც არ უნდა ხელყოფდნენ — გინდ მცირედ, გინდ დიდად, ამას უკვე თანაბრად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ახლაც, როცა მეფეცა და მთელი ელინური მოდგმაც თქვენად მიიჩნევს ქერონესს, როცა თავად ისიც კი დახმარებას გთავაზობთ და ეპისტოლესაც წერს ამის თაობაზე, — საკითხავია, რაღად აგზავნის იქ მოქირავნეებს, რად აკეთებს ამას? თავად კი იძახის — არ ვომობო, მაგრამ მე არ შემიძლია ამის გამო დავეთანხმო მას, რომ მშვიდობას იცავს; ისევე, როგორც არ შემეძლო დავთანხმებოდი მაშინ, როცა მეგარის დაპყრობას ცდილობდა და ეებეას განუმზადებდა ტირანიას; ახლაც, როცა თრაკიას ლაშქრავს, ქვეყუდანობს პელოპონესში და ყველგან მოქმედებს ჯარებით, — მე ვამბობ, რომ ეს არის ზავის დარღვევა და ომი თქვენს წინააღმდეგ. ან ეგებ იქამდე იძახოთ იმ ხალხზე, საალყო მანქანებს რომ აგებენ, მშვიდობას იცავსო, სანამ ამ მანქანებს თქვენს კედლებს არ მოაყენებენ. მაგრამ თქვენ არ დასტურყოფთ ამას: იგი ხომ, ვინც ჩვენს მპყრობელობას ლამობს, სათანადოდ მოქმედებს და ემზადება, თუმცა ჯერ არც ქვა უსვრია და არც ისარი. რა ხიფათი მოგელით, რამე რომ მოხდეს? დაჰკარგავთ ჰელესპონტს, თქვენი

მოწინააღმდეგე გახდება მეგარისა და ევბეის ბატონი, პელეპონესელნიც მას მიემხრობიან. იმ კაცზე, რომელიც ესევითარ ხრიკს უმზადებს ჩვენს სახელმწიფოს, იმას გეტყვით, მშვიდობას იცავს-მეთქი? არამც და არამც! მაგრამ მე მიმაჩნია, მან ომი იმ დღიდან დაგიწყოთ თქვენ, როცა ფოკიდელნი შემუსრა. ამჟამად კი თქვენს გონიერულობად თავდაცვას მივიჩნევ, ხოლო თუ ამას ახლავე არ მიაქცევთ ყურადღებას, მერე, კიდეც რომ ინდომოთ, ვეღარ შეძლებთ. მე იმდენად დავშორდი დანარჩენი სხვა მრჩევლების თვალსაზრისს, ათენელნო დარბაისელნო, რომ, მგონია, აღარ დარჩა არც ქერონესისათვის და არც ბიზანტიონისთვის ბჭობის დრო; რასაკვირველია, უნდა დავეხმაროთ იქაურ მოლაშქრეებს, მივაშველოთ, რაც აკლიათ, მაგრამ ახლა მთავარი საზრუნავია სრულიად ელადა, რომელსაც დიდი საფრთხე ემუქრება. მინდა, ახლავე გითხრათ, რად მეუფლება ესევითარი შიში სახელმწიფოებრივ საქმეთა გამო და, თუ მართლად განვსაჯო, ყურად იღეთ ესე განსჯილი აღსასრულებლად — სხვებისთვის თუ არა, თქვენი თავისთვის მაინც; არადა, თუ ცარიელ, ფშუტე მესიტყვედ გეჩვენოთ, ნურც ახლა და ნურც მერმე გონიერ კაცად ნუ ჩამთვლით.

ამრიგად, დიდად იქცა ფილიპე მცირესაგან, რასაც იგი დასაწყისიდან წარმოადგენდა. ერთმანეთის მიმართ ურწმუნოებენ და ქიშპობენ ელინნი; მისთვის კი იმად გახდომა, რაც გახდა, მაშინ უფრო მოულოდნელი იყო, ვიდრე ახლა, როცა მრავალი იპყრა და ყოველგნით წარიმართა ხელი, რაზეც კიდევ შემეძლო სიტყვის გაგრძელება, მაგრამ აღარ გავაგრძელებ. თუმცა ვხედავ, რომ ყველა ადამიანმა, თქვენგან დაწყებული, სწორედ ის დაუთმო მას, რისთვისაც ბერძნები ერთმანეთს ეომებოდნენ ყოველ დროს. რასა ჰგავს ეს? იგი ირჯება, როგორც ნებავს, სათითაოდ ძარცვავს და აღატაკებს ელინთ, დასამონებლად თავს ესხმის ქალაქებს. ამ დროს თქვენ სამოცდაცამეტი წელი იყავით ელინთა პროსტატები; ლაკედემონელები პროსტატებად ოცდაცხრა წლის განმავლობაში იდგნენ; რაღაც ძალა ბოლო დროს თებელებმაც მოიპოვეს ლევკტრებთან ომის შემდეგ. მაგრამ არც თქვენ, არც თებელებს და არც ლაკედემონელებს არასოდეს, ათენელო დარბაისელნო, — დიახ, ბერძენთაგან არასოდეს გქონიათ ნება, გეკეთებინათ რაც მოგესურვებოდათ; არ მომხდარა ეგ! მაგრამ მაშინ თქვენთან, უფრო სწორედ ათენელებთან, — თუკი ვინმე მიიჩნევდა, რომ ესენი უსამართლოდ იქცეოდნენ, — ომს იწყებდა ყველა, მათ შორის ისინიც, რომელთაც თქვენთან სასაყვედურო არა ჰქონდათ რა; ასევე ლაკედემონელებთანაც, — როცა ისინი გათავკაცდნენ, მიაღწიეს ისეთ-

სავე ძლიერებას, რასაც აღწევდით თქვენ, მერმე კი უსამართლობით იმძლავრეს და განწესებულის ზომას გადასცდნენ, — ყველამ ერთად წამოიწყო ომი, მათ შორის იმათაც, ვისაც მათი დასამდური არა ჰქონდა რა.

რა შეიძლებოდა გვეთქვა სხვათა მიმართ? ჩვენ და ლაკედემონელნი, მართალია, ერთმანეთში საწყენსა და სასაყვედუროს ვერაფერს ვხედავდით, მაგრამ სხვათა მიმართ თუ ვნახავდით რაიმე უსამართლობას, ურთიერთშორის ქიშპობასა და ომს მივიჩნევდით ხოლმე საჭიროდ. მაგრამ რაც ლაკედემონელებმა ჩაიდინეს ოცდაათი წლის განმავლობაში, ხოლო ჩვენმა წინაპრებმა — სამოცდაათი წლის განმავლობაში, მეტად უმნიშვნელოა, ათენელო დარბაისელნო, იმასთან შედარებით, რაც ფილიპემ ამ ცამეტი ნაკლოვანი წლის განმავლობაში უსამართლობა აწია ელინთ. ამის სადასტუროდ მოკლე სიტყვაც კმარა. აღარას ვამბობ ოლინთოსზე, მეთონეზე[1], აპოლონიაზე და თრაკიის ოცდათორმეტ ქალაქზე, რომელთაგან ყველა ისე აღგავა, რომ მნახველი ვერც იტყვის — უცხოვრიათ თუ არა იქ როდისმე. ფოკეელთა[2] ასე ძლიერი ტომის განადგურებისათვისაც ვიყუჩებ. ვითარ არიან თესალიელნი? განა დემოკრატიული უფლებები არ ჩამოართვა მათს სახელმწიფოს და ოთხთა ხელისუფლება არ დაუწესა, რომ არა მხოლოდ ქალაქობრივად, აგრეთვე ტომობრივად დაემონებინა ისინი? განა ევბეის ქალაქებს ტირანები არ მართავენ უკვე, თანაც კუნძულის ქალაქების — თებესა და ათენის მახლობლად? განა ეპისტოლეში გარკვევით არ წერს: „მე მშვიდობა მინდა იმათთვის, ვისაც ჩემი მოსმენა სურს“? არა მხოლოდ წერილობით, საქმითაც ამას აკეთებს იგი. აგერ, ჰელესპონტს გასწია, ადრე ამბრაკია დალაშქრა, დაიპყრო ელიდა, ესოდენ მნიშვნელოვანი ქალაქ-ქვეყანა ჰელეპონესისა, დააპირა მეგარიის აღებაც, — ერთი სიტყვით არც ელადა და არც ბარბაროსული ქვეყნები არ კმარან მაგ კაცის გულუძღებობისთვის. ჩვენ, სრულიად ელინნი, ვჭვრეტთ და ვისმენთ ყოველივე ამას, მაგრამ ელჩობას არ ვგზავნით ურთიერთშორის, არცა ვშფოთავთ; იმდენად საცოდავ დღეში ჩავცვივდით, ისე შემოვირაგვეთ თავი ქალაქში, რომ დასაბამიდან დღემდე შესაფერისი და საშურო ვერა გაგვირიგებია რა, ვერც ერთმანეთი გაგვიმტკიცებია სამხედრო თუ სამეგობრო დახმარებით. ამის ნაცვლად, გულგრილად ვადევნებთ თვალს მაგ კაცის გაძლიერებას და, როგორც ვფიქრობ, ყოველ ჩვენგანს ჰგონია დროს იგებს, სანამ სხვა იღუპება; ელინთა ხსნისთვის კი არავინ ფიქრობს და არას აკეთებს, თუმცა ყველამ უწყის, რომ ფილიპე, ვითარცა ეამიანის ცი-

ება ან სხვა რამ უბედურება, აგიტეხს ისეთ რამეს, სანამ საღ-სალამათი ხარ, ვერც კი წარმოიდგენ. ამასთანავე, უწყით თქვენ, რომ — თუ ბერძნები ითმენდნენ რასმე ლაკედემონელთაგან ან თქვენგან, ითმენდნენ ელადის ღირსეულ შვილთაგან და ყოველი მათგანი ამას იღებდა ისე, კანონიერმა შვილმა საერთო სიკეთეში უსამართლოდ რომ დაიდოს წილი; და, თუმცა მას მიიჩნევდნენ კიცხვისა და ბრალდების ღირსად, მაინც არავინ იტყოდა მასზე, რომ უფლება არ ჰქონდა ეს ეკეთებინა, როგორც საერთო ქონების მონაწილე მემკვიდრეს. ვინმე მონას ან გარეწარს რომ ხელეყო და გაენიავებინა ქონება, რაზედაც მას წილის უფლება არა აქვს, მაშინ კი, იცოცხლე, — ვფიცავ ჰერაკლეს, უფრო დიდსა და სასტიკ რისხვას გამოიჩენდით ყველანი! მაგრამ ფილიპეზე და მის საქმეებზე ეგრე არა სჯიან, თუმცა იგი არა მხოლოდ ელინი არ არის და ელინებთან საერთოდ არა ესაქმება რა, — არამედ იმ მხარის ბარბაროსადაც არ თქმულა, რომელიც ღირსეულად მაინც იხსენიება; უბრალოდ ერთი წყალწაღებული მაკედონელია იმ მხარისა, საცა ადრე რიგიან მონასაც კი ვერ შეისყიდდი.

კვლავ რაღა აკლია მის აღვირახსნილ თავხედობას? გარდა იმისა, ქალაქები რომ გააპარტახა, განა პითიურ დღეობებს არ მართავს იგი — ელინთა საერთო შეჯიბრს, რასაც თავად ესწრება და თავის შონებს შეჯიბრთგამრიგეებად გზავნის? განა პილოსის ბატონი არ არის იგი, გინა ელადის მისასვლელთა, და თავისი მეციხოვნენი და მოქირავნენი არ უყენია გზებზე? განა თავად არ სარგებლობს ორაკულის სამისნო პირველუფლებით, — რაიც წარგვტაცა ჩვენ, თესალიელებს, დორიელებს და დანარჩენ ამფიქტიონებს, — რითაც ელინთაგან ყველა ვერ სარგებლობს? განა თესალიელთ არ უკანონებს იგი მმართველობის წესებს? განა მოქირავნეებს არ გზავნის პორთმოსში[3], რომ იქ ერეტრიელთა დემოკრატია დაარბიოს, აგრეთვე ორეონში, რომ იქ ფილასტიდე დასვას ტირანად? ყოველივე ამას ელინები უყურებენ და განიცდიან ისევე, როგორც სეტყვას: ყველა იმაზე ფიქრობს — მე არ დამატყდესო თავს, თორემ მის აცილებას არავინ ლაშობს. არამცთუ ელადას იცავს ვინმე თავხედობისგან, არამედ ყოველ თქვენგანზე მოწევნილი უსამართლობისთვისაც არავინ იმაღლებს ხმას. ეს ხომ უკვე მეტისმეტია. განა მან არ დალაშქრა ამბრაკია და ლევკადა[4] — კორინთოსელთა კუთვნილი ქალაქები? განა აქეელთა კუთვნილი ნავპაკტოსის[5] გადაცემას არ შეჰპირდა ფიცით იგი ეტოლიელებს? განა ექინოსი[6] არ წარტაცა თებელთ და ახლა მოკავშირე ბიზანტიონელთა წინააღმდეგ არ ლაშქრობს? განა ჩვენ, სხვა რომ არა

ვთქვათ რა, ქერონესის უდიდესი ქალაქი კარდია არ გამოგვგლიჯა? და, ყოველივე ამის გამცდელნი, კიდევ დროს ვაჭიანურებთ, ვიჩენთ სულმოკლეობას, ურთიერთუნდობლობით ვუყურებთ მეზობლებს და არა ჩვენს დამარბეველს. ახლა რომ ასე ეპყრობა ეს კაცი ყველას, როგორ ფიქრობთ, რას იზამს მაშინ, როცა ყოველ თქვენგანს სათითაოდ წარტყვევნის?

რა არის მიზეზი ამისა? არც უსაფუძვლოდ და არც ღირსსაცნობი მიზეზის გარეშე ესწრაფოდნენ ელინში თავისუფლებას, ახლა კი ასე უდრტვინველად იტანენ მონობას. იყო, ათენელო დარბაისელნო, უმრავლესთა ცნობიერებაში იყო რაღაც ისეთი, რაც აწ აღარ არის, რაც აღეშატებოდა თვით სპარსელთა სიმდიდრეს და თავისუფლებას ანიჭებდა ელადას, ვერ ამარცხებდა მას ვერც საზღვაო და ვერც სახმელეთო ბრძოლებში. აწ ძალი იგი წამხდარა და ქვედამხობილა ყოველი კეთილნაღვაწი ელინთა. სახელდობრ, რა ძალი იყო ეს? არაფერი, გარდა იმისა, რომ ის ხალხი, ვინც ფულს იღებდა ძალაუფლების მოსურნეთაგან, გინა ელადის სხვა მომყივნებელთაგან, ყველას ზიზღს იმსახურებდა; ყოვლად თავლაფდასხმული იყო ამგვარ საქმეში მხილებული და უდიდეს სასჯელსაც იმსახურებდა. ამიტომაც, არც ერთი იმ საქმეთაგან, რასაც ზოგჯერ ბედი განამზადებს, არ უნდა გაყიდულიყო ორატორთაგან, გინა მხედართმთავართაგან, — არც ურთიერთნდობა, არც უნდობლობა ტირანთა და ბარბაროსთა მიმართ და არც სხვა მრავალი ამდაგვარი. აწ ყოველივე ეს გაყიდულა, ვითარცა ბაზარზე, რის სანაცვლოდაც შეგიძენიათ ისეთი რამ, რაც ღუპავს და ასნეულებს ელადას. რაღაა ეს? შური იმათ მიმართ, ვინც რამ მოიხვეჭა, დაცინვა — ვინც აღიარებს, თანაგრძნობა — ვისაც ამხელენ, სიძულვილი — ვინც გაკიცხავს, — ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც მოშსყიდველობას უკავშირდება. ხოლო რაც შეეხება ტრიერებს, ცოცხალ ძალას, ფულადი სახსრების მარაგს, აგრეთვე მოსამზადებელ საშუალებებს და სხვა მრავალს, რითაც სახელმწიფოს ძლიერებაზე შეიძლება იმსჯელოს კაცმა, — დღეს გაცილებით უფრო მეტად გააჩნია ყველა თქვენგანს, ვიდრე იმ ხალხს მოეძევებოდა მაშინ. მაგრამ ყველაფერი ეს უსარგებლოა, უქმი და უნაყოფო, მოვაჭრეთა ანაბრად გარდაგებული.

ეამ-ვითარება რომ ასეთია, ამას თავად ხედავთ და ჩემი დასტური სულაც არ გჭირდებათ. ხოლო უწინდელ დროს, დღეის საპირისპიროდ რომ იყო ვითარება, ახლავე ცხადვყოფთ, მაგრამ არა ჩემი სიტყვით, არამედ თქვენი წინაპრების ნაწერით, აკროპოლისზე რომ დაუტოვე-

ბიათ სპილენძის სტელაზე ამოტვიფრული. „ართმიოსი, — გვამცნობს ნაწერი, — ძე პითონაკტისა, ძელიელი, მოკვეთილია, ვითარცა მტერი ათენელი ხალხისა და მის მოკავშირეთა, — თავად და გვარი მისი". მერმე სწერია მიზეზიც, რის გამო მოხდა ეს: „რამეთუ მან ოქრო მიდიიდან პელეპონესში გაზიდა". ასეთი რამ სწერია იქ. განსაჯეთ, ღმერთთა გულისთვის, რა იგულისხმეს მაშინდელმა ათენელებმა, რატომ მოიქცნენ ასე, რა მნიშვნელობა მიანიჭეს ამ ამბავს. ვინმე ძელიელი ართმიოსი, მონა მეფისა (ძელია ხომ აზიაშია), იმის გამო, რომ ბატონის სურვილით ოქრო წამოიღო პელეპონესში, თანაც არა ათენში, გამოაცხადეს თავიანთ და მოკავშირეთა მტრად. თავად იგიც და მთელი მისი გვარიც მოღალატეებად შერაცხეს და მოქალაქეობის უფლება წაართვეს. მაგრამ ეს არ გახლავთ უბრალოდ მოქალაქის უფლებათა აყრა. ძელიელისათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას, როცა ათენის სამოქალაქო უფლებანი მასზე არ ვრცელდებოდა? მაგრამ დამატებითს კანონში სწერია, რომ ამგვარ კაცთა მკვლელობის საკითხი სასამართლოზე არ გაირჩევა. კანონი პირდაპირ ამბობს: „მოკვდეს განუკითხველად". ამით ისაა ნათქვამი, რომ ვინც ამგვარ კაცს მოკლავს, უმწიკვლოდ დარჩება.

ამრიგად, ისინი ყველა ბერძნის ხსნისთვის მოღვაწეობდნენ. თორემ რაში ენაღვლებოდათ, პელეპონესში ვის რა მიაქვს, ვინ ვის ყიდულობს ან ჰრყვნის. სჯიდნენ ისინი, შურს მიაგებდნენ ამგვარ საქმეში შემჩნეულთ და სტელას განუმზადებდნენ. სწორედ ამიტომ, სრულიად ბუნებრივად, ბერძნების შიში ჰქონდა ბარბაროსს და არა ბერძნებს ბარბაროსისა. ახლა ასე არ გახლავთ. თქვენ სხვარიგად ეკიდებით ამდაგვარ საქმეთ, მაგრამ როგორ მაინც? გინდათ გითხრათ? არ განრისხდებით? ზოგს სურს, საარაკო სიტყვით დააშოშმინოს ქალაქი, აქაოდა ფილიპე ეგოდენ ძლიერი არ არის, როგორიც იყვნენო ლაკედემონელნი, რომლებიც ფლობდნენ სრულიად ზღვასა და ხმელს, მოკავშირედ ჰყავდათ ხელმწიფე და წინ ვერავინ დაუდგებოდათო. მაგრამ მათ გაუმკლავდა ჩვენი ქალაქი და არკი დამხობილა. მაგრამ მე ვფიქრობ, — შეიძლებოდა თქმა, — რომ ყოველი წარმატებული საქმე, აწინდელი და უწინდელი, ერთმანეთს რომ არა ჰგვანობს, ყველაზე შეტად მოგვარდება და მოიგება ომით. უპირველეს ყოვლისა, მაშინ ლაკედემონელნი, როგორც მე მსმენია, და ყველა სხვაც, ოთხი ან ხუთი თვის განმავლობაში, ყველაზე კეთილტაროსიან ჟამს, შეიჭრებიან ხოლმე ქვეყანაში და ააოხრებენ ჰოპლიტებით, სახელმწიფო ჯარებით და კვლავ უკუმოიქცევიან შინისკენ. ისინი იცავენ ძველ,

უკეთ რომ ვთქვათ — სჯულმდებლურ წესს, არ მისდევენ ფულადი აღებ-მიცემობის ჩვეულებას, მაგრამ მათი ომის მიზანი ყოველთვის მაინც წრფელია და პირდაპირი.

დღეს კი თქვენ ხედავთ, რომ საქმეთა მეტი წილი წაახდინეს მოღალატეებმა, ჯართა წყობა და ბრძოლა კი არა ჩანს. ამის მაგიერ გესმით ფილიპეს მუქარა, დათარეშობს საცა ნებავს, — არა ჰოპლიტთა ფალანგებით, არამედ მსუბუქ ცხენოსანთა მხედრიონით, მშვილდოსანი ძოქირავნეებით და სხვა ამგვარი ლაშქრეულით. როცა ურთიერთმტრობით სნებულთ დაესხმის თავს და მშობელ ქვეყნისათვის არაევინ გაირჯებით უნდობლობით იქვნეულნი, აი მაშინ დასძრავს იგი სამხედრო მანქანას და შეუდგება ალყას. იმაზე აღარას ვამბობ კიდევ, რომ ეგ კაცი ზამთარ-ზაფხულს არ არჩევს, წლის რა დროც არ უნდა იყოს, თავის საქმეს არ მიატოვებს. ცხადია, ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოთ, ვინძლო არ გადმოვანაცვლოთ ჩვენს მიწა-წყალზე და უწინდელი მარტივი ლაკედემონური ომების წამხედავებმა კისერი არ მოვიტეხოთ; უპირველესად საქმით გვმართებს სიფრთხილე და მზადყოფნით. თვალყური უნდა ვადევნოთ, მტერი არ დაიძრეს შინიდან, უნდა ვიმარჯვოთ, სანამ ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდოდეს საქმე. ომში ჩვენ გაგვაჩნია ბუნებრივი უპირატესობანი, თუ, ათენელო დარბაისელნო, გამოვიჩენთ სურვილს აღვასრულოთ, რაც საჭიროა. იმის ქვეყნის ბუნება ისეთია, რომ ადვილი მისადგომია საძარცვავად და მრავალი ზიანის მისაყენებლად; ეს და სხვა უპირატესობანი ჩვენს მხარეზეა, მაგრამ სამხედრო ძლიერებით ის გვჯობნის. არა მხოლოდ ეს უნდა გაითვალისწინოთ, არა მხოლოდ იმისგან უნდა დაიცვათ თავი ომით, — არამედ შეგნებულად მოიძულოთ მის დასაცავად აქ გამოსული ორატორები; უნდა გაითვალისწინოთ, რომ მანამ ვერ სძლევთ სახელმწიფოს გარეშე მტერთ, სანამ არ დასჯით მტერთა თანამზრახველთ სახელმწიფოს შიგნით. მაგრამ თქვენ ეს არ ძალგიძთ, — ეფიცავ ზევსს და სხვა ღმერთებს, — უგუნურებივით იქცევით, ან კიდევ — აღარ ვიცი, რა ვთქვა (ხშირად შიში მიპყრობს, დემონი რამ ხომ არ შეუჩნდა-მეთქი ჩვენს საქმეს), რომ ლანძღვის, შურის, ოხუნჯობის თუ მრავალი სხვა მიზეზის წყალობით ლაპარაკის უფლებას აძლევთ მხვეპელ, მედროვე ადამიანებს, რომელთა შორის ზოგი სულაც არ მალავს თავის რაობას, და სიცილით კვდებით, როცა ისინი ვინმეს აყივნებენ და თავლაფს ასხამენ.

და მაინც — მთავარი საშინელება ესეც არ არის, თუმც კი საშინელებაა. ამასთანავე, თქვენ საშუალება მიეცით მათ, გაცილებით

უსაფრთხოდ ეწეოდნენ პოლიტიკურ საქმიანობას, ვიდრე თქვენს დასაცავად დამაშვრალი ორატორები. აბა ნახეთ, რა ხიფათს გიმზადებთ მათდამი თქვენი სმენისმოყვარეობა. მოგახსენებთ იმ საქმეთათვის, რასაც ახლა ყველანი გაეცნობით.

ოლინთოსში ერთნი ფილიპეს საქმეს უჭერდნენ მხარს და ყველაფერში მას თანაგზრახოდნენ, სხვანი კი იღვწოდნენ იმ საუკეთესო იმედით, რომ მონობას აარიდებდნენ მოქალაქეებს. მაშ, რომელთაგანმა გასწირა სამშობლო? რომლებმა გაყიდეს ცხენოსნები და ამ ღალატით დაღუპეს ოლინთოსი? იმათ, ვინც ფილიპეს თანაეზრახვოდა და, სანამ ეგ ქალაქი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, ქვებუდანურად ცილს სწამებდა მის ქომაგ ორატორებს, ვინც ოლინთოსელ ხალხს აპოლონიდეს მოკვეთა ჩააგონა.

ამგვარ საქციელს მარტო მათთვის არ მოუტანია ყოველგვარი უბედურება, სხვაგანაც ასე მომხდარა. მაგალითად, ერეტრიაში, — როცა პლუტარქე მოქირავნეებითურთ გააძევეს და ხალხს ეპყრა ძალაუფლება ამ ქალაქში, — აგრეთვე პორთმოსში; ერთნი იქ თქვენს საქმეს იცავდნენ, მეორენი — ფილიპესას. და უსმენდნენ რა უპირატესად ამ უკანასკნელთ, ბედკრულმა ერეტრიელებმა საქმე იმით დაამთავრეს, რომ გააძევეს მათივე საქმისათვის დამაშვრალი ორატორები. მაშინ მან, მათმა მოკავშირე ფილიპემ, ჰიპონიკოსი გაგზავნა მათთან ათასი მოქირავნითურთ, დაანგრია პორთმოსის ციხენი და განაწესა იქ სამი ტირანი: ჰიპარქოსი, ავტომედონტი და კლიტარქოსი; ამის შემდეგ ქვეყნიდან გარეკა მცხოვრებნი, ორგზის რომ სცადეს დაეხსნათ თავი; პირველად ევრილოქოსი გაგზავნა მათ წინააღმდეგ მოქირავნე ლაშქრით, მეორედ — პარმენიონი.

რა საჭიროა კიდეე გავაგრძელო სიტყვა? ორეონში ფილიპესთვის იღვწოდნენ ფილისტიდე, მენიპოსი, სოკრატე, თონტი და აგაპეოსი, რომელთაც ახლა უპყრიათ ქალაქი, და ეს ყველამ უწყის. ვინმე ევფრეოსი კი, რომელიც ერთ დროს თქვენთან სახლობდა, იღვწოდა იმისთვის, რომ თავისუფალი ყოფილიყვნენ მოქალაქენი და არავის დამონებოდნენ. რამდენად შელანძღული და შეზიზღებული იყო ხალხისაგან ეგ კაცი, საამისოდ ბევრის თქმა შეიძლებოდა. მაგრამ აი, — ქალაქის აღებამდე ერთი წლით ადრე მან, — ფილისტიდეს და მისთა თანამზრახველთა საქმიანობა რომ შეიტყო, — ღალატში ბრალი დასდო მათ. მაშინ შეკრბა აღელვებული ბრბო, რომელსაც ფილიპე ჰყავდა ქორეგოსად და პრიტანად, და ჩაამწყვდიეს ევფრეოსი დილეგში, ვითარცა მოჯანყე და შფოთისთავი. ორეონელი ხალხი კი, იმის ნაც-

ვლად, რომ მიშველებოდა მას, არც აღშფოთებულა მისი შეპყრობით, პირიქით — საკადრისად ეზღოო, — ამბობდა და ნიშნისმოგებით ხარობდა. ამის შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, — აიღეს ქალაქი. საამისოდ მზადდებოდა საქმე; მრავალი გრძნობდა ამას, მაგრამ ხმას არ იღებდა შიშით თავზარდაცემული, რამდენადაც ახსოვდა, რა ბედი ეწია ევფრეოსს. იმდენად ვაგლახად იყვნენ დათრგუნულნი, რომ მათზე დაძრულ უბედურებათა წინაშე სიტყვის გაღებასაც ვერა ბედავდნენ, სანამ ამასობაში საომრად შემართული მტერი არ მოადგა კედლებს. მაშინ ზოგი თავდაცვას შეუდგა, ზოგი — ღალატს და აი, ასე სამარცხვინოდ და ბოროტად წარტყვევნილ ქალაქს აწ ესენი ფლობენ და ტირანებად სხედან. ის ხალხი კი, — ყოველი ღონე რომ იხმარეს თავის გადასარჩენად და ევფრეოსი გასწირეს, — ამათ ერთიანად დაქსაქსეს: ზოგი გააძევეს, ზოგი მოაკვდინეს, ხოლო ევფრეოსმა თვითონ გაიგმირა თავი და საქმით დასტურჰყო, რომ წმინდად და უანგაროდ თანაედგა თავის ხალხს ფილიპეს წინააღმდეგ.

„რა იყო მიზეზი, — გაიკვირვებთ თქვენ, — რომ ოლინთოსელნი, ერეტრიელნი და ორეონელნი მეტი სიამოვნებით უსმენდნენ იმათ, ვინც ფილიპესთვის წარმოთქვამდა სიტყვას, ვიდრე მათივ ინტერესების დამცველ ორატორებს?" მიზეზი იგივეა, რაც თქვენთანაა მართლის მთქმელი, სურვილიც რომ ჰქონდეს კარგის თქმის, ზოგჯერ ვეღარ ამბობს, რამეთუ პირმოთნეობას ქვეყნის ხსნაზე ლაპარაკი ურჩევნია; ესენი კი, რომელნიც მაამებლობენ, ოდენ ფილიპეს საქმეებს განარიგებენ. ისინი ფულის შეტანას, ესენი — არშეტანას ამბობენ, ისინი ომს და არა ცუდრწმენობას, ესენი კი — ზავის დაცვას, — და ასე შანამ, სანამ ტყვეობაში არ ამოუყვიათ თავი. დანარჩენი საქმე, როგორც მე მგონია, ისე და იმგვარად წარიმართა, დაწვრილებით ალარას მოვყვები. ზოგნი მაამებლობდნენ, ზოგნი ხსნას ეძიებდნენ, ბევრი რამ ამ ბოლო დროს ხელიდან გაუშვა ხალხმაც, — მაამებლობით და უმეცრებით კი არა, არამედ სასო წარეკვეთათ და მთელი საქმე წაგებულად მიიჩნიეს. აი, სწორედ ეს მაშინებს მეც, — ვფიცავ ზევსს და აპოლონს, — ისეთი რამ არ გარდაგხდეთ თავს, რომ თქვენი საშველი არსით იყოს. მაგრამ აქამდე, ათენელო დარბაისელნო, ნუმც მისულიყოს საქმე. ათიათასგზის სიკვდილი გიჯობთ, ვიდრე ფილიპეს ემლიქვნელოთ და თქვენს საკეთილდღეოდ დამაშვრალ ორატორთაგან უკუაგდოთ ვინმე. კი, დიდი ჯილდო მიიღეს საზღაურად ახლახან ორეელებმა, ფილიპეს თანამდგომნი რომ გაახელმწიფეს, ხოლო ევფრეოსი გაიუცხოეს; კარგად ეზღო ერეტრიელ ხალხს, ჩვენი ელჩები

რომ დაითხოვა და კლიტარქოსის ბატონობას მისცა თავი: აწ მონობას, მათრახს და საწამებელს მისცემიან. ასევე კარგად მოეპყრო იგი ოლინთოსელთაც, რომლებმაც ლასთენე ჰიპარქად აირჩიეს, აპოლონიდე კი განდევნეს. სიბრიყვე და ბოროტებაა იმით დაიმედება, რომ მრუდედ განმსჯელებმა არ აღასრულოთ, რაც ჯერ არს, ხოლო მტერთათვის მეტყველ ორატორთა მსმენელებმა იფიქროთ, — ჩვენ იმოდენა სახელმწიფოში ვსახლობთ, რაგინდ დიდი საშიშროება დაატყდეს თავს, ვერას დააკლებსო. სირცხვილი იქნება მხოლოდ, მერმე რომ თქვას ვინმემ: „ვინ იფიქრებდა, ეს მოხდებოდა? გვმართებდა, ვფიცავ ზევსს, ეს კი არ გვექნა, არამედ ის". ახლა მრავალ საშუალებას დაასახელებენ ოლინთოსელნი ისეთს, რომელიც, მაშინ რომ გაეთვალისწინებინათ, არ დაიღუპებოდნენ, ასევე მრავალს — ორეოსელნი, მრავალს — ფოკიდელნი და კიდევ მრავალს ყველა ისინი, ვინც დაიღუპნენ. მაგრამ ახლა ეს რაღა სარგებლობას მოუტანს მათ? სანამ მრთელია ხომალდის ძარა, გინდ დიდი, გინდ მცირე ხომალდისა, მანამ მართებს მენიჩბეს, მესაჭეს და ყველა მეხომალდეს, ფრთხილად იყოს, რომ ვინმემ ნებსით თუ უნებლიეთ ხომალდი არ დააყირავოს, თორემ თუ ხომალდს ზღვამ უყო პირი, უკვე ამაოა გარჯა. ჩვენი საქმეც ახლა ასეა, ათენელო დარბაისელნო, სანამ ჯერ კიდევ ვართ მრთელი, გვაქვს უდიდესი სახელმწიფო, უზღვავი სახსრები, საუკეთესო სახელი. რას ვაკეთებთო? — იკითხავს აქ მსხდომთაგანი ვინმე. მე, ვფიცავ ზევსს, ვიტყვი ყოველს და დავწერ კიდეც თქმულს, თუ თქვენც ისურვებთ — ხმებით დამიდასტუროთ ეს. პირველ რიგში, თავად უნდა განვამტკიცოთ თავდაცვა და შეეუდგეთ მზადებას — ვგულისხმობ ტრიერებით, ფულითა და ჯარით მომარაგებას (თუ ყველა დანარჩენები მონობას დასთანხმდებიან, ჩვენ მაინც უნდა ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის); ჯერ თავად უნდა მოვემზადოთ ყველას დასანახად, მერმე კი მოვუწოდოთ სხვებს. უნდა დავგზავნოთ ელჩები ახსნა-განმარტებისათვის, რათა ყველა დავარწმუნოთ საერთო ხიფათში თანამონაწილეობისა და სახსრების გაღების აუცილებლობაში, თუ არადა, დრო მაინც მოვიგოთ ამით საქმეთა მოსაგვარებლად. რამდენადაც ომი გვექნება მხოლოდ კაცთან და ჯერაც მოუმაგრებელი სახელმწიფოს ძალასთან, მნიშვნელობას ესეც არ არის მოკლებული, ისევე როგორც ჩვენი შარშანდელი ელჩობა პელეპონესის სხვადასხვა ადგილებში, — როცა ჩემთან ერთად იყვნენ ყოვლად ღირსეული პოლიევკტოსი, ჰეგესიპოსი, კლიტომაქი, ლიკურგი და სხვა ელჩნი; მაშინ ჩვენ საბრალდებო სიტყვებით ვამხილეთ იგი, ვაიძულეთ შეჩერებულიყო, არ მი-

ვეცით საშუალება გაეცლო ამბრაკია და შესულიყო პელეპონესში. ამით იმის თქმა როდი მინდა, მხოლოდ სხვებს მოვუწოდოთ, თავად კი არ გავაკეთოთ ის, რაც ჩვენთვის აუცილებელია. უჩვეულო რამ იქნებოდა სწორედ, შინ არაფერი გაგვაჩნდეს და გარეთ სხვებს ვპირდებოდეთ აშენებას, თავად ურწმუნოდ ვეგოთ, სხვებს კი მომავლით ვაშინებდეთ. არა, ამას კი არ ვამბობ, მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ უნდა მიაშველოთ ფული ქერონესს და ყველაფერი, რასაც იქ ითხოვენ. ჯერ უნდა მოვემზადოთ თავად, მერმე კი მოვუხმოთ დანარჩენ ელინთ, შევყაროთ ისინი და ვამცნოთ ყოველი. ეგ ვალად ადევს ეგოდენ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოს, როგორიც თქვენია. თუ ფიქრობთ, ელადას ქალკიდელნი ისხნიან ან მეგარელნი და თქვენ არ მოგიწევთ გარჯა, — არასწორად ფიქრობთ: ისიც ბევრი იქნება, იმათ თავიანთი თავი რომ გადაირჩინონ. არა, მხოლოდ ჩვენი უნდა გავაკეთოთ ეს, რამეთუ სწორედ ეგ გვიანდერძეს ჩვენმა წინაპრებმა დიდი ვალისა და აურაცხელი განსაცდელის ფასად. თუ ვინმე ეძიებს საშუალებებს იმის აღსასრულებლად, რაიც სურს, მაგრამ ამავე დროს ფიქრობს, რომ თავად არაფერი გააკეთოს საამისოდ, მაშინ, ჯერ ერთი, იგი ვერ იპოვის ამ საქმის აღმსრულებელთ, რამეთუ ასეთნი არ არსებობენ, მეორეც, ვშიშობ, ვაითუ აუცილებლობის ძალით მერე ერთბაშად დაგვაწვეს იმ საქმეთა ტვირთი, რომელთა აღსრულებას ახლა გავურბივართ.

აი, ეს არის, რასაც ვამბობ და რასაც ვწერ. მე ვფიქრობ, ჯერაც არაა გვიან, — წაღმა წავა საქმე, თუ ხელს დროულად მოჰკიდებთ მას. თუ ვინმეს ამაზე უკეთესი რამ ეთქმის, გვითხრას და გვირჩიოს. რა გადაწყვეტილებასაც არ უნდა დაადგეთ, გწყალობდეთ ღმერთები, ხელი მოგიმართონ მათ!

მეოთხე სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ

ლიბანიოსის წინასიტყვა

ეს სიტყვა ემთხვევა წინამდებარეს და თითქმის არაფერს ჰმატებს მას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოწოდებას ერთსულოვნებისათვის. დემოსთენე შეჰირეებულია იმის გამო, რომ მდიდრები მტრობენ ღარიბებს, ცდილობს შეწყვიტოს ეს შუღლი, ხალხს მოუწოდებს, ხაზინის გულისთვის არ ხელყონ მქონებელთა ქონება, მქონებელთ კი — არ დაუბრკოლონ სახალხო ფული უქონელთ. ამავე დროს ათენელებს ელჩობის წარვლენას ურჩევს სპარსეთის მეფესთან სამხედრო კავშირის შესაკრელად.

სიტყვა

საჭიროდ და ყურადსაღებად რომ მივიჩნევ, ათენელო დარბაისელნო, რასაც განბჭობთ და რაც ფრიად აუცილებელია სახელმწიფოსათვის, მე, ჩემი მხრით, შევეცდები ვთქვა, რაც სასარგებლოდ მიმიჩნევია. შეცდომა ცოტა არ ყოფილა, რა თქმა უნდა, და არც ერთბაშად დაგროვილა, რამაც ეგრერიგად გაგვიფუჭა საქმე. მაგრამ ყველაზე უფრო სავალალო მაინც ის არის, ათენელო დარბაისელნო, რომ თქვენ ამჟამად გულისყურით შორსა ხართ ამა საქმეთაგან და მხოლოდ მაშინ მიაპყრობთ მათ ყურს, როცა აქ სხედხართ ან ტყობილობთ საგანგაშო რასმე; აქედან გასული არც ერთი თქვენთაგანი კი არათუ ხელს არ ჰკიდებს საქმეს, საერთოდ აღარც ახსოვს იგი. თავგასულობა და მხვეჭელობა, რითაც ყველას მიმართ გამოირჩევა ფილიპე, ჭეშმარიტად ისე უანგარიშოა, როგორც ისმენთ. მაგრამ საჯაროდ წარმოთქმული სიტყვებით მისი შეჩერება რომ არ შეიძლება, ეს, ცხადია, ყველამ იცის. ვინმეს თუ სხვა რამ საბუთი არ მოეძებნება ამის განსასჯელად, ყურად იღოს შემდეგი: ჩვენ ომსად, ომსდროს, როცა სამართლიანობის დასაცავად ვიმაღლებდით ხმას, არც დავმარცხებულვართ,

არც სიმართლის გამრუდებაში ვმხილებულვართ: ყველგან და ყველას ვძლევეთ და ვამარცხებთ მხოლოდ სიტყვებით; მაგრამ ვითომ ეს საქმეს უფუჭებს მას, ან ხელს უმართავს ჩვენს სახელმწიფოს? არამც და არამც! როდესაც ყოველი ამ სიტყვების შემდეგ იგი, იარაღასხმული, მზად არის გაბედულად დასდოს სასწორზე მთელი თავისი მონაპოვარი (სანამ ჩვენ აქ გულხელდაკრეფილნი ვსხედვართ, ერთნი, — მეტყველნი, სხვანი — მსმენელნი), ამ დროს, საქმე შორდება სიტყვას და ყველასათვის მნიშვნელობა ენიჭება არა ჩვენს მიერ წარმოთქმულ თუ წარმოსათქმელ სიტყვებს, — რაგინდ სამართლიანიც არ უნდა იყვნენ ისინი, — არამედ იმას, თუ რას ვაკეთებთ. სიტყვები ვერავის იხსნის ძალმომრეობისაგან; მაგრამ ამაზე აღარ გავაგრძელებ. და აწ მოქალაქენი ორწილად გაყოფილან: ერთნი არც ბატონობას ესწრაფვიან სხვისას და არც მონობას, მათ ურჩევნიათ იყვნენ თავისუფალი სახელმწიფოს მოქალაქენი და დაცულნი თანასწორუფლებიანი კანონებით; სხვანი ლამობენ თანამოქალაქეებზე გაბატონებას, თუნდაც ამისთვის შეევრდომონ სხვას, კერძოდ ისეთს, რომელიც ზრახვათა აღსრულებაში წარუმართავს მათ ხელს. ამგვარი თანაშემწის მოსურნენი — ტირანიისა და დინასტიის მოწადინენი, იმდენად მძლავრობენ ყველგან, რომ აღარ ვიცი, კიდევ საიმედოა თუ არა სადმე დემოკრატიული წყობა, გარდა ჩვენი წყობისა. მძლავრობენ ისინი, რომელნიც ყოველ სახელმწიფო საქმეს, რაც ახლა აღესრულება, მისი შემწეობით აღასრულებენ; მთავარი მაინც ისაა, რომ მათ ეგულებათ თავიანთი კაცი, რომელიც თითოეულ მათგანს საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს ფულით; მერმე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ძალა გააჩნიათ მოწინააღმდეგეთა დასათრგუნავად, რაკამსაც კი ეს დასჭირდებათ. ჩვენ კი არა მხოლოდ ამაში ჩამოვრჩებით, ათენელო დარბაისელნო, არამედ ძილისგან ვერ დაგვიღვიძია თავი იმ ადამიანთა მსგავსად, რომელთაც მანდრაგორა! შეუსვამთ ან მისი მსგავსი სხვა რამ საძინებელი-წამალი. ჰოდა, ვფიქრობ (სიმართლე ხომ უნდა ვთქვა), ამით იმდენად შევირცხვინეთ თავი, რომ ხალხი, რომელიც საფრთხეში ჩავარდა, — ზოგი ჰეგემონიას გვეცილება, ზოგი საკავშირო საბჭოს ადგილს, ზოგმა კიდევ ამჯობინა უფრო საკუთარი შესაძლებლობებით დაიცვას თავი, ვიდრე ჩვენ დაგვეყრდნოს.

მაგრამ ამაზე რაღად ვაგრძელებ სიტყვას! იმიტომ არა, ვფიცავ ზეცას და კეთილმოწყალე ღმერთებს, რომ თავი შეგაწყინოთ. არა, მე მინდა ყოველ თქვენთაგანს, ათენელო მოქალაქენო, ვამცნო და ჩავაგონო, რომ უმოქმედობა და უსულგულობა, რომელიც დღითიდღე

იკიდებს ფეხს, ერთხანს არ იგრძნობა სახელმწიფოში, სამაგიეროდ, საბოლოო საქმით ერთბაშად გამეღავნდება ყოველი. გაიხსენეთ სერიონისა და დორისკოსის ამბები. უსულგულობამ პირველად ეს ადგილები იმსხვერპლა, რომელთა შესახებ უმრავლესობამ შესაძლოა არცკი უწყოდეს. მათი ბედისადმი თქვენმა უგულისყურობამ გამოიწვია დაკარგვა თრაკიისა და თქვენი მოკავშირე კერსობლეპტესი[2]. კვლავ აქაც თქვენი გულგრილობა რომ ნახა ფილიპემ და არც რამ სამხედრო დახმარების მცდელობა შეგატყოთ თქვენ, — ხელი მიჰყო პორთმოსის ნგრევას, აქცია იგი სიმაგრედ თქვენს წინააღმდეგ და ატიკის სამუქაროდ ტირანიას კედლები აუგო ევბეაზე. ამის უგულებელყოფამ ლამის მეგარის აღება გამოიწვია. თქვენ ამის საწინააღმდეგოდ არრა იზრუნეთ, არც აგრძნობინეთ, რომ არ დაანებებდით ამის აღსრულებას. მან მოისყიდა ანტრონი[3], ხოლო გამოხდა ცოტა ხანი და ორეოსის საქმენიც ხელყო. სხვა მრავალს აღარ ვეხები, მაგალითად, ფეროსის ამბებს, ამბრაკიის დალაშქვრას, ხოცვა-ყლეტას ელიდაში და ათას სხვას. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მხოლოდ ჩამოგითვალოთ ფილიპეს ძალმომრეობისა და უსამართლობის მსხვერპლნი; მე მხოლოდ ის მინდა ცხადვყო, რომ იგი არავის შეეპუება, არ დაიშლის უსამართლო მოქმედებას არც ერთი ხალხის მიმართ; მრავალთა მიწაწყალსაც მიითვისებს, თუ ვინმე არ შეაბრკოლებს მას.

არიან მავანნი, რომელთაც სჩვევიათ, ვიდრე საქმეთა შესახებ მსჯელობას ბოლომდე მოისმენდნენ, გკითხონ: „რა გავაკეთოთ?“. მაგრამ ამას იმისთვის როდი გეკითხებიან, რომ ამ კითხვის პასუხად მართლა რაიმეს გაკეთება სწადიათ (მაშინ ამ ხალხს ყველაზე მეტი საგებლობის მოტანა შეეძლო), არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ სიტყვა ბანზე აუგდონ ორატორს. მაგრამ მაინც საჭიროა ითქვას, თუ რა უნდა გავაკეთოთ. პირველ რიგში, ათენელნო დარბაისელნო, მტკიცედ უნდა შეიგნოთ, რომ ფილიპე ომს ეწევა თქვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ და მან უკვე დაარღვია ზავი; რომ იგი ბოროტმზრახველია და მტერი მთელი ჩვენი სახელმწიფოსი და სახელმწიფოს საფუძვლისა და, ამასაც დავუმატებ, ქალაქის მფარველ ღმერთთა, — მათი რისხვაც ნუ მოჰკლებია მას! არაფერს ებრძვის იგი ისე გააფთრებით, როგორც დემოკრატიულ წყობას, არავის მიმართ არ ამოქმედებს ყოველად ბოროტი ზრახვანი და არაფერს ისეთი წადილით არ ესწრაფვის, როგორც ამ წყობის აღგვას. ახლა იგი ამას, რამდენადმე, აუცილებლობით სჩადის. გაითვალისწინეთ ეს. მას სწადია ხელისუფლება, ხელისშეშლელ მეტოქეებად კი მიგიჩნევთ მხოლოდ თქვენ. უკვე კარგა ხა-

ნია უსამართლოდ გეპყრობათ და ყველაზე უკეთ თავად მოგეხსენებათ ეს. თქვენს ქონებულს რომ იქონიებს, ამით კიდევ უფრო საიმედოდ მოიხვეჭს ყოველ სხვა მოსახვეჭელსაც; მაგალითად, ამფიპოლის და პოტიდეას რომ არ დაჰპატრონებოდა, მაკედონიაში ეგოდენ ვერ გამძლავრდებოდა. ამრიგად, მან იცის ორი რამ: — ის, რომ თქვენ ავად გეზრახვით იგი, და ის, რომ თქვენ კარგად უწყით ეს; და რამდენადაც კეთილგონიერ ხალხად გიცნობთ, სიძულვილსაც მოელის თქვენგან. ისიც კარგად მოეხსენება, რომ, ყველაფრის ბატონიც რომ შეიქნეს, მყარად მაინც ვერას იუფლებს, სანამ თქვენ დემოკრატიული მმართველობა გექნებათ. მაგრამ თუ რამ მარცხი შეემთხვა მას (რომელიც ყოველთვის შეიძლება შეემთხვეს კაცს), ყველანი, ვინც ახლა მისი ძალმომრეობით შეურვებულან, თქვენ მოგაშურებენ.

თქვენ ხომ ბუნებით არ მოგდგამთ, წაეპოტინოთ სხვის მიწა-წყალს და იქ ძალაუფლება მოიხელთოთ; პირიქით, ხელს უშლით მიმტაცებელს და ართმევთ მიტაცებულს, მზად ხართ წინააღმდეგობა გაუწიოთ ყველას, ვინც ძალაუფლებას ესწრაფვის, იბრძვით ყველას თავისუფლებისათვის. ამიტომ მას არ ნებავს თქვენი ნათავისუფლევი ცოცხალი ძალები მის კეთილდღეობას ემუქრებოდეს; არც ცუდად, არცთუ თავის საზიანოდ განსჯის იგი. ამრიგად, ჯერ საჭიროა შეიგნოთ, რომ იგი თავისუფალი სახელმწიფოებრივი წყობისა და დემოკრატიის დაუძინებელი მტერია; მერმეც, კარგად იცოდეთ, რომ მთელი მისი საქმიანობა და მეცადინეობა ახლა მიმართულია თქვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ. არა მგონია, თქვენს შორის ისე გულუბრყვილო იყოს ვინმე, ფიქრობდეს, რომ ფილიპე რაღაც უღრანების მიკერძებას ლამობს თრაკიაში (სხვა რა უნდა ითქვას დრაგილოსის, კაბილეს ან მასტირასთვის, რომელთაც ახლა იპყრობს იგი?) და მათ მოსაპოვებლად იტანს ჯაფას, უამინდობას, უკიდურეს საფრთხეს, ხოლო არ ესწრაფვის ათენის ნავსადგურებს, გემთსაშენებს, ტრიერებს, ვერცხლის საბადოებს, ამოდენა შემოსავალს, ადგილმდებარეობას და დიდებას (ოღონდაც არკი ღირსებოდეს მას, გინა სხვას ბატონობა ჩვენს ქალაქზე და მისთა სიკეთეთა ზედა!) — ყველაფერ ამას თქვენ გიტოვებთ სამფლობელოდ, თავად კი რაღაც ჭვავ-ქერისათვის, თრაკიის ორმოებში რომ ეგულება, იმ ორწოხებში ატარებს ზამთარს. არამც და არამც! იგი ყოველივეს მხოლოდ იმისთვის სჩადის, რომ იუფლოს აქაურობა; უნდა გაიგოს და გაისიგრძეგანოს ეს ყოველმა თქვენგანმა; ამიტომ არასწორად მიმაჩნია, ვფიცავ ზევსს, მოსთხოვოთ კეთილის მრჩეველ და სამართლიან ორატორს, ომის საჭიროებაზე ილაპარაკოს

და წერილობითაც დაადასტუროს ეს. ეგ იმათ შეჰფერით, რომელთაც მხოლოდ ომი სწადიათ ვინმესთან, არკი სახელმწიფოს საკეთილდღეოდ მოქმედებენ. თავად განსაჯეთ: როცა ფილიპემ ზავი დაარღვია პირველად, ასევე მეორედ, გინა მესამედ (ასეთი შემთხვევები ხომ ბევრი იყო), ვინმეს წერილობით რომ დაეკანონებინა მასთან ომის აუცილებლობა, იმას კი ახლანდელივით (როცა არავითარი ომი არ არის დაკანონებული) კარდიელთათვის აღმოეჩინა სამხედრო დახმარება, — განა არ შეიპყრობდნენ ომის დამკანონებელს და ბრალს არ დასდებდნენ მას, კარდიელებს ამის მიზეზით აღმოუჩინაო სამხედრო დახმარება ფილიპემ? ამიტომაც ნუ ფიქრობთ, ვინ შეიზიზღოთ იმ დანაშაულისთვის, რასაც ფილიპე სჩადის, და ვინ მიუგდოთ დასაგლეჯად მის მოქირავნეებს. თუ თავად გადასწყვეტთ კენჭისყრით, რომ გსურთ ომი, მერმე იმაზე კი აღარ უნდა იდავოთ, ეს საჭირო არის თუ არაო, არამედ იომეთ მისდაგვარადვე, მიბაძეთ მას, ვინც უკვე თავს იცავს, აძლიეთ ფული და ყველა სხვა დანარჩენი, რაც საჭიროა; თავად კი, ათენელო დარბაისელნო, უნდა შეიტანოთ შესატანი, მოამზადოთ ჯარი, სწრაფშავალი ტრიერები, ცხენები, ცხენთა გადასაყვანი ხომალდები და ყველაფერი, რაც ომს სჭირდება.

დია სასაცილოა, ასე რომ მიგვდის საქმე, და ფილიპეც ვერაფრით ვერ უსურვებდა ჩვენს სახელმწიფოს, ვფიცავ ღმერთებს, რომ თქვენ სხვაგვარად მოქცეულიყავით: დროს კარგავთ, მფლანგველებო, საქმის სხვაზე დაკისრებას ცდილობთ, ბრალსა სდებთ ერთმანეთს. რის გამოა ეს, მე მოგახსენებთ, იმასაც გეტყვით, როგორ შეეშვათ ამას. არასდროს, ათენელო დარბაისელნო, თქვენ დასაწყისიდანვე სწორად არ მოჰკიდებიხართ და შესდგომიხართ საქმეს, შუდამ უკან რჩებით და კუდში მისჩანჩალებთ მოვლენებს, მერმე კი სულ შეეშვებით ხოლმე. ამასობაში კიდევ სულ სხვა რამ გამოტყვრება, ახლა ამაზე იწყებთ ფაციფუცს და ვაი-უშველებელს სტეხთ. ესევითარი ქცევა არაფრის ნაქნისია. მხოლოდ მცირეოდენი ლაშქრის მხარდაჭერით ვერ აღასრულებ აუცილებელ საქმეს, საჭიროა სრული სამხედრო ძალა; მისი მოშარაგება სურსათით, საამისოდ განწესება ხაზინადართა და სახელმწიფო მონებისა, ბეჯითი მომჭირნეობა ფულადი სახსრებისა და ანგარიშგება; სამხედრო საქმეთა პასუხისმგებელი უნდა იყოს მხედართმთავარი და არ უნდა მივცეთ მას არავითარი მიზეზი — წავიდეს იქით, საითაც არ ევალება, ან აკეთოს ის, რაც სარდალს არ მოეთხოვება.

თუ ამას გააკეთებთ და ჭეშმარიტად ისურვებთ ამ გზით სიარულს, მაშინ აიძულებთ ფილიპეს, სამართლიანად დაიცვას ზავი, დაეტიოს

თავის ქვეყანაში, არადა — იომებთ მასთან თანასწორ პირობებში. ისევე, სწორედ ისევე, ათენელო დარბაისელნო, როგორც ახლა თქვენ ესწრაფვით, — შეიტყოთ, რას მოქმედობს ფილიპე ან საით ეშურება, — ვერ მოისვენებს ისიც, სანამ არ გაიგებს, საით მიდის ჩვენი სახელმწიფოს ლაშქარი ან სად შეიძლება გამოჩნდეს.

ხოლო თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს დაკავშირებულია აურაცხელ ხარჯებთან, დიდ სიძნელეებთან და რთულ საქმეებთან, სწორედ ფიქრობს იგი. მაგრამ როგორც კი განსჯის, რა შეიძლება მოუვიდეს ჩვენს სახელმწიფოს, თუ ამ ღონისძიებას არ დაეთანხმება, მაშინ ძალდაუტანებლად გააკეთებს იმას, რაც გასაკეთებელია. ვთქვათ და, რომელიმე ღმერთთაგანი დაგიდგეთ თავდებად (აცთაგანი ხომ ვერ ითავდებებს საომედოდ ესეოვითარ საქმეებში), რომ, თუნდაც სრულ სიმშვიდეს მიეცეთ და თავი მიანებოთ ყველაფერს, იგი მაინც არ დაიძვრის თქვენზე; ეს ხომ სამარცხვინოა, ვფიცავ ზეესს და ყველა ღმერთებს, და შეუფერებელი თქვენთვის და თქვენი წინაპრებისათვის, — რომლებიც სახელმწიფოს საკეთილდღეოდ იღვწოდნენ, — თქვენი პირადი უსულგულობის წყალობით მონობისთვის გასწიროთ ყველა დანარჩენი ბერძნები. მე, პირადად, უმალ სიკვდილს ვარჩევდი, ვიდრე ეს მეფიქრა. თუ სხვა ვინმე ამტკიცებს ამას და თქვენც სარწმუნოდ მიგაჩნიათ, იყოს ნება თქვენი, ბედს მიანდეთ ყოველი. ხოლო თუ ასე არავინ ფიქრობს და, პირიქით, ყველასათვის ნათელია, რომ, რაც უფრო მეტს დავუთმობთ მას საბატონოდ, მით უფრო ძლიერ და საშიშ მტრად ვაქცევთ, — მაშინ სადამდე ვაპირებთ უკან დახევას? ან რას ველოდებით? როდისღა, ათენელო დარბაისელნო, როდისღა გაგვიჩნდება სურვილი მოვალეობის აღსასრულებლად? — „მაშინ, ვფიცავ ზეესს, როცა საჭიროება მოითხოვს ამას". მაგრამ, რაც თავისუფალ ადამიანთათვის საჭიროებად ითქმის, არამცთუ მოვიდა იმის ჟამი, — გადავიდა კიდეც; ხოლო მონების საჭიროებად რაც ითქმის, ღმერთმა გვაშოროს! რა არის განსხვავება? ის, რომ თავისუფალი ადამიანის ყველაზე დიდი სასჯელი სინდისის ქენჯნაა ჩადენილი დანაშაულისათვის, მონისა კი — მათრახი და სხეულზე ძალმიტანება, რაიც შორს იყოს ჩვენგან და რაზედაც ლაპარაკიც კი სამარცხვინოა.

ამავე დროს, ათენელო მოქალაქენო, ყველამ რომ თავის ზურგზე აიკიდოს ეს ტვირთი და თავისი ქონებული გაიღოს მხოლოდ, სწორი არ იქნება; არამც და არამც არ ივარგებს ეს, თუმცა, შესაძლოა, რამდენადმე აზრს მოკლებული მაინც არ არის; მაგრამ თუ არ მოისმენთ იმას, რისი არა მხოლოდ მოსმენა, არამედ განსჯაც გმართებთ, მაშინ

სწორედ რომ სასაყვედურო იქნება თქვენი საქციელი. თქვენ არაფრის წინასწარ გაგონება არა გსურთ, სანამ უშუალოდ კარზე არ მოგადგებათ საქმე, — როგორც ამჟამად, — თან არცა-რას გულდინჯად არ განსჯით. მაშინაც კი, როცა იგი ემზადება, თქვენ — იმის მაგიერ რომ იგივე ქნათ და თქვენის მხრითაც მოემზადოთ, — უსულგულობთ, ხოლო თუ ვინმეს რამე წამოსცდა, ხელსა ჰკრავთ და სიტყვას აწყვეტინებთ. მხოლოდ, თუ რომელიმე ქალაქის აღებას ან დაალყვას შეიტყობთ, მაშინღა იწყებთ სმენა-გაგონებასა და ფაციფუცს. სმენა და გაგონება სწორედ მაშინ იყო საჭირო, როცა ეს არ გსურდათ თქვენ, ახლა კი უკვე იმ მოსმენილის აღსრულება გმართებდათ, რასაც ახლაღა ისმენთ. სწორედ თქვენი მაგ ჩვეულების ბრალია, რომ აკეთებთ იმას, რასაც არ აკეთებენ სხვები: — ისინი ჯერ გადაწყვეტენ და მერმე შეუდგებიან საქმეს, თქვენ კი მერმე იღებთ გადაწყვეტილებას, როცა საქმე უკვე გათავებულია.

ის, რაც ამჟამად გასაკეთებელია, თუმცა ადრე კი უნდა გაკეთებულიყო, არც ახლაა უსაშველოდ გვიან; ამისთვის, საქმეთა აწინდელ ვითარებათა გამო, ჩვენს სახელმწიფოს ისე ძლიერ არაფერი სჭირდება, როგორც ფული. თავისთავად გვეწვია მარჯვე შემთხვევა და, თუ ამით სათანადოდ ვისარგებლებთ, მოხდება ის, რაც საჭიროა. უპირველესად, იმ ხალხთ, რომელთაც სპარსეთის მეფე უცხადებს ნდობას და რომელთაც თავის თანამდგომებად თვლის, — სძულთ ფილიპე და ეომებიან მას. მას შემდეგ, რაც ფილიპეს თანამოსაქმე და თანამზრახველი შეპყრობილი იქნა, ყოველივე მომხდარს ახლა ჩვენი ბრალდებით კი არ შეიტყობს მეფე, — რამდენადაც ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ ჩვენი მოსაზრებით გველაპარაკა, — არამედ თავად აღმასრულებლისა და ხელმძღვანელთაგანისაგან, რაც სარწმუნოს გახდის ყოველს; ამას დაემატება ჩვენი ელჩების სიტყვაც, სიამოვნებით რომ მოუსმენს მეფე, — კერძოდ, იმის თაობაზე, რომ ერთად უნდა ვეომოთ საერთო მტერს, რომ გაცილებით საშიში შეიქმნება მეფისთვის ფილიპე, თუ პირველად ჩვენ დაგვესხმის თავს, რადგან, თუ უშემწეოდ დარჩენილნი რაიმე უბედურებაში ჩავცვივდებით, სრულიად უშიშრად გაილაშქრებს მის წინააღმდეგ. ყოველ ამა საქმეთა გამო, ვფიქრობ, უნდა წარგზავნოთ ელჩობა მეფესთან მოსალაპარაკებლად და უნდა უკუაგდოთ უსარგებლო შეხედულება, რომელსაც არაერთხელ მოუყენებია ზიანი თქვენთვის, — რომ „იგი ბარბაროსია", „ყველას საერთო მტერი", და ყოველი ამდაგვარი. მე ვხედავ, რომ ზოგ ვინმეს აშინებს იგი, ვინც სუზაში ან ეკბატანაშია,[4] და ჩვენი სა-

ხელმწიფოს მტრად მიიჩნევს მას, თუმცა არაერთხელ გამოუსწორებია ჩვენი საქმე წინათ. და ამასვე გვთავაზობს ახლაც (თქვენ რომ მიგეღოთ ეს თავაზი, არ კი უარგეყოთ, რაშიც მას არა აქვს ბრალი); თანაც ეგ კაცი სრულიად სხვაგვარად ლაპარაკობს ბერძენთა მძარცველზე, რომელიც აგერ, ელადის შუაგულშია მომდგარი, ზედ ჩვენს კარზე, და სულ უფრო იკრებს ძალას; და მე დიდად გამკვირვებია იმ კაცისა, ვინც უნდა იყოს იგი, რომელიც არ უფრთხის ფილიპეს.

არის სხვა საქმეც, რომელიც ვნებს ჩვენს სახელმწიფოს; ესაა უსამართლო ლანძღვა-გინება, გარკვეულ საბაბს რომ აძლევს უმაქნისობისათვის სახელმწიფოს უქნარებს. თქვენც ლამობთ ამით ახსნათ ყოველი ძნელბედობა, როცა საქმეს ვერ გაიწალმართებთ ხოლმე. ამაზე ლაპარაკს დიდად ვუფრთხი, მაგრამ მაინც უნდა მოგახსენოთ. ვფიქრობ, სახელმწიფოს სამართლიანობა მოითხოვს, დავიცვა ღარიბნი მდიდართაგან, ასევე მქონებელნი უქონელთაგან. თუ ჩვენ ავიცილებდით საყვედურს, რომელსაც სანახაობითი სახსრების თაობაზე უსამართლოდ გამოთქვამს ზოგი, აგრეთვე შიშს, რომ ყოველივე ეს უბედურების გარეშე არ ჩაივლის, მაშინ აღარ გვექნებოდა უფრო დიდი მნიშვნელობის საქმენი, რომლებიც წარმართავდნენ სახელმწიფოს ბედს და განამტკიცებდნენ მის მთლიანობას.

განიხილეთ ეს საკითხი აგრერიგად. ჯერ მოგახსენოთ იმათთვის, რომელნიც საჭიროებას განიცდიან. წინათ ჩვენი ქალაქის შემოსავალი ოცდაათ ტალანტს არ აღემატებოდა, მაგრამ არავინ ამბობდა უარს მოეწყო ტრიერარქია, შეეტანა შესატანი, ფულადი წაგების საბაბით არავინ გაურბოდა მოვალეობის აღსრულებას; დაცურავდნენ ტრიერებიც, მოიძეოდა ფულიც და აღვასრულებდით, რისი აღსრულებაც ჩვენს ხელთ იყო. ამის კვალობაზე სვეებედნიერად წარიმართა საქმე, საზოგადო სიკეთე გამრავლდა, შემოსავალმა ოთხას ტალანტს მიაღწია წინანდელი ასის ნაცვლად; მქონებელთ არათუ წაუგიათ რამე, დიდ მოგებასაც არიან, — მოსაგებელს ყველანი თავიანთ წილად იგებენ და კარგსაც შვრებიან. მაშ რადღა ვლანძღავთ ერთმანეთს — არაფერს აკეთებო, ან ეგებ იმ დახმარებას ვაყვედრით ღარიბებს, თავად ბედმა რომ განუმზადათ? ამაში მე ბრალს ვერ დავდებდი მათ, ეგ უსამართლობა იქნებოდა ჩემის მხრით. მე, მაგალითად, არა მგონია საკუთარ სახლებშიც ვნახო ისეთი ასაკოვანი კაცთაგანი, რომელიც აგრერიგად მოეპყრობოდა უფროსებს, ან ისე უმეცარი და უგნური იქნებოდა, რომ თავის საქმეზე აეღო ხელი იმ საბაბით — რასაც მე ვაკეთებ, სხვაც იმასვე რად არ აკეთებსო. კანონი

ასეთ კაცს უმადურ საქციელში დასდებდა ბრალს, რამეთუ, ვფიქრობ, ბუნებაც და კანონიც ავალებს კაცს მშობელთა პატივისცემას, რაც მან სამართლიანად და დაუყოვნებლივ უნდა აღასრულოს.

როგორც თითოეულ ჩვენთაგანს ჰყავს თავისი მშობელი, ასევე ყველა მშობელი ერთად სახელმწიფოს საერთო მშობლებად უნდა მივიჩნიოთ და არამცთუ უნდა წავართვათ მათ, რასაც სახელმწიფო აძლევს, არამედ, კიდევაც რომ არა ჰქონდეთ, უნდა გამოვუძებნოთ და ყურადღება არ მოვაკლოთ. თუ მქონებელნი ამას ირწმუნებენ, ამით სამართლიან საქმესაც იქმენ და სასარგებლოსაც. საერთო სიკეთეს რომ ადამიანები მოვაკლოთ, ამგვარი საქმე უკმაყოფილებას გამოიწვევს მრავალთა შორის. მოხოვნელებს კი ვურჩევ, თავი შეიკავონ ისეთი. მოთხოვნებისაგან, რაიც გამოიწვევს მქონებელთა სამართლიან უკმაყოფილებას და საყოველთაოს. შეეცდები ამგვარადვე შევეხო მდიდრებს და არ ვუღალატო სიმართლეს. მე ვფიქრობ, არავინაა ისეთი სულმდაბალი, ან გონებით უმწიფარი არა მხოლოდ ათენელთა, არამედ დანარჩენ ადამიანთა შორისაც, რომელსაც შეაღონებს ეს დახშარება, როცა ხედავს, რომ დახმარებას ღარიბები იღებენ. მაგრამ რა ქმნის მაინც სიძნელეს, რა დაბრკოლებას აწყდება ეს საქმე? იმას, რომ, როცა ხედავენ, ზოგ ვინმეს საერთო სარგებლობის წესი კერძოობითზე გადაჰყავს, — ხოლო ამის შემომთავაზებელი ორატორი მაშინვე ბუმბერაზად გესახებათ და უსაფრთხოდ, ვითარცა უკვდავი, — ამ დროს აშკარა გადაწყვეტილებას ეურჩება ამისგან განსხვავებული ფარული განაჩენი. ეს იწვევს უნდობლობას და აღშფოთებას. საჭიროა, ათენელნო დარბაისელნო, სახელმწიფოში სამართლიანი დამოკიდებულება დაამყაროთ ურთიერთშორის: მქონებელთ უსაფრთხოდ უნდა ჰქონდეთ დაცული პირადი ქონება, ისე რომ არაფრისა ეშინოდეთ, ხოლო საფრთხის ჟამს თავისი წილი გაიღონ სამშობლოს ხსნის საერთო საქმისათვის; დანარჩენებმა კი საერთო ქონება საერთოდ მიიჩნიონ და თავიანთი წილი დაიდონ მასში, ხოლო კერძო ქონება კერძო მფლობელთ მიუბოძონ. ასეთი წესით მცირე სახელმწიფო დიდად იქცევა, ხოლო დიდი არ დაიღუპება. ამრიგად, რაც უნდა თქმულიყო ორივე მხარისათვის, საკმაოდ ითქვა. საჭიროა იმის განსჯა, თუ როგორ განხორციელდეს ეს კანონით.

რაც შეეხება ახლანდელ მღელვარე ვითარებას, ამას ოდითგან მრავალი მიზეზი გააჩნია. თუ ისურვებთ ამის მოსმენას, მეც ვისურვებ ლაპარაკს. თქვენ, ათენელო დარბაისელნო, გადაუხვიეთ წინაპართა მცნებას — გეხელმძღვანელათ ელინთათვის, მზადყოფნაში

გყოლოდათ მუდმივი ლაშქარი, მიშველებოდით ყველა ჩაგრულს. თქვენ, სხვადასხვა პოლიტიკოსთა ყურისმგდებლებმა, ზედმეტ საქმედ და ფულის ამაო ფლანგვად მიიჩნიეთ ყოველივე ეს; ხოლო რაც შეეხება განცხრომას, საქმეთა უგულებელყოფას და იმას, რომ ერთმანეთზე მიყოლებით კარგავთ თქვენეულ მამულებს და, ამრიგად, სხვის საბატონოდ ხდით — ამაში ხედავთ ერთადერთ ბედნიერებას და თავდაცვის საშუალებას. ამით ისარგებლა სხვამ და დაიპირა ის ადგილი, რაიც სწორედ თქვენ უნდა გეპეროდათ. იგი გახდა სვებედნიერი, ყოველთა აღმატებული ბატონი, და სავსებით ბუნებრივია ეს. საქმე დიდი და ბრწყინვალე, რომლისთვისაც ყოველი დროის დიდნი ქალაქნი ეცილებოდნენ ერთმანეთს, მან იგდო ხელთ იმის წყალობით, რომ ლაკედემონელებმა მარცხი განიცადეს, თებელები ფოკიდის ომით აღმოჩნდნენ გართულნი, ჩვენ კიდევ არაფერში ვირჯებით. მაშინ, როდესაც სხვებს შიში უმრავლდებათ, მას — ოდენ მოკავშირენი და დიდი ძალა; ამავე დროს, ბერძნებს ისე უკულმა მისდით საქმე, რომ რაიმეს რჩევაც კი ჭირს. ამჟამინდელი ვითარება, ათენელო დარბაისელნო, თუმცა საშიშია ყველასათვის, არავის ეგოდენ საფრთხეს არ უმზადებს, რამდენსაც თქვენ, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფილიპე ყველაზე მეტად თქვენთვის ავადმზრახველობს, არამედ უფრო იმიტომ, რომ ყველაზე მეტად თქვენ უმოქმედობთ; ამავე დროს საქონლის სიმრავლეს და სურსათის სიუხვეს რომ ხედავთ ბაზარზე, ამით მოხიბლულნი ვეღარ ამჩნევთ სახელმწიფოზე მოწევნილ საფრთხეს, ვერც საქმეთა ვითარებას აფასებთ სწორად. ბაზრები და დღეობები შეიძლება ცუდად ან კარგად იყოს მოწყობილი; მაგრამ იგი, ვინც ყოველკამს მოისურვებდა ელინებზე გაბატონებას, — ჩვენს სახელმწიფოს წარმოიდგენდა, ვითარცა წინააღმდეგობის გამწევს, ყველასათვის თავისუფლების მომნიჭებელს და, ვფიცავ ზეუსს, ასეთ სახელმწიფოზე იმის მიხედვით კი არ უნდა ვიმსჯელოთ — ბაზრებით კარგადაა მომარაგებული თუ არა, არამედ იმით — იმსახურებს თუ არა იგი მოკავშირეთა ნდობას და გააჩნია თუ არა მძლავრი შეიარაღება; ასეთნაირად უნდა შევხედოთ სახელმწიფოს. ამ მხრივ კი ბევრი რამ რიგზე როდი გაქვთ.

შეგიძლიათ ირწმუნოთ ეს თუ თქვენც ასევე განსჯით. როდის ეგდათ ელინთ უფრო მღელვარე ჟამი? ახლანდელზე მღელვარეს ვერვინ დამისახელებს. მართალია, საბერძნეთი ადრეც იყო გაყოფილი ორად ჩვენსა და ლაკედემონებს შორის, როცა დანარჩენი ელინები ზოგი ჩვენ გვმორჩილებდა, ზოგი იმათ; თავად მეფე კი არავის ნდო-

ბას არ იმსახურებდა, მაგრამ ომში დამარცხებულს თუ ემხრობოდა, მის ნდობას ინარჩუნებდა მანამ, სანამ ურთიერთწონასწორობა არ აღდგებოდა; მერმე კი დამარცხებულს, რომელსაც იგი შველოდა, უფრო სძულდა მეფე, ვიდრე იმას, ვინც ადრევე იყო გადაკიდებული მტრად. ამჟამად, ჯერ ერთი, მეფე კარგადაა განწყობილი მთელ ბერძნობასთან, ყველაზე ცუდად კი — ჩვენთან, თუ ჩვენვე არ გამოვასწორებთ ამ მდგომარეობას; მეორეც, ყველგან ბლომად ეწყობა პროსტასიები[5], ყველა პირველობას ეცილება ერთურთს, საქმით კი აქაც განზე დგანან, ურთიერთმტრობენ, უნდობლობას უცხადებენ ერთმანეთს და არა იმას, ვისთვისაც ეს უფრო უპრიანია. ყველანი სათითაოდ — არგოსელნი, თებელნი, ლაკედემონელნი, კორინთოსელნი, არკადიელნი და ჩვენ.

თუმცა მთელი ელინური საგამგებლო დაყოფილია ამდენ ნაწილად და დინასტიად, მაინც, თუ სიმართლეს სიწრფელით ვიტყვით, არცერთ მათს საგამგებლოში და საბჭოში იმდენად არ განიბჭობა ელინთა საქმენი, რამდენადაც ჩვენთან; და ეს ბუნებრივიცაა. არავინ, ჩვენი შოყვარეა, სჯერა ჩვენი თუ, უბრალოდ, ეშინია, ჩვენთან მოლაპარაკებას არ ლამობს. ამის მიზეზი ერთი როდია, ათენელო დარბაისელნო (მაშინ იოლად დასძლევდით მას), არამედ მრავალი: ყოველგვარი შეცდომა მთელი ამ დროის მანძილზე, რომელთაგან გამოვეყოფთ ერთს, საიდანაც გამომდინარეობს ყველა დანარჩენი; და, თუ სიმართლეს სიწრფელით მოგახსენებთ, ამისთვის ნუ გამიმტერდებით. თქვენ უკვე ყოველი მოსაგებელი წარაგეთ, სამაგიეროდ მოიპოვეთ უქმეობა და სიმშვიდე; ამით მოხიბლულნი პასუხს არ მიაგებთ თქვენს შეურაცხმყოფელთ, ხოლო პატივს სხვები მიიგებენ. ყოველივე დანარჩენის გამოწვლილვით განხილვა არ ღირს ახლა. ოღონდ ერთი კია: როგორც კი ფილიპეზე ჩამოვარდება სიტყვა, უმალვე წამოდგება ვინმე და იტყვის, — არას გვარგებსო ეგ ფუჭსიტყვაობა, არც ომის წერილობით დაკანონებაში ჰყრიაო რამე. თან დასძენს, — რომ ჩინებული რამ არის მშვიდობის დაცვა, რომ ძნელია დიდი ლაშქრის შენახვა, რომ ზოგნი სახელმწიფო ფულის დატაცებას ლამობენ, — და სხვა ამგვარ სიმართლედ დაჩემებულ სიტყვებს. მაგრამ თქვენ არა გჭირდებათ დარწმუნება მშვიდობის დაცვისათვის, ამაში თქვენ ისედაც ხართ დარწმუნებულნი, რაკიღა ასე უმოქმედოდ სხედხართ. ოღონდაც ის კი ირწმუნებდეს ამას, ვინც საომარ მოქმედებას ესწრაფვის, თორემ თქვენი მხრით უკვე რიგზეა ყოველივე. სამძიმოდ ეს კი არ უნდა მივიჩნიოთ, თუ ხარჯს გავიღებთ გადარჩენისთვის, არამედ უბედურება,

რომელიც შესაძლოა გვეწიოს, თუ ამ ხარჯს არ გავიღებთ. ამიტომ ფულის გაფლანგვაზე მითქმა-მოთქმა უნდა შეწყდეს: ერთი კია, მომჭირნეობა უნდა გამოვიჩინოთ, მაგრამ ისე, რომ სარგებლობაზეც არა ვთქვათ უარი. ყველაზე მეტად ჩემს აღშფოთებას ის იწვევს, რომ ზოგ თქვენგანს ფულის დატაცება აღონებს, როცა თქვენს ხელთაა მისი შენახვაც და დამტაცებელთა დასჯაც; მაგრამ ის კი აღარ აწუხებს, ფილიპე ზედიზედ რომ იტაცებს მთელი ელადის მიწებს და თქვენს დასატაცებლადაც იმუქრება. მაშ რა არის იმის მიზეზი, ათენელო დარბაისელნო, რომ ასე ცხადლივ უსამართლოდ მოქმედს, ქალაქთა წარმტაცებელს არავინ უსამართლოდ მოქმედად და ომის გამჩაღებლად არ მიიჩნევს, ხოლო იმ ორატორებს, რომელნიც მის წინაღდგომას რჩეობენ და ქალაქთა შველას, — ომის გამჩაღებლებად თვლიან? ეს იმიტომ ხდება, რომ მათ სურთ ომისგან მოსალოდნელი სიძნელენი (ომს კი გარდუვალი, დიახ, გარდუვალი ზიანი მოაქვს) დააკისრონ იმათ, რომელნიც მხოლოდ კეთილს გირჩევენ. ისინი ვარაუდობენ, თუ თქვენ ერთსულოვნად დაიცავთ თავს ფილიპესგან და ერთი აზრით შეძტკიცულნი დაამარცხებთ კიდეც მას, — ამით საქირავნო სახსრები მოაკლდება მათ; ან, პირიქით, თუ თქვენ უმალვე ატეხთ განგაშს. ბრალს დასდებთ მავანს და მავანს და სამსჯავროზე წარადგენთ, ესენი თავად გამოვლენ ბრალმდებლად მათს წინააღმდეგ და ამით ერთდროულად ორ მიზანს მიაღწევენ — თქვენგან კეთილგანწყობას მოიმკიან, იმისგან კი — ფულს; ხოლო თქვენ ამათ ნაცვლად დასჯით იმ ადამიანებს, რომელნიც ოდენ თქვენთვის დაშვრნენ. თუმცა მათ იმედი აქვთ, აქ ბრალს დასდებენ ზოგთ, ვითარცა ომის გამჩაღებელთ. მე წვრილად ვუწყი, თუმცა ათენელთაგან წერილობით არავის განუკანონებია ომი, ფილიპემ მრავალი ქალაქი იუფლა და აგერ ახლა კარდიელები მოამარაგა სამხედრო აღჭურვილობით. რაკიღა ჩვენ არ გვსურს დავინახოთ, რომ იგი ომობს ჩვენთან, თავად ყოვლად გიჟი უნდა იყოს, რომ ეს განაცხადოს. როცა შეურაცხყოფილნი უარყოფენ ამას, რაღა დარჩენია შეურაცხმყოფელს? მაშინ რაღას ვიტყვით, როცა ჩვენზე გამოილაშქრებს იგი? ის ხომ მაშინაც იტყვის, — არ ვომობო, როგორც ადრე ორეოსელთ ქვეყანაში მოლაშქრე ამბობდა ამას და ოლინთოსელთა მიწა-წყალზეც ჯარებით მიმდგარი. მაშინაც ხომ ვერ ვუსაყვედურებთ იმათ, რომლებიც თავდაცვას რჩეობდნენ, ომი თქვენ წამოიწყეთო? არადა სხვა აღარა ვგვშთენია, თვინიერ მონობისა.

გარდა ამისა, სხვა ხალხის საფრთხე სხვაა, ვიდრე თქვენი, რადგან

ფილიპე ჩვენი ქალაქის ოდენ დამორჩილებას კი არ ესწრაფვის, არამედ სულ მოსპობას მისას. მან ჩინებულად უწყის, რომ მონობას თქვენ არ ისურვებთ და, რომც ისურვოთ, ვერ აღასრულებთ (თქვენ ხომ შეჩვეულნი ხართ თავადობას); რამე რომ მოხდეს, თქვენ უფრო გაუძნელებთ მას საქმეს, ვიდრე ყველა სხვა ხალხი ერთად. ამიტომ იგი არ დაგინდობთ თქვენ, თუ დაგამარცხათ. უნდა შეიგნოთ, ბრძოლა ყოფნა-არყოფნის ჟამისაა, ამდენად მისი თანამზრახველნი უნდა მოიძულოთ და მოიკვეთოთ. ვერ დაამარცხებთ გარეშე მტერთ ქვეყნისას, სანამ არ დაგისჯიათ ქვეყნის შინაური მტრები, რომლებიც ფეხს დაგიდებენ და კისერს წაგატეხინებენ. როგორ ფიქრობთ, რატომ გეთავხედებათ იგი თქვენ (სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ მის საქციელს), ნატყუარ სიქველესაც კი არ გთავაზობთ, როგორც ამას სხვათა მიმართ სჩადის, და მხოლოდ გემუქრებათ? მაგალითად, თესალიელნი ხომ შეიტყუა მან მონობის იმ უღელში, რომელსაც ახლა ეზიდებიან კირთებულნი. ასე, არაერთგზის აცდუნა მან ბედკრული ოლინთოსელნი, როცა ჯერ პოტიდეა უბოძა და მერე სხვა მრავალიც, რასაც აბა ვინ წარმოიდგენდა. ასევე აყივნებს ახლა თებელთ — მათ საბატონოდ ბეოტიის განმბოძებელი და ხანგრძლივი ომისაგან მათი დამხსნელი. თითოეულმა რაღაც ნაყოფი იგემა აქედან, მაგრამ ზოგს უკვე სათანადოდ ეზღო ამისთვის, როგორც ყველამ უკვე იცის ეს, და ზოგსაც ზღვევის ჟამი უდგას. თქვენ კი, რაც დაკარგეთ, ამაზე ახლა ვიყუჩებ, ოღონდ დასანანია, რაოდენ მოტყუვდით ზავის დადებით, რამდენი რამ დაკარგეთ ამით. განა მის ხელთ არ არის პილოსი; თრაკია, დორისკოსი, სერიონი, კერსობლეპტე. განა ახლახან კარდია არ იუფლა მან და თავადაც არ აღიარებს ამას? რად ეპყრობა იგი სხვებს სრულიად სხვაგვარად, ვიდრე თქვენ? ეს იმიტომ, რომ მრავალ სახელმწიფოთა შორის მხოლოდ თქვენშია შესაძლებელი, ფული აიღონ და გაბედულად ილაპარაკონ თქვენს წინაშე მტერთა სასარგებლოდ, თუნდაც ამით ყოველი მოგებული თქვენი წარაგოთ. არ იქნებოდა შიშს მოკლებული ფილიპეს სასარგებლოდ ლაპარაკი, თუ ოლინთოსელნი არ დაიმედებულიყვნენ იმით, რომ მათ პოტიდეას გადასცემდნენ. არ იქნებოდა საფრთხეს მოკლებული ფილიპეს სასარგებლოდ ლაპარაკი თესალიაში, თუ თესალიელნი არ იქნებოდნენ დაიმედებულნი, რომ ფილიპე ტირანებს გაუძევებდა და პილოსის ამფიქტიონიაში მონაწილეობის უფლებას დაუბრუნებდა მათ. ათენს კი, რომელსაც არა მხოლოდ ამფიპოლისი და კარდიის მიწა-წყალი წართაცა ფილიპემ, არამედ ციხე-სიმაგრეებს ამზადებს თქვენს წინა-

ალმდეგ ეკბეაში და ახლა ბიზანტიონზე მოლაშქრეობს, გაბედულად შეუძლია ლაპარაკი ფილიპეს სასარგებლოდ. ამრიგად ღატაკთაგან მდიდრები ხდებიან ზოგნი, უსახელოთაგან და უღირსთაგან — ღირსეულნი და სახელოვანნი, თქვენ კი პირიქით: — ღირსეულთაგან — უღირსნი და სვეკეთილთაგან — სვედავსილნი. სახელმწიფოს სიმდიდრედ მე შივიჩნევ მოკავშირეებს, ნდობას და სვე-ბედს, იმას, რითაც ახლა დაღარიბებულხართ თქვენ. იმის გამო, რომ ყოველივე ამას უგერგილოდ მოჰკიდებიხართ და თავის ნებაზე მიგიგდიათ, — იგი მძლავრობს და მედიდობს, აშინებს ბერძნებს და ბარბაროსებს, თქვენ კი, განაპირებულნი და დამცირებულნი, ამაყობთ მხოლოდ ბაზრის სიუხვით, სამხედრო საქმეში კი უსუსურად გამოიყურებით.

ამასთანავე, ვხედავ, ორატორთაგან ზოგი თქვენთვის ერთს არჩევს, თავისთვის — მეორეს. კერძოდ, თქვენ სიმშვიდის დაცვას გირჩევენ, თუნდაც უსამართლოდ გეპყრობოდეთ ვინმე, თავად კი არ ძალუძთ სიმშვიდეს მისცენ თავი, თუმცა არავისგან უსამართლობას არ განიცდიან. თუ არ ქილიკით იკითხავდა ვინმე: „მარქვი მე, რაიცა წვრილად უწყი შენ, არისტომედ“ (თუმცა ვინ აღარ უწყის ეს), რატომაა, რომ კერძო პირთა ცხოვრება უსაფრთხოა და უსაშიშრო, ხოლო პოლიტიკურ მოღვაწეთა — ცილდაწამებული, საეჭველი და დღითი-დღე ქიშპობითა და სიავით სავსეობს?“ — რას უპასუხებდი ამაზე? ის რომ გაგაჩნდეს, რასაც საუკეთესოდ მიიჩნევენ, რასაც წრფელადაც გისურვებდი და რასაც გააკეთებდი შენივ სახელისა და დიდებისთვის, — მიკვირს, თუკი ამისთვის ყოველივეს მოიმოქმედებდი, არც გარჯასა და ხიფათს მოერიდებოდი, — მაშინ თვით სახელმწიფოს როგორღა ურჩევ განურჯელობას თვისს დიდებისათვის? იმას ხომ ვერ იტყვი, — სახელმწიფოში მე უნდა მეჭიროს ღირსეული ადგილი, სახელმწიფოს კი ღირსება არ უნდა გაჩნდესო ელადაში. ვერც იმას ვხედავ, რომ სახელმწიფოს უსაფრთხოება მხოლოდ თავისთვის ითხოვდეს საქმეთა აღსრულებას, შენთვის კი საშიში იყოს — როგორც ყველა დანარჩენისათვის — სხვის საქმეებში არჩარევა: პირიქით, სხვის საქმეებში ეგოდენ დაჟინებით ჩარევამ გაგიმზადა შენ საფრთხე, ისევე როგორც არჩარევამ — სახელმწიფოს. ან, ეგებ, ვფიცავ ზეცას, შენ მამაპაპური დიდება მოგდგამს და სინდისი გაწუხებს — აქაოდა ჩემით არ შეწყდესო იგი, — ჩვენს სახელმწიფოს კი უსახელო და უგვანი წინაპრები ჰყავდა. სულაც რომ არ გახლავთ ასე! თუ მამაშენი შენ გგავს, მაშინ იგი უთუოდ ქურდი იყო, ჩვენს ქალაქს კი ყველა კარგად იცნობს, მას ხომ არაერთხელ უხსნია ელინები უდიდესი ხიფათისაგან.

მაგრამ ზოგი პოლიტიკოსი კერძოეულ და საქვეყნო საქმიანობას ისე ვერ ეკიდება, როგორც ამას სამართლიანობა და მოქალაქეთა შეგნება მოითხოვს; და ეს მაშინ, როდესაც ზოგ ნაციხარ კაცსაც თავი ღირსებით უჭირავს. ნუთუ სხვათა მეთაური და პირველთაგანი სახელმწიფო ჩვენი ყოვლად უღირსად უნდა ვცნოთ და დავამცროთ?

კიდევ მრავალი რამ შემეძლო მეთქვა მრავალ საკითხზე, მაგრამ აქ შევჩერდები, რამეთუ, როგორც მე ვფიქრობ, არც ახლა და არც როდისმე ქვეყანას იმის გამო არ წასვლია საქმე ცუდად, რომ სიტყვები აკლდა, არამედ უფრო იმიტომ, როცა საჭირო სათქმელს უსმენთ, ერთსულოვნად აღიარებთ თქმულის ჭეშმარიტებას, მერმე კი სხდებით და იმდაგვარივე გულისყურით უსმენთ იმ ორატორებს, რომელნიც ამრუდებენ წინათქმულს, თითქოს არ იცნობდეთ მათ (განა შეხედვისთანავე არ იცნობთ, ვინ ჯილდოსთვის ლაპარაკობს, ვინ ფილიპესთვის იღვწის და ვინ ჭეშმარიტი სიკეთისათვის ისწრაფვის); დიახ, იმიტომ, რომ ერთი სული გაქვთ ბრალი დასდოთ ამათ, სასაცილოდ აიგდოთ და განკიცხოთ, მაგრამ თავად არაფერი საჭირო საქმე არ გააკეთოთ. ეს არის ჩემი გულმართალი და ყოვლად წრფელი სიტყვა, უმზაკვრო კეთილგანწყობილებით წარმოთქმული, უკეთესის რჩევით ნაკარნახევი, ართუ საზიანო სიტყვაკაზმული ტყუილი, რომელიც ფულს მოუხვეჭდა მთქმელს, თქვენ კი ქვეყნის საქმეთა მტერთაგან ხელყოფას გირჩევდათ. ამრიგად, ან ბოლო უნდა მოუღოთ მაგ მავნე ჩვევებს, ან კიდევ არავის დააბრალოთ საქმეთა წახდენა, თვინიერ თქვენივ თავისა.

ფილიპეს წერილის პასუხად

ლიბანიოსის წინასიტყვა

ფილიპემ უსტარი გამოუგზავნა ათენელებს, რომელიც ბრალი დასდო ამათ და პირდაპირ გამოუცხადა ომი. ამჯერად ორატორი ომს აღარ შთააგონებს ათენელებს (იგი ხომ გარდაუვალი გახდა), მაგრამ ამხნევებს ხიფათის პირდაპირ მდგართ და მაკედონელზე გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს.

ს ი ტ ყ ვ ა[1]

ზავი, ათენელო დარბაისელნო, რომელიც ფილიპემ დადო თქვენთან, მშვიდობა კი არა — ომის გადავადება რომ იყო მხოლოდ, ახლა ყველასათვის ცხადი გახდა. და მართლაც, იმ დროიდან, რაც ფარსალელებს ალონი[2] გადასცა, ფოკეელნი დაარბია და მთელი თრაკია მოითარეშა, იგი ათასგვარი უსამართლო საბაბით უკვე ეწევა ომს ჩვენი ქალაქის წინააღმდეგ, თუმცა სიტყვიერად მხოლოდ ახლა დაადასტურა ეს თქვენდამი გამოგზავნილ ეპისტოლეში. მაგრამ არ გმართებთ, მის ძალას შეუფრთხეთ და სულმოკლეობა გამოიჩინოთ; პირიქით, საჭიროა ცოცხალი ძალები, ფული, ხომალდები და ყველა საშუალება საომრად წარმართოთ, რაზეც შეეცდები ახლავე მოგახსენოთ. უპირველესად, ბუნებრივია, ათენელო დარბაისელნო, უდიდეს მოკავშირეებად და შემწეებად თქვენდა ვახსენებ ღმერთებს, რომელთა რწმენას გარდავიდა ეგ ფიცის გამტეხი, ოდეს უსამართლოდ დაარღვია ზავი. შერმე, რითაც ძალი მოიცა მან, — კერძოდ, მუდამ ეისიმე მოყივნებით თუ რისიმე შეპირებით, — უკვე წარსულს ჩაბარდა; ახლა პერინთიელებმა, ბიზანტიელებმა და მათმა მოკავშირეებმა კარგად უწყიან, რომ იგი იმასვე უპირებს მათ, რაც ადრე ოლინთოსელებს დამართა; არც თესალიელებს სძინავთ, რომ ვერ დაინახონ — ეგ კაცი დესპოტიას ესწრაფვის თუ მოკავშირეთა წინამძღოლობას. თებელნიც ეჭვით უყურებენ ნიკეას დამლაშქრელს, ამფიქტიონიაში შემღწევს, პელეპონესიდან ელჩობის გამწვევს და მათგან მოკავშირეთა გადამბირებელს.

ამრიგად, წინანდელ მეგობართაგან ზოგი სასტიკ ომს უცხადებს მას, ზოგიც არავითარ სურვილს აღარ ავლენს მის მხარდამხარ საომრად, — ყველანი იქვით და ზიზღით უყურებენ. ამასთანავე (ცოტას ესეც არ ნიშნავს), აზიის სატრაპეებმა მოქირავნე ფარით ხელი შეუშალეს მას, ალყით აეღო პერინთოსი; და ახლა, როცა მტრად წაეკიდნენ და თან საშიშროებას ახლოთ ეგრძნობენ ბიზანტიის მოსალოდნელი აღებით, არა მხოლოდ ხალისით იომებენ თქვენთან ერთად, არამედ ფულს გამოსთხოვენ თქვენს უზრუნველსაყოფად სპარსეთის მეფეს, ვითარცა ქორეგოსს, რომელიც იმდენ ოქროს ფლობს, რამდენსაც არც ერთი სხვა დანარჩენი, — და ისეთ ძალას აქაურ საქმეებზე ზეგავლენისათვის, რომ ადრეც — მაგალითად, როცა ჩვენ ლაკედემონელებს ვეომებოდით — ორთა შორის იმარჯვებდა ის, რომელსაც თავად მიემხრობოდა; ასევე, ახლაც, თუ ჩვენს მხარეზე დადგება იგი, ადვილად სძლევს ფილიპეს ძალას. რამდენადაც დიდმნიშვნელოვანი არ უნდა იყოს ყოველივე ეს, იმდენადვე არ უარვყოფ იმასაც, რომ ზაეის წყალობით მრავალი ბურჯი, ნავმისადგომი და ომისათვის გამოსადეგი სხვა ადგილი წარგვტაცა მან; მაგრამ, ამავე დროს, იმასაც ვხედავ, რომ, როცა საქმეთა წარმატება დამოკიდებულია ურთიერთკეთილგანწყობაზე და ომის მონაწილეთა საერთო სარგებლობაზე, ერთობა მაშინ არის მტკიცე; ხოლო მაშინ, როცა ერთიანობა ემყარება მტაცებლურ ზრახვებს და აგებულია ძალმომრეობაზე, როგორც ამას იგი აკეთებს ამჟამად, საკმარისია მცირე რამ საბაბი ბედის გაწყრომისა, რომ ეს ერთობა ერთბაშად შეირყეს და დაიშალოს. მეტწილად, ამაზე რომ ვფიქრობ, იმ დასკვნამდე მივდივარ, ათენელო დარბაისელნო, რომ არა მხოლოდ მოკავშირენი უყურებენ მტრულად ექვით ფილიპეს, არამედ მისი საგამგებელოც არ გახლავთ ერთსულოვნებით გაერთიანებული, როგორც ეს ზოგს წარმოუდგენია; საერთოდ, მაკედონიის ძლიერება სხვა ძალასთან შეერთებით თუ იძენს რაღაც მნიშვნელობას, თორემ თავისთავად უმნიშვნელოა და ამოდენა საქმეების გადაწყვეტისას სათვალავში არაა მისაღები. ამასთანავე ფილიპემ თავისი მეომრებით, ლაშქრობებით და ყველაფრით, რითაც მის ძლიერებაზე შეეძლო კაცს ლაპარაკი, თავის თავს თვითონვე მოუთავა ხელი. სულაც არ იფიქროთ, ათენელო დარბაისელნო, ერთი და იგივე რამ ახარებდეთ ფილიპეს და მის ხელქვეითებს; პირიქით, შეიგნეთ, — ეს ესწრაფვის სახელს, ისინი კი — უსაფრთხოებას. ეს ბედს ვერ ეწევა უსაფრთხოდ, ისინი კიდევ არაფრად საჭიროებენ სახლის, შვილების, მშობლებისა და ცოლების მიტოვებას, ამავე დროს თავგანწირვას და

მისი გულისთვის ყოველდღიურ საფრთხეში ყოფნას. ამის მიხედვით შეუძლია წარმოიდგინოს კაცმა, რა თვალით უყურებს მაკედონელთა უმრავლესობა ფილიპეს. რაც შეეხება მის ამალას და მოქირავნეთა სარდლებს, მათ კი მოიხვეჭეს გარკვეული საბრძოლო სახელი, მაგრამ ამით უფრო მეტ საფრთხეში ცხოვრობენ ისინი, ვიდრე სახელმოუხვეჭელნი, რამეთუ ამათ მხოლოდ მტრის შიში აქვთ, იმათ კი რიოშთა და ცილისდამწამებელთა უფრო ეშინიათ, ვიდრე ბრძოლისა. გარდა ამისა, ესენი ერთობლივად ებრძვიან მომხდურთ, იმათ მხრებზე კი ომის სიავეთა დიდი წილი გადადის და ამას ემატება ის საფრთხეც, რაც მათი მეფის ზნიდან და ხასიათიდან მომდინარეობს; თანაც, ამათგან თუ დანაშაულს ჩაიდენს ვინმე, სასჯელს დამსახურებულად მიიღებს, იმათ კი — რაც უფრო წარმატებას მოიპოვებენ, — მით უფრო ყვავივით გააშავებენ და ლაფში ამოსვრიან. ეს სავსებით სარწმუნოა ყოველი გონიერისათვის. ყველანი, ვისაც კი რამე საქმე სჭერია მასთან, დიდ პატივმოყვარეობას ამბობენ მისას: სულ იმას ცდილობს, ყოველი წარმატებული საქმე მხოლოდ თავისად მიითვალოს; ამიტომ მეტწილად იმ სტრატეგოსებს მტრობს, რომელნიც ქების ღირსს აღასრულებენ რასმე. მაშ, რატომაა, თუ ეს მართლა ასეა, ამდენ ხანს მხარში რომ უდგანან მას? იმიტომ, ათენელო დარბაისელნო, რომ ჯერჯერობით მისი წარმატება ჩრდილავს ყოველივე ზემოთქმულს. წალმა წარებულ საქმეს ძალი შესწევს დაფაროს და ჩრდილში დააყენოს კაცთა ცდომანი. მაგრამ საკმარისია მცირე რამ ფეხის წაცდენა, რომ ყოველი დაფარული აშკარა გახდეს. ეს იგივეა, რაც ჩვენს სხეულს მოსდის: როცა კაცი ჯერ კიდევ მრთელია, ვერა გრძნობს ცალკეულ დაზიანებას სხეულისას, მაგრამ საკმარისია საერთო ჯანმრთელობა შეერყეს, რომ ყველაფერი ერთბაშად იჩენს თავს — ამოვარდნილობა, ნაღრძობობა თუ სხვა რამ, რაც თავის დროზე ჯეროვნად არ იყო ნამკურნალევი. ასევე ემართებათ სამეფოებსა და დინასტიებს: სანამ ომში წარმატებულნი არიან, მათი სიავენი შეუმჩნეველი რჩება უმრავლესთათვის, მაგრამ როგორც კი ფეხს წაიცდენენ, — რაც შეიძლება შეემთხვეს ახლა მას, რამდენადაც ზომაზე მეტს ტვირთულობს, — ყოველივე სიბრუნდე უმალვე ცხადი გახდება ყველასთვის.

თუ ვინმე თქვენთაგანი, ათენელო დარბაისელნო, სვეკეთილად თვლის ფილიპეს და ძნელ-დასაძლევად მიიჩნევს მას, წინდახედულად სჯის, იგი, ვითარცა გონსრულს შეჰფერის; კაცთა ყოველგვარ საქმეში უზენაესი ძალაა გარეული, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ყველაფერი არის ბედი. მაგრამ, მრავალი ნიშნის მიხედვით, ჩვენს ბედს არჩევ-

და კაცი, ვიდრე მისას. ჩვენ ჩვენი კეთილდღეობა წინაპართაგან არა მხოლოდ მაგ კაცის უადრეს მოგვდგამს, არამედ, რაღა ბევრი ვთქვათ და, მაკედონიის ყველა მეფეთა უწინარესად. ბეგარას ეგენი უხდიდნენ ათენელებს, თორემ ჩვენს სახელმწიფოს არასდროს არ გადაუხდია არავისთვის. გარდა ამისა, ჩვენ მეტი საბაბი გვაქვს ღმერთთა კეთილწყალობისათვის, ვიდრე იმას, რამეთუ რაც ჩვენ საქმენი გადაგვიხდია, ესოდენ უსათნოესობითა და უმართლესობით მომხდარა. მაშ რატომაა, რომ წინა ომში მას უმეტესი წარმატება ხვდა, ვიდრე ჩვენ? იმიტომ, ათენელო დარბაისელნო (მინდა გულახდილად გელაპარაკოთ), რომ იგი მოლაშქრეობს, არ ერიდება ჭირსა და ხიფათს, ხელიდან არ უშვებს არცერთ მარჯვე შემთხვევას, წლის რა დროც არ უნდა იყოს. ჩვენ კი (უნდა ითქვას სიმართლე) აქ გულხელდაკრეფილნი ვსხედვართ, მუდამ ფსეფისმებისთვის ვიკრიბებით და მხოლოდ აგორაზე თუ შევიტყობთ რაიმე სიახლეს. სხვა რაღა გინდა უფრო ახალი, როცა მაკედონელი კაცი აბუჩად იგდებს ათენელებს და ბედავს გამოგზავნოს იმგვარი წერილი, ცოტა ხნის წინათ რომ მოისმინეთ? ამასთანავე მას სამსახურს უწევენ ქირით მოლაშქრენი და, მათთან ერთად, ვფიცავ ზეუსს, ზოგი ჩვენი ორატორიც, რომელნიც მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რა საჩუქარი მიიღონ მისგან, არ ერიდებათ იცხოვრონ ფილიპეს სასარგებლოდ, ვერკი გრძნობენ, როგორ ჰყიდიან ქვეყანას და თავის თავს რაღაც ნასუფრალისთვის. ჩვენ სულაც არ ვცდილობთ შევაურვოთ იგი რითიმე, არც ლაშქარს ვქირაობთ და არც თავად ვლაშქრობთ მის წინააღმდეგ. ამიტომ გასაკვირი არაა, თუ ამასწინანდელ ომში მას ჩვენთან შედარებით ზოგი უპირატესობა ჰქონდა; უფრო ისაა გასაკვირი, რომ ჩვენ არ ვასრულებთ იმას, რაც მეომრებს შეჰფერის, და განზრახული კი გვაქვს ვძლიოთ იგი, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რაც საჭიროა უპირატესობის მოსაპოვებლად. ყოველივე ეს ყურად უნდა იღოთ, ათენელო დარბაისელნო, და განსაჯოთ, რომ ზავზე ლაპარაკი ახლა ჩვენგან არა ხამს (იმან არათუ გამოაცხადა ომი, არამედ დაიწყო კიდეც); ამიტომ არ უნდა დავზოგოთ არც საზოგადო, არც კერძო საშუალებანი, უნდა დავძრათ ლაშქარი; როგორც კი ეამი დარეკს, საქმეს მოვეკიდოთ მთელი მონდომებით, შევარჩიოთ ადრინდელზე უკეთესი სტრატეგოსები.

არ იფიქროს თქვენთაგან ვინმემ, რომ ის ხალხი, უკუღმა რომ წაიყვანა ქვეყნის საქმე, კვლავ წაღმა წარმართავს და გააუკეთესებს მას. ნურც იმას იფიქრებთ, რომ თქვენ ადრინდელივით გულგრილნი დარჩებით საქმისადმი, ხოლო სხვები თავს დააკლავენ თქვენს საქმეს.

აბა წარმოიდგინეთ, რა სამარცხვინოა ეს, — თქვენი წინაპრები მრავალ ჯაფასა და დიდ ხიფათს ეძლეოდნენ მაკედონელთა წინააღმდეგ ბრძოლის ჟამს, თქვენ კი იმის დაცვაც ვერ გადაგიწყვეტიათ, რაც მათ კანონიერი მემკვიდრეობით გადმოუციათ თქვენთვის. სამაგიეროდ იგი, მაკედონიის მკვიდრი, ხალისით ეძლევა ხიფათს, თავისი საგამგებლოს გაფართოებისათვის ტანი ჭრილობებით აიჭრელა მტრებთან ბრძოლაში, ხოლო თქვენ, ათენელებს, რომელთაც მამა-პაპისგან გაქვთ ნაანდერძევი არათუ მორჩილება, არამედ მხოლოდ გამარჯვება ომში, ახლა გულგრილობით ან სულმოკლეობით დაგიგდიათ წინაპართა საქმენი და საქვეყნო ღვაწლი.

სიტყვა რომ არ გავაგრძელო, მოკლედ მოგახსენებთ, — უნდა ემზადოთ ომისთვის, მოუხმოთ დანარჩენ ელინთ სამოკავშირეოდ, ოღონდ არა სიტყვით, არამედ საქმით, რამეთუ ყოველი სიტყვა ფუჭია, თუ საქმე არ ახლავს მას; თორემ სიტყვის თავისუფლება, როგორც ყველამ ვუწყით, ჩვენს სახელმწიფოს არ აკლია და სხვა ბერძნებს შორის ჩვენ ყველაზე მეტად ვსარგებლობთ ამ უფლებით.

ფილიპეს ეპისტოლე

ფილიპეს სალამი ათენის საბჭოს და ხალხს!

მიუხედავად იმისა, რომ არაერთგზის გაახლეთ ელჩობა, რათა დაგეცვათ ფიცი და ხელშეკრულება, თქვენ არამც და არამც ყურად არ ილეთ ეს; ამიტომ გადავწყვიტე, მომერთმია უსტარი თქვენთვის იმ საქმეთა გამო, რომელთაც თქვენმიერ უსამართლობად მივიჩნევ. ოღონდ არ გაგაკვირვოთ წერილის მოცულობამ, რამეთუ უკმაყოფილების საბაბი მრავალია და აუცილებელია ყოველი საქმის გულდაგულ განჩხრეკა.

ჯერ ერთი, როცა ჩემი ელჩი ნიკიასი[1] ჩემი ქვეყნიდან იქნა გატაცებული, თქვენ არათუ დამნაშავეებს არ აგებინეთ პასუხი, არამედ ეს უსამართლოდ დასჯილიც ათი თვე შეპყრობილი გყავდათ, ხოლო წერილი, რომელიც მას მოჰქონდა, ტრიბუნიდან განაცხადეთ. მეორეც, რაჟამს თასოსელებმა[2] ბიზანტიის ტრიერები მიიღეს და ის მეკობრეები, რომლებმაც ამის სურვილი გამოხატეს, — თქვენ წაიყრუეთ, თუმცა ხელშეკრულება გარკვევით მიიჩნევს მტრებად ამგვარად მოქმედთ. მერეც — იმავდროულად დიოპითე შემოგვეჭრა ქვეყანაში, კრობილე[3] და ტირისტასისი[4] დაიმონა, მომიჯნავე თრაკია მოაოხრა და ბოლოს უკანონობის საზღვარს იქამდე გადასცდა, რომ ტყვეთა საკითხზე ელჩად განწესებული ამფილოქოსი[5] შეიპყრო, უკიდურეს იძულებაში ჩააყენა და მხოლოდ ათი ტალანტის საფასურად გაათავისუფლა. ხალხმა ეგეც კეთილმოქმედებად მიუთვალა მას. მაგრამ მაცნეთა და ელჩთა უფლებების ხელყოფა ხომ ყველგან უპატიოსნობად არის მიჩნეული და მეტადრე თქვენში. ოდეს მეგარელებმა ანთიმოკრიტოსი[6] მოკლეს, თქვენი ხალხი ისე აღაშფოთა ამან, რომ მკვლელებს მისტერია აღუკვეთეს, ხოლო ამ უსამართლობის სამახსოვროდ კარიბდეების წინ ძეგლი აღმართეს. და განა აღმაშფოთებელი არ არის, როცა იმ უსამართლობას, რომლისთვისაც იზიზღებდით სხვებს, ახლა თქვენ თვითონ ჩადიხართ ცხადლივ? კალიასმა[7] თქვენმა სტრატეგოსმა, დაიპყრო პაგასის ყურის ყველა საცხოვრისი, რომელთა ხელუხლებლობა თქვენ ფიცით გქონდათ განმტკიცებული, მე კი — სამხედრო კავშირით; ის ხალხი კი, ვინც მაკედონიას ზღვით ეშურებოდა, ყველა მტრად მი-

იჩნია და დაპყიდა. ეს საქმეც თქვენ უქეთ მას თქვენს ფსეფისმებში. უკვე ვერც წარმომიდგენია, რა განსხვავება იქნებოდა, თუ პირდაპირ გამოაცხადებდით, რომ ჩემს წინააღმდეგ ომობთ; აკი იმ დროსაც, როცა აშკარა განხეთქილება გვქონდა, ყაჩაღებს გზავნიდით ზღვაზე, ხელყოფდით ჩვენკენ მოდენილ ხალხს და ზიანს აყენებდით ჩემს ქვეყანას.

გარდა ამისა, თქვენ იმდენად გადასცდით უკანონობისა და მტრობის ყოველგვარ ზღვარს ჩემს მიმართ, რომ სპარსეთის მეფესაც კი ელჩები გაუგზავნეთ ჩემს წინააღმდეგ ბრძოლაში დასაყოლიებლად. ეს დიდად საკვირველი რამ გახლავთ: აკი ფსეფისმით დაადგინეთ, — სანამ იგი ეგვიპტესა და ფინიკიას დაიპყრობდა, — რომ თუ დაგემუქრებოდათ, თქვენ მის წინააღმდეგ ყველა დანარჩენ ბერძნებთან ერთად მომიხმობდით მეც. მაგრამ აწ იმდენად შეგზიზღებიეართ, რომ იმასთან ესწრაფვით სამხედრო კავშირის შეკვრას. უწინ თქვენი წინაპრები, რამდენადაც მე ვუწყი ეს, პისისტრატიდებს ადანაშაულებდნენ იმაში, რომ მათ სპარსელები ბერძნებს აუმხედრეს. თქვენ კი როგორ არა გრცხვენიათ, რომ ახლა თავად სჩადიხართ იმას, რაშიც მუდამ ტირანებს სდებდით ბრალს.

ყოველივე ამის გარდა, თქვენს ფსეფისმენში ითხოვთ, რომ მე თრაკიაში მმართველობა ჩავაბარო ტერეს და კერსობლეპტეს, ვითარცა ათენელთ. მე კი ვუწყი, რომ მათ საზავო მოლაპარაკებაში არ უდევთ წილი, არც სტელებზე აღნიშნულა მათი სახელები, არცათუ ათენელები არიან ისინი; პირიქით, ტერემ ჩემთან ერთად ილაშქრა თქვენს წინააღმდეგ, კერსობლეპტემ კი თქვენგან ცალკერძ განიზრახა, დაედო ფიცი ჩემს ელჩთა წინაშე, მაგრამ თქვენმა მხედართმთავრებმა არ დართეს ამის ნება, ვითარცა ათენელთა მტერს. მაგრამ განა რიგიანია ეს, ან სამართლიანი, რომ ხან, — როცა ვს თქვენ ხელს გაძლევთ, — სახელმწიფოს მტრად შერაცხოთ ეს კაცი, ხან კი, — როცა მე მწამებთ ცილს, — თქვენს მოქალაქედ მიიჩნიოთ იგი? ასევე, როგორც კი მოკვდა სიტალკე, რომელსაც თქვენ მოქალაქეობა მიანიჭეთ, — შაშინვე მის მკვლელთან შეჰკარით პირი. განა ამგვარადვე კერსობლეპტესთვის არ მიწყებთ ახლა ომს? ხომ თავადვე უწყით კარგად, რომ ამგვარი წყალობის მიმღებნი არც კანონით არიან უზრუნველყოფილნი და არც თქვენი ფსეფისმებით.

ყველა დანარჩენი იქით იყოს და, მხოლოდ ის ვთქვათ, რომ თქვენ მოქალაქეობა მიანიჭეთ ევაგორა კიპროსელს, დიონისე სირაკუზელს და მათ მოდგმას. თუ თქვენ აიძულებთ როგორც ერთის, ასევე მეო-

რის გამძევებელთ, ხელისუფლება დაუბრუნონ გაძევებულთ, მაშინ წაიღეთ ჩემგან თრაკია, რომელსაც ტერე და კერსობლეპტე მართავ-დნენ; ხოლო, თუ თქვენ მათ დამმარცხებელთ არაფერში ადანაშაულებთ, მე კი ყოველგვარ დაბრკოლებებს მიქმნით, — ამ დროს განა უსამართლობაა ის, რომ თავი დავიცვა თქვენგან?

ამის თაობაზე კიდევ მრავალი სამართლიანი მოსაზრება შემეძლო გამომეთქვა, მაგრამ მირჩევნია თავი შევიკავო. ვადასტურებ, რომ კარდიელებს მართლაც ვუწევ დახმარებას, ვითარცა მათი მოკავშირე ჯერ კიდევ ზავის დადებამდე; მაგრამ თქვენ არ ისურვეთ სასამართლოზე გაგერჩიათ საქმე, თუმცა ეს მრავალგზის შემოგთავაზეთ მე და არაერთგზის იმათაც. ამრიგად, ყოველად უმდაბლესი კაცთაგანი არ უნდა ვყოფილიყავ მე, თუ მოკავშირეებს მივატოვებდი და უფრო თქვენზე ვიზრუნებდი, ყოველი ღონით რომ შიხშობთ გზას, — ვიდრე იმათზე, ჩემდა საიმედო მეგობრებად რომ რჩებიან მარადის?

გვერდს ვერ ავუვლი აი, რა გარემოებასაც: თქვენ იმოდენა მიკერძოებამდე მიხვედით, რომ თუ ადრე მარტო ზემოთქმულში მდებდით ბრალს, ახლა, როცა ამას წინათ პრეპარეთელებმა დაიწყეს ლაპარაკი — სასტიკ ხვედრს ვეწიეთო, — თქვენი სტრატეგოსი აამხედრეთ, რათა შური ჩემზე ეძია. თუმცა მე ისინი კი დავსაჯე, მაგრამ გაცილებით მეტს იმსახურებდნენ, — რამდენადაც, სამშვიდობო ხელშეკრულების მიუხედავად, მათ დაიპყრეს ჰალონესი, არ გადმომცეს არც ციხენი, არც მეციხოვნენი, რაც არაერთგზის მოვთხოვე დაყინებით. თქვენ კი, რაც მე უსამართლობა მაწიეს პეპარეთელებმა, სათვალავში არ ჩააგდეთ, მარტოოდენ მათი სასჯელი დაინახეთ, თუმცა ყოველივე კარგად უწყოდით; თანაც ეგ კუნძული მე არც იმათთვის წამირთმევია და არც თქვენთვის, — სოსტრატეს ყაჩაღებს გამოვტაცე იგი. თუ ამბობთ, რომ ეგ კუნძული თქვენ გადაეცით სოსტრატეს, მაგით იმასაც ამბობთ, რომ იქ ყაჩაღებს გზავნით. ხოლო მან, თქვენს უნებართვოდ თუ დაიპყრო იგი, მაშინ თქვენ საშინელებად რად იტეხთ თავზე იმას, რომ ეგ კუნძული მას წავართვი და ხელმყოფელთაგან ხელყოფილვქმენ? მიუხედავად იმისა, რომ მე ეგოდენ ყურადღება გამოვიჩინე თქვენი სახელმწიფოს მიმართ და გადავეცი მას კუნძული, თქვენმა ორატორებმა უარყვეს მისი საჩუქრად მიღება და მოითხოვეს მიეღოთ, როგორც თავიანთი საკუთრება. მაგრამ, თუ მე დასტურვყოფ ამ მოთხოვნას, მაშინ უნებლიეთ დასტურვყოფ იმასაც, რომ ვფლობ სხვისეულს, ხოლო თუ არ დავთმობ მაგ მიწას, — ხალხის

ეჭვს გამოვიწვევ. ამრიგად განმსჯელმა გადავწყვიტე, საერთო სამსჯავროზე გამომეტანა ეს საკითხი და, თუ სასამართლო მე მომაკუთვნებდა, თქვენ გადმოგცემდით საჩუქრად, ხოლო თუ თქვენ მოგაკუთვნებდათ, მაშინ ხალხს გადავცემდი. თუმცა მრავალგზის გთხოვეთ ეს, თქვენ მაინც ყურად არ იღეთ; ამასობაში კი კუნძული აიღეს პეპარეთელებმა. მაშ, რაღა უნდა მექნა მე? სამართალი არ უნდა განმეჩინა ფიცის გამტეხთათვის? არ დამესაჯა თავგასულნი? ხოლო თუ კუნძული პეპარეთელებს ეკუთვნოდა, მაშინ ათენელები რა საბაბით ითხოვდნენ მას? თუ თქვენი იყო იგი, რად არ აღშფოთდით სხვისის მიმტაცებლებზე?

იმდენად გავუმტერდით ერთმანეთს რომ, როცა ჩემი ხომალდები ჰელესპონტზე მინდოდა გადამეყვანა, იძულებული შევიქენი, სახმელეთო ჯარით გამეცილებინა ისინი ხერსონესის გზით, რამდენადაც, პოლიკრატეს წესდებით, კლერუქოსები ომს ეწეოდნენ ჩვენს წინააღმდეგ თქვენი ფსეფისმების დასტურით, ხოლო თქვენმა სტრატეგმა ბიზანტიელებს მოუხმო დახმარებისათვის და ყველას აუწყა, რომ თქვენი განკარგულებით შეუძლია ომი დაიწყოს, როგორც კი საამისო დრო დადგება. ყოველივე ამის განმცდელმაც კი არრა ვიღონე არც ქალაქის, არც ტრიერთა და არც თქვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ, თუმცა ძალმედვა დიდი ნაწილი მაინც მეუფლა მისი, თუ მთელი არა; მე მხოლოდ მოგიწოდებდით საერთო სამსჯავროზე გაგვეხილა ჩვენი ურთიერთბრალდებანი. განსაჯეთ, რომელი სჯობს, — იარაღით გადავწყვიტოთ საქმე თუ მოლაპარაკებით, თავად ვიყოთ მსაჯულნი თუ სხვას დავაკისროთ ეს. ისიც განსაჯეთ, თუ ვითარი განუსჯელობაა, რომ — თუ უწინ ათენელებმა მოლაპარაკებით გადაწყვიტეს თასოსელთა და მარონეელთა სტრიმესთვის ამტყდარი დავა, დღეს თქვენვე არა გსურთ ამდაგვარადვე გაარიგოთ ჩვენი ურთიერთობანი, თუმცა ხედავთ, რომ თუ ამჯერად სასამართლოზე დამარცხდებით, არას დაკარგავთ, ხოლო თუ გაიმარჯვებთ, მიიკუთვნებთ ჩვენს ქონებულს.

მაგრამ ყველაზე დიდი უგუნურება მაინც ისა მგონია, რომ, როცა მე ერთიანი სამხედრო კავშირიდან წარმოვგზავნე ელჩნი, ვითარცა მოწმენი, და გამოვხატე ჩემი კეთილი ნება — სამართლიანი ხელშეკრულება დამედო თქვენთან ბერძენთა საკითხზე, — თქვენ არაფრის გაგონება არ ისურვეთ ელჩთაგან, თუმცა ამით შეგეძლოთ ან ხიფათისაგან გეხსნათ ისინი, რომელთაც ეჭვი ჰქონდათ, რომ ჩვენ ცუდ რამეს ვიზრახავთ, ან ვემხილებინეთ, ვითარცა ყოვლად უმდაბლესი

�itagan. ეს, რა თქმა უნდა, არგებდა ხალხს, მაგრამ არაფერს აძლევდა ორატორებს. თქვენი ნაცადი პოლიტიკური მოღვაწენი ხომ მშვიდობას ომად რაცხენ, ხოლო ომს — მშვიდობად, რადგან სტრატეგოსების მხარი-მხარ იბრძვიან ისინი თუ მათ წინააღმდეგ სიკოფანტობენ, — ყოველთვის რაიმეს იღებენ მათგან; გარდა ამისა, როცა ისინი ტრიბუნიდან თავს ესხმიან ცნობილ მოქალაქეთ და სახელქებულ უცხოელთ, ამით სახელს იხვეჭენ დემოკრატიული სულისკვეთებით განწყობილ ადამიანთა ჯგუფებში.

რა თქმა უნდა, ძნელი არაა მათი ლანძღვისაგან თავდაღწევა, — რაღაც მცირე თანხის გაღება კმარა, რომ შეეშვან ჩვენს განქიქებას და ქებაზე გადავიდნენ; მაგრამ ჩემთვის სირცხვილი იქნებოდა, თქვენ შეგქმნოდათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მე კეთილგანწყობილებას ვყიდულობ იმ ადამიანთაგან, რომელნიც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ ზომამდე გათავხედდნენ, რომ ცდილობენ ამფიპოლისზე ჩვენი უფლება სადაოდ კი გახადონ, რაზეც სამართლიანად მიეიჩნევ უფრო ჩემს სიტყვას, ვიდრე მაგ მოდავე ორატორებისას. თუ ეგ ქალაქი სინამდვილეში მას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც ადრე ფლობდა, მაშინ განა სამართლიანად არ გვიპყრია იგი ჩვენ, რამეთუ ჩვენმა წინაპარმა ალექსანდრემ პირველად დაიკავა ეგ ადგილი და ტყვე მიდიელთაგან ნაალაფევი ოქროს ქანდაკი დელფოსში გაგზავნა დასადგმელად. თუ ამის წინააღმდეგ გამოვა ვინმე და იტყვის, — ვინც მერმე დაიპყრო ქალაქი, მისი უფალიც ის უნდა იყოსო, — აქაც მე მენიშნება ამის უფლება, რამდენადაც მე ალყით წავართვი ეს ადგილი იქედან თქვენს გამძევებელ და იქ ლაკედემონელთაგან ჩასახლებულ ხალხს. ჩვენ ვსახლობთ იმ ქალაქებში, რომლებიც ან წინაპრებმა გვიშემკვიდრეს, ან თავად მოვიპოვეთ ომის გზით. თქვენ კი არც დასაბამით დაგიუფლებიათ ეს ადგილი და არც ახლა იუფლებთ მას, მხოლოდ მცირე დროით ვეპირათ და მაინც თქვენად იჩემებთ, თანაც მას შემდეგ, რაც თავად მიიღეთ მტკიცე გადაწყვეტილება ჩვენს სასარგებლოდ. აკი მრავალგზის, როცა ჩემს წერილებში მაგ ქალაქის საკითხს ეხებოდი, თქვენ სცნობდით ჩემს სამართლიან უფლებას მასზე, რამდენადაც ჩვენ მაშინ დავდეთ ზავი, როცა მე ვფლობდი მას, შემდეგ კი შევედით კავშირში იმავე პირობებით. განა კიდევ შეიძლება სხვა რამ სამფლობელო ამაზე უფრო მტკიცე, — როცა იგი, ჯერ ერთი, შემკვიდრეობით მიგვიღია წინაპართაგან, მეორეც — ომით კვლავ მოვიპოვებია მე, ხოლო, მესამეც, ჩვენთვის დაგვითმიათ სწო-

რედ თქვენ, რომელთაც იმაზე გჩვევიათ დავა, რაზედაც არავითარი უფლება არა გაქვთ?

რასაც გიჩივით, ეს არის. ხოლო რამდენადაც თქვენ პირველნი მესხმით თავს, ჩემი თავშეკავებით რომ სარგებლობთ, საქმით ესწრაფვით ჩემს მტრობას და, რაც შეგიძლიათ, ზიანს მაყენებთ, — მეც, ჩემის მხრით, სრული უფლება მაქვს დავიცვა თავი თქვენგან, ღმერთები დავიმოწმო და გადავწყვიტო დავა თქვენთან.

შენიშვნები*

პირველი ოლინთოსური

1. ლიბანიოსი (314—393 წ.წ.) — ელინისტური ხანის რიტორი და ფილოსოფოსი, რომელმაც შეკრიბა და განმარტებებით გამოსცა დემოსთენეს თხზულებანი.

2. იგულისხმება ფილიპე. დემოსთენე ხშირად გაურბის მეფის სახელს, როგორც ავადსახსენებელს და უპირატესად ნაცვალსახელებით მოიხსენიებს.

3. ძველი კომენტატორის განმარტებით, როცა ფილიპე ამ ქალაქებში შევიდა, პირველ რიგში გაუსწორდა მოღალატეებს შემდეგი სიტყვებით — თქვენ თქვენიანები არ დაინდეთ და მე დამინდობთო?

4. ძვ. წ. 357 წელს ბრძოლა ატყდა მოწინააღმდეგე პარტიებს შორის. ზოვიერთნი თებელებს უხმობდნენ დახმარებისთვის, სხვანი — ათენელებს; ათენელთა ენერგიული ჩარევით თებელნი გაძევებულნი იქნენ ამ კუნძულიდან.

5. ამფიპოლისელი ელჩები.

6. იხ. მე-2 შენიშვნა.

7. იხ. მე-2 შენიშვნა.

8. ტრიერი — ხომალდი სამწყვება ნიჩბებით.

მეორე ოლინთოსური

1. ფილიპემ ალყა შემოარტყა ამფიპოლისს (358 წ. ძვ. წ.), რომლის მფლობელობაზე ათენელები აცხადებდნენ პრეტენზიას. ფილიპე შეეპირდა მათ ამფიპოლისის გადაცემას, თუ ესენი პიდნას აღებაში დაეხმარებოდნენ. მოლაპარაკების ეს პუნქტი საიდუმლოდ დაიდო, რამაც ხალხში მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

2. ქალაქი პოტიდეა ფილიპემ აიღო ძვ. წ. 356 წელს და გადასცა ოლინთოსელებს, რომელნიც მაშინ მასთან შედიოდნენ კავშირში.

3. ქალაქები პაგასა, ფეროსი და მაგნესია დალაშქრა ფილიპემ 359 წელს. იმავე წელს აიღო მან ქალაქი მეთონე და გზა გაიხსნა თესალიისაკენ.

4. ტიმოთეოსი — ბერძენი (ათენელი) სარდალი; ქალაქ პოტიდეას აღებისას იყო შაკედონიის მეფის პერდიკეს მოკავშირე.

---

* „ფილიპიკების“ ტექსტი, თავისი სირთულისა და ბუნდოვანების გამო, ვრცელ კომენტარებს საჭიროებს. ჩვენ ამჯერად მცირე, ყველაზე აუცილებელ განმარტებებს დაეჯერდით, რათა მკითხველის ყურადღება საძიებლებით ზედმეტად არ გადაგვეტვირთა (მთარგმნელი).

5. სიმორია — შეძლებულ ადამიანთა გაერთიანება, რომლებიც აბორციელებდნენ სხვადასხვა სახელმწიფო ღონისძიებებს, აგროვებდნენ ფულს, აგებდნენ ხომალდებს და სხვა.

6. ტრიერარქია — ხომალდთა მშენებლობის ხელმძღვანელობა და გამრიგეობა.

მესამე ოლინთოსური

1. ჰერეონის ციხე — გამაგრებული ადგილი მარმარილოს ზღვის სანაპიროზე.

2. მემაქტერიონი — ნოემბერ-დეკემბრის მიჯნა.

3. სამხედრო გაწვევის ასაკი 18-დან 60 წლამდე გრძელდებოდა; ეფებოსები — 18—20 წლის ჭაბუკები, იცავდნენ საზღვრებს. 45 წლის ასაკში ხალხის გაწვევა მოსალოდნელი დიდი საფრთხით იყო გამოწვეული.

4. ტალანტი — ფულის საწყაო ერთეული ოქროთი ან ვერცხლით.

5. ჰეკატომბეონი, მეტაგიტნიონი, ბოედრომიონი — ატიკური წელიწადის პირველი სამთვიური, იწყებოდა ივლისის შუა რიცხვებიდან.

6. ელეესინის დიდი მისტერიები (მიწის ნაყოფიერების ქალღმერთის დემეტრეს საიდუმლო) იმართებოდა ოქტომბრის დასაწყისში.

7. ფსეფისმა — ხმათა უმრავლესობით გამოტანილი გადაწყვეტილება.

8. იგულისხმება ოლინთოსი.

9. არისტიდე — ბერძენ-სპარსელთა ომის (V ს. ძვ. წ.) მონაწილე მეომარი.

10. ნიკიასი და დემოსთენე (ავტორის სეხნია), პელეპონესის ომის მონაწილენი.

11. პერიკლე — ათენის ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწე (V ს. ძვ. წ.).

12. არისტიდე და მილტიადე — ბერძენ-სპარსელთა ომის გმირები.

13. პროსტატე — მეწინავე მეომარი, წინამძღოლი, სამშვიდობო-საზავო მოლაპარაკების თავმჯდომარე.

14. ბოედრომია — აპოლონისადმი მიძღვნილი დღესასწაული; იწყებოდა ბოედრომიონის თვის 7 რიცხვიდან (სექტემბრის მეორე ნახევარი).

15. დემეტრე — ნაყოფიერების ქალღმერთი.

პირველი სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ

1. ამ ქალაქ-მხარეებში წარმატებები მოიპოვეს ათენელებმა ძვ. წ. IV საუკუნის 50-იან წლებში.

2. მითითებაა ე. წ. კორინთოს ომზე (395—387 წწ. ძვ. წ.).

3. პოლისტრატოსი — ნაკლებ ცნობილი მხედართმთავარი.

4. იფიკრატე — ათენელი სარდალი.

5. ხაბრიასი — სპარტელთა მძლეველი ნაქსოსთან.

6. არტაბაძო — სპარსეთის სატრაპი მცირე აზიაში, მეფის წინააღმდეგ აჯანყებულმა 356 წ. (ძვ. წ.) დახმარებისათვის უხმო ათენელ სარდალს ქარეტს.

7. ტაქსიარქოსი — ჯგუფის უფროსი.

8. ფილარქოსი — ცხენოსანთა კორპუსის უფროსი.

9. ჰიპატოსი — ამა თუ იმ მხარის, ოლქის გამგებელი, კონსული.

10. ჰიეროპოიოსი — მსხვერპლშეწირვის აღმსრულებელი ან თვალ-ყურის მადევნებელი.

11. უნდა იგულისხმებოდეს მაკედონელი მენელაოს პელაგონი, რომელსაც, აქ გადმოცემული ამაებიდან კარგა ხნის შემდეგ, ათენის მოქალაქეობა მიანიჭეს.

12. მნა — ფულის წერილი ერთეული.

13. დრაქმა — ტალანტთან შედარებით ფულის უფრო მცირე ერთეული.

14. ლემნოსი, თასოსი, სკიათოსი — საბერძნეთის კუნძულებია.

15. გერესტოსი — კონცხი ევბეის სამხრეთით.

16. პანათენური და დიონისური დღესასწაულები — ქალღმერთ ათენასა და დიონისესადმი მიძღვნილი დღესასწაულები.

17. ქორეგოსი (ასევე გიმნასიარქოსი) — მდიდარი მოქალაქე, რომელსაც წარმმართველი როლი ეჭირა სპორტულ-გიმნასტიკური შეჯიბრებების მოწყობაში.

18. ტრიერარქოსი — ხომალდთა უფროსი.

19. ჰოპლიტები — მძიმედ შეიარაღებული მეომრები.

მშვიდობისათვის

1. პლუტარქე — ტირანი ევბეის ქალაქ ერეტრიისა. მას ძვ. წ. 350 წელს მეტოქეობა გაუწია მეორე ევბეელმა ტირანმა კლიტარქემ მაკედონიის მხარდაჭერით. ათენელებმა დამხმარე ჯარი გაუგზავნეს პლუტარქეს ფოკიონის სარდლობით; ომში კლიტარქე დამარცხდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ პლუტარქემ უღალატა ათენელებს.

2. ნეოპტოლემოსი — ფსიხიები, ტრაგიკული როლების განთქმული შემსრულებელი ძვ. წ. IV საუკუნეში. ფილიპემ არისტოდემოსთან ერთად მოიხსენია იგი მაკედონიაში სტუმრად ყოფნისას.

3. დიონისე — მეღვინეობის ღმერთი; ტრაგედიის ეარი ხალხური რიტუალებიდან სახალხო კრებები ხშირად თეატრებში იმართებოდა, ოღონც აქ სიტყვა ნაართულად არის ნახმარი.

4. ლიტურგია — საზოგადო ფალდებულება: ათენის ის მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი 3 ტალანტს აღემატებოდა, ვალდებულნი იყვნენ შეესრულებინათ ლიტურგია.

5. თესპია და პლატეა — ბეოტიის ქალაქები.

6. ოროპოსი — ატიკასა და ბეოტიის საზღვარზე მდებარე ქალაქი, რაზედაც ხშირად ცილობა ჰქონდათ ბერძნებს და ათენს.

7. ამფიქტიონია — ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოთა კავშირი.

8. კარდია — ქალაქი ირიგოის ქერსონესზე, ფილიპემ ეს ქალაქი გადაიბირა და დაუპირისპირა ქერსონესიდან ამ ქალაქებს, რომელნიც ათენურ კავშირში შედიოდნენ.

9. „პირველშობილობის სიგნებისათვის" — უმეტესად იგულისხმებოდა პერი, შაეი ზღვის ჩრდილოეთ კოლონიებიდან რომ ებიდებოდნენ.

მეორე სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ

1. პილები, აგრეთვე თერმოპილები („თბილი ჭიშკრები"), თესალიიდან ლოკრიდაზე გასასვლელი ხეობა. ცნობილი გახდა სპარტის მეფის ლეონიდეს ომით სპარსთა წინააღმდეგ (ძვ. წ. 480 წ.).

2. იგულისხმება სპარსეთის მეფე (ამ დროისათვის ბერძნული დემოკრატიული სახელმწიფო წყობისთვის დიდი ხანია უცხოა მეფის ტიტული).

3. ალექსანდრე, სარდალი სპარსეთის ჯარისა, რომელიც სალამინთან დამარცხების შემდეგ (479 ძვ. წ.) საბერძნეთში დარჩა.

4. მესენე სპარტას აღრევე ჰქონდა დაუფლებული, ხოლო ორქომენზე და პოტიდეაზე თებელნი არ გოიხნდიან უფლება.

5. თესალია უპირატესად ცხენოსანი ჯარით გამოირჩეოდა, ხოლო თებელები მძიმედ შეიარაღებულ ქვეითთა (ჰოპლიტთა) ლაშქრით.

6. ელატეა — სტრატეგიული ციხე-სიმაგრე ფოკიდაში, ბეოტიის საზღვარზე.

7. ანთემუნტი — ქალაქი მაკედონიისა.

8. ათთა ხელისუფლება, — ძვ. წ. 352 წელს ტირანთა წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარებისთვის უხმეს ფილიპეს. ფილიპემ გატეხა ტირანთა წინააღმდეგობა და დაიკავა სამხედრო მნიშვნელობის ქალაქები — ფეროსი, პაგასა, მაგნესია და ნიკეა. მოგვიანებით ეს ქალაქები მან საჩუქრად გადასცა თესალიელებს ფოკიდის წინააღმდეგ ომში თანამონაწილეობისთვის. მაშინ ფილიპემ ფეროსში დაამყარა ოლიგარქიული მმართველობა — „ათთა ხელისუფლება".

ბალონეხიათვის

1. ბალონეხი — მცირე კუნძულთაგანი ეგეოსის ზღვაში ევბეის ჩრდილო-დასავლეთით. იგი ეკუთვნოდა ათენელებს.

2. ლემნოსი, იმბროსი — ეგეოსის ზღვის ჩრდილო კუნძულები, სკიროსი — ევბეის ხიახლოვეს მდებარე კუნძული.

3. პელე (ან პელა) — მაკედონიის დედაქალაქი. აქ „პელეს ჩამომავალი" ალექსანდრე არის ნათქვამი, რადგან ბერძნულ-მაკედონური ომიანობის ჟამს ბერძნებმა ბარბაროსულ ტომებს მიათვალეს მაკედონელები.

4. „თვეობრივი განსაზღვრულობა" — ეგრეთწოდებული თვეობრივი დიეტ, როცა ერთი თვის მანძილზე წყდებოდა ზოგი სადავო საკითხი.

5. პითონი — ბიზანტიონელი ორატორი, ისოკრატეს მოწაფე. მან ათენში წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომლითაც დიდად მოინადირა მსმენელნი.

6. პოლონია — ქალაქი მაკედონიაში ქალკიდის ჩრდილოეთით.

7. პალენე — ქალკიდის დასავლეთი მხარე.

8. ფეროსი — თესალიის ეს ქალაქი ფილიპემ აიღო 343 წ. ძვ. წ.

9. ამბრაკია — ეპირის ქალაქი; ამ ქალაქზე წარუმატებლად გაილაშქრა ფილიპემ, მაგრამ მოიტაცა ზღვისპირეთის ოლქის კასოპეის ქალაქები — პანდოსია, ბუქეტი და ელატეა.

10. ბულეკტერიონი — ერთ-ერთი ტაძარი (ღმერთთა დედისა), სადაც ათენის საბჭოს არქივი ინახებოდა.

11. ერგისკე, წმინდა მთა, — თრაკიის ადგილებია.

12. პროქსენოსი — საპატიო წოდება, რომელიც ენიჭებოდა სხვა ქვეყნის მოქალაქეს იმ ქვეყნისაგან, რომლის წინაშე მას რაიმე ღვაწლი მიუძღოდა.

13. აგორა — საბაზრო ან საკრებულო ადგილი, მოედანი; აქ აღნიშნავს გარკვეულ ადგილს, რომლის სახელიც, ეტყობა, თავდაპირველი სავაჭრო პუნქტიდან წარმოსდგა.

14. კალიპოს პეანიელი — მასზე ცნობას მხოლოდ ლიბანიოსი იძლევა თავის წინასიტყვაობაში.

ქერონესისთვის

1. ქერონესი — თრაკიის ეიწრო ნახევარკუნძული, ჰელესპონტის (დარდანელის) ჩრდილო სანაპირო, დიდი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობის მქონე პუნქტი შავ ზღვაში უწინაც და ახლაც. ათენელებმა ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში მოიკიდეს იქ ფეხი და შემდგომ ხშირად უხდებოდათ ბრძოლა მის შესანარჩუნებლად. ძვ. წ. 353 წ. აქ ათენელ კლერუქოსთა (კოლონისტთა) დიდი ჯგუფი გამოაგზავნეს. ფილოკრატესეული ზავით (346 წ.) ეს ოლქი ათენელებს რჩებოდათ, კარდიის გამოკლებით. ფილიპეს მხრიდან მოახლოებული საფრთხის გამო ათენელებმა 343 წელს მეორედ გაგზავნეს ქერონესში ახალმოშენეთა ლაშქარი დიოპითეს მეთაურობით. ქერონესის ყველა ქალაქმა მოკავშირედ მიიღო ათენური ჯარი, მხოლოდ კარდიამ დაიჭირა ფილიპეს მხარე.

2. კლერუქოსი — ახალმოშენე, კოლონისტი.

3. ჰელესპონტი — იგივე დარდანელი.

4. ხშირად სიგელ-გუჯრები იწერებოდა მარმარილოს ან სპილენძის დაფებზე, რომელთაც თეალსაჩინო ადგილას გამოდგამდნენ ხოლმე.

5. ქალკიდა — ეს იყო ევბეის ქალაქთაგან ერთადერთი ქალაქი, რომელიც იმდროისთვის ჯერ კიდევ ემორჩილებოდა ათენს. ქალაქი ორეოსი კი ფილიპემ აიღო 342 ძვ. წ.

6. მეგარაზე ფილიპემ ილაშქრა 343 წელს, მაგრამ მარცხი განიცადა ათენელთა წინააღმდეგობის გამო.

7. ერითრა — მცირე აზიის სანაპირო ქალაქთაგანი კუნძულ ქიოსის მოპირდაპირედ.

8. ისანგელია — (ბერძ.) საჩივარი; ბრალდება.

9. პარალოსი — სახელმწიფო ტრიგრი (ხომალდი), რომელსაც გზავნიდნენ მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად, აგრეთვე ბრალდებულის მოსაყვანად.

10. ქარეტი — ერთ-ერთი მხედართმთავარი იყო.

11. არისტოფონტი — პოლიტიკური მოღვაწე, ფილიპეს მოწინააღმდეგე.

12. სკიათოსი — კუნძული; ფილიპემ ერეტრიაში კლიტარქე დასვა ტირანად, ხოლო სკიათოსის პირისპირ, კუნძულ ორეოსის ჩრდილო ნაწილში — ფილისტადე განაწესა.

13. ევთიკრატე — ერთ-ერთი ცხენოსანი რაზმის უფროსი ოლინთოსურ ბრძოლაში.

14. ლასთენე — ერთ-ერთი მხედართუფროსთაგანი, ევთიკრატესთან ერთად ფილიპეს დანებდა თავისი ლაშქრითურთ. მათი სიკვდილის ამბავი ჩვენთვის უცნობია, დემოსთენე აქ მხოლოდ მათს მორალურ სიკვდილზე მიანიშნებს მსმენელთ.

15. დრონგილოსი, კაბილე, მასტირა — თრაკიის მიწები. ეს ადგილები დაიპყრო ფილიპემ და ავაზაკებით დაასახლა.

16. სახალხო (ან სახელმწიფო) მონები ანტიკურ საბერძნეთში გეხვდებიან აგრეთვე საბჭოს მდივნებად, საზოგადო წესრიგის დამცველებად (პოლიციელებად) და სხვა.

17. კერსობლეპტე — თრაკიის სამთავრო, მოკავშირე ათენისა.

18. მაკედონიაში ელჩად მყოფმა დემოსთენემ დიდძალი ფული გადაიხადა ათენელ ტყვეთა გამოსახსნელად.

19. ტიმოთეოსი — ცნობილი ათენელი მხედართმთავარი (IV ს. ძვ. წ.).

მესამე სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ

1. მეთონე — მაკედონიის ეს ქალაქი ფილიპემ აიღო 353 წელს (ძვ. წ.).

2. ფოკიდაში ფილიპემ გაანადგურა 22 ქალაქი.

3. პორთმოსი — ნავსადგური ქალაქ ერეტრიისა ევბეაზე. ამ ქალაქთან ერთად ფილიპემ დაარბია მახლობელი ორეონიც.

4. ამბრაკია და ლეუკადა — იონიის ზღვის სანაპიროს ქალაქები.

5. ნაუპაკტოსი — კორინთოს ყურეს ჩრდილო მხარე, ადრე, სანამ ფილიპე დაარბევდა მას, ლოვრეელთა კოლონია იყო; ფილიპემ ეტოლიელთ უბოძა იგი.

6. ექინოსი — სამხრეთ თესალიის ქალაქი მცირე აზიის ყურეში.

მეოთხე სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ

1. მანდრაგორა — მცენარე, რომლისგანაც ნარკოტიკული წამლები მზადდებოდა.

2. კერსოპლეპტე — თრაკიის უმნიშვნელო მეფეთაგანი.

3. ანტრონი — ქალაქი თესალიის სამხრეთით, მცირე აზიის ყურეში.

4. სუზა და ეკბატანა — სპარსეთის დედაქალაქები. „ვინც სუზაში და ეკბატანაშია“... ალბათ, იგულისხმება სპარსეთის მეფე არტარქსერქსე III, ან, საერთოდ, სპარსეთის მეფე.

5. პროსტასია — საგამგებლო, საუფროსო.

6. არისტოდემე — რომელიღაც პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ხშირად სასაცილოდ გამოჰყავდათ კომედიებში. აქ მინიშნებაა საერთოდ უბირ პოლიტიკოსზე.

ფილიპეს წერილის პასუხად

1. ამ სიტყვაში დემოსთენე მოიხილავს წერილს, რომელიც ფილიპემ 340 წელს (ძვ. წ.) გამოუგზავნა ათენის საბჭოს და რომელშიც იგი საყვედურს გამოთქვამს ათენელების მხრივ ზავის დარღვევის გამო.

2. ალონი — თესალიის ქალაქი, რომელიც ადრე ათენის კავშირში შედიოდა. ფილიპემ თესალიის ქალაქს, — ფარსალს დაუქვემდებარა იგი.

ფილიპეს ეპისტოლე

1. ნიკიასი — ამ პიროვნების ხსენება მეტად ორსად აღარ გვხვდება.
2. თასოსი — ეგეოსის ზღვის კუნძული თრაკიის სანაპიროზე.
3. კრობილე — თრაკიის ქალაქი.
4. ტირისტასისი — ქერონესის ქალაქი მარმარილოს ზღვის სანაპიროზე.
5. ამფილოქოსი — მეტად ორსად არაა მოხსენებული.
6. ანთიმოკრატოსი — ათენელი, რომელიც მეგარელებმა მოკლეს პელოპონესის ომის დაწყების წინ.
7. კალიასი — ქალკიდელი მხედართმთავარი, რომელმაც ევბეაზე მოაწყო აჯანყება ფილიპეს წინააღმდეგ.

სარჩევი

დეგოსთენე	5
პირველი ოლინთოსური	20
მეორე ოლინთოსური	28
მესამე ოლინთოსური	35
პირველი სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ	44
მშვიდობისათვის	56
მეორე სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ	62
ჰალონესისათვის	70
ქერონესისთვის	79
მესამე სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ	94
მეოთხე სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ	103
ფილიპეს წერილის პასუხად	123
ფილიპეს ეპისტოლე	128
შენიშვნები	134

ИБ № 2537

რედაქტორი ჯ. აჯიაშვილი
გამომც. რედაქტორი ფ. ბაბუნაშვილი
გარეკანის მხატვარი ა. თოდრია
მხატვრული რედაქტორი თ. კარბელაშვილი
ტექრედაქტორი გ. ბოკუჩავა
უფრ. კორექტორი პ. დგებუაძე
კორექტორი ც. ნოზაძე
გამომშვები გ. შარიქაძე

გადაეცა ასაწყობად 25. VI. 84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. IX. 84. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 1. ნაბეჭდი თაბახი 9. პირობ. ნაბეჭდი თაბახი 8,37. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,35. ტირაჟი 50 000. შეკვ. № 401.

ფასი 60 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.
1984

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ, 50.

Типография № 1, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.

Демосфен

ФИЛИППИКА

(На грузинском языке)

Перевод с древнегреческого Г. Саришвили

Главная редакционная коллегия по делам художественного перевода и литературных взаимосвязей при Союзе писателей ГССР